ME Time

N28 (278) ორშაბათი, 21 ივლისი, 2014 წ.

ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

პუტინმა ჩემი შვილი მოკლა

„პირველად ჩატარდა აქცია, რომელსაც ჩვენ, „პრაიმტაიმთან“ ერთად, ჩავუყარეთ საფუძველი. მომხმარებლებიც ძალიან კმაყოფილები იყვნენ, რადგან, რომ გადავხედოთ პირველი აქციიდან მომდევნომდე, მათი რაოდენობა იზრდებოდა“

EXCLUSIVE europe-bet.com

სასამართლოს არქივში დაცული გირგვლიანისა და რობაქიძის საქმეები განადგურებულია

„ცერცვაძის უკან იდგა ის გუნდი, რომელიც 9 წელი მართავდა ქვეყანას და რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ეს რეზონანსული საქმეები. წარმოუდგენელია, ვალერი ცერცვაძეს ეს გადაწყვეტილება ზურაბ ადეიშვილის მითითების გარეშე მიეღო“

EXCLUSIVE

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით ბალისტიკოსი ორ დღეში სკანდალურ დასკვნას დადებს

— „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ბალისტიკამ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იარაღიდან გასროლა დაადასტურა...
— მოხდა თუ არა ამ იარაღიდან გასროლა, ამის შესახებ დასკვნას 3-4 დღეში დავდებ EXCLUSIVE

EXCLUSIVE

გამოძიებამ „საქართველოს ბანკის“ გაყალბებული ხელშეკრულება აღმოაჩინა(?!)

ვისია ბეჭედი, რომელიც, ექსპერტიზის მტკიცებით, მფლობელს არ ეკუთვნის?

„საქართველოს ბანკმა“ ოჯახს, სადაც ორი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს, ზამთარში შუქი და გაზი ჩაგვიჭრა. ამ გზით გვაიძულებდა, ჩვენი სახლი დაგვეტოვებინა“

გამოძიება ნარკოტრანზიტის გახმაურებულ საქმეზე მფარველების კვალს დაადგა

ირაკლი ღარიბაშვილი: „ლექსო ჭიკაიძემ ეს რეკორდი მოხსნა“

ეკა ბესელია: „ნარკოდანაშაულს სერიოზული მფარველები ჰყავდა წინა ხელისუფლებაში“

„ზურაბ ჟვანიას საქმე გადაიყოლებს მიხეილ სააკაშვილს... კონკრეტულად მას მოუწევს პასუხისგება ზურას მკვლელობასთან დაკავშირებით“ EXCLUSIVE

პრემიერ ერდოღანის მეგობარი საქართველოში სამართალს ეძებს

„თუ ივანე ჩხარტიშვილს სურს საქმის წარმოების შეწყვეტა, უნდა აღიაროს დავალიანება ყველა პარტნიორის წინაშე და დაფაროს“

ფოთის პორტის სკანდალი გრძელდება...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსოფლიო მსოფლიო ომის პირისპირ

მალაიზიის ავიახაზების კუთვნილი „ბოინგ 777“, რომელიც რეისს ამსტერდამი-კუალა-ლუმპური ასრულებდა და რომლის ბორტზეც 298 ადამიანი იმყოფებოდა, აღმოსავლეთ უკრაინაში, რუსეთის საზღვართან ახლოს ჩამოაგდეს. ბოინგი დონეცკის ოლქის დასახლებულ პუნქტ გრაბოვოში ჩამოვარდა. თვითმფრინავში 20 ბავშვი იმყოფებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, პრორუსული ორიენტაციის ტერორისტებმა ტრაგედიის ადგილიდან გვამების თვითნებური გადაადგილება და შემთხვევის ადგილიდან თვითმფრინავის ნამსხვრევების გატანა დაიწყეს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რუსეთი კვალის დაფარვას ცდილობს.

თეთრი სახლი თითქმის დარწმუნებულია, რომ სეპარატისტებმა გასროლა რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან განახორციელეს, თუმცა რუსეთის დახმარებით.

ჯონ კირბი, პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენელი:

– ჩვენ გვაქვს მტკიცებულება, რომ რაკეტა SA-11 გაშვებულია ტერიტორიიდან, რომელსაც რუსი სეპარატისტები აკონტროლებენ. კონკრეტულად ვინ გაუშვა რაკეტა, რუსმა სამხედროებმა თუ სეპარატისტებმა, ჯერჯერობით არ ვიცით. ეს ტექნოლოგიურად საკმაოდ რთული სისტემაა და ძალიან რთული დასაჯერებელია, რომ სეპარატისტებს მისი გამოყენება რუსეთის, თუნდაც მინიმალური დახმარების გარეშე შეეძლოთ. ყველა მხარე უნდა დასთანხმდეს ცეცხლის შეწყვეტას, რადგან ეს არის ერთადერთი გზა, რომ საერთაშორისო გამომძიებლებს უსაფრთხოდ და ხელის შეშლის გარეშე მიეცეთ მუშაობის შესაძლებლობა.

რუსეთი, თავის მხრივ, მომხდარში უკრაინას ადანაშაულებს. პუტინის განმარტებით, მომხდარ ტრაგედიაში დამნაშავე უკრაინაა, რადგანაც ბოინგი მის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს. მოსკოვში იმასაც ამბობენ, რომ უკრაინამ ბოინგი იმიტომ ჩამოაგდო, რომ ის პუტინის პირად თვითმფრინავში აერია. სოციალურ ქსელებში კი პუტინისა და ჩამოგდებული ბოინგის თვითმფრინავების ფოტოებიც გავრცელდა შედარებისთვის.

რუსეთს ახლა, ალბათ, არანაირი არგუმენტი არ უშველის. მის ტერორისტულ იმიჯში ყველა დარწმუნებულია. მით უფრო, რომ რუსეთის მხრიდან მსგავსი შემთხვევა ადრეც განხორციელდა:

1978 წლის 20 აპრილს საბჭოთა კავშირმა სამგზავრო ლაინერი Boing 707 ჩამოაგდო, რომელიც პარიზიდან სეულში მიფრინავდა. პილოტმა ავარიული დაშვება შეძლო, შედეგად ბორტზე მყოფი 2 მგზავრი დაიღუპა.

1983 წლის 1-ელ სექტემბერს საბჭოთა კავშირმა სამგზავრო ლაინერი Boing 747 ჩამოაგდო, რომელიც ნიუ-იორკიდან სეულში მიფრინავდა. შედეგად ბორტზე მყოფი 269 მგზავრი დაიღუპა.

2014 წლის 17 ივლისს რუსეთმა სამგზავრო ლაინერი Boing 777 ჩამოაგდო, რომელიც კუალა-ლუმპურიდან ამსტერდამში მიფრინავდა. შედეგად ბორტზე მყოფი 295 ადამიანი დაიღუპა.

ასე რომ, ყველაფერი, რაც რუსეთს უკავშირდება, მარტივი არ არის, დასავლეთმა ეს კარგად იცის, თუმცა, მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ევროპამ ჯეროვნად მაინც ვერ შეაფასა კიევსა და მოსკოვს შორის შეიარაღებული დაპირისპირება. იმდენად, რომ კომერციულ თვითმფრინავებს უკრაინის ცაზე ფრენა არ შეუწყვეტიათ. ბოინგის ჩამოგდებამ კი მსოფლიო უცებ გამოაფხიზლა და ისინი ლამის მესამე მსოფლიო ომის პირისპირ დააყენა.

თუმცა, დასავლეთი მაინც სიფრთხილეს იჩენს და ჯერ არც დასკვნების გაკეთებას ჩქარობს და არც მოქმედებებს გეგმავს. როგორც ჩანს, ევროპის საზღვართან სერიოზული აფეთქების გამოწვევის ეშინიათ.

თუმცა, არ ჩქარობენ ოფიციალური პირები, ოპოზიცია კი გაცილებით მკვეთრია შეფასებებში როგორც ამერიკაში, ისე ევროპასა და საქართველოში.

სენატორ მაკკეინის განმარტებით, ამერიკა უკრაინას შეიარაღებას მიაწვდის:

– დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ შემთხვევაში რუსებს მოუნევთ პასუხისგება. მათ ჯოჯოხეთური ანგარიშსწორება ელით. ამერიკული მხარე აუცილებლად მიაწვდის უკრაინას შეიარაღებას, მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს, ამერიკის შეერთებული შტატების უარი სამხედრო დახმარებაზე, შეფასდება, როგორც თეთრი სახლის უდიდესი სირცხვილი.

თუკი რუსები სეპარატისტებს შეიარაღებენ, ამერიკა კი – უკრაინის ხელისუფლებას, მესამე მსოფლიო ომის ხაზიც გახსნილად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, ბოინგის ჩამოგდებით კონფლიქტი უკვე გასცდა უკრაინის საზღვრებს...

„პუტინმა ჩემი შვილი მოკლა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოსალოდნელია თუ არა დაჭერების მორიგი სერია?

„პირდაპირ გეტყვით, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება მიმდინარეობს“

EXCLUSIVE

„სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როცა ბატონმა პრეზიდენტმა ამას საზარელი მკვლელობა უწოდა. ამ შემთხვევაში შეფასებებში ფრთხილები უნდა ვიყოთ. როგორც იმის თქმა არ შეიძლებოდა, რომ პრემიერი გაზით გაგუდული იპოვეს, როცა არ იყო ექსპერტიზის დასკვნები, ასევე, ჩემთვის გასაკვირია, როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ ეს იყო საზარელი მკვლელობა“

სალომე გოგოხია

გასულ კვირას პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. რა პერსპექტივები ელის ჩვენს ქვეყანას, მოსალოდნელია თუ არა დაკავებების მორიგი სერია, ცდილობს თუ არა ხელისუფლება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე გავლენის მოპოვებას, რა კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტს, მფარველობენ თუ არა ნარკოტრაფიკის საქმეს ყოფილი მაღალჩინოსნები, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ პარლამენტის ვიცე-სპიკერს მანანა კობახიძეს ესაუბრა.

- გასულ კვირას შსს-მ უპრეცედენტოდ დიდი ოდენობის, 3 ტონამდე თხევადი ჰეროინი ამოიღო. აღნიშნულ საქმეს ქართული მხარე დამოუკიდებლად გამოიძიებს თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად?

- ეს ნამდვილად უპრეცედენტო შემთხვევაა. ასეთი დიდი ოდენობით ძლიერი ნარკოტიკი ჩვენს ქვეყანაში ჯერ არ ამოღებულა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი სამართალდამცველები სათანადოდ მუშაობენ, რომ არ მოხდეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის სატრანზიტო კორიდორად გამოყენება. თუკი აღმოსავლეთიდან, შუა აზიიდან, ავღანეთიდან შემოტანილი ნარკოტიკი საქართველოზე გაივლის და ევროპაში მოხვდება, ეს ჩვენი ქვეყნის იმიჯს დააზარალებს. ჩვენს ქვეყანას ყველა საერთაშორისო ვალდებულება აქვს აღებული ნარკოტრეფიკთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით შიდა კანონმდებლობაც მოქნილი გვაქვს. შესაბამისად, უნდა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი ტერიტორია იყოს უსაფრთხო დანაშაულის ჩადენისთვის და გამოყენებული არ იყოს გადაზიდვისთვის. ცხადია, გამოძიება დაადგენს ნარკოტიკების გამგზავნ და მიმღებ მხარეებს. იცით, რომ ეს ტრანსნაციონალურ დანაშაულს განეკუთვნება და მასში სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი ჯგუფები მონაწილეობენ. ვფიქრობ, ამ დანაშაულის გახსნა შესაძლებელი გახდება. თუმცა, საკმაოდ ძნელია, რადგან ის სცდება საქართველოს ფარგლებს.

- როდესაც ასეთ დიდ ოდენობაზეა საუბარი, ჩნდება ეჭვი, რომ ასეთ საქმეს სახელისუფლებო ეშელონებში მფარველობენ...

- საუბარი იმაზე, რომ ჩვენს ხელისუფლებაში ვინმე რამეს მფარველობს, გამორიცხულია. ამის საწინააღმდეგოა სწორედ ის, რომ ესოდენ დიდი რაოდენობის ტვირთი ამოიღეს. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. რაც შეეხება წინა ხელისუფლებას, იმ პერიოდში, მაგალითად, საქართველოზე გადიოდა ეს ტვირთები და შემდეგ ევროპის ქვეყნებში ხდებოდა ამ ყველაფრის აღმოჩენა. თუ მფარველობაზეა საუბარი, სწორედ წინა ხელისუფლების პირობებში უნდა ვეძებოთ მფარველობის კვალი. თუ ეს იყო კორიდორი, სადაც თავისუფლად მოძრაობდა ეს ტვირთი, გადადიოდა ევროპაში, მაშინ გამოდის, აქ ვიღაც ხელს უწყობდა. ეს საკმაოდ სერიოზული დანაშაულია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. ჩემი ვარაუდით, და არა მხოლოდ ჩემი ვარაუდით, ამას მონმობს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ნარკოტიკების ტრანზიტს შეეხება. მათ შორის, საქართველოზე ძალიან დეტალური ანგარიში იყო. რა რაოდენობით ხდებოდა ამოღება წლების მიხედვით. საქართველოს მოუწევს თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან, სადაც შესაძლოა ამ დანაშაულის კვალი მიდიოდეს. ერთობლივი ძალისხმევით უნდა დამარცხდეს დანაშაული.

- გასულ კვირას საცხოვრებელი სახლის ავტოფარეხში გარდაცვლილი იპოვეს ეროსი კიწმარიშვილი. პროკურატურა იმთავითვე თვითმკვლელობაზე აპელირებდა, თუმცა, საპირისპიროს ამტკიცებს მისი ოჯახი. შეიძლება ერთგვარი პარალელის გავლება პრემიერ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან. როდესაც წინა ხელისუფლებამ ყოველგვარი ექსპერტიზის დასკვნის გარეშე განაცხადა, რომ ჟვანია ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად გაიგუდა. როგორია თქვენი შეფასება?

- საქმის გამოძიება იწყება ფაქტზე. ამ შემთხვევაში ცეცხლსასროლი იარაღით გარდაცვლილი ადამიანი იპოვეს. ეს არის ძალიან სამწუხარო, ვუსამძიმრებ ოჯახს. სავსებით გეთანხმებით, გამოძიების დასადგენია ეს თვითმკვლელობაა თუ მკვლელობა. ზოგადად, ჩვენი სისხლის სამართლის სფეროში პრაქტიკა ისეა განვითარებული, როცა პირველი შეხედვით დასკვნების გაკეთება რთულია, საქმის აღძვრა თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით ხდება. შესაძლებელია, ეს კარგი პრაქტიკა არ არის და შესაცვლელია, მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის თუ მკვლელობის მუხლით აღიძრება, საბოლოოდ ყველაფერზე პასუხი გამოძიებამ უნდა გასცეს. თუ გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები პროკურატურას იმ დასკვნამდე მიიყვანს, რომ იყო მკვლელობა, შესაბამისი მუხლით გადაკვალიფიცირდება. ეს პრობლემას არ წარმოადგენს.

- პრეზიდენტმა მარგველაშვილმა იმთავითვე განაცხადა, რომ საზარელი მკვლელობა მოხდა...

- სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როცა ბატონმა პრეზიდენტმა ამას საზარელი მკვლელობა უწოდა. ამ შემთხვევაში შეფასებებში ფრთხილები უნდა ვიყოთ. როგორც იმის თქმა არ შეიძლებოდა, რომ პრემიერი გაზით გაგუდული იპოვეს, როცა არ იყო ექსპერტიზის დასკვნები, ასევე, ჩემთვის გასაკვირია, როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ ეს იყო საზარელი მკვლელობა. არ გამოვრიცხავ, რომ ჟურნალისტის მიერ შეკითხვა არასწორად იყო დასმული. შეიძლება პირდაპირ ჰკითხა, ეროსი კიწმარიშვილი თავის ავტოფარეხში მოკლული იპოვესო. ბუნებრივია, ასეთ შეკითხვაზე პრეზიდენტის რეაქცია იყო ასეთი. გამოძიების დასრულებამდე არ შეიძლება ამ ფაქტს პირდაპირ მკვლელობა ან თვითმკვლელობა უწოდო. ყველაფერი პროკურატურას მივანდოთ. ტერმინებში ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ. პროცესები სწრაფად უნდა იყოს წარმართული. საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, პროკურატურამ პერიოდულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია საზოგადოებას. პირველ რიგში კი ოჯახს. მე ვერ ვხედავ იმის საფუძველს, რომ ამ საქმეს პოლიტიკური მკვლელობის სარჩეული დაედოს. რა თქმა უნდა, ეს გარკვეულ პოლიტიკურ ძალას, ადამიანებს ანყობთ, რომ ამით ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდინონ. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს.

- ცნობილია, რომ კიწმარიშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დაბრუნებას აპირებდა. ხელისუფლება ხშირად აპელირებს, რომ „რუსთავი 2“ კანონიერ მფლობელს უნდა დაუბრუნდეს. ანალოგიური განაცხადა ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ. თქვენი აზრით, ვის გულისხმობს ხელისუფლება კანონიერ მფლობელში და ცდილობს თუ არა ხელისუფლება დამოუკიდებელ ტელეკომპანიაზე გავლენის მოპოვებას?

- „რუსთავი 2“-ის გადაფორმების დეტალები არ ვიცი. რამდენჯერმე შეიცვალა მფლობელი, წილები გასხვისდა, „ნაციონალური მოძრაობის“ პირობებში ჩართული იყო ხელისუფლება. თავის დროზე „იმედთან“ მიმართებაში ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს ეს ტელევიზია წაართვა. ეს ყველაფერი ღიად მოხდა. საბოლოოდ, ოჯახმა ტელევიზია დაიბრუნა. არავინ საუბრობს იმაზე, რომ ხელისუფლება „იმედი“-ს გაკონტროლებას შეეცადა. ეს ხომ აბსურდია?! თუკი ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია იდავოს და თავისი საკუთრება დაიბრუნოს, მაშინ რა გამონაკლისია „რუსთავი 2“ ? ეს არანაირად არ უკავშირდება გადაწყვეტილებების მიღებას ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. აქ საუბარია კონკრეტულ ადამიანებზე, რომლებსაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ ამ ტელევიზიასთან დაკავშირებით. ამაში სახელმწიფო არ ერევა და ვერც ჩაერევა, რადგან კერძო კომპანიაა. ვისაც პრეტენზია აქვს, უფლება აქვს ამის შესახებ განაცხადოს. რა შუაშია დღევანდელი ხელისუფლება? ან ის, რომ კალაძემ რაღაც თქვა? ეს არის თითიდან გამოწოვილი. ძალიან ცუდია, რომ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტს მავანნი „რუსთავი 2“-ს, მის დაბრუნებას, ბიზნესში აქტივობას თუ ტელევიზიებთან კავშირს ხელისუფლებასთან აკავშირებენ, რაც არის სიბინძურე. ეს ზუსტად ის მეთოდებია, რა მეთოდებითაც „ნაციონალური მოძრაობა“ მუშაობდა. ხელისუფლებისკენ ხელის გაშვერა, თითქოს ხელისუფლება „რუსთავი 2“-ის გაკონტროლებას აპირებს, საზოგადოების დაცინვაა. თუ ვინმე აპირებდა რაიმეს კონტროლს მედიაში, ეს იყო „ნაციონალური მოძრაობა“, როცა ყველა არხი გარდა „მაესტროს“ და „მეცხრე არხისა“, ნაციონალების დირექტივებით მაუწყებლობდა. ყველა საინფორმაციო ერთი და იგივე ტექსტებით იწყებოდა, რომელიც სააკაშვილის რეზიდენციაში იწერებოდა. სირცხვილია, როცა თითს იშვერენ ვიცე- პრემიერისკენ, რომ ვიღაც „რუსთავი 2“-ის გაკონტროლებას აპირებს. „რუსთავი 2“-ის მთელი უბედურება იმაშია, რომ დღესაც ნაციონალები აკონტროლებენ. ეს ტელევიზია ვერ იქცა დამოუკიდებელ ტელევიზიად.

- თვითმმართველობის არჩევნებს წინ უძღოდა ყოფილი მერის, გიგი უგულავას დაკავება. მოსალოდნელია თუ არა მომავალში ყოფილი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების დაკავებები ვიხილოთ?

- დაკავებები ვინმეს არ დაუგეგმავს. პირდაპირ გეტყვით, მიმდინარეობს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება. ფაქტების, მტკიცებულებების მოპოვება, საგამოძიებო მოქმედებები. როდის, რა პროცესში, რომელი ადამიანის ბრალეულობა გამოვლინდება და დაკავება გახდება საჭირო, ეს გამოძიების გადასაწყვეტია. ვერავინ დააანონსებს ხვალ ვის დააკავებენ. ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, ბუნებრივია, დააკავებენ. „ნაციონალური მოძრაობისგან“ განსხვავებით, ჩვენ ადამიანების დაჭერა არ გვიხარია. ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, მით უმეტეს მაღალი თანამდებობის პირებს, რომლებსაც ადამიანების წამებაში, მკვლელობაში ხელი აქვთ გასვრილი, ბიუჯეტის ქურდობაში და ა.შ. როგორ შეიძლება ამ ადამიანებს პასუხი არ მოეთხოვოთ? პირიქით, ხალხის მოთხოვნა და პრეტენზია არის, რომ ეს პროცესები სწრაფად და ეფექტურად წარიმართოს.

- ასოცირების ხელშეკრულება რატიფიცირებულია. სამომავლოდ რა დადებითი პერსპექტივები ელის ჩვენს ქვეყანას?

- იცით, რომ მოხდა რატიფიცირება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რომლის ამოქმედებაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. საქართველოში დამზადებული პროდუქტის საექსპორტოდ გატანა უნდა შევძლოთ, რომ მიახლოებული იყოს ევრო სტანდარტთან, რასაც გვისახავს ასოცირების ხელშეკრულება. ძალიან ბევრი სამუშაოა. ეტაპობრივად ყველა სფეროს შეეხება დაწყებული სოფლის მეურნეობით, გარემოს დაცვით, დამთავრებული ადამიანის უფლებების დაცვითა და მართლმსაჯულებით.

- როგორია მმართველი გუნდის საშემოდგომო გეგმები?

- ჩვენი გეგმებია ქვეყანაში უსწრაფესად გადავჭრათ უმუშევრობის პრობლემა. გაჩნდეს სამუშაო ადგილები, მოვიზიდოთ ინვესტიციები. 2015 წელი მშვიდია იმ თვალსაზრისით, რომ არ არის არჩევნები. ზოგადად, არჩევნები ქვეყანაში გარკვეულ დაძაბულობას, დესტაბილიზაციას უკავშირდება. ზედიზედ სამი არჩევნები ჩავატარეთ, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად სერიოზული გამოწვევა იყო. ვფიქრობ, მშვიდად, დემოკრატიულად ჩავატარეთ. 2015 წელი ეკონომიკური თვალსაზრისით წინ სვლის წელი უნდა იყოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პრაიმტაიმის“ ინფორ
ორ დღეში სკანდალუ

მარიამ ნადირაძე

ჩვენი კვლევა ძირითადად კრიმინალისტიკურ დეტალებზე იქნება აწყობილი, ვინაიდან პოლიტიკურმა ვერსიებმა ისედაც წალეკა მედიასივრცე, რაც, ცხადია, კარგს ვერაფერს აძლევს ადამიანთა იმ დაინტერესებულ ნაწილს, რომელსაც სურვილი აქვს, თვალი ადევნოს გამოძიების მსვლელობას. ამ ეტაპზე „პრაიმტაიმის“ მკითხველის სწორედ იმ ნაწილს გაუმართლა, რომელსაც სურვილი გაუჩნდებოდა, რომ ერთობლიობაში გასცნობოდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტისა და ბალისტიკოსის პოზიციებს.

„მე, როგორც სამედიცინო ექსპერტი, ვამბობ, რომ ეს არის „ჩეზეს“ კვალი, მაგრამ კონკრეტულად რომელი „ჩეზესი“ – იმის, რაც ადგილზე ინახა, თუ სხვა იარაღის, ამას ვერ გეტყვით...“

თუმცა, ერთ მცირე გადახვევას თავშივე გავაკეთებთ, ვინაიდან მთელი კვირის განმავლობაში, რაც საზოგადოებამ ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია მიიღო, მთელ მედიასივრცეში ერთადერთი გამონაკლისია „რუსთავი 2“, რომელიც ამ შემთხვევას ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანიის დევნად აღიქვამს. ამ პოზიციას კი სულს ყოფილი ხელისუფლების რესპონდენტად წარმოდგენილი წარმომადგენლები უბერავენ. შეთქმულების თეორიებსაც შევეშვათ და ფაქტიდან გამომდინარე წიაღსვლებსაც. უბრალოდ, გაჩნდა კითხვა – „რა შუაშია?“ მეტიც, ისიც ვიფიქრეთ, ეგებ რამე გამოგვრჩა? გვახსოვს თვალნათელი და კულუარული ფაქტები – ის, რომ რევოლუციის პირველივე ტალღაზე ეროსი კიწმარიშვილმა ტელეკომპანია 20 მილიონად გაყიდა და ეს ფული ბიძინა ივანიშვილმა გადაიხადა. მეტიც, ივანიშვილმა მაშინ „მე-9 არხი“ მიახურა და მისი ძვირადღირებული ტექნიკა დღესაც მის ანტიპიარს ემსახურება „რუსთავი 2“-დან. თუმცა მაშინ ეს თანხა ოფიციალურად არსად დაფიქსირებულა. გაფორმდა გაცილებით ნაკლები და ტელევიზია მომდევნო მფლობელს გადაეცა, რომელიც იმ დროისთვის მხოლოდ ბუტაფორია იყო, ვინაიდან ამ აქტით „რუსთავი 2“-ზე სრული კონტროლი მაშინდელმა ხელისუფლებამ მოიპოვა. თუმცა, მშრალზე აღმოჩნდნენ დანარჩენი დამფუძნებლები – დვალი და აქიმიძე. მოგვიანებით ისინიც გაისტუმრა ხელისუფლებამ და გაცილებით იაფად... ალბათ, ამიტომაც ამბობდა ბოლოს „პრაიმტაიმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომ, თუ დვალსა და აქიმიძეს შეიძლებოდა დაბრუნებოდათ არხი, იგივე წარმატებით შეეძლო მასაც პრეტენზიები წამოეყენებინა. ერთი სიტყვით, კიწმარიშვილის არხიდან ჩამოშორების ამ პროცესს სწორედ ამ კონტექსტში აღწერდა ბიძინა ივანიშვილიც ირმა ინაშვილთან საუბრისას 2012 წელს და ამის მიზეზსაც განმარტავდა: „ამ ტელევიზიას ყოველთვის აკონტროლებდა სააკაშვილი და როდესაც ეროსიმ მოახერხა და თავისი პარტნიორები გააცურა, ძირითადი თანხები აიღო ეროსიმ... ის წავიდა იქიდან და მას აკონტროლებდა სააკაშვილი... ახალგაზრდა მთავრობას უნდოდა დახმარება და მათ ეროსი ხელს უშლიდათ. სააკაშვილი არ მალავდა ჩემთანაც კი და მეხვეწებოდა, რომ როგორმე ეს ეროსი ჩამოეშორებინა...“ მას შემდეგ კიწმარიშვილს ზემოხსენებული რეპლიკის გარდა არხზე პრეტენზია კატეგორიულად არასდროს გამოუთქვამს. მისი გარდაცვალების შემდეგაც კი მისი ახლობლები მხოლოდ იმას ადასტურებენ, რომ მას ამ არხზე „60 წუთის“ აღდგენა უნდოდა...

ერთი სიტყვით, რაკიღა დავრწმუნდით, რომ ინფორმაციებს თანმიმდევრულად ვფლობდით, გადავწყვიტეთ, ტელევიზიის ხელმძღვანელს დავკავშირებოდით, რომელიც აგვიხსნიდა, რას ნიშნავს არხის ზემოხსენებული მიდგომა.

მაშ ასე, ნიკა გვარამია:

– ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების პირველ დღეებში თქვენი არხის გადაცემებიდან იკვეთებოდა პოზიცია – კიწმარიშვილის გარდაცვალება ნიშნავს „რუსთავი 2“-ის დევნას... იქნებ გვითხრათ, რას ემყარება ეს პოზიცია?

– არავითარი მსგავსი კომენტარი ჩვენ არ გაგვიკეთებია... ჯერჯერობით არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ეს ორი ფაქტი ერთმანეთს დავუკავშიროთ.

– ოფიციალური კომენტარი სულაც არ არის საჭირო, როდესაც პოზიციის გამოხატვა გსურს... თქვენი არხის გადაცემებში კი ეს იგრძნობადა...

– ვერ გეტყვით... მე ასე არ ვფიქრობ და არც არავინ ფიქრობს ასე კომპანიაში. კითხვები ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ცხადია, იქნება, „რუსთავი 2“-ისთვის ეს მნიშვნელოვანი საქმეა და არასდროს მოემვება. ძალიან მკაცრად ვადევნებთ თვალყურს გამოძიებას. რაც შეეხება კონტექსტს, რის შესახებაც თქვენ მკითხეთ, გამოძიებას ჯერჯერობით ასეთი არაფერი უთქვამს, გარდა იმ დაუფიქრებელი გადაწყვეტილებისა, როდესაც საქმის გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყეს. თუმცა, ესეც ჯერჯერობით იკითხება, როგორც შეცდომა და არა წინასწარგანზრახულობა. შეცდომაა, თუ პროფესიონალური კუთხით განვიხილავთ, მაგრამ უფრო დიდი შეცდომაა, თუ მიზანშეწონილობის კუთხით შევხედავთ.

– ანუ არ იზიარებთ მოსაზრებას, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი მოცემულობა გამოძიებას აძლევდა ამ კვალიფიკაციის საფუძველს?

– ერთ-ერთ ვერსიად ესეც შეიძლებოდა განხილულიყო ამ მოცემულობის თვალსაზრისით, მაგრამ მსუბუქი მუხლიდან მძიმესკენ წასვლა, ზოგადად, შეცდომაა. მძიმე მუხლიდან მსუბუქისკენ უნდა წამოხვიდე ყოველთვის...

როგორც ჩანს, არხის გენერალური დირექტორი თვალს არ ადევნებს თავის პოლიტიკურ გადაცემებს, ან პოლიტიკურ სიუჟეტებს, ისევე, როგორც ზემოთ შემოთავაზებული მიდგომით ლუსტრირებას უკეთებს თავის მცირეხნიან გამოცდილებას სისხლის სამართლის პროცესში გენერალური პროკურორის რანგში. როგორც ჩანს, მაშინ მართლაც კვალიფიკაცია დასაწყისშივე მძიმდებოდა და შემდეგ ხდებოდა შერბილება, ოღონდ, რაღა თქმა უნდა, ამას სულ სხვა საფუძველი ჰქონდა, რაც ღმერთის მადლით, დღეს ჯერჯერობით ასე აშკარად არ შეიმჩნევა...

მოკლედ, ასეა თუ ისე, ირიბად, მაგრამ მაინც მივადექით კრიმინალისტიკურ ნაწილსაც და ექსპერტებს „პრაიმტაიმი“ დაუსვამს ყველა კითხვას, რაც საზოგადოებაში არსებობს. გარწმუნებთ, რომ ყველა შესაძლო კითხვაზე მიიღებთ პასუხს.

მაია ნიკოლეიშვილი:

– როდესაც თქვენ გაახმაურეთ, რომ სროლა მომხდარია მიბჯენით, ამან ეჭვი წარმოშვა... შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, კობა ნარჩემაშვილმა, ამის გამო თვითმკვლელობაც კი გამორიცხა, ვინაიდან ამ შემთხვევაში გასროლის დროს წარმოქმნილი უკუძალა სივრცეს წარმოქმნიდა სხეულსა და იარაღს შორის...

– „ჩეზე 75“-ს, რომელიც შემთხვევის ადგილზეა აღმოჩენილი, აქვს მოსრიალე ლულა. შტანცმარკა, ანუ ნაჭდევი, რაც გარდაცვლილის მარჯვენა საფეთქელზე იქნა აღმოჩენილი, არის „ჩეზეს“ ლულის ანაბეჭდი. თუ ნახავთ ამ იარაღის ლულას და საფეთქელზე აღმოჩენილ ნაჭდევს, დარწმუნდებით, რომ იდენტურია.

– ანუ ეჭვობთ, რომ გასროლა მანქანაში ნაპოვნი იარაღიდან მოხდა?

– არა, ეს ჯერ არ არის გარკვეული... მე, როგორც სამედიცინო ექსპერტი, ვამბობ, რომ ეს არის „ჩეზეს“ კვალი, მაგრამ კონკრეტულად რომელი „ჩეზესი“ – იმის, რაც ადგილზე ინახა, თუ სხვა იარაღის, ამას ვერ გეტყვით... რაც შეეხება მჭიდრო ბჯენას, როცა სახეზე გვაქვს შტანცმარკა (ლულის ნაჭდევი სხეულზე. – მ.ნ.), ეს უკვე ასი პროცენტით ბჯენით სროლაზე მიუთითებს. „ჩეზე“ ისვრის „ტეტესავით“. როცა გაისვრის, პლუს კიდევ ლულის დარტყმა ემატება.

– თქვენ განაცხადეთ, რომ გარდაცვლილის თავის შიგთავსი ძალიან იყო დაზიანებული...

– თავიდან, როდესაც დაზიანება ვნახეთ, არ ვიცოდით იარაღის შესახებ. ეს ბალისტიკოსებმა იციან ზეპირად – რა დაზიანებას, რა ტიპის იარაღი წარმოქმნის. ლულის ანაბეჭდით იარაღის ამოცნობა ჩვენი საქმე არ არის.

– როდესაც ნახეთ მიბჯენით სროლის კვალი, ამან გამოგარიცხვინათ რომელიმე ვერსია – მკვლელობის ან თვითმკვლელობის?

– ჩვენ ვსაუბრობთ ვიღაცის ხელით მიყენებულ დაზიანებაზე და ეს ვიღაცა შეიძლებოდა ყოფილიყო ეროსიც და სხვაც. მიბჯენა რომ ყოფილიყო, ვთქვათ, კეფაზე, მაშინ დიდწილად შეიძლებოდა თვითმკვლელობის გამორიცხვა... ამ შემთხვევაში ლულა მიბჯენილია 90 გრადუსით. ზომაც განისაზღვრა – 0,91 სმ. სერიოზული მოტეხილობებია შესავალ ხვრელშიც და გამოსასვლელთანაც. მოტეხილობები ქალას სარქველზეც. ბზარი გადის მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც. ეს მოტეხილობის ხაზები ქალას ფუძემდეც გადადის, რაც ძალიან სერიოზულად არის დაზიანებული. ჩამოვყალიბდით, რომ ძალიან მძლავრი იარაღიდან იყო გასროლილი, თან ნასროლია მიბჯენით და ამ შემთხვევაში მთელი დამატებითი ფაქტორები, შეკუმშული აირები ტყვიას შიგნით შეაქვს და შიგნით ხდება აფეთქება.

– სხვა რაიმე დაზიანება სხეულზე არ დაგიფიქსირებიათ?

– არაფერი...

– რაკიღა მარჯვნიდან იყო ნასროლი, შესაბამისად, ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარჯვენა ხელით თავად ისროლა, ან ვინმემ მარჯვენა სავარძლიდან ესროლა, თუმცა თქვენ აღმოაჩინეთ სისხლის შხეფები მარჯვენა სავარძელზე...

– სისხლის შხეფები იყო მარჯვენა ხელზე. ამ შხეფების გაგრძელება სადღაც უნდა ყოფილიყო, ბუნებრივია. აქედან გამომდინარე, წინა სალონი იყო ძალიან საინტერესო. თუ სისხლის ტრაექტორია შეწყდებოდა, ეს იმას გვამცნობდა, რომ ვიღაც იჯდა მარჯვნივ და სისხლს მისი სხეული აიღებდა და არა სავარძლის ზედაპირი... მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ სავარძელზე მარაოსებრად გრძელდებოდა ეს ყველაფერი და ამან იქ ვინმეს ჯდომა გამორიცხა.

– ექსპერტიზას ჯერ არ უპასუხია კითხვაზე, იყო თუ არა კიწმარიშვილის ხელზე დენთის კვალი. თუმცა, ზოგიერთი ექსპერტის ინფორმაციით, ექსპერტიზისთვის გამოყენებული სპეციალური ხსნარები ხშირად ქმნის სურათს, რომ თითქოს ეს კვალი არსებობს... შეიძლება, რომ კატეგორიულად დავეყრდნოთ ასეთ ექსპერტიზას?

– ახალი პისტოლეტები აღარ ტოვებს დენთის შავ კვალს. ახლა ის თვალით უხილავია. ამიტომაც ხელისგულებიდან იქნა ანაწმენდები აღებული, თანაც ორივე ხელიდან, სწორედ იმისთვის, რომ დაზღვეული ვიყოთ შეცდომისგან. ის, რომ ცაცია არ იყო, ეს გავარკვიე ნათესავებისგან.

– გამორიცხავთ თვითმკვლელობის იმიტაციას?

– ძალიან ხშირად არის ხოლმე, რომ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მაციით ბალისტიკოსი რ დასკვნას დადებს

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ბალისტიკამ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იარაღიდან გასროლა დაადასტურა...

cz 75

cz 75 p-07

„მოხდა თუ არა ამ იარაღიდან გასროლა, ამის შესახებ დასკვნას 3-4 დღეში დავდებ“

პისტოლეტი ხელში უჭირავს გარდაცვლილს სწორედ იმიტომ, რომ ვინმე ამით თვითმკვლელობაში დაარწმუნოს. არადა, ექსპერტებს ეს აეჭვებთ ხოლმე, ვინაიდან გასროლისას იმხელა ძალის უკუდარტყმა ხდება, რომ თვითმკვლელობის დროს იარაღი ხელში ვერ რჩება, ძალიან ხშირად ძირს ვარდება ხოლმე.

– იარაღზე რომ სისხლის კვალი არ აღმოჩნდა, არც ეს არის თქვენთვის საეჭვო?

– სხვათა შორის, როცა ზურაბ კიწმარიშვილმა უსისხლო იარაღის შესახებ განაცხადა, მართალი გითხრა, ვერ დავიჯერე. ვიფიქრე, შავი კორპუსი აქვს იარაღს და შეიძლება სისხლის კვალი ვერ დაინახა-მეთქი. თუმცა, მერე დავრწმუნდით, რომ სისხლი ვიზუალურად არ ჩანდა, არ ჩანდა ლუპით, არც ულტრაიისფერ სხივებში არაფერი ანათებდა. მართლა გამიკვირდა, რომ ლულაშიც არ იყო შიგნით ნათება. ამიტომაც, იარაღის ლულიდან აიღეს მასალა, რათა შემოწმდეს დეენემი. რაკი იარაღს კონტაქტი ჰქონდა კანთან, მაშინ იქ დეენემი აუცილებლად უნდა აღმოჩნდეს.

– ასეთი რამ ხდება, რომ, როდესაც მთელი სალონი სისხლითაა მოსვრილი, იარაღზე მისი კვალი არ აღინიშნოს?

– კი, ასეც ხდება... მაგრამ მთავარია, დადასტურდება თუ არა კანის კონტაქტი ლულაზე...

– იარაღზე სისხლი რომ არ არის, შეიძლება თქმა, რომ ის დანაშაულის იარაღი არ არის?

– არა, ჯერ არა, მარტო მაგით ვერ გამორიცხავ. ეჭვი ჩნდება, მაგრამ ვერ გამორიცხავ.

– თუ ლულაზე დეენემი არ აღმოჩნდება, მაშინ რა სურათს მივიღებთ?

– მაშინ უკვე სხვა რამეებზე ვიფიქრებთ...

– მკვლელობაზე?

– მოდით, ნუ დავკონკრეტდებით... ასევე, საინტერესო იქნება, ტყვია და მასრა შეადგენდა თუ არა ერთ მთლიანს გასროლამდე და გასროლის შემდეგ ადგილზე ნაპოვნი ტყვია გასროლილია თუ არა ამ იარაღიდან. მაგრამ მე თუ მკითხავ, თუნდაც გასროლილი იყოს ამ კონკრეტული იარაღიდან, უფრო მნიშვნელოვანია, არის თუ არა ლულაზე დეენემი. სხვათა შორის, ტყვიის გულაზეც არ ჩანს სისხლი ვიზუალურად. ულტრაიისფერი სხივებით არ შეუმოწმებიათ, ვინაიდან შეიძლებოდა დაზიანებულიყო. ამიტომ, მხოლოდ ანაწმენდი აიღეს.

– ტყვია დეფორმირებული იყო?

– კი. ის დაზიანების შემდეგ მოხვდა ღვედის სამაგრს და დავარდა ძირს. არ არის გამორიცხული, რომ ის პლასტმასმა, ღვედის სამაგრმა გაწმინდა... პლასტმასზე სისხლი არის.

– რა დრო დასჭირდება დეენემის დადგენას იარაღის ლულაზე?

– ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ძალიან მაღალ ტემპებში მუშაობენ, არა მგონია, დიდი დრო დასჭირდეთ. სხვათა შორის, არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი რამ: როდესაც გვამია სახეზე, გამომძიებელი გაკვეთას უნდა ესწრებოდეს, მაგრამ ასეთი რამ მრავალი წელია, არ მინახავს. ვნახე ახლა. გამომძიებელი დავით ძნელაშვილი, რომელზეც თათუხაშვილის ადვოკატმა ათასი სიგიჟე თქვა, თავიდან ბოლომდე იყო იქ და თავისი თვალით აკვირდებოდა ყველა დეტალს. ჩემდა გასაოცრად, პროკურატურა აბსოლუტურად გახსნილი და ღიაა. ისე ფაქიზად ითხოვდა მუშაობას დაქტილოსკოპიის ექსპერტი, რომ არ გაფუჭებოდა ანაბეჭდი, რომ როგორც განძს, ისე უფრთხილდებოდა მას.

– მაგრამ ანაბეჭდები იარაღზე არ აღმოჩნდა. არ გეუცნაურათ?

– ანაბეჭდები აღმოჩნდა, მაგრამ ეს იყო ფრაგმენტული და არ იძლევა იდენტიფიკაციის საშუალებას. ეს თვითონ იარაღის დიზაინის გამო ვერ მოხერხდა...

რაკილა ბალისტიკოსთან კიდევ უფრო მეტი კითხვაა, ჯერ დათვალიერების ოქმიდან ამონაწერებს შემოგთავაზებთ, რომლის მიხედვითაც იარაღი აღმოჩენილია მარცხენა წინა სავარძლის ქვემოთ იატაკზე, ფეხებთან, ხალიჩის ზედაპირზე. გარდაცვლილის ფეხებს შორის დაშორება 20 სანტიმეტრია. შესაძლოა თუ არა იარაღის წონის, სროლის კუთხისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გასროლის შემდეგ პისტოლეტს ეს მდგომარეობა მიეღო? ამ კითხვას ქვემოთ ბალისტიკოსი უპასუხებს... უკანა მარცხენა სავარძლიდან ამოღებულია ერთი ცალი შავი ფერის იარაღის ყუთი. მასში მოთავსებულია ერთი ცალი მჭიდი, ერთი იარაღის გასაწმენდი ჯაგრისი, 42 ვაზნა... ეროსი კიწმარიშვილის მხარეს და მის უკან ფანჯრები დაწეულია, საპირისპირო მხარეს კი – აწეული... უკანა მარცხენა სავარძლისა და უკანა დამატებული სალონის მარცხენა სავარძელს შორის იატაკზე ნაპოვნია ერთი ცალი მასრა. როგორ უნდა იყოს ნასროლი, რომ მასრა ამ ადგილას აღმოჩენილიყო? – ამ კითხვაზეც პასუხს ბალისტიკოსი გაგვცემს, რომელიც ოჯახის მიწვევით ბალისტიკურ ექსპერტიზას დაასწრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამსახურში, სადაც ის 7 წლის წინათ ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ. მაშ ასე, ინფორმაციით შეიარაღებულნი წარმოგიდგენთ ინტერვიუს ზაზა ალთუნაშვილთან:

– ექსპერტიზა უკვე ჩატარდა. შეგიძლიათ გვითხრათ, რომ თქვენთვის წარმოდგენილი იარაღი, ტყვიის გულა და ტყვიის მასრა ერთ მთლიანობას წარმოადგენს?

– ექსპერტიზის ჩატარების დროს მარტო ეს საკითხი იდგა დღის წესრიგში.

– „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ბალისტიკამ შემთხვევის ადგილზე ნაპოვნი იარაღიდან გასროლა დაადასტურა...

– მოხდა თუ არა ამ იარაღიდან გასროლა, ამის შესახებ დასკვნას 3-4 დღეში

დავდებ (ინტერვიუ ჩაწერილია 19 ივლისს. – მ.ნ.)... მე წარმომიდგინეს ყუთი, ოღონდ ეს იყო მუყაოს ყუთი და არა იარაღის შესანახი, იარაღი, რომელიც იყო დალუქული, მანქანის კარის საყრდენიდან ამოღებული ტყვიის გულა და 6 ვაზნა. მათ შორის ერთი იყო სავაზნიდან ამოღებული.

– ანუ, ეს რას ნიშნავს?

– როგორც საზოგადოდ ამბობენ, ეს ვაზნა იარაღის პირში იყო მიცემული.

– ხომ შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ თუ ტყვია პირში იყო მიცემული, მაშინ შესაძლოა, არ იყო გასროლა ნაწარმოები...

– განსხვავება ამას და რევოლვერს შორის ისაა, რომ პირველი გასროლის დროს მჭიდში არსებული შემდეგი ვაზნა მიეწოდება სავაზნეში. საბრძოლო მდგომარეობაში მოდის. ანუ, თუ ეს არ იყო პირველი ვაზნა, შეიძლებოდა ყოფილიყო მეორეც და ა.შ... ასე რომ, ეს მოცემულობა ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

– რამდენადაც ვიცით, ტყვია დეფორმირებული იყო. ნიშნავს ეს იმას, რომ მან გაიარა თავში და მისი დეფორმაციაც ამით იყო გამოწვეული?

– ეს ჯერ არავინ იცის, ამ ტყვიამ გაიარა თუ არა. დეფორმაცია კი ნინაღობისგან მიიღო. ეს ნინაღობა ყველაფერი შეიძლება იყოს... მოხდა ექსპერიმენტული გასროლა. მოვახდინეთ იდენტიფიცირება შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ტყვიასთან და გულასთან...

– იდენტური იყო?

– ამის შესახებ ჩემს პოზიციას დასკვნაში ავსახავ...

– თუ აღმოჩნდება, რომ ამ იარაღიდან მოხდა გასროლა, ეს რამე სურათს გამოკვეთს? რომელიმე ვერსიას გამორიცხავს?

– ეს იყო მხოლოდ ერთი დეტალი და ეს იმის შესახებ სურათს ვერ იძლევა, რეალურად რა მოხდა...

– რა ტიპის ტყვიაა?

– პარაბელუმის. ეს „ჩეზეს“ საშტატო ვაზნებია. თუმცა, როდესაც ექსპერტიზაზე მივდიოდი, მე, როგორც ყველა სხვას, მეგონა, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ „ჩეზე 75“-თან. თუმცა იქ სულ სხვა რამ დამხვდა. ეს იყო მოდიფიცირებული „ჩეზე 75 პე 07“. მას კლასიკურ „ჩეზე 75“-თან საერთო მარტო სახელი აქვს. განსხვავებულია დიზაინიც, სარტყამსაცემი მექანიზმიც, სასხლეტ-საცემი მექანიზმიც, თვითონ მუშაობის სტრუქტურაც.

– სასამართლო სამედიცინო ექსპერტი დაზიანებებითა და ნაჭდევის მიხედვით ვარაუდობს, რომ ნასროლია „ჩეზე 75“-დან. თუ თქვენ აცხადებთ, რომ წარმოდგენილი პისტოლეტი აბსოლუტურად განსხვავდება ამ იარაღის კლასიკური მოდელისგან, გამოდის, რომ კიწმარიშვილის კუთვნილი „ჩეზე“ არ უნდა იყოს დანაშაულის იარაღი? ეს ორივე ერთნაირ დაზიანებებს ქმნის?

– ორივე იარაღის სასტარტო ვაზნები ერთი და იგივეა, მაგრამ ლულებს სხვადასხვა მოქმედების პრინციპი აქვს. თუმცა დაზიანების ზოგადი სურათი ერთნაირია. მაგრამ ხაზს ვუსვამ – ზოგადი სურათი. შტანცმარკას ტოვებს ორივე ერთნაირს, მაგრამ ჩემთვის წარმოდგენილმა იარაღმა დამატებით ლულის სხვა ნიშნებიც უნდა დატოვოს, იმიტომ რომ ლულის მოძრაობა სხვადასხვა აქვთ. მუშაობის პრინციპიც კი სხვადასხვა აქვთ. უკუქცევის ძალა ამ ახალ მოდელს უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე სტანდარტულ „ჩეზე 75“-ს. უნიფიცირებული მოდელი თითქმის ორჯერ ნაკლებია წონით, ვიდრე ძველი. 600 გრამს იწონის. მასალაც სხვაა. ეს პლასტმასის იარაღია...

– სიმძლავრე?

– სიმძლავრე, პრაქტიკულად, ორივესი თანაბრად უნდა ჩათვალო. სხვაობებს თვალნათლივ ნახავთ, უბრალოდ, ორივე იარაღის სურათი რომ დაიდოთ წინ. ეს მოდელი პოლიციელებისთვისაა შექმნილი. სპეციალურად აქვს ასეთი სასხლეტი, რომ ხელთათმანითაც იყოს შესაძლებელი სროლა...

– დათვალიერების ოქმის მიხედვით იარაღი ეგდო გარდაცვლილის ფეხებთან. რა შემთხვევაში შეიძლებოდა ის იქ აღმოჩენილიყო? რა თქმა უნდა, იარაღის წონის, უკუდარტყმის ძალისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით...

„როდესაც ექსპერტიზაზე მივდიოდი, მე, როგორც ყველა სხვას, მეგონა, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ „ჩეზე 75“-თან. თუმცა იქ სულ სხვა რამ დამხვდა“

– ამაზე პასუხის გასაცემად უნდა მქონდეს ზუსტი ინფორმაცია სალონის განლაგების... (წარვუდგინეთ ფოტო, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. – მ.ნ.).

– გასროლის დროს მასრა, როგორც ვიცი, ვარდება უკან და ცოტა მარჯვნივ. შემთხვევის ადგილზე კი ის აღმოჩნდა უკან და მარცხნივ, სავარძლებს შორის. რა შემთხვევაში შეიძლებოდა ის იქ აღმოჩენილიყო?

– ამას, თუ მანქანის დათვალიერების საშუალება მომეცემა, მერე გეტყვით...

არ ვიცი მანქანის ინტერიერი, არ ვიცი შიგნით რა მოცულობა აქვს მანქანას და ა.შ. უნდა მოხდეს ვიზირება, ანუ დადგენა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო ლულა... იქ საუბარი იყო დენთის კვალზე, ღვედზე, ბევრია სხვადასხვა ნიუანსი, რომელიც ერთობლიობაში უნდა შეჯერდეს.

– შეიძლება ამ შემთხვევაში არც დანაშაულის იარაღზე და არც ტყვიის გულაზე არ აღმოჩნდეს სისხლი?

– შეიძლება... შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ტყვიის გულაზე, რომელიც მე დავათვალიერე მიკროსკოპით, იყო ადამიანის ქსოვილის ნაწილაკები. შესაძლებელია, რომ გულაზე სისხლი არ აღმოჩნდეს და დარჩეს ქსოვილი ნაწილაკები. ის ტყვია პრიალა არ არის და მას აქვს ღარები. ეს მექანიკური ღარებია, რომელიც წარიტაცებს ქსოვილს და რჩება მასში. ყოფილა პრაქტიკაში ეგეთი შემთხვევები, რომ ტყვიაზე სისხლი არ ყოფილა, მაგრამ არის ქსოვილის ნაწილაკები. შეიძლება ისიც, რომ სისხლი არც იარაღზე აღმოჩნდეს. როდესაც იარაღი ძლიერია, დარტყმისას ზოგჯერ სისხლიც კი არ გამოდის გარეთ და გადის შიგნიდან.

– მართლა იარაღის დიზაინის ბრალია, რომ მასზე იდენტიფიკაციისთვის ვარგისი ანაბეჭდები არ აღმოჩნდა?

– დიზაინის და კიდევ სხვა ფაქტორების...

– რა, ხელთათმანით მოხდა გასროლა?

– ეგ არაფერ შუაშია, არც მიგულისხმია. ამ საკითხზე დავა რომ შეწყდეს, მარტივია საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარება – გაისროლონ და ნახონ, ამოდის თუ არა ანაბეჭდები...

იმ მოცემულობით, რაც დღეს არსებობს და რის შესახებაც ზემოთ გიამბეთ, მთავარი კითხვა – თვითმკვლელობაა ეს თუ მკვლელობა, კვლავაც უპასუხოდ რჩება. ორივე ვერსიას ჯერჯერობით არსებობის თანაბარი შანსი აქვს, თუ არ გავითვალისწინებთ „ეროსის შინაგანი სამყაროს ზედმიწევნით ცოდნის“, „მისი სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმირებულობის“ და კიდევ სხვა მსგავს არგუმენტებს. თუმცა, ჩნდება კიდევ კითხვები, რომლებსაც ვერც ერთი ექსპერტიზა ვერ გასცემს პასუხს და ეს, ალბათ, მეცნიერების სხვა სფეროს განეკუთვნება:

– რატომ შეიძლება მოიკლას თავი ადამიანმა ავტოფარეხში, როდესაც სახლში მარტო ცხოვრობს?

– რატომ ჰქონდა ღვედი გადაჭერილი, თუ თავის მოკვლას აპირებდა?

– რატომ იყო ჩამოწეული ორი ფანჯარა ერთსა და იმავე მხარეს?

– რატომ იყო ჩამოწეული მანქანის ორივე წინა სამზეური?

– რატომ ენთო ფარები? და ა.შ...

როცა ეს კითხვები ისმის, ცხადია, მისი დასმის მიზნობრიობაც, თუმცა, თუ ძალიან მოვინდომებთ, ყველა კითხვას, ისევე როგორც, ვთქვათ, ბოლოს, ექნება თავისი საპირისპირო ახსნაც. მაგალითად, ასეთი: ფარები იქნებ აინთო მანქანის დაქოქვის დროს ავტომატურად, რადგან წინა ღამით მანქანის გამორთვის მომენტში იყო ჩართული... თუმცა ყველა ამ კითხვას ასეთი მონდომებით რომ მოვუძებნოთ პასუხები, გადაჭარბებული მონდომება გამოგვდის და სწორედ ეს არის მთავარი ეჭვის საფუძველი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ ჭიანურდება ზურა

სალომე გოგოხია

მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, თაროზე შემოდებული საქმეებიდან ერთ-ერთი პირველი, რაც ჩამოიღეს, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმე იყო. პროკურატურამ საქმის ხელახალი გამოძიება დაიწყო. ბოლო პერიოდში ოჯახისგან მუდმივად გვესმოდა, რომ ჟვანიას საქმეში ახალი მტკიცებულებები არსებობს და საქმე მალე გახსნილად გამოცხადდებოდა. თუმცა, კონკრეტულად როდის გაეცემა პასუხი პრემიერ-მინისტრ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებულ შეკითხვებს, უცნობია.

ოჯახის პროგნოზის მიუხედავად, ჟვანიას საქმის ძიების დასრულება რატომღაც ყოვნდება.

გარდაცვლილი პრემიერის ძმა, გოგლა ჟვანია გამოძიების შესახებ საუბარს თავს არიდებს. თუმცა, ირწმუნება, რომ ძიების პროცესი არ ჭიანურდება.

„ვერაფერს გეტყვით. დეტალებისთვის მიმართეთ პროკურატურას. არ ვფიქრობ, რომ გამოძიება ჭიანურდება. სხვას ვერაფერს გეტყვით“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ გოგლა ჟვანიამ.

ანალოგიური პასუხი მივიღეთ პრემიერთან ერთად გარდაცვლილი რაულ იუსუპოვის ოჯახისგანაც. როგორც იუსუპოვის მამამ, იაშა იუსუპოვმა გვითხრა, მისთვის გამოძიების დეტალები უცნობია.

„არაფერი ვიცი. სიახლე რომ ყოფილიყო, საზოგადოება გაიგებდა“, - გვითხრა იაშა იუსუპოვმა.

ჯერ კიდევ ხელისუფლების შეცვლამდე, გოგლა ჟვანია, რომელიც „ქართული ოცნების“ წევრია, წინასაარჩევნოდ და შემდეგაც, მუდმივად აპელირებდა, რომ მისი ძმის მკვლელები აუცილებლად დაისჯებოდნენ. თუმცა, დეტალებზე საუბარს დღეს თავს არიდებს.

ჯერ კიდევ 2013 წელს, ყოფილი პრემიერის გარდაცვალებიდან 8 წლისთავის აღსანიშნავად დიდუბის პანთეონში შეკრებილ ჟურნალისტებს გოგლა ჟვანიამ განუცხადა, რომ პროკურატურასთან აქტიურად თანამშრომლობს და საქმე მალე გაიხსნებოდა.

ხათუნა ხოფერია: „ზურაბ ჟვანიას საქმე გადაიყოლებს მიხეილ სააკაშვილს... კონკრეტულად მას მოუნევს პასუხისგება ზურას მკვლელობასთან დაკავშირებით“

„ძალიან დიდი ინტერესია ზურას საქმის მიმართ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის უკანასკნელი წლისთავი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი კითხვებით. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ წლისთავზე ყველა კითხვაზე პასუხი გაცემული იქნება და საზოგადოება ამ საქმის შესახებ სიმართლეს გაიგებს. ჩვენ ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ გამოძიებასთან. დეტალებზე ძნელია საუბარი, რადგან შეიძლება გამოძიებას ხელი შეეშალოს. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ეს იყო მკვლელობა და ამას მოწმობს ის ახალი დეტალები, რომელიც საქმეშია. უფრო კონკრეტულად კი ვერაფერს ვიტყვი“, - აღნიშნა მაშინ გოგლა ჟვანიამ.

ამ განცხადებიდან ზუსტად წელიწადი და ოთხი თვე გავიდა. თუმცა, გოგლა ჟვანიას მაშინდელი პროგნოზი არ თუ ვერ განხორციელდა. გამოძიება კვლავ გრძელდება. რატომ ჭიანურდება გამოძიება? ამ შეკითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. გარდაცვლილების ოჯახები აცხადებენ, რომ პროკურატურა გამოძიებას არ აჭიანურებს. ამის მიუხედავად დეტალებზე საუბარს თავს მაინც არიდებენ.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურაში აცხდებენ, რომ ძიება მიმდინარეობს და მოკლე კომენტარით შემოიფარგლნენ.

„გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე საქმის დეტალებზე ვერაფერს მოგახსენებთ“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელმა ნათია სუხიაშვილმა.

გამოძიების პარალელურად, მიმდინარე წლის 19 მარტს, საღამოს ვიდეოპორტალ „იუთუბიზე“ სკანდალური ვიდეო სათაურით - „სააკაშვილმა მოკლა ზურაბ ჟვანია“ აიტვირთა. კადრები მძიმე სანახავია. ერთწუთიან ვიდეოში ზურაბ ჟვანიას და რაულ იუსუპოვის ცხედრები ჩანს, რომლებსაც ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებათ. ჟვანიას დაზიანებები და სილურჯეები აღენიშნება ქვედა ტუჩის, თავისა და მკერდის არეში. იუსუპოვის ცხედარს გულ-მკერდისა და ყელის არეში აქვს დაზიანებები. მას სისხლის კვალი პერანგზეც ამჩნევია.

გახსოვთ, ალბათ, 2005 წლის 4 თებერვალი, როდესაც მაშინდელმა შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საზოგადოებას პრემიერ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ აუწყა. სპეციალურ ბრიფინგზე მერაბიშვილმა ჟვანიას გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი აირით გაგუდვა დაასახელა. ეს მაშინ, როცა ჟვანია-იუსუპოვი რამდენიმე საათის გარდაცვლილები იყვნენ და შესაბამისად, ცხედრებს ექსპერტიზა არ ჩატარებიათ. ცხადია, ამ განცხადებამ ბევრი დააეჭვა, ბევრიც დააბნია. როცა ექსპერტიზის დასკვნა არ არსებობს, გარდაცვალების ზუსტი მიზეზები უცნობია, ასეთ დროს შს მინისტრის ეს განცხადება ბევრს საეჭვოდაც მოეჩვენა.

ოფიციალური ვერსიის მიუხედავად, ჟვანიას ოჯახი იმთავითვე მკვლელობის ვერსიას განიხილავდა. წლების მანძილზე საზოგადოებაში მუსირებდა აზრი, რომ ხელისუფლებამ ყოფილი პრემიერი თავიდან მოიცილა. იყო სხვადასხვა ვერსიები.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი ჯერ კიდევ წლების წინ აცხადებდა, რომ 3 თებერვლის ღამეს ზურაბ ჟვანია შავნაბადაზე მიხეილ სააკაშვილთან, ვანო მერაბიშვილთან და იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილთან ერთად იმყოფებოდა. ერთ-ერთი ვერსიით, ჟვანიასა და სააკაშვილს შორის შელაპარაკება მოხდა, რა დროსაც სააკაშვილმა ჟვანიას საფერფლე ესროლა.

მეორე ვერსიით, თითქოს ჟვანია სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას ბიზნესინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რომელსაც თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან დაკავშირებით ჰქონდა ინტერესები, ჟვანია კი არ აპირებდა აეროპორტი პრეზიდენტის ბიძისთვის ჩაეგდო ხელში და სწორედ ამის გამო ჟვანია მოიშორეს.

სააკაშვილი-ჟვანიას შორის დაძაბულ ურთიერთობაზე საუბრობს ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძეც.

„ერთს ვიტყვი, რომ იმ პერიოდში ჟვანია და სააკაშვილი ერთმანეთთან დაპირისპირებულები იყვნენ. არ ვიცი ეს ბიზნეს ინტერესები იყო თუ პოლიტიკური. შეიძლება ორივე ერთად. თუმცა, ადრე თუ გვიან ჟვანია აუცილებლად გამოვიდოდა სააკაშვილის გუნდისგან. ნორმალური ადამიანი იმ რეჟიმში თავს კომფორტულად ვერ იგრძნობდა. ზურა მაშინ ერთადერთი იყო, ვინც აშშ-თან ურთიერთობებში სააკაშვილს კონკურენციას გაუწევდა. აქედან გამომდინარე, საფუძველი იმისა, რომ შესაძლოა ჟვანია მოეკლათ, არსებობს. ეს საკითხი ძალიან კვალიფიციურად და ნიუანსების გათვალისწინებით უნდა განიხილონ. ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საკითხი „ნაციონალებმა“ და სხვა პოლიტიკურმა ძალებმა პოლიტდაპირისპირების და ანგარიშსწორების საგნად აქციეს. მათ

EXCLUSIVE

მსოფლიოს ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ფინანსურმა ჟურნალმა, Euromoney, საუკეთესო ბანკების 23-ე ყოველწლიურ დაჯილდოებაზე თიბისი ბანკი დაასახელა 2014 წლის საუკეთესო ბანკად საქართველოში. ეს გამოცემა მესამე წელია ასახელებს თიბისი ბანკს გამარჯვებულად ამ კონკრეტულ ნომინაციაში.

ბანკების შეფასების კრიტერიუმი იყო მომსახურების ხარისხი, ინოვაციურობა. Euromoney-მ თიბისი ბანკის შეფასებისას გამოყო მისი დაკრედიტების სტაბილური ზრდა, ლიდერობა ტექნოლოგიურ პროდუქტებში, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი ინოვაციები, როგორებიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა და საბანკო დაზღვევის სხვადასხვა პროდუქტი.

„ჩვენთვის დიდი პატივია ჟურნალ Euromoney-ს ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღება. ეს აღიარება ფინანსური მომსახურების სრულყოფისკენ მუდმივი სწრაფვისა და ამ ინდუსტრიაში არსებული უმაღლესი სტანდარტების დაცვის შედეგია“, - განაცხადა თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

უკვე 23 წელია, Euromoney-ს ჯილდო ფინანსური მომსახურების ინდუსტრიაში ყველაზე პატივსაცემი დაჯილდოებაა. დაჯილდოება ავლენს 20-ზე მეტ გლობალურ კატეგორიას, ყველა რეგიონში „დარგის საუკეთესოს“ და საუკეთესო ბანკებს მსოფლიოს 100-მდე ქვეყანაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბ ჟვანიას საქმის გახსნა?

შორის არიან ზურას მეგობრები. გიორგი ბარამიძე და მიხეილ მაჭავარიანი ამბობენ, ჩვენ გვჯერა იმ ექსპერტების, რომლებმაც დაწერეს, რომ ზურა მხუთავი გაზით გარდაიცვალაო. ოჯახის მეგობარი და ახლობელი ხარ, ნუთუ ერთს მაინც არ შეეპარა ეჭვი იმაში, რომ ეს ექსპერტები შესაძლოა, მოსყიდულები იყვნენ? გამიკვირდა, როცა ასეთი სამარცხვინო პოზიცია დაიკავეს". - განუცხადა „პრაიმტაიმს" მამალაძემ.

საზოგადოებაში არსებული ეჭვი, ყოფილი პრემიერი შესაძლოა მოკლულია, ინტერნეტში გავრცელებულმა ვიდეოკადრებმა კიდევ უფრო გაამყარა.

თავის დროზე, გოგლა ჟვანიამ მედიასთან ამ ვიდეოკადრების შესახებ კომენტარიც გააკეთა. მისი განცხადებით, მას ეს კადრები ნანახი ჰქონდა მანამდე, სანამ ინტერნეტში გავრცელდებოდა. თუმცა, ვის შეეძლო ამ კადრების გავრცელება ან რა ინტერესები შეიძლება არსებობდეს ამის შესახებ, არ იცოდა.

მისივე განცხადებით, ბევრად მძიმე კადრებიც არსებობს, რომელიც ნანახი აქვს.

აღნიშნული კადრები ნანახი არა, მაგრამ ზურაბ ჟვანიას ტუჩზე დაზიანებები ნანახი ჰქონდა მის მეგობარს, ყოფილ პარლამენტარს ხათუნა ხოფერიას, რომელიც პროკურატურამ თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე დაკითხა.

აი, რა უამბო „პრაიმტაიმს" ხოფერიამ:

„თვითმმართველობის არჩევნებამდე დაახლოებით სამი კვირით ადრე, პირადად მე მივეცი ჩვენება. დაკითხვაზე ხუთი საათი ვიყავი. მას შემდეგ პროკურატურასთან კონტაქტი არ მქონია. ამერიკაში ხელმეორედ გაგზავნეს დნმ-ის ანალიზები. ნინომ მითხრა (ჟვანიას მეუღლე-რედ), სამხილებზე ხელმეორე ანალიზი ჩატარდაო. სამხილები გაიხსნა. მოგეხსენებათ, ეს პატარა პროცესი არ არის. პირადად მე კმაყოფილი ვარ, რომ ამ არჩევნების პროცესში ზურას თემა არ იქნა გამოყენებული. პროკურატურა მუშაობს და უახლოეს ხანებში ცნობილი გახდება მუშაობის შედეგი.

- კონკრეტულად რის შესახებ მიეცით ჩვენება?

- ყველაფერზე, რაზეც მე წლების განმავლობაში ვსაუბრობდი. იმასთან დაკავშირებით, რომ გარდაცვალების შემდეგ ზურას ტუჩთან ნაიარევი ჰქონდა, რაც მე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი. ის რომ, გია ბარამიძეს ჩემთვის ნათქვამი აქვს, იმ ღამეს, სანამ ზურას გვამთან მივიდოდა, პრეზიდენტი ავარიაში მოჰყვა და ჯერ მასთან იმყოფებოდა. მრავალი საკითხი. მანამდე საუბრები იყო თუ არა, საფრთხე თუ არსებობდა, დაპირისპირება ჰქონდა თუ არა, თვითონ ზურა თუ ამბობდა ვინმესთან და ა.შ.

- ცნობილია, რომ თქვენ მისი ახლობელი, მეგობარი იყავით, ხომ არ უთქვამს გუნდში არსებული დაპირისპირების შესახებ?

- არა. დაპირისპირების შესახებ კონკრეტული საუბარი არ გვქონია. ზოგადად, ზურას ნაკლებად ახასიათებდა ვინმესთან კონკრეტულ ფაქტებზე საუბარი. გარდაცვალებამდე 2 კვირით ადრე ვნახე; რომ გითხრათ, ძალიან კმაყოფილი და აღფრთოვანებული იყო მეთქი, არა. გარკვეული დამოკიდებულებები შეცვლილი ჰქონდა.

- როგორ ფიქრობთ, გამოძიების დასრულების შემდეგ, წინა ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება?

- კი, აუცილებლად. თანაც არა ერთის და არა ხუთის. ბევრად მეტი ადამიანის. მე თავი არასდროს შემიკავებია და ყოველთვის ვამბობდი, რომ ზურაბ ჟვანიას საქმე გადაიყოლებს მიხეილ სააკაშვილს. ამას ვამბობდი მაშინ, როდესაც ის ჯერ კიდევ პრეზიდენტი იყო. კონკრეტულად მას მოუწევს პასუხისგება ზურას მკვლელობასთან დაკავშირებით.

- მიმდინარე წლის მარტში ინტერნეტით გავრცელდა ზურაბ ჟვანიას და რაულ იუსუპოვის ცხედრების კადრები, სადაც კარგად ჩანს, რომ ცხედრებს დაზიანებები აღენიშნებათ. მანამდე თუ გქონდათ ეს ვიდეომასალა ნანახი?

- არა, ნანახი არ მქონდა. ვიცოდი, რომ რაღაც გადაღებული იქნებოდა, რადგან, როცა ექსპერტები და კრიმინალები მიდიან, ფოტო და ვიდეო მასალის გადაღება ხდება. თუმცა, ის ნაიარევი ტუჩზე, ჩემი თვალით მაქვს ნანახი.

- გახსოვთ, ალბათ, ამ კადრების გავრცელებას წინ უძღოდა ექსპერტ ლევან ჩაჩუას ინტერვიუები მედიაში, რომელიც დაჟინებით ირწმუნებოდა, რომ ჟვანია და იუსუპოვი ბუნებრივი აირით გაგუდვის შედეგად დაიღუპნენ და გვამების დათვალიერებისას დაზიანებები არ უნახავს, დღეს ჩაჩუა პატიმრობაშია.

- ჩაჩუა ჩვეულებრივი აფერისტია. როგორც ამბობენ, ძალიან კარგი ექსპერტია, მაგრამ ჩვეულებრივი აფერისტია. როდესმე, ალბათ, იტყვის, რეალურად რა მოხდა. ვერ ვიტყვი, რომ ვინმემ შეაშინა ან მასზე ძალა იხმარეს და ეს განცხადებები ამიტომ გააკეთა. ეს ადამიანი ბუნებითაა ასეთი. ძალიან ბევრ ექსპერტს ვიცნობ და ვიცი რას ამბობენ მის შესახებ. მან დამალა ის, რაც რეალურად ნახა. ეს ბევრად უფრო დიდი დანაშაულია, ვიდრე ის, რასაც გეტყვიან იმას გააჟღერებ. მან, როგორც პროფესიონალმა, დამალა ის ფაქტები და სამხილები, რომელიც ექსპერტიზის დროს გამჟღავნდა.

- წინასაარჩევნოდ და მერეც, ზურაბ ჟვანიას ძმა აცხადებდა, რომ მისი ძმის საქმე მალე გაიხსებოდა. თუმცა, შედეგები ჯერ არ ჩანს. ხომ არ ფიქრობთ, რომ გამოძიების პროცესი ჭიანურდება?

- ნამდვილად იწელება, მაგრამ ეს არ არის ხელოვნურად და მიზანმიმართულად გაჭიანურებული. ბევრი სამუშაოა. ერთია, როცა საქმეს ცხელ კვალზე იძიებ, მოიპოვებ და საქმე იკვრება, მეორე, როცა გინევს დამნაშავე ხელისუფლების მიერ შეთითხნილი და თეთრი ძაფით ნაკერი საქმის დაშლა და ხელმეორედ, 9 წლის შემდეგ მისი გამოძიება.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული ვიდეოკადრების გავრცელებიდან ორ დღეში, პროკურატურამ დააკავა სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ყოფილი ექსპერტი ლევან ჩაჩუა, რომელმაც თავის დროზე ჟვანიას და იუსუპოვის ცხედრებს ექსპერტიზა ჩაუტარა, ექსპერტის მტკიცებით, მის მიერ დათვალიერებულ ცხედრებს დაზიანებები არ აღენიშნებოდათ და მათი გარდაცვალების მიზეზი ბუნებრივი აირის გაჟონვა გახდა. თუმცა, საპირისპიროზე მეტყველებს სკანდალური ვიდეოკადრები.

გამოძიების მტკიცებით, ჩაჩუამ გვამების გამოკვლევისას გულგრილობა გამოიჩინა და სამსახურებრივი მოვალეობა არაჯეროვნად შეასრულა.

პროკურატურის განცხადებით, ჩაჩუამ სრულყოფილად არ აღწერა გვამებზე არსებული დაზიანებები მაშინ, როდესაც გვამებს აშკარად აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები.

სასამართლომ ჩაჩუას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლო განხილვა 14 ივლისს უნდა შემდგარიყო. თუმცა, პროკურატურის მოთხოვნით, მოსამართლემ საქმის განხილვა გადადო.

„პრაიმტაიმთან" საუბარში ჩაჩუას ადვოკატი ზურაბ ტაბიძე აცხადებს, რომ პროკურატურა განგებ აჭიანურებს პროცესს.

„ამ საქმესთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით, რადგან კანონით მეკრძალება ამ საკითხზე ვინმესთან გასაუბრება. საქმის მასალების გასაჯაროების უფლება არ მაქვს. მიმაჩნია, რომ საქმეს აჭიანურებენ. თავად პროკურატურა აცხადებს, რომ ექსპერტიზები ვერ ჩატარდაო. ჩაჩუა გამოძიებასთან არ თანამშრომლობს, თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან რთულია, არ აქცევენ ყურადღებას. ონკოლოგიური ავადმყოფია. გულზე შუნტირება აქვს გაკეთებული. ექსპერტიზის დასკვნაში დაწერა ის, რაც არსებობდა. რაც არ არსებობდა მაგას ვერ დაწერდა. ის ექსპერტიზის დასკვნა, რაც ლევანმა დაწერა, ისევ საქმეში დევს და გაუქმებული არ არის. რაც მას ბრალში უწერია, მოგონილია. 20 მარტს დაკითხვაზე დაიბარეს, ჩვენება ჩამოართვეს და გაუშვეს. ნახევარ საათში ისევ დაიბარეს და პროკურატურაში დააკავეს". - **განაცხადა ზურაბ ტაბიძემ.**

როდის გაეცემა პასუხი პრემიერ-მინისტრ ჟვანიას გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებულ შეკითხვებს, ეს თემა კვლავაც ბუნდოვანია.

ლევან ჩაჩუა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილი – პოლიტიკური ფიგურა და აღმოსავლური ტიპის მმართველი

ახლა მთავარი ის კი არ არის, მიხეილ სააკაშვილს დაკითხავენ თუ დაიჭერენ, ალბათ, არც ერთი იქნება და არც მეორე, მთავარი ინტრიგა მაინც ისაა, დაიტოვებს თუ არა საქართველოს ექსპრეზიდენტი პროდასავლური პრეზიდენტის იმიჯს, თუ ის აღმოსავლური ტიპის მმართველს დაემსგავსება.

სააკაშვილი არ აპირებს გამოძიებასთან თანამშრომლობას და ეს მან რამდენჯერმე უკვე განაცხადა კიდეც. პროკურატურას კი გადაეცა ის მასალები, რომელიც პრეზიდენტის მხრიდან არამიზნობრივ ხარჯებს ეხება. ამის შესახებ

ოპოზიციამ არაერთხელ გააკეთა განცხადებები. საქმე ეხება არა მხოლოდ ბოტოქსებსა და სპასალონებს, არამედ პროფესიონალ მასაჟისტებსა და სხვადასხვა ძვირადღირებულ ღამის კლუბებს.

ანუ შეიძლება გულანთებული პროდასავლური პოლიტიკური ფიგურისგან პუტინისა და ბერლუსკონის ტიპის მმართველი მივიღოთ. სერიოზული პოლიტიკოსები ტექნიკის ბოლო მიღწევებით არ სარგებლობენ, ისინი ბუნებრივობას ინარჩუნებენ და ასაკის არ ეშინიათ.

სააკაშვილის შემთხვევაში კი ასეთ ხარჯებს გრიფი „საიდუმლო“ ედო. ხარჯების შესახებ პირველად პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ირინა იმერლიშვილმა ისაუბრა. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი:

2009 წლის 23 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტს ნიუ-იორკის წამყვან კლინიკაში ბოტოქსის ოპერაციის გაკეთება 5 600 აშშ დოლარი დაუჯდა, 2011 წლის

23 სექტემბერს კი ანალოგიური ოპერაციისთვის სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ბიუჯეტიდან 5 800 აშშ დოლარი გადაიხადა.

ირინა იმერლიშვილი:

– არის ახალი საბუთები, რომლითაც ირკვევა, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან პრეზიდენტმა 2009-2011 წლებში ნიუ-იორკში გაიკეთა კოსმეტიკური პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ბოტოქსის შეყვანას სახეში. თითო ჯერზე დახარჯული აქვს დაახლოებით 6 000 აშშ დოლარი. არის ხარჯები, რომელიც „რადისონშია“ გადახდილი მოდელი ქალბატონის სახელზე, ასევე, საკმაოდ მაღალი თანხებია გადახდილი მის საჩუქრებში. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდანაა შეძენილი შიშვ-

ელი ქალის მიერ შესრულებული ნახატი. ვფიქრობთ, სხვა დოკუმენტებიც გამოჩნდება. ამ ხარჯებს აქამდე გრიფი „საიდუმლო“ ედო.

ირინა იმერლიშვილი საჩუქრებში დახარჯულ თანხებსაც შეეხო:

– სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა 44 ცხვარი საკმაოდ ძვირად შეისყიდა. არ ვიცი, ამ ცხვრების შეძენა რას მოხმარდა, ალბათ, რომელიმე თავიანთ კერპს შესწირეს, ან მოქალაქეების გული მოიგეს (იცინის). უცნაურად მეჩვენება ისიც, რომ პრეზიდენტი და მისი გარემოცვის წევრები დელიკატესებით, ლობსტერებით იკვებებოდნენ, ფულს კი ამაშიც სპეციალური დაცვის სამსახური ხარჯავდა.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ამ ხარჯებთან დაკავშირებით ვერა-

ფერს პასუხობენ. ძიება მიმდინარეობს.

ვინ იყო მიხეილ სააკაშვილი – ღირებულებების ერთგული თუ ფუფუნების მოტრფიალე? რატომ ადევს ახლა გამოძიებას გრიფი „საიდუმლო“, თუკი თავის დროზე პარლამენტში ამ დოკუმენტებზე ოფიციალურად ისაუბრეს? სავარაუდოდ, არსებობს სხვა ხარჯებიც, რომლებზეც ჯერ არ საუბრობენ.

სოციალურ ქსელებში მხოლოდ ის დაიწერა, რომ მიხეილ სააკაშვილმა 5 993 ფუნტი გადაიხადა ამერიკელი მსახიობი ქალის მიერ შიშველი სხეულით შექმნილ ნახატში. გარდა ამისა, არამიზნობრივად დახარჯულ თანხებს შორის ირიცხება პრეზიდენტის მიერ ამერიკელი ბიზნესმენის, კრისტინა ვუსავას სასტუმრო „რადისონში“ ცხოვრების ანაზღაურება, ასევე, მისთვის ბოტასების შეძენა, რაშიც, საერთო ჯამში, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 6 668 ლარი გადაიხადა.

თამარ ქვანია

როდის და როგორ შეიცვლება მინისტრთა კაბინეტი

ქეთი ხატიაშვილი

არჩევნები დასრულდა, „ქართულმა ოცნებამ“ შთამბეჭდავად მოიგო და ახლა უკვე საინტერესო ხდება, რას იზამს ირაკლი ღარიბაშვილი. შეიტანს თავის კაბინეტში გარკვეულ ცვლილებებს თუ ჯერ არა.

ახალმა ხელისუფლებამ ერთი საარჩევნო ციკლი დაასრულა. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნებიც მოიგო. მოიგო კაბინეტის უცვლელი შემადგენლობით, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დააკომპლექტა.

ახლა ვითარება იცვლება. 2016 წლამდე ირაკლი ღარიბაშვილსა და მის გუნდს სერიოზულად დასჭირდებათ მომზადება. ოპოზიცია, თავის მხრივ, შეეცდება, არჩევნებში გაიმარჯვოს, ამიტომაც მას ერთიანი და მტკიცე პოლიტიკური გუნდი სჭირდება. ახალი ხელისუფლება ახლა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას – ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულება, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს ახალ პოლიტიკურ გუნდს. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, ირაკლი ღარიბაშვილმა კაბინეტში გარკვეული ცვლილებები განახორციელოს.

მინისტრთა კაბინეტში წარმატებული მინისტრებიც არიან, ხმაურიანებიც, სკანდალურებიც, ჭკვიანებიც და რიგ შემთხვევაში თანამდებობისთვის შეუფერებლებიც. ეს კი სულაც არ არის გემოვნების საკითხი. შედეგების მიხედვით, ექსპერტები საინტერესო დასკვნებს აკეთებენ და ცდილობენ სუსტი რგოლის დასახელებას. რომელი მინისტრია წარმატებული და ვინ დაამძიმა მინისტრობის პორტფელმა.

ლევან ალაფიშვილის განმარტებით, ყველაზე სიმპათიურად ჯანდაცვის მინისტრი გამოიყურება, ყველაზე ბევრი შეკითხვა კი თეა წულუკიანის მიმართ დაგროვდა.

ასე რომ, ყველაზე წარმატებულ მინისტრად მაინც ჯანდაცვის მინისტრი სახელდება, მოსახლეობაში მის მიმართ უფრო მეტი სიმპათია არსებობს. დავით სერგეენკო არც სკანდალებში ეხვევა და არც პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს.

ერთადერთი ხმაურიანი განცხადება სერგეენკოს მისამართით კობა დავითაშვილმა გააკეთა, როცა კითხვები გაუჩნდა დაზღვევასთან დაკავშირებით. თუმცა, მერე განაცხადა, ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია, მე შევცდიო, ცოტა ხანში კი საერთოდაც დატოვა პოლიტიკა.

ლევან ალაფიშვილიც მიიჩნევს, რომ დავით სერგეენკო ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია, მიუხედავად იმისა, რომ იგივე საყოველთაო ჯანდაცვა გარკვეულ შეკითხვებს მაინც აჩენს. ალაფიშვილის აზრით, სერგეენკო თავისუფლად შეიძლება ვიცე-პრემიერი გახდეს.

ნოდარ ხადური ერთ-ერთი ხმაურიანი მინისტრია. მის წინააღმდეგ მედიაში ლამის შავი პიარიც კი აგორდა – ყველას აინტერესებდა, რას ჭამდა ფინანსთა მინისტრი, რამდენს და რა ფასად. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სამინისტრომ ერთხელ სოციალურ ქსელებში მენიუც კი გამოაქვეყნა – სტუმრები ჩამოდიან, უნდა დავხვდეთ და ეგებ გვითხრათ, ეს მენიუ მისაღებია თქვენთვის თუ არაო. მოკლედ, ისე ჩანდა, თითქოს ერთხანს თბილისში ბომონდს პოპულარობა ხადურმა ჩამოართვა. ამის შემდეგ, პრემიერმა ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის დროს იხუმრა კიდეც, ნოდარ ხადური დიეტაზეა და უკვე წონაშიც დაიკლოო.

ხადურის მენიუს გარდა, ოპოზიცია მთელი ძალით ცდილობდა, ხადური ჯერ – ბიუჯეტის ჩავარდნაში, შემდეგ კი ეკონომიკურ კოლაფსში დაედანაშაულებინა. თუმცა, ახლა ფინანსთა მინისტრმა ახალი განცხადება გააკეთა და ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულება დააანონსა.

„კულისებში თამარ სანიკიძის შემცვლელი უკვე დასახელდა“

ლევან ალაფიშვილის შეფასებით, ნოდარ ხადური როგორც ყველა სხვა ფინანსთა მინისტრი, არაპოპულარულია და ეს ლოგიკურიცაა: „საგადასახადო-შემოსავლების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემები არ ყოფილა, ამდენად ნოდარ ხადურს არ შევცვლიდი. ამ ეტაპზე მას მხარს დავუჭერდი, მიუხედავად იმისა, რომ არაპოპულარულია, მაგრამ ფინანსთა მინისტრები საერთოდ არაპოპულარულები არიან, მათ შორის მთავრობაშიც, ეს ცუდის ნიშანი არ არის. არაპოპულარული ფინანსთა მინისტრი იმას ნიშნავს, რომ ის ფინანსებს ეკონომიურად განკარგავს“. – აღნიშნავს ლევან ალაფიშვილი.

ალაფიშვილის სიაში, შეიძლება ითქვას, ძირითადი მიმართულების ეს ორი მინისტრია, რომელიც მის მოწონებას იმსახურებს.

რაც შეეხება ალასანიას, რომელიც ეგრეთწოდებული შეთქმული მინისტრების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა, ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ მას ხელისუფლებაში შეინარჩუნებდა.

ირაკლი ალასანია ხმაურიანი და სკანდალური ფიგურაც კი აღმოჩნდა. მან კიდევ ერთხელ მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ გუნდური თამაში არ იცის – როცა შსს შესთავაზა, ძიებაში დაგეხმარებითო; რომ ორიენტირებულია მხოლოდ საკუთარ პიარზე – როცა განაცხადა, რომ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ სანიკიძეს შეცვლის

„ხადურის მენიუს გარდა, ოპოზიცია მთელი ძალით ცდილობდა, ხადური ჯერ – ბიუჯეტის ჩავარდნაში, შემდეგ კი ეკონომიკურ კოლაფსში დაედანაშაულებინა“

სოზარ სუბარი თუნდაც იმით არის საინტერესო, რომ ის დაბეჯითებით მოითხოვდა თანამდებობიდან გადადგომას...

უნიკალური რეფორმები ჩაატარა თავდაცვაში და ახლა შეუძლია, ის საზღვრებს გარეთ თავის კოლეგებსაც გაუზიაროს... ალასანიას სახელს სხვა ხმაურიანი განცხადებებიც უკავშირდება. მაგალითად, იგივე აპატურაიას, რომელმაც განაცხადა: საქართველოდან არც ერთი პოლიტიკოსისგან არ მომისმენია, რომ საქართველო ნატოში შესასვლელად მზად არისო.

და ყველაზე მთავარი, თავდაცვის მინისტრი ალასანია შეთქმული მინისტრების სიაშიც მოხვდა. ანუ მათ შორის, ვისაც, ნაცებთან ერთად, კოალიცია „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ უნდა ებრძოლა. ასე რომ, თავდაცვის მინისტრმა ხმაური და სკანდალი უფრო მეტი დააგროვა, ვიდრე რაიმე კონკრეტული შედეგი. ლევან ალაფიშვილის მოსაზრებით, თავდაცვის მინისტრის რანგში იქნება თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ვერტიკალზე ის რაიმე ფორმით მაინც უნდა დარჩეს. ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ალასანია კარგი იქნებოდა საგარეო ურთიერთობების მიმართულებით.

თავდაცვის მინისტრს სკანდალებში არც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი ჩამოუვარდება. სოზარ სუბარი თუნდაც იმით არის საინტერესო, რომ ის დაბეჯითებით მოითხოვდა თანამდებობიდან გადადგომას. რამდენჯერმე ჯერ კიდევ პრემიერ ივანიშვილს მიმართა. თუმცა, არ გაუშვეს. ლევან ალაფიშვილი მიიჩნევს, რომ ის ცუდი მენეჯერია, თუმცა, იქვე იმასაც დასძენს, რომ ვინც არ უნდა გახდეს მინისტრი, ციხეში ვითარების რადიკალურად შეცვლა გაუჭირდება: „ეს სისტემურ მიდგომას მოითხოვს და ცალკე აღებული სუბარი ან ვინმე სხვა ვითარებას ვერ შეცვლის“, – ამბობს ალაფიშვილი.

იუსტიციის მინისტრზეც ძნელია თქმა, რომ ის გუნდურად თამაშობს, რიგ შემთხვევაში ის საერთოდაც ამოვარდნილია ხოლმე კონტექსტიდან. თეა წულუკიანმა ვერც ერთი რეფორმა და წამოწყება ბოლომდე ვერ მიიყვანა. ვერც კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტი და სასამართლოში საკუთარი რეფორმების დანერგვა შეძლო, თუმცა, ამ მიმართულებით ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ისევ და ისევ პრემიერმა ივანიშვილმა დაიცვა.

წულუკიანმა ვერც სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით დაანონსებული კომისია შექმნა. ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ იუსტიციის სამინისტრო არაერთი სკანდალური კანონპროექტის ინიციატორი იყო. ერთ-ერთი მათგანი პრეზიდენტისთვის მოქალაქეობის მინიჭების ჩამორთმევა გახლდათ. ამ კანონპროექტით წულუკიანის უწყება პარლამენტში შევიდა კიდეც. ალაფიშვილი სხვა იმ კანონპროექტებსაც იხსენებს, რომელზეც ვენეციის კომისიამ კრიტიკული დასკვნა დადო, ანუ წულუკიანს საკანონმდებლო მუშაობა დაუწუნა.

პოსტის დატოვება პრემიერ ივანიშვილის დროს წულუკიანმაც დააფიქსირა, ინფორმაცია მაშინ კულისებში გავრცელდა. არ არის გამორიცხული, წულუკიანს სტრასბურგში სურდეს თავისი კარიერის გაგრძელება, მოსამართლის რანგში... თუმცა, ყველაფერი მის სურვილზე არ არის დამოკიდებული.

განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე კი ერთ-ერთი ყველაზე მშვიდი და წყნარი მინისტრია, თუმცა, ბოლო დროს ის სერიოზულ სკანდალში გაეხვია, როცა 20-მილიონიანი ტენდერი ჩაუვარდა. საქმე პირველკლასელებისთვის ნიუთბუკების შექნის თემას ეხებოდა. ამ ტენდერმა მაშინ ბევრი პოლიტიკური სახის მიმართაც კი გააჩინა კითხვები.

კულისებში თამარ სანიკიძის შემცვლელი უკვე დასახელდა. სარწმუნო წყაროს ცნობით, განათლების მინისტრს ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანია შეცვლის.

„ეს ყველაფერი ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მინისტრთა კაბინეტში ბოლომდე კომპეტენტური გუნდი არ არის“

სხვა რა ცვლილებები განხორციელდება მთავრობაში და როდის, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არის. შესაძლებელია, ცვლილებები ეტაპობრივად განხორციელდეს. ირაკლი ღარიბაშვილის მთავარი მიზანი, ალბათ, არა მხოლოდ ეფექტური გუნდის შექმნა, არამედ ერთიანი გუნდის ჩამოყალიბებაც იქნება. ასეთ დროს, ყველა, ვისაც გუნდური თამაში არ შეუძლია, ან ძალიან სუსტია, თამაშგარეთ რჩება. ექსპერტები თითქმის თანხმდებიან, რომ მთავრობაში ერთიანობა არ არის.

კახი კახიშვილის განმარტებით:

– მოდით, ასე ვთქვათ, რეალურად იმაზე, რომ მთავრობას არ ჰქონდა კოორდინაცია, როგორც შიგნით, ასევე საკანონმდებლო ორგანოში, არაერთხელ გვისაუბრია. ამის ნიშნები არაერთხელ გამოიკვეთა სხვადასხვა საკითხების გააქტიურების დროს. კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობენ და კომენტარებს აკეთებენ ისე, რომ საკითხი შესწავლილი ან შეთანხმებული არ აქვთ ქვეყნის პირველ პირებთან. სამწუხაროდ, არაერთხელ მოგვისმენია კომენტარები, როდესაც ბოლომდე გაუგებარი რჩება, რის თქმა უნდათ მთავრობის წევრებს და მეორე, მესამე დღეს უწევთ განმარტებების გაკეთება. ეს ყველაფერი ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მინისტრთა კაბინეტში ბოლომდე კომპეტენტური გუნდი არ არის. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გაოცება თუ აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ მთავრობის წევრები თუ დეპუტატები საუბრობენ არა გუნდის პოზიციიდან, იმას კი არ ახმოვანებენ, რას აპირებს გუნდი, არამედ საკუთარ აზრს ასაღებენ ისე, რომ შესაძლებელია, ამ აზრის უკან არ დგას კონკრეტულად დამუშავებული საკითხი.

ირაკლი ღარიბაშვილმა საკუთარი გუნდი უნდა შექმნას. აქ საინტერესო იქნება იმაზე დაკვირვება, რა პრიორიტეტებს გააკეთებს პრემიერი, როგორ შეკრავს გუნდს და რამდენად საქმიან ფსონებს დადებს. ღარიბაშვილს პოლიტიკურ ფიგურებზე მეტად ახლა საქმეზე ორიენტირებული ფიგურები სჭირდება.

სამწუხაროდ, ქართულ პოლიტიკაში ხშირად პოლიტიკური ინტერესები გუნდურობის თამაშის წესებს არღვევს ხოლმე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვის წაართვა კუდ-მა ავტომობილი, რომლითაც სანდრო გირგვლიანი გაიტაცეს

2005 წლის ოქტომბერში, ვითომდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მას ავტომობილი ჩამოართვეს, მიზეზად კი მისი დანაშაულებრივი გზით მოპოვება დასახელდა EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

კუდ-ისა და სხვა ოპერატიული სამსახურების მიერ ძვირადღირებული ავტომობილების ჩამორთმევის არაერთი ფაქტი გახმაურებულა, თუმცა ეს შემთხვევა საზოგადოებისთვის კიდევ უფრო საინტერესოა, რადგან ავტომობილი, რომელიც კანონიერ მფლობელს ჩამოართვეს, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ფიგურირებს.

ქუთაისელ დავით სტეფანიშვილს, ქალაქში მათეს სახელით იცნობენ. ის ქუთაისში ავტონაწილების მაღაზიას ფლობდა. 2005 წელს სტეფანიშვილმა „მლ"-ის მარკის ავტომობილი შეიძინა, რაც, როგორც ჩანს, კუდ-ის ადგილობრივ ხელმძღვანელობას მხედველობიდან არ გამოჰპარვია. 2005 წლის ოქტომბერში, ვითომდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მას ავტომობილი ჩამოართვეს, მიზეზად კი მისი დანაშაულებრივი გზით მოპოვება დასახელდა.

ამ საქმეში კარგად ინფორმირებული წყარო გვიყვება, რომ სტეფანიშვილისთვის ავტომობილის ჩამორთმევის ბრძანება კუდ-ის რეგიონული სამმართველოს უფროსმა კონსტანტინე არჩაიამ გასცა. მისივე მითითებით, ამავე სამმართველოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელმა, ვინმე ხეცურიანმა, ავტომობილი მეორე დღესვე თბილისში, მოდულის შენობის ეზოში გადაიყვანა და გასაღები კუდ-ის პირველი სამმართველოს უფროსს, გერონტი ალანიას ჩააბარა. ეს სწორედ ის ალანიაა, რომელიც გირგვლიანის გატაცებისა და მკვლელობის საქმეზე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს გასამართლდა.

მოკლედ, კუდ-ის იმერეთის საგამოძიებო ჯგუფმა ავტომობილი კონსტანტინე არჩაიას ბრძანების შესაბამისად, თბილისში გადაიყვანა, მოდულის ეზოში დააყენა, დალუქა და გასაღები გერონტი ალანიას ჩააბარა.

ჩამორთმეული ავტომობილის მესაკუთრე ამასობაში უშედეგოდ ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ვერცხლისფერი „მლ"-ის ჯიპი კანონიერი გზით ჰქონდა შეძენილი. კუდ-ი ავტომობილის დაბრუნებას არ აპირებდა. მოგვიანებით, დავით სტეფანიშვილის ადვოკატმა შინაგან საქმეთა სამინისტროში საჩივარი შეიტანა, სადაც იტყობინებოდა, რომ მისი კლიენტის კუთვნილი ავტომობილი, რომელიც თითქოსდა ექსპერტიზაზე უნდა შეემოწმებინათ, სინამდვილეში თბილისის ქუჩებში თავისუფლად გადაადგილდებოდა. მეტიც, ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი პირადად დაუკავშირდა კუდ-ის გამომძიებელს, ვინმე ხეცურიანს (რომელმაც ავტომობილი ქუთაისიდან თბილისში გადმოიყვანა) და აცნობა, რომ მან და პირადად დავით სტეფანიშვილმა აღნიშნული ავტომობილი თბილისის ქუჩებში შენიშნეს, რა დროსაც მძღოლთან უთანხმოებაც კი მოუხდათ.

უკვე 2006 წლის თებერვალში, ანუ სანდრო გირგვლიანის მკვლელობიდან რამდენიმე დღეში, ავტომობილი კვლავ ქუთაისში ჩაჰყავთ და მხოლოდ ამის შემდეგ უბრუნებენ კანონიერ მესაკუთრეს.

„პრაიმტაიმი" დეტალების გასარკვევად, ადვოკატ ზურაბ როსტიაშვილს დაუკავშირდა.

– სტეფანიშვილს ჰქონდა ავტონაწილების მაღაზია. დამიკავშირდა და მითხრა, რომ მისი კუთვნილი ავტომობილი კუდ-მა წაიყვანა და დახმარებას საჭიროებდა. როდესაც საგამოძიებო მოქმედებებისთვის ხდება ავტომანქანის ამოღება, ის, როგორც წესი, გადაჰყავთ სპეციალურ ავტოფარეხში. ჩვენ კი გვქონდა ინფორმაცია, რომ ეს ავტომობილი სოდ-ის შენობის ეზოში ეყენა. წავედით ჩვენი ავტომობილით მოდულთან, ავტომობილი გარედანვე შევამჩნიეთ, მან ამოიცნო ძალიან მარტივად. ცოტა ხანში გამოვიდა პიროვნება, დაჯდა ამ ავტომანქანაზე და წავიდა. ჩვენ უკან გამოვეკიდეთ. დიდ დილომში საავადმყოფოში შევიდა და რამდენიმე წუთში კვლავ განაგრძო გზა, მივდევდით და თან სურათებს ვუღებდით. დილმის ტრასასთან გზას აგებდნენ იმ პერიოდში და ზუსტად მაგ ადგილას მოვახერხეთ, დაგვეჭირა, გადმოვიყვანე მანქანიდან და მკაცრად ვკითხე: რატომ გადაადგილდებოდა სხვისი მანქანით. ხელით მეჭირა ეს პიროვნება, თან მანქანაში მყოფ სტეფანიშვილს ვეძახდი, გადმოსულიყო, ან საბურავები დაეშვა, ან სხვა რამე ეღონა, რომ ველარ წასულიყო, მაგრამ სტეფანიშვილი შეშინებული იყო და მანქანიდან გადმოსვლა ვერ გაბედა. საბოლოოდ მოახერხა ნასვლა. შემდეგ მალევე, მოხდა გირგვლიანის ამბავი. ეს მანქანა თბილისს გაარიდეს, ქუთაისში ჩაიყვანეს და მერე დაუბრუნეს კიდეც. ამას წინ უძღოდა ჩემი არაერთი საჩივარი, რომელიც შსს-ში შევიტანე.

– იცანით პიროვნება, რომელიც ამ ავტომობილს მართავდა?

– ის იყო კუდ-ის თანამშრომელი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, სახელითა და გვარით არ ვიცნობდი.

– როდის შეიტყვეთ, რომ ეს ავტომობილი სანდრო გირგვლიანის საქმეში ფიგურირებდა?

– ეს გავიგეთ მოგვიანებით, როდესაც ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რა მანქანით მოხდა გირგვლიანისა და მისი მეგობრის გატაცება.

– თავის დროზე რამდენად კანონიერად ჰქონდა ეს ავტომობილი შეძენილი სტეფანიშვილს და რატომ მოხდა ჩამორთმევა?

– არ იცით, რატომ ართმევდნენ ხოლმე მანქანებსა და ქონებებს? შარი მოსდეს, თითქოს ძარის კოდი იყო შეცვლილი. სინამდვილეში მოეწონათ და ჩამოართვეს. შეაწერეს, რა.

ზემოაღნიშნული ავტომობილი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მას შემდეგ მოექცა, რაც ოქროყანისკენ მიმავალ გზაზე მდებარე ბადრი პატარკაციშვილის სახლთან დამონტაჟებული ვიდეოთვალის ჩანაწერები გახდა ცნობილი. ეს ჩანაწერები პირველად სანდრო გირგვლიანის მეგობრებმა მოიპოვეს და ნათლად ჩანს, როგორ გადაადგილდება ვერცხლისფერი „მლ"-ის ჯიპი ოქროყანის მიმართულებით.

ცნობილია ისიც, რომ ავტომობილს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ქოქიაშვილი მართავდა. ავტომობილში იმყოფებოდნენ კუდ-ის თანამშრომლები: გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა. მათ ლესელიძის ქუჩიდან გატაცებული სანდრო გირგვლიანი და ლევან ბუხაიძე ოქროყანის სასაფლაოებისკენ მიჰყავდათ, სადაც სასტიკად გაუსწორდნენ. როგორ განვითარდა მოვლენები ოქროყანაში, ამაზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ.

ვინაიდან იმთავითვე გაჩნდა ეჭვი, რომ სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის გატაცებაში გარეულნი იყვნენ შსს-ს მაღალჩინოსნები, უწყება კი მათთვის ხელის დაფარებას გეგმავდა, გირგვლიანის მეგობრებმა გადაწყვიტეს დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება. იმ პერიოდში სანდრო გირგვლიანის ერთ-ერთი ახლო მეგობარი გიორგი კალანდარიშვილი ხელმძღვანელობდა ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილ „სტანდარტ ბანკს" და, შესაბამისად, კარგად იცნობდა პატარკაციშვილსაც. მისი თხოვნით და პატარკაციშვილის ნებართვით, ამოიღეს სახლთან დამონტაჟებული ვიდეოთვალის ჩანაწერები. „სიდი" დისკზე ჩაწერილი მასალა, რომელიც 28 იანვრის ღამის პერიოდს მოიცავდა, მეგობრებმა იმავე დღეს გაშიფრეს. კადრებში კარგად ჩანს „მერსედესის" ფირმის ვერცხლისფერი „მლ"-ის მარკის ავტომანქანა, რომელიც ჯერ თბილისიდან ოქროყანის, შემდეგ კი პირიქით – ოქროყანიდან თბილისის მიმართულებით გადაადგილდება. აღნიშნული ჩანაწერი მალევე გავიდა ტელეკომპანია „იმედის" გადაცემა „დროებაში". სწორედ ამ გადაცემის შემდეგ, „მლ"-ის ჯიპი ქუთაისში გადაიყვანეს და ორიოდე დღეში კანონიერ მფლობელს, დავით სტეფანიშვილს დაუბრუნეს.

იმ პერიოდში სანდრო გირგვლიანის ერთ-ერთი ახლო მეგობარი გიორგი კალანდარიშვილი ხელმძღვანელობდა ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილ „სტანდარტ ბანკს" და, შესაბამისად, კარგად იცნობდა პატარკაციშვილსაც. მისი თხოვნით და პატარკაციშვილის ნებართვით, ამოიღეს სახლთან დამონტაჟებული ვიდეოთვალის ჩანაწერები

„ეს გავიგეთ მოგვიანებით, როდესაც ტელევიზიით გავრცელდა ინფორმაცია, რა მანქანით მოხდა გირგვლიანისა და მისი მეგობრის გატაცება"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სასამართლოს არქივში დაცული გახმაურებული საქმეები განადგურებულია

my View
მირიან ბოძოლიშვილი

ამ საქმის გამო, შესაძლოა, იუსტიციის საბჭოს ყოფილი მდივანი პროკურატურაში დაიბარონ. ვალერი ცერცვაძეს საგამოძიებო უწყებაში განმარტებების გაკეთება გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების განადგურებაზე მოუწევს. „პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა 2010 წლის 2 აგვისტოთი დათარიღებული გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც სასამართლოს არქივში დაცული არაერთი სისხლის სამართლის საქმე განადგურებას დაექვემდებარა, მათ შორის ისეთი რეზონანსული საქმეები, როგორიცაა სანდრო გირგვლიანისა და ბუტა რობაქიძის მკვლელობები.

რა კითხვები დაუსვეს პროკურატურაში არქივის დირექტორს?

სასამართლოების არქივი სოფელ ლილოშია განთავსებული. 2010 წლამდე სწორედ იქ ინახებოდა საქართველოში არსებული ყველა ინსტანციის სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის საქმეები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია. 2010 წლის 2 აგვისტოს კი იუსტიციის საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ გამოსცა #1/91 გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, განისაზღვრა სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა ნუსხა. ამ გადაწყვეტილების შემდეგ დაიწყო არქივში საქმეებისა და საქმის წარმოებების განადგურება, რასაც, როგორც უკვე გითხარით, არაერთი გახმაურებული საქმე შეეწირა. აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებიდან ზუსტად 3 თვეში, 2010 წლის 2 ოქტომბერს ვალერი ცერცვაძე გამოსცემს კიდევ ერთ გადაწყვეტილებას (#1/60), რომლის თანახმადაც, არქივში მასალების შენახვის ვადები გაიზარდა, თუმცა ამ დროისთვის მთელი რიგი რეზონანსული საქმეები უკვე ფერფლად იყო ქცეული.

რატომ განადგურდა 2010 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ხმაურიანი საქმეები? ხომ არ გაკეთდა ეს შეგნებულად და ვის აძლევდა ხელს არქივში დაცული მასალების განადგურება?

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, ამ კითხვებზე კომპეტენტური პირებისგან მიეღო პასუხები. სამწუხაროდ, ვალერი ცერცვაძესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ის შესაბამის კითხვებს, ალბათ, საგამოძიებო უწყებაში უპასუხებს. ბადაშვილის უწყებამ უკვე დაკითხა სასამართლოების არქივის დეპარტამენტის დირექტორი დავით ედიბერიძე, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ გიამბობთ.

ირკვევა, რომ პროკურატურამ ამ ფაქტის შესახებ მაშინ შეიტყო, როდესაც ერთ-ერთ გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე მასალების გამოთხოვის მიზნით არქივს მიმართა. არქივის დირექტორმა კი უწყებას აცნობა, რომ მასალებს ვერ მიაწვდიდნენ მისი არარსებობის გამო. ამის შემდეგ დავით ედიბერიძე საგამოძიებო ორგანოში დაკითხვაზე დაიბარეს. „პრაიმტაიმი“ დეტალების დასაზუსტებლად დავით ედიბერიძეს დაუკავშირდა.

– სასამართლოში რასაც განიხილავენ ყველაფერი არქივში მოდის.

– ბატონო დავით, იქნებ განგვიმარტოთ 2010 წელს რატომ მოხდა სისხლის სამართლის საქმეების განადგურება?

– ყველაფერს აქვს შენახვის ვადები. იგივე გირგვლიანის საქმე გათხოვილია ჩვენგან, უბრალოდ, რაღაც ნაწილი განადგურდა ამ საქმიდან, თუ არ ვცდები, „ჯეოსელიდან“ გამოთხოვილი ინფორმაციები.

– და კონკრეტული ეპიზოდების განადგურება რატომ მოხდა?

– იმიტომ, რომ დაარქივებას არ ექვემდებარებოდა. ამ შემთხვევაში განადგურდა არა საქმე, არამედ კონკრეტული მასალები. მაგის შენახვა გათვალისწინებული არ იყო. განადგურება მოხდა კანონის შესაბამისად. არსებობს იუსტიციის საბჭოს გადაწყვეტილება, რომლითაც ჩვენ ვიხელმძღვანელეთ.

– ეს წესი სხვა საქმეებზეც ვრცელდება, თუ კონკრეტულად გახმაურებული საქმეებისა და კონკრეტული მასალების განადგურება მოახდინეთ?

– არა, რეზონანსულობის კუთხით არ მომხდარა შერჩევა. იმ პერიოდში ძალიან ბევრი საქმე განადგურდა. ჩვენ გვიწერია, რა უნდა შევინახოთ და რა – არა. ეს საქმეები ამ ჩამონათვალში არ მოხვდა.

– არსებობს ვარაუდი, რომ შეგნებულად განადგურდა ხმაურიანი საქმეები...

– არა, როგორ გეკადრებათ. 2006 წლის ჩათვლით ყველა მასალა განადგურდა, რომელიც ამ წესს აკმაყოფილებდა. ფიზიკურად, ძალიან დიდ ადგილს იკავებდა ეს მასალები. თუ კონკრეტული ინფორმაცია ახლა სჭირდება გამოძიებას, ეს პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან, როცა იგივე „ჯეოსელის“ ამონაწერზე ვსაუბრობთ, ეს ინფორმაცია კვლავაც იქნება „ჯეოსელში“.

– ანუ დიდ ადგილს იკავებდა და იმიტომ გაანადგურეთ?

– ადგილის პრობლემაც გვქონდა და არც შენახვის ვალდებულება გაგვაჩნდა.

– რამდენადაც ვიცი, ამ საქმეზე პროკურატურამ დაგკითხათ?

– დიახ, აინტერესებდათ, რატომ მოხდა საქმეების განადგურება და ხომ არ იყო ვინმეს მითითება.

– იყო ასეთი მითითება?

დავით ედიბერიძე: „აინტერესებდათ, რატომ მოხდა საქმეების განადგურება და ხომ არ იყო ვინმეს მითითება“

– არა, რა თქმა უნდა. ჩვენ თვითონ ვწყვეტთ, რომელი საქმე გავანადგუროთ და რომელი – არა, რა თქმა უნდა, იუსტიციის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ადვოკატი თამარ აბესაძე კი დაუშვებლად მიიჩნევს სასამართლოს არქივიდან სისხლის სამართლის საქმეების განადგურებას. მისი თქმით, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, შეგნებულად, გახმაურებული საქმეების განადგურების მიზნით მიიღეს.

თამარ აბესაძე, ადვოკატი:

– ესაა აბსოლუტურად უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც ძალიან ბევრ ეჭვს ბადებს. არაც ერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ინახება, გინდა არქივში და გინდაც კანცელარიაში, არ უნდა განადგურებულიყო. ეს ყოვლად დაუშვებელია. მაგალითად, 50 წელიც რომ გავიდეს, პიროვნებას მაინც უნდა შეეძლოს თავის სისხლის სამართლის საქმეზე გარდა ამისა, მისი მოძიება შესაძლებელია ძირითად საქმეში, რომელიც გამოძიებას აქვს.

– ანუ დიდ ადგილს იკავებდა და იმიტომ გაანადგურეთ?

– ადგილის პრობლემაც გვქონდა და არც შენახვის ვალდებულება გაგვაჩნდა.

– რამდენადაც ვიცი, ამ საქმეზე პროკურატურამ დაგკითხათ?

– დიახ, აინტერესებდათ, რატომ მოხდა საქმეების განადგურება და ხომ არ იყო ვინმეს მითითება.

– იყო ასეთი მითითება?

– ეს ეჭვი ჩვენ ბევრ ადგილას ბევრ ადამიანს ეჭვი ეჭვი ეჭვი

შიდატურიზმი ტურიზმის პრიორიტეტია

ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ შიდა ტურიზმის განვითარებისთვის სხვადასხვა ტიპის აქტივობები დაგეგმა

ტურისტული ნაკადის ზრდისა და რეგიონების განვითარებისთვის, ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, მთელი წლის მანძილზე, სხვადასხვა ტიპის აქტივობები დაგეგმა. წელს, შიდა ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა.

ტურისტების რაოდენობის ზრდა რომ შემოსავლების ზრდასთან არის დაკავშირებული, ამაზე დღეს აღარავინ დაობს, ამ სფეროში კი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიმართულება შიდა ტურიზმია.

რა ღონისძიებები აქვს დაგეგმილი ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის შიდა ტურიზმის სამმართველოს, „პრაიმტაიმთან“ სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, თამარ ჯაკონია საუბრობს.

თამარ ჯაკონია, შიდა ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: „შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით, წლის განმავლობაში, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს გეგმავს, ეს არის სპორტული, კულტურული, საგანმანათლებლო. სხვადასხვა ტიპის აქტივობების ძირითადი მიზანია, ტურისტული ადგილებისა და ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია. ამ კუთხით კი ზაფხულის სეზონი ძალიან დატვირთულია, დაგეგმილი ღონისძიებები, რეგიონების განვითარებას და ტურისტული პოტენციალის ზრდას უწყობს ხელს. მაგალითისთვის გეტყვით, რამდენიმე დღის წინ ჩვენ გვქონდა ჯომარდობა მცხეთაში. ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო საწყალოსნო ტურიზმის პოპულარიზაცია, როგორც ექსტრემალური ტურიზმის ერთ-ერთი მიმართულებისა, ასევე მცხეთის პოპულარიზაცია და შიდა ტურისტული ნაკადის ზრდა. ადგილზე, ჯომარდობის გარდა, მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა სახის სათავგადასავლო აქტივობები და სპორტული ღონისძიებები გაიმართა: დართსი, ფრიზბი, ტრეისერელების შოუ, ველო წარმოდგენა, ბადმინტონი და ფრენბურთი. ღონისძიება ელექტრონული მუსიკით დიჯეი რემბომ გააფორმა.

მდინარე მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე კი სპეციალური საბანაკე სივრცე მოეწყო. შეჯიბრში მონაწილეობის მსურველებს ინსტრუქტორებმა სპეციალური მასტერკლასებიც ჩაუტარეს, რათა მათ უსაფრთხოებას არ შექმნოდა საფრთხე.

ჯომარდობაში მონაწილეები 4 ნავით, მდინარე მტკვარზე, 200 მეტრიან მონაკვეთზე ერთმანეთს შეეჯიბრნენ. გაკეთდა სტარტისა და ფინიშის ხაზები. გამარჯვებულები კი გამოვლინდნენ საუკეთესო დროის მაჩვენებლის მიხედვით. ამ ღონისძიებაზე დასწრება და შეჯიბში მონაწილეობა ყველასთვის უფასო იყო. ზოგადად, ეს უფრო მეტი სტიმულია. არის შემთხვევები, როდესაც ტრანსპორტირებაც კი უფასოა და ამას საკუთარ თავზე ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია იღებს. მსგავსი ღონისძიებისთვის ასევე არის წამახალისებელი პრიზებიც. ამ ყველაფერთან ერთად ჩვენ აქტიურად ვზრუნავთ გარემოზე და პერიოდულად ვაწყობთ დასუფთავების აქციებს. 26 ივლისს არის მორიგი აქცია მცხეთაში. სადაც საპიკნიკე ადგილების დასუფთავებას მოვახდენთ. ცოტა ხნის წინ ანალოგიური გაკეთდა საგურამოში. გარდა ამისა, უკვე დაგეგმილია ლაშქრობის ფესტივალი ტობაზე, რომელიც სამეგრელოს რეგიონში, ჩხოროწყუში 12-16 აგვისტოს იქნება.

- როგორია მონაწილეობის წესები და ვის შეეძლება ამ ყველაფერში ჩართვა?

- ყველას შეეძლება, უბრალოდ, არის რაღაც წინაპირობა, რომლის დაცვაც აუცილებელია. იმისთვის, რომ ტობაზე მოხვდეთ, ლაშქრობის რაღაც კატეგორია აუცილებლად უნდა გქონდეთ გავლილი. ამიტომაც ჩვენ სპეციალური ჟიური გვეყოლება, რომელიც იმ ადამიანებს შეარჩევს, ვისაც წასვლის სურვილი გაუჩნდება. ამ ტიპის ღონისძიებებში, გარდა იმისა რომ ადამიანები გადაადგილების დროს ხელს უწყობენ ერთმანეთს, ეცნობიან რეგიონის კულტურულ ყოფას, იღებენ ინფორმაციას კონკრეტული ადგილის ბიომრავლაფეროვნების შესახებ და ა.შ. ასევე, ძალიან აქტიურად გვაქვს უკვე დაგეგმილი სეზონური კურორტები, რადგან საქართველოში არის ადგილები სადაც ტურისტების ნაკადი სეზონურია. მაგალითად, გუდაური და ბაკურიანი, რომელიც ასი პროცენტით დატვირთულია ზამთრის სეზონზე. ჩვენ ვატარებთ ისეთ ღონისძიებებს, რომლის მთავარი მიზანია გარკვეული ადგილების სეზონის ზრდა, რათა ხალხმა იქ სხვა სეზონზეც შეძლოს ჩასვლა. შესაბამისად, გუდაურსა და ბაკურიაში იგეგმება ველო მარათონი. კარგი პირობებია იმისთვის, რომ ამ მიმართულებების ადგილზე განვითარება მოხდეს, ორკვირიანი მარათონი რამდენიმე ეტაპად არის დაყოფილი. მარათონი გუდაურში 2 აგვისტოს, ხოლო ბაკურიანში 9 აგვისტოს ჩატარდება. აგვისტოში გვაქვს დაგეგმილი დიდგორობა, დიდგორში. სადაც უამრავ ადამიანს ველოდებით. რაც შეეხება შავი ზღვის სანაპიროს, აქ საკმაოდ მრავალფეროვნად ვართ წარმოდგენილი და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით არა ერთი ფესტივალი გაიმართება.

- რას იტყვით შემოდგომა-ზამთრის სეზონზე, როგორ ხდება წლის სეზონის დაგეგმვა?

- სეზონი ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში, სხვადასხვა მიმართულებებზე, წლის დასაწყისში იგეგმება. აქ მნიშვნელოვანია თემატიკა, ადგილმდებარეობის მიხედვით. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ მოვიცვათ ყველა რეგიონი. ზოგადი კონცეფციის ჩამოყალიბების შემდეგ უკვე სათითაოდ მიდის მუშაობა ყველა პროექტზე. გარდა ამისა ყველა ღონისძიებაზე აქტიურად ვითვალისწინებთ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის აზრს და ვახდენთ მათთან კოორდინაციას. რადგან შიდა ტურიზმი, ნაკადის ზრდა, მაქსიმალურად ხელს უწობს რეგიონების განვითარებას. წინასწარ დაგეგმილის გარდა, არის ღონისძიებები რომელიც მოგვიანებით ჩამონათვალს ემატება. რაც შეეხება შემოდგომა-ზამთრის სეზონს, შემოდგომაზე, 5-7 სექტემბერს, დაგეგმილი გვაქვს შემოდგომის ფესტივალი სიღნაღში, სადაც ძალიან ბევრ ადამიანს ველოდებით. ასევე, 12-14 სექტემბერს, უშგულში ჩავატარებთ ფოტოტურს, რომელიც ყველას, განსაკუთრებით კი სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულებს დაინტერესებს. რაც შეეხება ზამთრის სეზონს, უკვე რამდენი წელია, ვაკეთებთ ზამთრის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიებას, რომელიც დეკემბრის ბოლოს გრანდიოზულად ტარდება. სეზონის გახსნა ბაკურიანში, გუდაურსა და მესტიაში 26-28 დეკემბრის ჩათვლით მოხდება, რის შემდეგაც გაიმართება დაჯილდოება სახელწოდებით „ტურიზმი 2014“.

- სად და როგორ შეძლებენ თქვენთან დაკავშირებას ის ადამიანები, რომელთაც ამ აქტივობებში მონაწილეობა სურთ?

- ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებებით ვრცელდება. როგორც რადიოთი, ასევე სხვა მედია საშუალებებით, ასევე ძალიან აქტიურია ჩვენი გვერდი სოციალურ ქსელ facebook-ში - **https://www.facebook.com/GeorgianNationalTourismAdministration**

https://www.facebook.com/georgiaandtravel?fref=ts

სადაც ყველა მსურველს შეუძლია მოგვმართოს და აქტიურად ჩაერთოს ჩვენს ღონისძიებებში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა სქემა გააცნეს პროკურატურაში სოსო რობაქიძეს?

EXCLUSIVE

„ამ სქემაში იკვეთება ორი ისეთი პიროვნება, რომელთა მონაწილეობის შესახებ მეც კი არ ვიცოდი აქამდე... ჩვენი ოჯახისთვისაც სიურპრიზი იყო“

„უკვე შექმნილია ორგანიზაციებიც, რომლებიც იმ შემთხვევაში გააქტიურდებიან, თუ წლის ბოლომდე მართლაც არ მოხდება ამ ხალხის დასჯა“

მირიან ბოქოლიშვილი

როგორც ირკვევა, პროკურატურას გახმაურებული საქმეების გამოძიების ახალი ტაქტიკა აქვს შემუშავებული. მაგალითად, რამდენიმე კვირის წინ სერგო თეთრაძის მკვლელობის საქმეზე ბრალი ბაჩო ახალაიას წაუყენეს, ეს მაშინ, როცა დანაშაულის უშუალო შემსრულებლები გაცილებით ადრე გაასამართლეს. ითქვა, რომ პროკურატურამ საქმე ორ ეტაპად გაყო – პირველი შემსრულებლებს შეეხებოდათ, მეორე ეტაპი კი იმდროინდელ მაღალჩინოსნებს მოიცავდა.

როგორც ჩანს, პროკურატურას დაახლოებით ასეთივე ტაქტიკა აქვს ბუტა რობაქიძის საქმეზეც. რამდენიმე დღის წინ საგამოძიებო ორგანოს ბუტას მამა, სოსო რობაქიძე სტუმრობდა, რომელსაც საგამოძიებო მოქმედებების დეტალური სქემა გააცნეს. ამ შემთხვევაშიც სქემა ორ ეტაპს მოიცავს – შემსრულებლებსა და მაღალჩინოსნებს. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას სოსო რობაქიძე აცხადებს, რომ საქმეში ახალი ფიგურები გამოიკვეთნენ, თუმცა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ის კონკრეტულ გვარებს არ ასახელებს.

ამ ინტერვიუდან ჩვენი მკითხველი, ასევე, შეიტყობს: რას აპირებს სოსო რობაქიძე, თუ წლის ბოლომდე მისი შვილის მკვლელობის საქმე საბოლოოდ არ გაიხსნება? რატომ ემუქრება ირაკლი ოქრუაშვილს პარტიული ოფისის დარბევით და კონკრეტულად რომელი მაღალჩინოსნების დასჯას მოითხოვს?

„პრაიმტაიმი“ ამ თემებზე სოსო რობაქიძეს ესაუბრა:

– პროკურატურაში ნამდვილად გახლდით მისული. კონკრეტულ გვარებს ვერ დავასახელებ, რადგან მკაცრად გამაფრთხილეს, რომ დეტალებზე არ მესაუბრა. თუმცა გეტყვი, რომ სქემა არის გაკეთებული. ამ სქემაში იკვეთება ორი ისეთი პიროვნება, რომელთა მონაწილეობის შესახებ მეც კი არ ვიცოდი აქამდე. ეს გვარები ფიგურირებს ამ სქემაში.

– ანუ ახალი ფიგურები გაჩნდნენ ბუტას საქმეში?

– დიახ, ეს მეც არ ვიცოდი და სიურპრიზი იყო ჩვენი ოჯახისთვისაც.

– და რა სქემაზე საუბრობთ, იქნებ დაგვიკონკრეტოთ?

– ანუ დეტალურადაა გაწერილი პირთა წრე და საგამოძიებო მოქმედებები. საქმე ორად არის გაყოფილი, უშუალო შემსრულებლები და მაღალჩინოსნები. სადღაც სექტემბრიდან დაიწყებენ უკვე ამ საქმეს.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს „სამართლიანობის აღდგენის“ მოთხოვნით აქციების დაწყებას გეგმავთ?

– დიახ, ასეთი რამ დაიბეჭდა პრესაში, მაგრამ მე ეს ნამდვილად არ მითქვამს. მე გამოვეხმაურე ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ წლის ბოლომდე ყველა გახმაურებული საქმე ღირსეულად იქნება გამოძიებული. სწორედ ამის შემდეგ ვთქვი, რომ, თუ წლის ბოლომდე მართლაც ასე არ მოხდება, ძალიან ცუდ შედეგს მიიღებს მთავრობა. როგორ შეიძლება ქუჩაში თავისუფლად დადიოდნენ ადამიანები, რომლებმაც ერს გენოციდი მოუწყვეს, ქუჩაში ჩახოცეს, ქონება წაართვეს და რა ვიცი კიდევ, რა მოთვლის მათ დანაშაულებს. უნდათ თუ არ უნდათ, თუ მთავრობა სამართლიანობას არ აღადგენს, ამას გააკეთებს ხალხი. უკვე შექმნილია ორგანიზაციები, რომლებიც იმ შემთხვევაში გააქტიურდებიან, თუ წლის ბოლომდე მართლაც არ მოხდება ამ ხალხის დასჯა. დაიწყება ის, რაც 2007 წლის 2 ნოემბერს დაიწყო. ამ მოძრაობას სათავეში ჩაუდგება ის ხალხი, ვინც წლების მანძილზე დაზარალდა. უნდა დაისაჯოს ადეიშვილი, დაკითხონ სააკაშვილი და იმ რეჟიმის მეთაურები. თუ ეს არ მოხდება, დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

– თქვით, სააკაშვილი უნდა დაიკითხოსო, თუმცა შეგახსენებთ, რომ პროკურატურამ ერთხელ უკვე დაიბარა ექსპრეზიდენტი დაკითხვაზე... გამოქვეყნდა იმ საქმეების სიაც, რომლის ირგვლივაც გამოძიებას კითხვები ჰქონდა სააკაშვილთან, თუმცა ამ სიაში ბუტა რობაქიძის საქმე არ ფიგურირებდა...

– მაგას ძალიან დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ეს ხელისუფლება თავიდანვე პრიორიტეტად აცხადებდა ოთხ საქმეს: გირგვლიანი, რობაქიძე, ციხე და „იმედის“ საქმეები. ყველა ამ დანაშაულის სათავეში იდგა სააკაშვილი. ის იყო რეჟიმის შემქმნელი და მან უთხრა პოლიციელებს, რომ ხელი არ აგიკანკალდეთ, ისე ესროლეთო. თუ ვინმემ პროკურატურიდან რობაქიძის საქმე პრიორიტეტებში არ შეიყვანა, უკაცრავად და, ძალიან „მიუქარავს“. ასე რომ, საპროტესტო აქციები აუცილებლად იქნება, თუ წლის ბოლომდე სამართლიანობა არ აღდგება.

– კიდევ ერთხელ რომ გვითხრათ იმ პირთა წრე, რომელსაც თქვენ ადანაშაულებთ?

– ბუტას საქმეში გარეულია ადეიშვილი, ოქრუაშვილი, ღვინიაშვილი, ასევე, სააკაშვილს ჰქონდა ინფორმაცია და არაფერი იღონა. პრემიები, სახლები და მანქანები ჩამოურიგეს მათ, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ ბუტას მკვლელობაში. მაგალითად, მაიზერ ლიპარტელიანს აჩუქეს ბინა. აუცილებლად უნდა დაისაჯოს ოქრუაშვილი, რომელიც გახლდათ შს მინისტრი. თუმცა მისი დასჯის დიდი იმედი არ მაქვს, რადგან ეს კაცი გაათეთრეს. გამომძიებელ მიქაბაძეს პირდაპირ უნერია ჩვენებაში, რომ ის იმყოფებოდა ადეიშვილისა და ოქრუაშვილის წნეხის ქვეშ. მინდა ოქრუაშვილთან დაკავშირებით თქვენი მეშვეობით გავაკეთო ერთი განცხადება: მან პოლიტიკაში შემოდგა ფეხი, ამჯერად გორშია და ცდილობს, ძველი ცოდვები ჩამოირეცხოს. ძალიან მალე ვაპირებ ოქრუაშვილის ოფისში მისვლას, მაინტერესებს გორელების აზრი და გეფიცებით ყველაფერს, თუ არ მივუნგრიო ის ოფისი. ეს იქნება ძალიან მალე.

„მალე ვაპირებ ოქრუაშვილის ოფისში მისვლას... გეფიცებით ყველაფერს, თუ არ მივუნგრიო ის ოფისი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფოთის პორტის სკანდალი კვლავაც გრძელდება...

„სამწუხაროდ, გამოძიება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს და საკითხავია, მიმდინარეობს კი საერთოდ?“

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

ფოთის პორტი ჯერ კიდევ თემურ ალასანიას სახელთან ასოცირდება, მიუხედავად იმისა, რომ პორტში მონოპოლისტი და ამავდროულად ალასანიას მეზობელი ამერიკაში, სოსო დოლიძე სააკაშვილის ბიძასთან ახლო ურთიერთობებს უარყოფს. რამდენად დამაჯერებელია მისი არგუმენტები იმ დროს, როდესაც გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყველა ხელისუფლების პირობებში ეს საზღვაო კარიბჭე უმაღლესი ხელისუფალის ოჯახის გავლენას ექვემდებარებოდა, ამაზე მკითხველი, ალბათ, თავად იმსჯელებს... ამჯერად კი „პრაიმტაიმი“ პორტის უახლესი ისტორიის არა პოლიტიკურ, არამედ სამართლებრივ ნაწილზე გაამახვილებს ყურადღებას.

გასულ ნომერში უკვე გიამბეთ ამის შესახებ, თუმცა, გასულ კვირას ამბის მთავარი პერსონაჟი, თურქი ბიზნესმენი ეწვია საქართველოს და ბუნებრივია, „პრაიმტაიმს“ თავისი მკითხველისთვის დღეს მასთან ჩაწერილი ექსკლუზიური ინტერვიუ აქვს.

სანამ ინტერვიუს დავიწყებდეთ, შესავლის სახით მოკლედ გიამბობთ ისტორიის ფაბულას:

90-იანი წლების ბოლოს USAID-ის პროგრამით ფოთის პორტის რესტრუქტურიზაცია დაიწყო. უნდა დალაგებულიყო პორტის მუშაობა. ფოთში სულ 15 ტერმინალია. გეგმა ასეთი იყო, რომ სათითაოდ გაეცათ ტერმინალები იჯარაზე, იმის მიხედვით, რამდენად გაამართლებდა წინა იჯარა. ომერ სარი სამ კომპანიაში ფლობდა 5-5 პროცენტს. ესენი იყო „ჯეესკო“, მეტალექსი“ და „პრომეტკო ჯორჯია“. მესამე და მეოთხე ტერმინალში შევიდა კომპანია „ჯეესკო“, მეხუთეზე – „მეტალექსი“ და მეექვსეზე – „პრომეტკო ჯორჯია“.

ამ კომპანიებს ძირითადად უცხოელები – იტალიელები, ჩეხები, შვეიცარიელები მართავდნენ. საქართველოში ხელისუფლება რომ შეიცვალა, პირველ რიგში, პორტიდან შევარდნაძის მძახლები, ახვლედიანები გაყარეს. მერე კი დაინტერესდნენ, ზოგადად, რა ხდებოდა პორტში. პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ჟვანია სიტუაციაში გასარკვევად შეხვდა ყველა კომპანიას. ბიზნესმენებმა პრემიერს აცნობეს, რომ მათ ათწლიანი იჯარა ჰქონდათ აღებული. ამ შეხვედრიდან ცოტა ხანში „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯეესკოს“ ვანო ჩხარტიშვილი სტუმრობს და სთავაზობს, რომ, თუ ყველა დათმობს 50 პროცენტს, ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი კომპანიის „კოპოლა ვენჩერს ლიმიტედის“ სასარგებლოდ, იჯარის ვადა 25 წლამდე გაეზრდებოდათ და დარჩენილი 50 პროცენტი მათ გაცილებით მეტ მოგებას მოუტანდა. კრებაზე თითქმის ყველა პარტნიორი დასთანხმდა ამ წინადადებას, ვინაიდან კარგად ხედავდა პატარკაციშვილის ძლიერ გავლენებს მაშინდელ ხელისუფლებაზე. გამონაკლისი აღმოჩნდა მხოლოდ ომერ სარი, რომელიც თავის ხუთ პროცენტში დარჩა. უცხოელმა პარტნიორებმა თავისი წილი მთლიანად მიჰყიდეს პატარკაციშვილის კომპანიას. საბოლოოდ ახალ და ძველ პარტნიორებს შორის ჩამოყალიბდა სტატუს კვო, ორმოცდაათი ორმოცდაათზე. თუმცა ყოველთვის არსებობდა საფრთხე, რომ მისი დარღვევის შემთხვევაში, ანუ, თუ რომელიმე მხარე საკონტროლო პაკეტს მოიპოვებდა, შესაძლოა, ყველაფერი თავდაყირა დამდგარიყო. ასე მოხდა კიდეც. 2006 წლის ბოლოს მოულოდნელად „კოპოლას“ წილი 51 პროცენტი გახდა. ერთი პროცენტი ერთ-ერთ პარტნიორს დაუთმია ზეწოლის შედეგად. ამის გარდა კი, სხვა ქართველ პარტნიორს „შეაწერეს“ 5% წილი, იმ მიზეზით რომ თითქოსდა „ზევით“ უნდა მიეტანათ სრული მხარდაჭერის მოსაპოვებლად. რაკიღა ბალანსი დარღვა, ამან ზოგიერთს თავისი წილის ნებით გაყიდვისკენ უბიძგა და საბოლოოდ პატარკაციშვილის კომპანიას 66 პროცენტი მოუგროვდა. ამასობაში პატარკაციშვილი პოლიტიკაში მიდის და მალე გარდაცვლილიც იპოვეს. როგორც ჩვენთან იციან თქმა, გვამი ჯერ გაციებული არ იყო, რომ პარტნიორებს ვანო ჩხარტიშვილის მიერ დანიშნული დირექტორი, ლევან ჯღარკავა ამცნობს, ამიერიდან „კოპოლას“ „სონატა ალიანს ჯორჯია“ ჩაანაცვლებსო. მოგვიანებით გაირკვა, რომ „სონატა ალიანს ჯორჯია“ ჩხარტიშვილის კომპანია იყო, თორემ იმ დროისთვის მისი მესაკუთრით არავინ დაინტერესებულა. კითხვები მას შემდეგ გაჩნდა, რაც გაირკვა, რომ ლევან ჯღარკავას კომპანიის ანგარიშებიდან თანხები არამიზნობრივად გაჰქონდა. ომერ სარის წარმომადგენელი, მამუკა კაკუშაძე „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში აცხადებდა: „ჯღარკავას ფული სადღაც მიაქვს. გვეუბნება, რომ დომინანტი პარტნიორის დავალებებს ასრულებს. გზადაგზა გვაიმედებს, ახლა ამწე უნდა ვიყიდოო, მერე გვითხრა, გემი უნდა ვიყიდოო... ჩვენ გვიხაროდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ თურმე გერგეთის ქუჩაზე ჩხარტიშვილის ოფისის შენახვაში ფულს ჩვენ ვიხდიდით. მერე იღებენ კრედიტს „თიბისი“ ბანკიდან და ფულს აძლევს ფოთის წისქვილკომბინატს, რომელიც, ასევე, ვანოსია. კრედიტს კი ჩვენ ვფარავთ“...

ერთი სიტყვით, არც ამწე გამოჩნდა, არც გემი და ხელისუფლებასთან დაძაბული ურთიერთობის გამო ვანო ჩხარტიშვილიც გაიქცა საქართველოდან, „ჯეესკოსა“ და პრომეტკოს“ კი მესამე, მეოთხე და მეექვსე ტერმინალები ჩამოართვეს, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ჩხარტიშვილთან შეხვედრა ლონდონში შედგა. ის პარტნიორებს დაჰპირდა, რომ, როგორც კი ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვლებოდა, ის დაბრუნდებოდა და ყველაფერს მოაგვარებდა... ეს დღეც

„თუ ივანე ჩხარტიშვილს სურს საქმის წარმოების შეწყვეტა, უნდა აღიაროს დავალიანება ყველა პარტნიორის წინაშე და დაფაროს“

დადგა, მაგრამ დაპირებული მოგვარებული სიტუაციის ნაცვლად ომერ სარი და ვანო ჩხარტიშვილი ამ ეტაპზე სამართალდამცავი ორგანოს საშუალებით არკვევენ ურთიერთობებს. თურქმა ბიზნესმენმა განცხადება ფინანსურ პოლიციაში შარშან შეიტანა. მამუკა კაკუშაძე: „ველოდით, რომ გვეტყოდა, ერთად ვიბრძოლოთ და ტერმინალები დავიბრუნოთო. ის კი საერთოდ აღარ დაგვეკონტაქტა. ამასობაში ჩვენ ამოვწიეთ დოკუმენტები და აღმოვაჩინეთ, რომ ფირმის ანგარიშიდან ჯღარკავას გატანილი აქვს მილიონები. ამ თანხიდან ზოგი გადარიცხულია გერგეთის ქუჩაზე ჩხარტიშვილის ოფისის რემონტისთვის, ფინანსური კონსულტანტების გასასტუმრებლად, არარსებული ამწის შესაძენად და ჩხარტიშვილის წისქვილკომბინატის კრედიტის დასაფარად. სხვათა შორის, ამწის შესაძენად ფული გადარიცხულია კომპანიაზე, რომელიც დარეგისტრირებულია ოფშორში და რომლის სახელიც ძალიან ჰგავს ჩხარტიშვილის საქართველოში არსებული კომპანიის სახელს – მას „სონატა ალიანსი“ ჰქვია. ამიტომაც ვვარაუდობთ, რომ ფირმიდან თანხების გატანა ჩხარტიშვილის დავალებით ხდებოდა, რის შედეგადაც პორტმა გამოგვიშვა ტერმინალიდან, ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. შარშან შევიტანეთ განცხადება ფინანსურ პოლიციაში. იმედი გვქონდა, რომ გამოძიება ყველაფერს დაადგენდა – ან ჩხარტიშვილი იტყოდა სიმართლეს, ან ჯღარკავა განმარტავდა, ვისთან მიჰქონდა ეს ფული“.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ომერ სარი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამ საქმის დეტალებს აკონკრეტებს. თუმცა, ინტერვიუმდე მოგახსენებთ, რომ ბიზნესმენმა საქმის კურსში ჩააყენა საკუთარი ქვეყნის ხელისუფლება. როგორც ირკვევა, მას ახლო ურთიერთობა აქვს პრემიერ ერდოღანთანაც. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმემ დიპლომატიური ურთიერთობის ჭრილშიც გადაინაცვლოს:

– „პრომეტკო ჯორჯია“ და „ჯეესკო“ არიან ის კომპანიები, რომელთა კუთვნილი თანხა, 3 მილიონი აშშ დოლარზე მეტი ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებული კომპანიის შპს „სონატა ალიანს ჯორჯიას“ პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობით უშუალოდ კომპანიების დირექტორის, ლევან ჯღარკავას მიერ გამოტანილია ან გადარიცხულია არამიზნობრივად. ამ თემასთან დაკავშირებით ჩემ მიერ მრავალჯერ იქნა პრესკონფერენცია მოწვეული საქართველოში და უკვე წელიწადზე მეტია განცხადებები შეტანილია როგორც მთავარ პროკურატურაში, ისე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში. სამწუხაროდ, გამოძიება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს და საკითხავია, მიმდინარეობს კი საერთოდ?

– ვანო ჩხარტიშვილი თქვენს მიმართ ვალს არ აღიარებს?

– ერთი პერიოდი ივანე ჩხარტიშვილი საერთოდ უარყოფდა დავალიანების არსებობას და შარშან სასამართლოს სარჩელითაც კი მიმართა ჩემს წინააღმდეგ, თითქოს მე მას ცილს ვწამებდი თანხების მითვისებაში. ჩემ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ, მან სასარჩელო წარმოება შეწყვიტა. მეტიც, ცოტა ხნის წინ მე თურქეთში მეწვია მისი წარმომადგენელი და შემომთავაზა სეპარატიული გარიგება: 200 ათასი ლარის სანაცვლოდ უნდა უარი

„ჩვენმა კომპანიებმა ვანო ჩხარტიშვილის მითითებით სესხი აიღეს კომპანიების საჭიროებისათვის, საიდანაც ეს თანხები ვანოს დავალებით სულ სხვა კომპანიამ – „წისქვილკომბინატმა“ მიიღო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აქართველოში სამართალს ეძებს

მეთქვა ჩემს საჩივრებზე.

– როგორი იყო თქვენი პოზიცია?

– მე შევხვდი ჩემს ქართველ პარტნიორებს და ვაცხადებ, რომ, თუ ივანე ჩხარტიშვილს სურს საქმის წარმოების შეწყვეტა, უნდა აღიაროს დავალიანება ყველა პარტნიორის წინაშე და დაფაროს.

– წინადადება იყო ასეთი: 200 000 ლარს გადაგიხდიდათ, თქვენ გამოიტანდით საჩივარს პროკურატურიდან და ამით ამოიწურებოდა ეს დავა, თუ ის გპირდებოდათ, რომ დანარჩენ თანხასაც დაგიბრუნებდათ?

– ამით უნდა დამთავრებულიყო ჩვენი ურთიერთობა.

– 3 მილიონი, რასაც თქვენ ვანო ჩხარტიშვილს ედავებით, იმ კომპანიებისთვის გადასახდელი თანხაა, სადაც თქვენი წილი 5 პროცენტია. შესაბამისად, დასაბრუნებელი თანხის 5 პროცენტი 200 ათასზე მეტია.

– მე არ ვამბობ, რომ 3 მილიონი ჩემი კუთვნილი თანხაა. ასევე გამოძიებამ უნდა დაადგინოს რა როლი აქვს ვანო ჩხარტიშვილს ჩვენი კომპანიებიდან ამ თანხების გატანაში, ეს კომპანიის თანხაა. თუ ის დაბრუნდება, მერე შემოწმდება შემოსავლები და ხარჯები და მოგებიდან ჩემს წილს მივიღებ. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს თანხა 200 ათას ლარს შეადგენს, თუმცა ჩვენ გვაქვს დოკუმენტი, სადაც „სონატა ალიანს ჯორჯიას“ იმ პერიოდის დირექტორი, ბაია შავიშვილი ადასტურებს, რომ ჩემთვის 330 000 ლარი აქვთ გადასახდელი. ეს არის 2010 წლის დოკუმენტი.

– ხომ შეგეძლოთ, რომ თქვენს წილ თანხაზე შეთანხმებულიყავით რატი ღვამბერიასთან, რომელიც თქვენთან ამ შეთავაზებით მოვიდა?

– მე დიდ პატივს ვცემ ეთიკას და ჩემს ქართველ კომპანიონებს ვერ ვუღალატებ, თუმცა გიდასტურებთ, რომ სამართალდამცველებთან ურთიერთობაში მარტო ვარ და არავინ არის სხვა მოსარჩელე. მე მყავს ქართველი პარტნიორები. ეს არის ჩვენი საერთო საქმე.

– თქვენ გამოთქვამთ ეჭვს, რომ დირექტორი ლევან ჯღარკავა თანხებს მართავდა ვანო ჩხარტიშვილის დავალებით. რამე მტკიცებულება გაქვთ?

– ჩემთვის ცნობილი გახდა ლევან ჯღარკავას ჩვენებების შინაარსი. ის ადასტურებს, რომ კომპანიებს, ფაქტობრივად, მართავდა ვანო ჩხარტიშვილის დავალიანებებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად. საქვეანგარიშოდ გამოტანილი თანხების ნაწილი შეჰქონდა საკუთარ ანგარიშზე, საიდანაც თანხები გაჰქონდა ვანოს დავალებით მის წარმომადგენელს.

– თუ არ ვცდები, რატი ღვამბერია იყო თქვენთან ჩამოსული თურქეთში 200 ათასი ლარის გარშემო გარიგების თაობაზე...

– დიახ, სწორედ ასეა... ლევან ჯღარკავა აღიარებს რომ ჩვენმა კომპანიებმა ვანო ჩხარტიშვილის მითითებით აიღეს სესხი კომპანიების საჭიროებისათვის, საიდანაც ეს თანხები ვანოს დავალებით სულ სხვა კომპანიამ – „წისქვილკომბინატმა“ მიიღო. ლევან ჯღარკავა ჩვენი კომპანიის რამდენიმე მილიონის ასეთ ტრიალს უწოდებს ფულის გადატანის ტექნოლოგიას, რომელიც მას შესთავაზა თურმე ვანო ჩხარტიშვილმა.

– თუ გამოძიებას უკვე აქვს ეს ჩვენება, პრაქტიკულად მისთვის უკვე ყველაფერი ნათელი უნდა იყოს...

– სამწუხაროდ, გამოძიებას, ჩემ გარდა, არავინ დაუკითხავს. ეს ჩვენება ლევან ჯღარკავამ მისცა სასამართლოში, სადაც იხილებოდა დავა პატარკაციშვილის ოჯახსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ გამოძიებას, დაკითხოს ლევან ჯღარკავა, ბაია შავიშვილი (ერთ-ერთი დირექტორი), რატი ღვამბერია და ივანე ჩხარტიშვილი და გაირკვეს, სად წავიდა ჩვენი კომპანიიდან გამოტანილი თუ გადარიცხული მილიონები.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ვანო ჩხარტიშვილმა შეგნებულად გააკოტრა კომპანიები?

– ძალიან უნდა მოინდომო, რომ ასეთი ტიპის კომპანია გააკოტრო. ბიზნესმენია ბატონი ივანეც და თანხის მიღება როგორ არ უნდოდა? როგორც ჩანს, მომენტალური, სახანძრო პრინციპით მოქმედებდა. როცა თანხა დასჭირდებოდა, მაშინ გაჰქონდა... ყოველ შემთხვევაში ლევან ჯღარკავას ჩვენებებიდან ასე ჩანს.

– რით დასტურდება ვანო ჩხარტიშვილის კავშირი კომპანიებთან, სადაც ეს თანხები ირიცხებოდა?

– გვაქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები.

– პრაქტიკულად თქვენ ყველაფერი გაქვთ იმისთვის, რომ გამოძიებამ ძალიან ადვილად გამოკვეთოს ბრალი. თქვენი აზრით, რატომ არ აკეთებს ამას გამოძიება?

– ალბათ იმიტომ, რომ დრო გაჭიმონ და შემდეგ ხანდაზმულობის ვადაც გავიდეს...

– გამოძიება ხომ არ არის დაწყებული? რა ხანდაზმულობაზე საუბრობთ?

– ალბათ, შემდეგ შეთანხმდებიან კვალიფიკაციაზე, ანუ მუხლზე სისხლის სამართლის კოდექსში, რომელსაც ხანდაზმულობის ვადა გასული ექნება...

– ეს, უბრალოდ, თქვენი ვარაუდია, თუ გრძნობთ ჩხარტიშვილის გავლენას გამოძიებაზე?

– ამას ვგრძნობთ მაშინ, როცა მოვლენებს გარედან ვაკვირდებით.

– რას გულისხმობთ?

– ერთადერთხელ დამკითხეს. მერე კი გავიგე, რომ გამომძიებელს მძღოლი ვგონივარ.

– ვისთან დააფიქსირა გამომძიებელმა ეს?

– მე ახლა მიჭირს ამის დაკონკრეტება. ალბათ, თვლიან, რომ ეს არცთუ მნიშვნელოვანი საქმეა და თაროზე აქვთ შემოდებული. ყველანაირად ლოგიკა ასეთია, რომ, სავარაუდოდ, მეორე მხარე მოქმედებს, ოღონდ რამდენად მოქმედებს, ამის შეფასება ჩვენთვის ცოტა რთულია.

– მთელი ამ გამოცდილების მიუხედავად, თქვენ მაინც რჩებით საქართველოში და ბიზნესს განაგრძობთ?

– კი... და არ ვაპირებ წასვლას. პირიქით, ამ ცოტა ხნის წინ ბიზნესმენი მყავდა ჩამოყვანილი, რომ ბიზნესი გაგვეფართოებინა. ამა წლის იანვრის დასაწყისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე წერილობით მივმართეთ ჩვენს კომპანიასთან დაკავშირებული პარტნიორის, საქართველოში ინვესტირებისთვის დაინტერესებული პირის ალექსანდრ მაქსიმოვის ვიზიტთან დაკავშირებით. ჩვენი მოსაზრებით ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა ის ინვესტიცია, რომელსაც ბატონი ალექსანდრე გეგმავდა (იმედი გვაქვს კვლავ გეგმავს) და ვფიქრობთ, რომ მისი შეხვედრები როგორც ბიზნესწრეებთან, ისე ინვესტირებაზე მომუშავე და ფოკუსირებულ სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან დამატებითი შესანიშნავი არგუმენტი იქნებოდა ამ გზაზე. ბატონი ალექსანდრე მაქსიმოვი საქართველოში ამა წლის 31 იანვარს ჩამოვიდა, 1, 2 და 3 თებერვალს მან შეხვედრები გამართა სხვადასხვა ბიზნესმენებთან და 4 თებერვალს, წინასწარი მოლაპარაკებების შემდეგ, შეხვედრა უნდა გამართულიყო ეროვნულ საინვესტიციო საგენტოში, თანაინვესტირების ფონდში, საქართველოს რკინიგზაში და დროის არსებობის შემთხვევაში საქართველოს ვიცე-პრემიერთან. 3 თებერვალს დაგვიკავშირდნენ და აგვიხსნეს, რომ ვითომცდა ბატონი ალექსანდრე მაქსიმოვის ფირმას (დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ინვესტსტროიგრუპი“, ZAO INVESTSTROIGRUP) ინვესტიციები აქვს განხორციელებული სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და მასთან შეხვედრა პოლიტიკური მიზეზით მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ასევე, მათი აზრით, ინვესტორის შეფასების კრიტერიუმებში შედის მისი კერძო თვითმფრინავით ჩამოსვლა საქართველოში, „ფორბსის“ მილიარდერთა სიაში არსებობა, „თბილისი მერიოტში“ გაჩერება (ეს უკანასკნელი კრიტერიუმი ჩვენ მიერ დაკმაყოფილებული იყო!). ბატონი ალექსანდრე მაქსიმოვი არანაირად არ არის დაკავშირებული დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „ინვესტსტროიგრუპთან“, მისი კომპანია იყო შპს „ინვესტსტროგრუპი“ და არა სააქციო საზოგადოება „ინვესტსტროიგრუპი“ (ასეთი დასახელების ათობით კომპანიაა რუსეთის ფედერაციაში და სხვა რუსულენოვან ქვეყნებში). ასეთი დასანანი გაუგებრობა, რომელიც გამოწვეული შეიძლება ყოფილიყო, ჩვენი აზრით, სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მხოლოდ დაუდევრობით ან არაკომპეტენტურობით, გახდა მიზეზი დაუსაბუთებელი ბრალდებისა ბატონი ალექსანდრე მაქსიმოვის მიმართ, რომელმაც ასეთი დამოკიდებულებით შეურაცხყოფილმა უკვე დატოვა საქართველო.

– რა ოდენობის ინვესტირებას გეგმავდა ის?

– დაახლოებით 200 მილიონის ჩადებას აპირებდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში. ჩემს წარმომადგენლებს ჰქონდათ შეხვედრები ეკონომიკის მინისტრთან და მის მოადგილესთან და მათ სინანული გამოთქვეს მომხდარი გაუგებრობის გამო, მაგრამ ფაქტია, სახელისუფლებო წრეებში ვილაცებს არ აწყობდათ მსხვილი ბიზნესმენის გამოჩენა საპორტო ინფრასტრუქტურაში და მათ ყველაფერი გააკეთეს საქართველოდან მისი გაძევებისთვის.

– მოდით, ისევ ძირითად თემას დავუბრუნდეთ: ვანო ჩხარტიშვილთან საქმის მოლაპარაკებით დასრულებას გამორიცხავთ?

– არანაირ ცალკე მოლაპარაკებებს არ ვცნობ. მეტიც, ასეთი შეპირებები, რომ თანხები იქნება გადახდილი, წლებია გვესმის და არანაირი პრაქტიკული ნაბიჯით ეს არ არის გამაგრებული. მეტიც, საქართველოში ჯერჯერობით სამართალს ვერ მივაღწიე. ამიტომ მე განცხადებით უკვე მივმართე ჩემი სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირებს, რომ მათ იმოქმედონ შესაბამისი ურთიერთობით საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა აღდგენილი იქნას ჩემი შელახული უფლებები და დაცული იქნას ჩვენი კანონიერი ინტერესი.

– კონკრეტულად ვინ ჩააყენეთ საქმის კურსში?

– თურქეთში მე მყავს მეგობრები მთავრობაში, მინისტრები. პრემიერ ერდოღანი ჩემი ძმის მეგობარია. ის ჯერ არ არის საქმის კურსში, თუმცა უახლოეს მომავალში ჩავაყენებ. მანამდე კი საქმეში მთავრობის სხვა წევრები ჩაერთვნენ. შესაბამისად, დაახლოებით ერთი თვის წინ მივმართე ჩვენს საელჩოსაც საქართველოში. იმედი მაქვს პოლიტიკური არხებით პრობლემის გადაწყვეტა არ დამჭირდება.

ჩვენი მხრიდან დავამატებდით უცხოელი ინვესტორი ისეთ დღეში არ უნდა ჩავაგდოთ რომ გარბოდნენ საქართველოდან და გულდასმით, კანონის ფარგლებში, უნდა განვიხილოთ ნებისმიერი საჩივარი. წინააღმდეგ შემთხვევაში არც უნდა ველოდოთ ინვესტიციების შემოდინებას ქართულ ეკონომიკაში.

„ერთი პერიოდი ივანე ჩხარტიშვილი საერთოდ უარყოფდა დავალიანების არსებობას“

„განცხადებით უკვე მივმართე ჩემი სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობის პირებს, რომ მათ იმოქმედონ შესაბამისი ურთიერთობით საქართველოს ხელისუფლებაზე, რათა აღდგენილი იქნას ჩემი შელახული უფლებები და დაცული იქნას ჩვენი კანონიერი ინტერესი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გამოძიება ნარკოტრა
საქმეზე მფარველე

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„ჩვენი სამინისტრო ძალიან აქტიურია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ, ამის დასტურია უპრეცედენტო რაოდენობის ჰეროინის ამოღება. ჩვენ არც ერთი წუთით არ ვაპირებთ, მოვუყრუოთ ამ საკითხს“, – ეს არის ციტატა ალექსანდრე ჭიკაიძის ინტერვიუდან, რომელიც „პრაიმტაიმმა“ რამდენიმე თვის წინ გამოაქვეყნა. მაშინ შს მინისტრი სამართალდამცველების მიერ 116 კილოგრამი ჰეროინის ამოღების ფაქტს გამოეხმაურა, თუმცა ეს რეკორდი სულ ახლახან მოიხსნა, როდესაც ქართველმა სამართალდამცველებმა 3 ტონამდე თხევადი ჰეროინით დატვირთული ტრაილერი დააკავეს.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი ხდება ამ გახმაურებული საქმის რამდენიმე საინტერესო დეტალი. პირველ რიგში, დავიწყოთ მარშრუტით: 2 ტონა და 997 კილოგრამი თხევადი ჰეროინი ავღანეთის ტერიტორიაზე დაიტვირთა, ნარკოკარტერმა უპრობლემოდ მოახერხა ტვირთის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გატარება, რის შემდეგაც ტრაილერი საქართველოს საზღვარს მოადგა. როგორც ირკვევა, ქართველ სამართალდამცველებს წინასწარ ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია საქართველოში დიდი ოდენობით ჰეროინის შესაძლო შემოსვლის შესახებ. ამიტომაც იმ დღეებში ყველა ტვირთი განსაკუთრებულ შემოწმებას გადიოდა.

ნარკოკარტერი იმედოვნებდა, რომ პოლიეთილენის ბოცებში დაფასოებული თხევადი ჰეროინი, რომლის ღირებულება შავ ბაზარზე 400 მილიონს აჭარბებს, ასევე უპრობლემოდ გაივლიდა საქართველოს ტერიტორიას, გადავიდოდა თურქეთში, საიდანაც ნარკოტიკული საშუალება ევროპის ქვეყნებში უნდა მოხვედრილიყო. ჯაჭვი საქართ-

ველოში გაწყდა...

შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღნიშნულ საქმეზე სამართალდამცველები რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ, თუმცა დამატებით ინფორმაციას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე არ ახმაურებენ. ცნობილია ის, რომ ფაქტზე დაკავებულია საქართველოს ორი და თურქეთის ერთი მოქალაქე. ძნელი წარმოსადგენია, რომ ამ რაოდენობის ნარკოტიკების ტრანზიტს მხოლოდ ეს სამი პიროვნება ახდენდა, შესაბამისი მფარველებისა და ნარკომაფიის ლიდერებისგან დამოუკიდებლად. ამიტომაც, სავარაუდოდ, გამოძიების პროცესში კიდევ არაერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი გამოიკვეთება.

„პრაიმტაიმს“ შსს-ში დაუდასტურეს, რომ მიმდინარეობს მუშაობა ნარკოტრანზიტის მფარველების გამოსავლენად.

„რა თქმა უნდა, დაინტერესებულნი ვართ და მიდის მუშაობა, რათა დავადგინოთ, წლების განმავლობაში ვინ იდგა ამ ტრანზიტის უკან საქართველოში. როგორც ხედავთ, ბოლო ერთი წლის

გასულ წლებში ჰეროინის ყველაზე დიდი ოდენობა 2010 წელს ამოიღეს და ეს იყო 1 კგ და 271,4 გრ. მომდევნო წელს ამოღებულია მხოლოდ 886,88 გრ; 2012 წელს – 291 გრ, 2013 წელს კი 117 – კგ და 623,17 გრ. 2014 წლის ზუსტი სტატისტიკა ჯერ უცნობია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში ეს ციფრი არა კილოგრამებს, არამედ ტონობით ჰეროინს მოიცავს

განმავლობაში დიდი რაოდენობის ჰეროინის პარტიების გარდა, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა ყოველდღიურ რეჟიმში მიდის, მედიით შუქდება, რა რაოდენობის ნარკოტიკების ამოღება ხდება. სახელმწიფო პოლიტიკა მთლიანად შეცვლილია ამ მიმართულებით და ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა გამკაცრებულია“, – განუცხადეს „პრაიმტაიმს“ შსს-ში.

„მწვანეთა პარტიის“ ლიდერი, დეპუტატი გია გაჩეჩილაძე საერთაშორისო ნარკოკარტერის ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კავშირზე ღიად საუბრობს. მისი თქმით, საქართველო 2005-2006 წლიდან ავღანური ჰეროინის „ტრასად“ იყო გამოყენებული.

„ჩვენ ამასთან დაკავშირებით 2009 წელს გვქონდა პრესკონფერენცია. როდესაც გაეროს შესაბამისი სამსახურების სენსაციური მასალები გამოვიტანეთ, იმის შესახებ, როგორ გადაიქცა საქართველო ავღანური ჰეროინის „ტრასად“ 2005-2006 წლიდან. პირდაპირ გეტყვით, ფოთის პორტიდან ტრაილერებით შემოდიოდა და გადიოდა ევროპასა და უკრაინაში. ნაწილი რჩებოდა საქართველოში და მისი ხელშეუხებლობა გარანტირებული იყო ნარკოქსელის საშუალებით. ეს არის ასეულობით მილიონ დოლართან დაკავშირებული“, – აცხადებს გაჩეჩილაძე.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, ეკა ბესელიას ვარაუდით კი, ნარკოდანაშაულს წინა ხელისუფლებაში სერიოზული მფარველები ჰყავდა. ბესელია არ გამორიცხავს, რომ მალე საზოგადოებისთვის ეს საქმეები ცნობილი გახდეს.

„ზოგადად, ნარკოდანაშაულს სერიოზული მფარველები ჰყავდა წინა ხელისუფლებაში. იყო სერიოზული ფაქტები. არ გამოვრიცხავ, რომ ეს საქმეები გაიხსნას. დღეს ვითარება კარდინალურად შეიცვალა. მას შემდეგ, რაც შსს-მ კლასიკური ნარკოტიკების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა გამოაცხადა, აქტუალური გახდა ბიონარკოტიკები. ამიტომაც მივიღეთ რამდენიმე კანონი, რომლის საფუძველზე სინთეტიკური ნარკოტიკის კრიმინალიზაცია მოხდა. ეს გამოწვევაა და კარგია, რომ ბატონი ჭიკაიძის უწყება ამ მხრივ, ყურადღებას არ ადუნებს“, – აცხადებს ეკა ბესელია.

ნარკოტრანზიტის საქმეს გამოეხმაურა პრემიერ–მინისტრიც. ღარიბაშვილის განმარტებით, ამ ოდენობის ნარკოტიკი სამართალდამცავებს არასოდეს ამოუღიათ.

„მართლაც დასაფასებელია ის მუშაობა, რასაც ლექსო ჭიკაიძის უწყება ახორციელებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა იყოს მკაცრი. გასულ წლებში ჩვენ არასოდეს გვინახავს არათუ მსგავსი, არამედ მიახლოებული ოდენობის ნარკოტიკების ამოღების ფაქტი. გასულ წელს ჩვენ ამოვიღეთ 116 კილოგრამი, რაც რეკორდული რაოდენობა იყო, თუმცა ლექსო ჭიკაიძემ ეს რეკორდი მოხსნა და მინდა, კიდევ ერთხელ მივულოცო“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, ეს საბოლოო ჯამში ქვეყანას აძლიერებს და საქართველოს პოზიტიური იმიჯის ფორმირებას უწყობს ხელს.

„პრაიმტაიმი“ ექსპერტების მოსაზრებითაც დაინტერესდა. ისინი ერთხმად

მიუთითებენ, რომ ამ რაოდენობის ნარკოტიკების უკან სერიოზული ფიგურები დგანან, რასაც გამოძიება და ბოლომდე მიყვანა სჭირდება. მაგალითად, ექსპერტი მამუკა არეშიძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ მას ამ მასშტაბის ნარკოტრანზიტის გამოვლენის ფაქტი არა თუ საქართველოში, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც კი არ ახსენდება.

„დიახ, მსგავსი მასშტაბის ფაქტი პოსტსაბჭოთა სივრცეშიც არ მახსოვს. ცოტა ხნის წინ საქართველო-სომხეთის საზღვარზე 100 კილოზე მეტი ნარკოტიკი ამოიღეს, მაგრამ ეს რაოდენობა უპრეცედენტოა. ყველაზე მეტად იმ ჯგუფის თავხედობამ გამაოცა, ვისაც ნარკოტიკი გადაჰქონდა. როგორც ვიცით, მას თხევადი საპნის სახე ჰქონდა. ნებისმიერ მებაჟეს გაუჩნდება ეჭვი, რად უნდა თურქეთს აზერბაიჯანში დამზადებული ამდენი თხევადი საპონი? არ ვიცი, წინასწარი ინფორმაცია ჰქონდათ თუ არა საბაჟო სამსახურსა და სამართალდამცველებს, მაგრამ ფაქტია, ძალიან დიდი მნიშვნელობის ოპერაცია ჩატარდა. აქ დაახლოებით 500 მილიონ დოლარზეა საუბარი.

როგორც ჩანს, ის ჯაჭვი გაწყდა, რომელიც ადრე იყო ნარკოტრანზიტის უზრუნველყოფის მიზნით“, – აცხადებს არეშიძე.

ექსპერტ კახი კახიშვილის შეფასებით კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალიან სერიოზული შრომა მოუწევს იმისთვის, რომ იმ პირების ვინაობა გამოვლინდეს, ვინც ამ საერთაშორისო დანაშაულში იყვნენ ჩართული.

„იმ ინფორმაციით, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელდა, ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ნარკოტრანზიტს. დარწმუნებული ვარ, ეს იყო აპრობირებული მეთოდი და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ალბათ, სხვა კოლეგებთან ერთად აღნიშნული ტრანზიტი აღკვეთოს და, ჩემი აზრით, გამოძიება ახლა საერთაშორისო მასშტაბით იმუშავებს, კონკრეტულად, როგორც გადამზიდავების დადგენის, ასევე იმ ადამიანების გამოვლენის მიზნით, რომლებიც ამ ძალიან საშიში ნარკოტიკული ნივთიერებების გადაზიდვა-გასაღებაში იყვნენ ჩართული. ისინი წამლავდნენ ძალიან ბევრ ადამიანს. ამიტომაცაა ძალიან მნიშვნელოვანი ამხელა, უპრეცედენტო რაოდენობის ნარკოკარტელის გამოვლენის ფაქტი“, – აცხადებს კახიშვილი.

მისი თქმით, მსგავსი ტიპის დანაშაულს სერიოზული მფარველების გარეშე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნზიტის გახმაურებულ ბის კვალს დაადგა

ადგილი ვერ ექნებოდა.

„მსგავსი რამ სერიოზული მფარველების გარეშე არ ხდება. ალბათ, აქ იყო ძალიან დიდი პირთა ჯგუფი და ეს ერთი და ორი ადამიანის გაკეთებული არ იქნება. იმავდროულად ამაში არ იქნება ჩართული მარტო ერთი ქვეყანა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ასეთი სქემის აწყობა, რადგანაც წინასწარი გარანტიების გარეშე ამას არავინ გარისკავდა. როდესაც ამხელა რაოდენობის ნარკოტიკი კვეთს სახელმწიფოების საზღვრებს, მას ჰყავს ძალიან სერიოზული ბერკეტის მქონე პირები. ამიტომაც დიდი სამუშაო მოელის შსს-ს, კონკრეტულად იმ პირების დასადგენად, ვინც ამ ბინძურ ბიზნესში იყვნენ ჩართულნი“, – აცხადებს კახიშვილი.

რამდენად ძლიერი ნარკოტიკია თხევადი ჰეროინი, რომლის გადატანასაც ცდილობდნენ საქართველოს გავლით? სპეციალისტების თქმით, მას ვენაში შეყვანისას ყველაზე ძლიერი და ადეკვატური მოქმედება აქვს. ნარკოლოგ გელა ლეჟავას განცხადებით, თხევადი ჰეროინის აორთქლების გზით ჰეროინი ფხვნილის სახითაც მიიღება.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ლექსო ჭიკაიძემ ეს რეპორტი მოხსნა“

„საერთოდ, ჰეროინი მოიხმარება თხევად მდგომარეობაში. ანუ ნებისმიერი ფხვნილი შესაბამის ხსნარში ზავდება და ინექციური გზით კეთდება. არის ვარიანტი, როდესაც ჰეროინს ყლაპავენ, თუმცა მისი ზემოქმედება ძალიან სუსტია, უფრო ხშირია, როცა ყნოსავენ, მაგრამ ისიც სუსტია, ამიტომ ყველაზე ძლიერი და ადეკვატური მოქმედება აქვს, როცა ვენაში შეჰყავთ. სწორედ ამიტომ ნარკომანისთვის ყველაზე სასურველი ვარიანტი თხევადი ჰეროინის შეყვანაა, თუმცა რა კონცენტრაციაა ამისთვის საჭირო, ამის თქმა გამიჭირდება“, – განაცხადა გელა ლეჟავამ.

ცნობილია, რომ ალექსანდრე ჭიკაიძემ მინისტრად დანიშვნისთანავე მთავარ პრიორიტეტად ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა დაასახელა. მისი ინიციატივით მოხდა კანონპროექტების ინიცირება. მმართველ გუნდში განმარტავენ, რომ კანონში მიღებული ცვლილებების შედეგად 90 პროცენტით შემცირდა როგორც ე.წ. „კრაკადილის“, ასევე ბიოს მოხმარება. კონკრეტულად ცვლილებები შეივიდა „ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების შესახებ“ საქართველოს კანონში და „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ და „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონებში.

თანმიმდევრობით მივყვეთ ნარკოპოლიტიკას, რომელიც ჭიკაიძის უწყების მიერ ხორციელდება:

პირველი ნაბიჯი ე.წ. კრაკადილის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გადაიდგა. 15 მარტიდან მოქმედებს ახალი კანონი. ამ ცვლილებების მიღებამდე კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცვლელი კომბინირებული საშუალებები არ განეკუთვნებოდა ნარკოტიკების სიას. ამ ცვლილებებით კი კოდეინის შემცვლელი სამკურნალო საშუალებები შევიდა ნარკოტიკების, დანარჩენი კი ფსიქოტროპულების სიაში. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, თუ აფთიაქი ამ ნივთიერებათა შემცველობის წამლებს რეცეპტის გარეშე გასცემს, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება, როგორც აფთიაქის მფლობელს, ასევე პროვიზორს. მანამდე ამ პრეპარატების რეცეპტის გარეშე გაყიდვისთვის დაწესებული იყო მხოლოდ ფულადი ჯარიმა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ კანონის მიღების შემდეგ ე.წ. კრაკადილის მოხმარება 90 პროცენტით შემცირდა.

მეორე და, ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა სინთეტიკური ნარკოტიკების კუთხით. 1 მაისიდან ამოქმედდა კანონი ბიონარკოტიკების წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ფლობა, შეძენა-შენახვა, გადაზიდვა-გადატანა, წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და 5 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

შსს: „დაინტერესებულნი ვართ და მიდის მუშაობა, რათა დავადგინოთ წლების განმავლობაში ვინ იდგა ამ ტრანზიტის უკან საქართველოში“

დაბოლოს, კვლავ ჰეროინი. ჩვენ დადგან საერთაშორისო მნიშვნელობის ნარკოტრანზიტის საქმე გახსნეს და ეს მათ ნამდვილად დაიმსახურეს“, – განმარტეს შსს-ში.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით საქართველო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც მოხვდა. 2014 წლის საერთაშორისო ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ „2013 წელს საზღვრის უსაფრთხოების ზომების გაძლიერებამ და გამოძიებისა და ინსპექტირების მიმართ უფრო პროაქტიურმა მიდგომამ გამოიწვია ნარკოტიკული საშუალებების ამოღებების მნიშვნელოვანი ზრდა. 2013 წელს საქართველოს პოლიციის მიერ ამოღებული 116 კილოგრამი ჰეროინის ფაქტი, წარმოადგენს საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ამოღების ყველაზე დიდ ოდენობას“.

ანგარიშში, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 2013 წლისთვის საქართველოს მთავრობამ გაზარდა ნარკოტიკებთან დაკავშირებული მკურნალობისა და პრევენციის ზომების დაფინანსება.

სტატიის დასასრულ, გაგაცნობთ მოკლე სტატისტიკას, რომლითაც ირკვევა, რომ გასულ წლებში ჰეროინის ყველაზე დიდი ოდენობა 2010 წელს ამოიღეს და ეს იყო 1 კგ და 271,4 გრ. მომდევნო წელს ამოღებულია მხოლოდ 886,88 გრ; 2012 წელს – 291 გრ, 2013 წელს კი – 117 კგ და 623,17 გრ. 2014 წლის ზუსტი სტატისტიკა ჯერ უცნობია, თუმცა უკვე ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში ეს ციფრი არა კილოგრამებს, არამედ ტონობით ჰეროინს მოიცავს.

ეკა ბესელია: „ნარკოდანაშაულს სერიოზული მფარველები ჰყავდა წინა ხელისუფლებაში. იყო სერიოზული ფაქტები. არ გამოვრიცხავ, რომ ეს საქმეები გაიხსნას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნაციონალების ახალი კრიზისი
ულიდეროდ და უიდეოდ დარჩენილი ოპოზიცია

ქეთი ხატიაშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“ ახალი სერიოზული კრიზისის წინაშე დგას. ერთი კრიზისი მათ უკვე გადაიარეს – წაგებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციურ პარტიად დარჩნენ და გადარჩნენ. იმდენად მყარად დადგნენ ფეხზე, რომ მერობის არჩევნებზე მეორე ტურშიც მოახერხეს გასვლა. ეს სერიოზული მიღწევაა. აქამდე დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში სახელისუფლებო პარტია ოპოზიციაში არ გადასულა.

ტრადიცია გაგრძელდა. სააკაშვილმა – კორუფციის სახელით, ივანიშვილმა სამართლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებების მთელი სერია განახორციელეს

„ნაციონალური მოძრაობა“ ახლა ისე ჩანს, კრიზისის ახალ ფაზაში გადადის. ის პოლიტიკური ლიდერის გარეშე რჩება. „ნაციონალური მოძრაობის“ საყრდენი ფიგურები ან საზღვარგარეთ იმყოფებიან ან ციხეში. როგორ შეხვდება და გადაიტანს ამ სირთულეს გამოცდილი პარტია, ჯერ უცნობია. გაურკვეველია, როგორ სტრატეგიას აირჩევს ის ახლა, როცა სხვადასხვა – ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, მაგრამ გავლენებითა და პოლიტიკური გამოცდილებით სერიოზული ფიგურების გუნდები ერთმანეთის პირისპირ მარტო დარჩნენ, შეძლებენ ისინი ერთიანობის შენარჩუნებას? პოლიტიკური მაგნიტის როლში უკვე აღარავინ ჩანს. ეს მათთვის სერიოზული გამოცდა იქნება.

სააკაშვილის შემდეგ პარტიაში ლიდერის როლს გიგი უგულავა თამაშობდა, თუმცა მისმა დაკავებამ პარტია თითქმის უთავოდ, ანუ ულიდეროდ დატოვა. დავით ბაქრაძე, რა თქმა უნდა, საინტერესო ფიგურაა, მაგრამ მაგნიტის როლს, ალბათ, ვერ შეასრულებს. საპრეზიდენტო არჩევნებში მან 21% აიღო. ნიკა მელიამ მერის არჩევნების მეორე ტურში – 27%. არის კიდევ მესამე პოტენციური და ამბიციური პოლიტიკური ფიგურა – გიორგი ვაშაძე, რომელიც პრაიმერში საკუთარი კანდიდატურის დაყენებას აპირებდა, თუმცა საბოლოოდ კანდიდატურა ნიკა მელიას სასარგებლოდ მოხსნა.

საქმე ის არის, რომ ვაშაძეს მაშინ უგულავასთან სურდა დაპირისპირება, მელიას კანდიდატურამ, – რომელიც საბოლოოდ შეირჩა პრაიმერისთვის და რომელსაც გიგი უგულავა ლობირებდა, – აღარ მოხიბლა და უკან დაიხია.

ანუ ნაცებს სამი პოლიტიკური ლიდერი ჰყავთ, თუმცა მათგან ვერც ერთი მაგნიტის როლს ვერ ითამაშებს. თავისთავად, ნაციონალების ლიდერად რჩება გიგა ბოკერიაც. არის მოლოდინი, რომ ნაციონალები მაინც დაიშლებიან. წითელი ხაზი ამ დროისთვის ვაშაძესა და მელიას შორის გაივლო, რომელთა მომხრეებმა სოციალურ ქსელებშიც ერთმანეთით გაღიზიანება არ დამალეს.

ვის დარჩება პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ და ვინ გადაწყვეტს, საკუთარ გუნდთან ერთად, ცალკე გავიდეს? ეს ჯერ ძნელი სათქმელია. შესაძლოა, ამბიციები მართლაც ყველამ გვერდით გადადოს და ერთიან გუნდად დარჩნენ, რაც ქართული პოლიტიკისთვის საოცრების ტოლფასი იქნება.

საინტერესოა, რომ ნაციონალები პირველად არიან ოპოზიციაში. მანამდე ისინი ყოველთვის ვერტიკალის ნაწილი იყვნენ. არათუ პარტიას, პოლიტიკურ ფიგურებსაც კი არ აქვთ ოპოზიციაში ყოფნის გამოცდილება.

ჩემი აზრით, მათ ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის მზადება იჩქარეს... საქართველოში სხვა პოლიტიკური ძალაც უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც ასევე პროდასავლური იქნება. ნაცებსა და ქოცებს შორის განსხვავება მხოლოდ რუსეთისადმი დამოკიდებულებაა. ნაცები უფრო რადიკალურები არიან, ქოცები კი – უფრო პრაგმატულები.

სხვა მხრივ, მოვლენები ქართულ პოლიტიკაში თითქმის ერთნაირად განვითარდა. სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში ვარდების რევოლუციით და ხალხს კორუმპირებული მინისტრების დაჭერას დაჰპირდა. ასე რომ, ის იძულებული იყო, ეს გაეკეთებინა – ხალხი დაჭერებს ელოდა. მაშინ შევარდნაძის ხელისუფლებიდან 7 მინისტრი დააკავეს. სააკაშვილის პირობა შევარდნაძის დაკავებაც იყო, თუმცა დასავლეთმა უფლება არ მისცა და მაშინ ვარდების ხელისუფლებამ მისი სიძე – ჯოხთაბერიძე დააკავა. ექსპრეზიდენტის ოჯახი იძულებული გახდა, სოლიდური თანხა გადაეხადა.

ახლა „ქართული ოცნების“ ჯერია, ისინიც ხელისუფლებაში მოვიდნენ და ხალხს სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდნენ, რაც, თავის მხრივ, დაჭერების სერიალს ითვალისწინებდა. და თუმცა სააკაშვილის მინისტრები და ყოფილი მერიც კი დაკავებულია, ზოგიერთები მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ სააკაშვილს ბორკილები არ ადევს.

ტრადიცია გაგრძელდა. სააკაშვილმა – კორუფციის სახელით, ივანიშვილმა სამართლიანობის აღდგენის მიზნით დაკავებების მთელი სერია განახორციელეს.

დავით უსუფაშვილმა ნაციონალების გადარჩენა დემოკრატიის ინტერესად მონათლა და პოლიტიკურად ეს, რა თქმა უნდა, სწორი განცხადება იყო. მაშინ ყველამ ჩათვალა, რომ უსუფაშვილმა ნაცები დაიცვა, თუმცა, სინამდვილეში მან ამით ახალი ხელისუფლების კეთილგონიერებასა და დემოკრატიულობას გაუსვა ხაზი. მაგრამ ხალხმა შურისმაძიებელ „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, კეთილგონიერების გამო ისინი არ აურჩევიათ. და ძალიან ძნელია საზოგადოებრივ აზრს დაუპირისპირდე, როცა, პარალელურად, გადარჩენილი ნაციონალები უუნარო ხელისუფლებას გიწოდებენ... არამხოლოდ ხალხს უნდა შეუსრულო დაპირება, გიწევს, ოპოზიციასაც დაუმტკიცო, რომ სულაც არ ხარ უუნარო ხელისუფლება. ასე რომ, ნაცების მხრიდან ასეთი რადიკალური განცხადებები საბედისწერო შეცდომაა.

საბედისწერო შეცდომა იქნება მათი მხრიდან ხელისუფლებაში მოსვლისთვის ხელოვნური პირობების შექმნაც. ულიდერობის გარდა, ჯერჯერობით არ არსებობს ის იდეა, რომელიც ხალხს მათ გარშემო შეკრავდა. ნაციონალებს საკუთარი სტაბილური ამომრჩევლის გარდა, სხვა სეგმენტის მიზიდვის ენერგია არ აქვთ. ნაციონალები ამ ეტაპზე ამ მიმართულებით იდეის კრიზისსაც განიცდიან.

რუსეთი ასეთ იდეად ვერ იქცევა, ვერც შევარდნაძის დროს იქცა. მაშინ ევროსაბჭოს წევრები გავხდით, ახლა კი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. ვერც კონფლიქტები გამოდგება ვითარების შემოსაბრუნებლად – რუსეთმა სოხუმიც აღიარა და ცხინვალიც. რამდენჯერმე ითქვა, რომ სოციალური ფონი იქნება ნაღმი, რომელზეც ახალი ხელისუფლება აფეთქდება. თუმცა, თუკი ევროპული ბაზარიც გახსნილია და რუსულიც, მაშინ ვითარება ამ მიმართულებითაც შეიცვლება.

რა იქნება ის ახალი იდეა, რაც ნაციონალებს პოლიტიკური მაგნიტის მიზიდულობას დაუბრუნებს? უნდა ვაღიაროთ, რომ ნაციონალებს ჯერ ამ იდეის პოვნაც გაუჭირდებათ. მათდამი ნდობა ამ ეტაპზე საკმაოდ დაბალია. ხშირ შემთხვევაში ხალხი მათგან სიმართლესაც არ იღებს, ისევე როგორც სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებში ოპოზიციას ჰქონდა ფუფუნება, ნებისმიერი ტყუილი თამამად ეთქვა სააკაშვილზე, იმიტომ რომ იცოდა, ხალხი დაუჯერებდა.

როგორ ან როდის გამოვლენ ნაციონალები ამ კრიზისიდან, ძნელი სათქმელია. პარტია თუ დაიშლება, მათი რეიტინგი მართლაც გაქრება რადარებიდან. თუმცა პოლიტიკაში წინასწარ ვერაფერს გათვლი...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის პერსპექტივა არ არსებობს

ქეთი ხატიაშვილი

ქართული პოლიტიკა მარტივ მამრავლებად დაიშლება თუ პოლიტიკაში ორი ძირითადი (ქოცები და ნაცები) და ერთიც დამატებითი (ნინო ბურჯანაძის) პარტია შენარჩუნდება, ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია... ეს ის შემთხვევაა, როცა ნაცები ქოცების პოლიტიკურ დღის წესრიგს განსაზღვრავენ და პირიქით. ანუ, თუ ნაციონალები დაიშლებიან, მაშინ არ არის გამორიცხული, კოალიცია „ქართული ოცნებაც“ დაიშალოს.



„კულუარებში ამტკიცებენ, რომ ვასაძე 2016 წლისთვის სათანადოდ მოემზადება, სავარაუდოდ, ის ტრადიციების დაცვისა და მეფის ინსტიტუტის შემოღების ლოზუნგით გამოვა“

„არ ველოდები პოლიტიკურ მინისძვრებს და ძალთა ახალ განლაგებას“

კოალიციის დაშლა კულუარული ინფორმაცია სულაც არ არის. პირველად ამ თემაზე თავად ივანიშვილი ალაპარაკდა, როცა პრემიერი იყო. მაშინ მან ისიც თქვა, დაშლა პირველად რესპუბლიკელებმა გააპროტესტესო. თუმცა, კოალიცია წმენდას დაშლის გარეშეც ახერხებს. კოალიციას უკვე გამოეყვნენ ერთკაციანი პარტიები. სავარაუდოდ, მმართველი კოალიცია გადახალისების პროცესს გააგრძელებს.

დიდი ალბათობით არც ნაცები დაიშლებიან, სანამ განადგურების საფრთხეს გრძნობენ.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, მისი პროპუტინისტური პარტიის არსებობა დემოკრატიის ნიშანია. ბურჯანაძეს არ უნდა ჰქონდეს იმის საბაბი, რომ თქვას, – მე გაცილებით მეტი მხარდამჭერი მყავს, შემიძლია ქვეყნის მართვა, ხალხი მხარს მიჭერს, ხელისუფლება ახორციელებს ჩემზე ზეწოლასო. ამას ბურჯანაძე სააკაშვილის დროს ამბობდა და არჩევნების გაყალბების მოტივით არც ერთ საარჩევნო პროცესში არ მონაწილეობდა.

ახლა ბურჯანაძეს მოუწევს, აღიაროს, რომ არც ის და არც პუტინი საქართველოში პოპულარულები არ არიან და რომ ხალხი, უბრალოდ, მხარს არ უჭერს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს. რეალობაა ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობის 10%-ს პრორუსული განწყობები აქვს და თავისი პოლიტიკური „კუმირი“ თუ სჭირდება, მისცემს კიდეც ხმას.

მნიშვნელოვანი იყო, რომ პარლამენტში არც ანტიდისკრიმინაციულ კანონს და არც ევროკავშირთან ხელმოწერილ დოკუმენტის რატიფიცირებას მოწინააღმდეგე არ ჰყავდა. ნაცებიც და ქოცებიც აქ ერთსულოვნები იყვნენ. და ბურჯანაძის მსგავსად არავის უთქვამს, რომ ევროპა ეს ერთსქესიანთა ქორწინებაა.

ანუ ქართულ პოლიტიკაში არიან რუსეთისადმი რადიკალურად განწყობილი ნაცები, დაბალანსების მომხრე ქოცები და პროპუტინისტი ნინო ბურჯანაძე. ანუ ორი პროდასავლური ძალაა ნაცები და ქოცები და ერთიც პრორუსული.

და თითქოს არც დარჩა სხვა პოლიტიკური ძალისთვის ადგილი, თუმცა, ერთკაციანმა თუ ვაჭარმა პოლიტიკურმა ფიგურებმა პოლიტიკურ პროცესში ჩართვის სურვილი მაინც დააფიქსირეს. ბევრი ახალი პოლიტიკური ძალის შექმნაზე ალაპარაკდა. ყველას ესმის, რომ პოლიტიკაში სივრცე ახლა იმდენად დაკავებულია, რომ მხოლოდ განსაკუთრებული ავტორიტეტის ადამიანს შეუძლია, პოლიტიკური მზის ქვეშ ადგილი მოიპოვოს. ასეთ ავტორიტეტად ჩათვალეს ლევან ვასაძეც, ეკლესიაც, უკიდურეს შემთხვევაში ნაცებიდან წამოსული ფიგურა მაინც. მოკლედ, სულერთია, მთავარია, პოლიტიკური თამაშის მიღმა დარჩენილი პარტიები გააცოცხლოს.

ლევან ვასაძე თავისი კავშირებით იგივე ეკლესიაში ბევრისთვის ნამდვილ ფორტუნად გამოიყურებოდა. ისინი ანტიევროპულ ტალღაზე დაჯდნენ და ტრადიციების დაცვის მოთხოვნით გამოვიდნენ. ეს, ასე ვთქვათ, პროქართული ორიენტაციაა, რომელიც რეალურად პროპუტინისტების დაფინანსებული კამპანიაა, სხვა შემთხვევაში გაუგებარია, ვინ ართმევს საქართველოს საკუთარ ტრადიციებს. ტრადიციების დაცვის ლოზუნგით ეკლესიაში გარკვეულმა ძალებმა დაიწყეს პოლიტიკაში მათი გარანტირებულად „ჩასმის“ მოთხოვნა.

მამა ელიზბარი:

– აუცილებელია, მართლმადიდებელი ეკლესია ღიად ერეოდეს პოლიტიკაში. ოღონდ პრეფექტად კი არ უნდა დაინიშნოს მარტო. ბატონ ზვიად გამსახურდიას ეს გადასარევად ჰქონდა, მაშინდელ უზენაეს საბჭოში სასულიერო პირებიც იყვნენ წარმოდგენილნი. იმიტომ რომ, როდესაც საკანონმდებლო ორგანოსთან გვაქვს საქმე, არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ადათ-წესები და ტრადიციები. აუცილებელია მათი გათვალისწინება. მე ქართველი ვარ და ვერ მოვიქცევი, როგორც ამერიკელი, ან რუსი. ჩემთვის მარტო ჩემი ტრადიციებია მნიშვნელოვანი და მისაღები. თუ თავის დროზე ეკლესია არ ჩაერეოდა პოლიტიკაში, არ გვეყოლებოდა დავით აღმაშენებელი, ვერ მივიღებდით გრიგოლ ხანძთელს. მიმაჩნია, რომ საკანონმდებლო ორგანოში, ინგლისის პარლამენტის მსგავსად, ერთი ფრაქცია აუცილებლად უნდა იყოს საეკლესიო პირების.

„არსებობენ პარტიები, რომლებიც ვაშინგტონის ინტერესებს იცავენ, ზოგიერთი – ბრიუსელის, ზოგიერთიც რუსეთის ინტერესებს იცავს. ჩვენ კი ყველგან თბილისის ინტერესებს ვიცავთ...“

ლევან ვასაძე მათ მოკავშირედ სახელდებოდა, თუმცა ამ ეტაპზე მან უარყო პოლიტიკით მისი დაინტერესება. თუმცა, კულუარებში ამტკიცებენ, რომ ვასაძე 2016 წლისთვის სათანადოდ მოემზადება, სავარაუდოდ, ის ტრადიციების დაცვისა და მეფის ინსტიტუტის შემოღების ლოზუნგით გამოვა.

ამ ნიშას, როგორც ჩანს, სხვებიც გამოიყენებენ. „პატრიოტთა ალიანსი“, რომელმაც პირველად დაიფიქსირა საკუთარი თავი პოლიტიკაში, ამბობს, რომ ქართული ტრადიციების დაცვა მისი სამარკო ნიშანი იქნება:

დავით თარხან-მოურავი:

– არსებობენ პარტიები, რომლებიც ვაშინგტონის ინტერესებს იცავენ, ზოგიერთი – ბრიუსელის, ზოგიერთიც რუსეთის ინტერესებს იცავს. ჩვენ კი ყველგან თბილისის ინტერესებს ვიცავთ...

ამ ფლანგზე ფულსა და სხვა ადამიანურ რესურსებს ბევრი ეძებდა. მოკლედ, ტრადიციების დაცვის ნიშას, როგორც ჩანს, ახლა ბევრი „შეესევა“. თუმცა, ერთია გეგმა და მეორე რესურსი. ექსპერტები ამჯერად რაიმე სახის რესურსებს პოლიტიკაში მესამე გზის შესაქმნელად ვერ ხედავენ:

ვაჟა ბერიძე:

– არ მიყვარს ფანტაზიორობა – არსებული სურათის მიხედვით, პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალების შემოსვლის მოლოდინი არსებობს, აუცილებლობაც, მაგრამ რამდენადაც ადამიანური და ფინანსური რესურსი ქვეყანაში ჯერჯერობით არ ჩანს, არ ველოდები პოლიტიკურ მინისძვრებს და ძალთა ახალ განლაგებას. ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალები იქნებიან „ქართული ოცნება“, ბურჯანაძის კოალიცია და „ნაციონალური მოძრაობა“. ასევე, არ ველოდები უახლოეს მომავალში ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლას. თუმცა მისი პოლიტიკაში გამოჩენა სერიოზულად შეცვლიდა ძალთა განლაგებას.

ასე რომ, მესამე გზა, რომლის შექმნასაც ქართულ პოლიტიკაში უკვე დიდი ხანია ცდილობენ, შესაძლოა, სულაც მირაჟი აღმოჩნდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის „იმედის“ ახალი პროდიუსერი

EXCLUSIVE

ПРОФ МЕДИА ТВ

ხათუნა მგალობლიშვილი

ტელეკომპანია „იმედს“ პროდიუსინგს ნიკალაი კარტოზია გაუწევს. როგორც „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, კარტოზია რამდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდა თბილისში და არხის მუშაობასაც პირადად აკვირდებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, კარტოზიას ნათია აბრამია უნდა ჩაენაცვლებინა, თუმცა, როგორც ირკვევა, აბრამიას გუნდთან რუს პროდიუსერს შეხება არ ექნება. დიდი ბრიტანეთიდან ქართველი მედიაწარმომადგენლები სამი თვის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვების შედეგად, სავარაუდოდ, შემოდგომისთვის წარუდგენენ სამეთვალყურეო საბჭოს საკუთარ რეკომენდაციებს. აბრამია უკვე მუშაობს არხზე. რაც შეეხება კარტოზიას, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მან საკუთარი მოსაზრება არხთან დაკავშირებით ხელმძღვანელობას უკვე გააცნო.

ვინ არის ნიკალაი კარტოზია? 36 წლის კარტოზია რუსეთში დაიბადა და უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც იქვე დაამთავრა. ტელევიზიაში 1999 წლიდან მუშაობს და დღეს ერთ-ერთი ყველაზე ყურებადი არხების მფლობელი ჰოლდინგის პრეზიდენტია. კარიერის პირველ ეტაპზე კარტოზია „Вести“-ში კორესპონდენტად და მთავარ რედაქტორად მუშაობდა. 2001-20012 წლებში მისი სატელევიზიო მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება ტელეკომპანია „ნტვ“-ს. პირველ ეტაპზე ის პროგრამების რედაქტორი იყო, 2006-2012 წლებში კი ამავე არხის დირექციის უფროსი. კარტოზია მონაწილეობდა ისეთი პროგრამების შექმნაში როგორიცაა: პროგრამა „მაქსიმუმი“, „მთავარი გმირი“, „რუსული სენსაციები“, „შენ სუპერგმირი ხარ“, „დაამარცხე კიბო“, „საქვეყნო ტყუილების ისტორია“ (История всероссийского обмана), „ჩემი აღსარება“, „უკანასკნელი სიტყვა“, „ცენტრალური ტელევიზია“ (Центральное телевидение) და ასე შემდეგ.

ნიკალაი კარტოზიამ ტელეკომპანია „ნტვ“ 2012 წელს დატოვა, თუმცა პროგრამა „ცენტრალურ ტელევიზიაზე“ მუშაობა მაინც გააგრძელა დამოუკიდებელი ჟურნალისტის სტატუსით. იმავე წლის 14 ივნისს კარტოზია სატელევიზიო ჰოლდინგის „პროფმედია ტვ“-ს პრეზიდენტად დაინიშნა. „პროფმედია ტვ“-ში სამი დამოუკიდებელი არხი შედის: „2x2“, „ტვ3“ და „MTV რუსეთი“, რომელიც 2013 წლიდან სრულიად ახალ გასართობ არხად გადაკეთდა – „Пятница!“, არხს დაახლოებით 40 მილიონი მაყურებელი ჰყავს.

„პროფმედიის“ ჩამოყალიბება 1989 წლიდან დაიწყო. ჰოლდინგის პირველი ნაბიჯი მუსიკალური არხის „2x2“-ის 100%-იანი წილის შესყიდვა იყო. თავის მხრივ, „პროფმედია“ „გაზპრომ მედია ჰოლდინგის“ საკუთრებაში შედის, რომელიც რუსეთისა და ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჰოლდინგად ითვლება და არსებობის თითქმის ოცწლიან ისტორიას ითვლის. „გაზპრომ მედია ჰოლდინგი“ მოიცავს სატელევიზიო არხებს, რადიოებს, პრესას, სარეკლამო მომსახურებას, კინოინდუსტრიას.

თითოეულ არხს საკუთარი ნიშა აქვს და შესაბამის აუდიტორიას მოიცავს. თავად კარტოზია ამ ეტაპზე „Пятница“-სთვის ახალ სახეს ეძებს. ნიკალაი კარტოზია: „პროფმედია“ ყოველთვის იყო ზუსტად სეგმენტირებული. „ტვ3“ – ეს მისტიკური არხია, მას თავისი ნიშა აქვს. „2x2“ – იგივე შემიძლია ვთქვა ამ არხზეც, ის პირველი მულტიპლიკაციური არხია თავისი აუდიტორიით. MTV-ს თავისი მომხმარებელი ჰყავდა, სადაც გადიოდა კლიპები და კლიპებს შორის სერიალები, პროგრამები, თუმცა, სამწუხაროდ, მაყურებელმა კლიპების ყურება ინტერნეტში დაიწყო და არხის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, რომ მაყურებელი შეენარჩუნებინა... ჩემი მიზანია, გავაკეთო არხი, რომელიც შეძლებს მაყურებელთან ლაპარაკს. მინდა, რომ არხი „Пятница“ მაყურებლისთვის მეგობარი გახდეს. მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა ცალკეული პროგრამები, არამედ ის, რომ შეძლო და შექმნა გარკვეული განწყობა, დაახლოებით ასეთი: „შემეშვით, მე „Пятница“ მყავს...

კარტოზიას წარმატების დანახვა კონკრეტულ ციფრებში შეიძლება. მაგალითად, ერთ-ერთი არხი, რომელიც მას ჩაჰბარდა, ყურებადობის თვალსაზრისით 1,5% უტოლდებოდა. ზუსტად ერთ წელიწადში კი პროცენტი 3,5-მდე გაიზარდა. „პროფმედია“-ში გადასვლის შემდეგ არხების ყურებადობის ზრდაც ხილვადია. ამას თავად კარტოზია აკონტროლებს. MTV-ს შემთხვევაში ყურებადობა კარტოზიას შემდეგ 7%-მდე გაიზარდა, „ტვ3“-ის შემთხვევაში – 26%-მდე, ხოლო „2x2“ რიცხვმა 51%-ს მიაღწია. შესაბამისად, ამ მხრივ, „იმედის“ ინტერესი გასაგებიცაა.

თავად „იმედში“ მთავარი მიზანი გარკვეულია. გეგმებთან დაკავშირებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, **ბაია ცანავამ** „პრაიმტაიმთან“ ღიად ისაუბრა:

– პატარკაციშვილების ოჯახის მთავარი მოთხოვნაა საერთაშორისო სტანდარტებთან უფრო მეტად მიახლოება და სწორედ ამიტომ ჩამოჰყავთ უცხოურ ტელეკომპანიაში გამოცდილებამიღებული ადამიანები.

საერთაშორისო სტანდარტების ფარგლებში ოჯახისთვის მთავარი განმსაზღვრელი „ბიბისის“ სტანდარტი აღმოჩნდა. თუმცა „ბიბისი“ საზოგადოებრივი არხის მსგავსადაა, მისთვის მთავარი ხარისხია და არა რეიტინგი. თუმცა, ბუნებრივია, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. რაც შეეხება „იმედს“, კარტოზიას რჩევით არხმა აქცენტი სწორედ რეიტინგზე უნდა გააკეთოს და შესაბამისად, „ბიბისი“-სგან განსხვავებული სტანდარტების შერჩევა მოუწევთ...

არხის ხელმძღვანელობა დეტალებზე არ საუბრობს. მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ შვებულებაშია და დეტალურ ინფორმაციას არ ფლობს. ყველა მათგანი რევაზ საყევარიშვილთან გვამისამართებს. თავად საყევარიშვილი კი პასუხებისგან თავს იკავებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სპეკულანტად“ და „თალლითად“ წოდებული ნავარო საქართველოს ტოვებს

EXCLUSIVE

?

ვინ მეცვლის ლუის ნავაროს

ხათუნა მგალობლიშვილი

ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის სათავო ოფისში ლუის ნავაროს შემცვლელის კანდიდატურაზე მსჯელობენ. წარმომადგენლობა ახალი ხელმძღვანელის ვინაობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. ყოველ შემთხვევაში მათი ოფიციალური განცხადება ჯერ არ გავრცელებულა. როგორც ვარაუდობენ, სწორედ მიმდინარე კვირაში გააკეთებს NDI განმარტებას. თუმცა „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ნავაროს დროებითი შემცვლელი თბილისში რამდენიმე კვირაში ჩამოვა და შემოდგომამდე სწორედ ის უხელმძღვანელებს ოფისს. ოფიციალური წარმომადგენელი კი უკვე სექტემბრიდან დაიწყებს მუშაობას. ვერსიები არის, თუმცა კონკრეტული სახელები და გვარები ჯერ არ სახელდება.

ექსპერტების განცხადებით, ნავაროს შემცვლელის ვინაობას იმდენად დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რამდენადაც თავად ნავაროს წასვლის ფაქტია მნიშვნელოვანი. „ნავაროს ეპოქის დასრულებით“ განსაკუთრებით ბედნიერად თავს ოპოზიცია გრძნობს. ისინი საკუთარ წარუმატებელ ციფრებს ყოველთვის NDI-ს აბრალებდნენ და, შესაბამისად, მთელ პასუხისმგებლობასაც ნავაროს ჰკიდებდნენ. თავად გაქრისტიანებულ ნავაროს ეს ამბავი დიდად არც აწუხებდა, მას მიაჩნდა, რომ უნდობლობის მიუხედავად, უბრალო მოკვდავნიც და პოლიტიკოსებიც მოუთმენლად ელოდნენ NDI-ს შედეგის გამოცხადებას: „ადამიანებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ კვლევის შედეგებს, მაგრამ ისინი ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდებიან და აკვირდებიან, რა შედეგებს ვაჩვენებთ“

ნლების განმავლობაში ოპოზიცია NDI-ს ხელმძღვანელის საქართველოდან გაძევებას და მის მიერ დადებული შედეგების გაუქმებას ითხოვდა, „ნაციონალური მოძრაობის“ დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციად მონათლული NDI ბევრჯერ გაეხვია პოლიტიკურ სკანდალში. თუმცა ერთ-ერთი ყველაზე წარუმატებელი შედეგები NDI-მ სწორედ 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებზე დადო. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ჩატარებულ კვლევებში ნავარო „ოცნებასა“ და მის ლიდერს 12%-იან რეიტინგს უწერდა. დასაშვები 2-3%-იანი ცდომილება 2012 წლის არჩევნებზე 40%-მდე გაიზარდა, რადგან ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ საპარლამენტო არჩევნებზე სწორედ 65% აიღო. სწორედ მაშინ უწოდა დღევანდელმა ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ ნავაროს „სპეკულანტი“: ბოლო წლების განმავლობაში არაერთხელ გამხდარა ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები სპეკულირების საგანი, რამაც სერიოზული ჩრდილი მიაყენა ამ ორგანიზაციას. ყველას ძალიან კარგად გვახსოვს, როგორი კვლევები ვლინდებოდა საპარლამენტო არჩევნების დროს... „ქართული ოცნების“ 12%-იანი რეიტინგებიც ძალიან კარგად გვახსოვს. საპარლამენტო არჩევნების დროს კი, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში იყო, „ქართულმა ოცნებამ“ 65% აიღო. ამიტომ დადებით შეფასებას ვერ მივცემ მის კვლევებს, რადგან ამ ორგანიზაციის საქართველოში მოღვაწეობა ბოლო წლების განმავლობაში ტენდენციურია“.

40%-იანი ცდომილება არ ყოფილა 2012 წლის არჩევნების ერთადერთი კრახი. წინასაარჩევნოდ NDI-ს კვლევის შედეგებით ბიძინა ივანიშვილს ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში გადასული ერთ-ერთი პოლიტიკოსიც კი უსწრებდა, რაც ასევე გააქარწყლა არჩევნების შედეგებმა. მოგვიანებით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ყველაზე მეტი კითხვა ისევ ნავაროს კვლევების მისამართით არსებობდა. გაღიზიანება კი განსაკუთრებით მაშინ მატულობდა, როდესაც სახელისუფლებო გუნდის შეფასებები ქვეყნდებოდა. რატომღაც ყოველთვის, ყველა კვლევის შედეგად ნომერ პირველ მინისტრად ირაკლი ალასანია სახელდებოდა და ეს მაშინ, როდესაც თავად გუნდში სულაც არ მიაჩნდათ ალასანიას პირველობა ლოგიკურ შედეგად.



გია ხუხაშვილი:

„მთავარია, რომ ნავაროს ეპოქა დასრულდა“

გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– კარგია, რომ ნავარო საქართველოდან მიდის, ჩვენთვის მისი მოღვაწეობა მაინცდამაინც არ იყო ძალიან სასიამოვნო, არც მისთვის იყო პროცესი სასიამოვნო, მით უმეტეს ის შეფასებები, რაც მასთან დაკავშირებით კეთდებოდა, დაბრუნდება ახლა სამშობლოში. ძნელი სათქმელია, ნავაროს წასვლით მოიხსნება თუ არა კითხვები, რომლებიც NDI-სთან დაკავშირებით არსებობდა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ გადაწყვეტილებებს კვლევებთან, იგივე პოლიტიკასთან დაკავშირებით პირადად ნავარო იღებდა. ეს მაინც თავად ორგანიზაციის პოლიტიკას უკავშირდებოდა. ნავაროს, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი სიმპათიები, მაგრამ არა მგონია, სწორი იყოს მისთვის პასუხისმგებლობის აკიდება. არ მჯერა, რომ ის რაღაცას სჩადიოდა ისე, რომ ეს ორგანიზაციაში არ იცოდნენ. მთავარია, ნავაროს ეპოქა დასრულდა, ვნახოთ, ახლა ვინ ჩამოვა და რა ინსტრუქციებით იმოქმედებს ახალი წარმომადგენელი. იმედია, ობიექტურობის ხარისხი უფრო მაღალი იქნება, რადგან კვლევებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საარჩევნო პროცესში და ბევრჯერ დავრწმუნდით ამაში.

– ნავაროსთან მიმართებაში ოპოზიციას ყოველთვის ერთი პოზიცია ჰქონდა, რომ ის იყო ნაციონალების ადამიანი. ფიქრობთ, რომ მის შემცვლელს საზოგადოება ავტომატურად აღიქვამს ახალი ხელისუფლების მხარდამჭერად?

– საერთოდ, თამაშის წესები ყოველთვის ერთნაირია, ოპოზიცია ყოველთვის ცდილობს, რომ ნებისმიერი ასეთი პროცესი ხელისუფლებას დაუკავშიროს. არა მგონია, დღევანდელი ხელისუფლება ასე არეგულირებდეს და მათი მონანილეობით მიიღებოდეს გადაწყვეტილებები. არა მგონია, დღევანდელ ხელისუფლებას მიზნად ჰქონდეს დასახული ის, რომ პოლიტიკური ინსტრუმენტები შექმნას და NDI თავის სამსახურში ჩააყენოს. ზუსტად ეს არის დღევანდელ ხელისუფლებასა და წინა ხელისუფლებას შორის განსხვავება. ამჟამინდელ ხელისუფლებას ასეთი ტიპის ინტერესები ნაკლებად აქვს.

– შეიძლება ვთქვათ, რომ ხელმძღვანელის შეცვლით NDI ახალი ფურცლიდან დაიწყებს მოღვაწეობას?

– ახალი ფურცლიდან ვერანაირად ვერ დაიწყებს, რადგან ეს არის დიდი ხნის ორგანიზაცია, ძალიან დიდი ისტორიით, თავისი გარკვეული და განსაზღვრული პოლიტიკით. მე არ ვთვლი, რომ პრინციპული მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ვინაობას, რადგან ვინც არ უნდა იყოს წარმომადგენელი, გაატარებს იმ პოლიტიკას, რა პოლიტიკასაც სათავო ოფისიდან კარნახობენ.

– ანუ ნავაროს შემცვლელის დამოკიდებულებით ჩვენ კიდევ უფრო დეტალურად გავიგებთ დასავლეთის განწყობას ახალი ხელისუფლების მიმართ?

– ახალი წარმომადგენლის დამოკიდებულებით ჩვენ მივხვდებით, როგორი დამოკიდებულება აქვს თვითონ ამ ორგანიზაციას ხელისუფლების მიმართ. დასავლეთი ძალიან ხმამაღლა ნათქვამია, რადგან დასავლეთი არ არის ერთგვაროვანი. ორგანიზაციებიც კი ნიუანსებში ერთმანეთისგან განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ NDI და IRI ორივე ერთი ქვეყნიდანაა, მათ მიერ გატარებულ პოლიტიკებს შორისაც კი არის განსხვავებები. ასე რომ, ვერ ვიტყვი, რომ NDI არის დასავლური პოლიტიკის ფლაგმანი. მას აქვს თავისი კონკრეტული, სეგმენტური ინტერესები და ამ ინტერესებს ატარებს.

ნავარომ საქართველოში საკუთარი მოღვაწეობა გაქრისტიანებით დაასრულა. ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის თბილისის ოფისის ხელმძღვანელი ქვემო ბეთლების ეკლესიაში, ტაძრის წინამძღვარმა, მამა ალექსანდრემ მონათლა. ნავაროს სულიერი მამა გიორგი თარგამაძე გახდა. ნავაროს ნათლობის სახელი დავითია. მამა ალექსანდრეს განცხადებით, ნათლობისას ნავარომ აღნიშნა, რომ მისთვის მისაღები და ჭეშმარიტია ის იდეოლოგია, რომელიც ქართველ ხალხს აქვს, რომ მისი სამშობლო პერუ ძალიან ჰგავს საქართველოს და ნავაროს სურვილია, რომ გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაიმარხოს. მიუხედავად ასეთი გულისამაჩუყებელი გამოსვლისა, საზოგადოებაში ნავაროს გაქრისტიანების რეალური მიზეზიც დასახელდა. როგორც ამბობენ, მას ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა საკუთარი შვილის ნათლიობა შესთავაზა. მართლმადიდებლური წესების მიხედვით კი, ადამიანს, რომელიც თავად არ არის მონათლური, უფლება არ აქვს ნათლია გახდეს...

ლუის ნავარო: „ადამიანებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ კვლევის შედეგებს, მაგრამ ისინი ყოველთვის დიდი ინტერესით ელოდებიან და აკვირდებიან, რა შედეგებს ვაჩვენებთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დიპლომატიურ დივერსანტს – ტეფტს რუსეთიდან გზავნიან

ქეთი ხატიაშვილი

ქვეყნებს შორის ურთიერთობები ელჩებზე ყოველთვის აისახებოდა. მაგალითად, სტალინმა ამერიკაში გამოუცდელი ელჩი გაგზავნა, რითაც ვაშინგტონს დიპლომატიურად უთხრა, – არ აღვიქვამ თქვენს ქვეყანას იმდენად სერიოზულად, რომ პროფესიონალი გამოგიგზავნოთო.

უფრო ადრე, 1832 წელს, რუსეთის მეფე ნიკოლოზ პირველმა ქვეყანაში რუსოფილი კანინგი არ შეუშვა. ამით მან ლონდონს უარი უთხრა დიპლომატის მიღებაზე. პეტერბურგში ბრიტანეთს სამი წელი ელჩი არ ჰყოლია.

დიპლომატიური ომებისთვის ასეთი ინციდენტები უცხო არ არის.

ამ ფონზე თეთრი სახლის განცხადება, რომ რუსეთში ახალ ელჩად ტეფტის დანიშვნას აპირებს, ნამდვილ სკანდალად იქცა. ჯონ ტეფტი აღმოსავლეთ ევროპაში რევოლუციების არქიტექტორად ითვლება. ის იყო თბილისში ვარდების რევოლუციის დროს, კიევში ნარინჯისფერი რევოლუციის დროს, მანამდე კი ლიტვას ეხმარებოდა რუსეთის პოლიტიკური გავლენებისგან განთავისუფლებაში. მოკლედ, ტეფტს დიდი გამოცდილება აქვს. ამიტომაც, მოსკოვში მას რუსეთის სიძულვილი ჰბრალდება.

თუმცა, პუტინი ნიკოლოზ პირველი არ არის, მან იცის, რა ჩაეთვლება სისუსტედ და რა – სიძლიერედ. ამიტომაც, რუსეთის ბოლო მეფისგან განსხვავებით, ქვეყანაში ელჩი შეუშვა და რევოლუცია აღკვეთა, რაც ნიკოლოზ პირველმა ვერ მოახერხა.

ამით პუტინმა აჩვენა, რომ „რუსოფობიის“ არ ეშინია და რომ გამოსავალი ყოველთვის შეიძლება იპოვო. ერთხელ რუსეთმა ასეთი გამოსავალი უკვე ნახა. ეს მაშინ, როცა ამერიკის ელჩი რუსეთში ალექსანდრე ვერშბოუ იყო, რომელსაც მოსკოვში არაოფიციალური ბოიკოტი გამოუცხადეს – არ ეპატიჟებოდნენ სხვადასხვა სერიოზულ ღონისძიებებზე და მაღალი რანგის სახელისუფლებო პირებს მასთან კონტაქტი არ ჰქონდათ. ამით რუსეთმა სტალინის ჟესტი გაითამაშა – ვაშინგტონს შეუთვალა, რომ ამერიკას სერიოზულად არ განიხილავენ. არაოფიციალური ბოიკოტის გარდა, რუსულ დიპლომატიას სხვა უფრო მკაცრი მეთოდებიც ახსოვს. ასე, მაგალითად, 1952 წელს ამერიკის ელჩს საბჭოთა კავშირში ჯორჯ კენნანო პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს.

ტეფტი რუსეთში შეუშვეს – სხვა გამოსავალი პუტინს არ ჰქონდა, ის არ დააფიქსირებდა, რომ რევოლუციების ეშინია, თუმცა ძნელი სათქმელია, როგორი ურთიერთობა ექნება პუტინს მასთან. ტეფტმა საერთაშორისო დიპლომატიაში თავი დაიმკვიდრა, როგორც ექსპერტმა ხელისუფლების შეცვლის საკითხში.

არა მხოლოდ კიევსა და თბილისში იდგა პოლიტიკური კრიზისი, დემოკრატიული ღირებულებების თვალსაზრისით მწვავე კრიზისია რუსეთშიც. პუტინს უკვე დიდი ხანია ოპოზიცია ებრძვის.

რუსული მედია არ გამორიცხავს, რომ ტეფტსაც არაოფიციალური ბოიკოტი გამოუცხადონ, თუკი ის პუტინის ოპოზიციასთან დაიწყებს საიდუმლო შეხვედრების გამართვას.

მედიაში სხვა მინიშნებებიც გააკეთეს. ითქვა, რომ ტეფტზე თეთრმა სახლმა კრემლისგან თანხმობა კი მიიღო, მაგრამ მისი კანდიდატურა ჯერ სენატმა უნდა დაამტკიცოსო. გაჩნდა ვერსია, რომ შეიძლება, ტეფტი სენატშიც დაიბლოკოს და მაშინ პუტინი წყლიდან მშრალი გამოვა.

დიპლომატიურ დივერსანტად მონათლული ტეფტი რუსეთში მაშინ გაგზავნეს, როცა ეგრეთწოდებულმა გადატვირთვის პოლიტიკამ სრული კრახი განიცადა და ურთიერთობა რუსეთსა და ამერიკას შორის ცივი ომის ფაზაში შევიდა.

რუსული მედიის შეფასებით, მოსკოვში ტეფტს ოპოზიცია განსაკუთრებული სიხარულითა და იმედებით ხვდება. ტეფტის წინამორბედი დემოკრატიულ და ლიბერალურ ფასეულობებსა და ღირებულებებზე საუბრით კი საუბრობდა, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში ფული არ ჩაუდია. ტეფტისგან პუტინის ოპოზიცია სწორედ დაფინანსებას ელის.

კახი კალაძე: „გიორგი ალიბეგაშვილი არის ძალიან განათლებული, პატიოსანი, ღირსეული პიროვნება“



მაგალითისთვის უკრაინა მოჰყავთ. მაშინ კიევში ამერიკის ელჩმა სწორედ დაფინანსებაზე ისაუბრა და თქვა, რომ დემოკრატიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარებისთვის უკრაინა სახელმწიფო დეპარტამენტისგან გრანტებს მიიღებდა. რუსული მედია წერს, რომ ტეფტის მეუღლე მარიელა საქართველოში USAID-ის პროგრამებში უშუალოდ იყო ჩართული.

პუტინს USAID-ი იმდენად სახიფათოდ მოეჩვენა, რომ რუსეთში მისი მოღვაწეობა აკრძალა.

ტეფტი პროფესიონალია, უკრაინაში ყოფნის დროს ის მუდმივად ცდილობდა, ხაზი გაესვა საკუთარი მიზნებისთვის და ხშირად განმარტავდა, რომ ის დაინტერესებულია უკრაინაში დემოკრატიის განვითარებითა და რეფორმებით, ასეთივე განცხადებები კეთდებოდა მისი საქართველოში ყოფნის დროს. ტეფტი კატეგორიულად მოითხოვდა ტიმოშენკოს განთავისუფლებას და მისთვის პოლიტიკური რანგის დაბრუნებას. ის არც სკანდალს მორიდებია, როცა უკრაინაში მთავარი პროკურორის მოადგილეს ვიზა გაუუქმა, რომელმაც, თავის მხრივ, ელჩი არამეგობრულ დამოკიდებულებაში „ამხილა“.

რუსულ მედიაში ტეფტს არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების უფლებების ხაზგასმით დაცვასაც საყვედურობენ. ტეფტი რატომღაც „ელჯიბიტების“ დიდი გულშემატკივარია და მაგალითებად ისევ და ისევ უკრაინა მოჰყავთ.

როგორც არ უნდა ატრიალონ ახლა რუსულ მედიაში ტეფტის სახელი, ფაქტი ერთია, ის პროფესიონალია და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში სერიოზული როლი ითამაშა ჯერ კიდევ პირველი ცივი ომის დასრულების დროს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ტეფტმა განსაკუთრებული დამსახურებისთვის პირველი ოქროს მედალი მიიღო. მეორე ოქროს მედალი 199 წელს აიღო, როცა მან ელჩის მოადგილედ იმუშავა რუსეთში. ეს რთული დრო იყო, ჯილდო პოსტსაბჭოთა რუსეთში სწორედ ამ რთული სამუშაოს წარმატებულად დასრულებისთვის მიიღო. მესამე ოქროს მედალი კი უკრაინაში გაწეული სამსახურისთვის დაიმსახურა. მიიღებს თუ არა ტეფტი მედალს მეოთხედ და უკვე რუსეთში წარმატებული საქმიანობისთვის? ეს დროის ამბავია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

WWW.REMONTEBI.GE

ჩვენი კვალიფიციური და ენერგიული მომსახურე პერსონალი ყველაზე უმოკლეს ვადებში და ხარისხის უმაღლესი გარანტიით შეასრულებენ თქვენს დაკვეთას

597 370901 599 370901 555 050717

თიბისი ბანკმა ონლაინ სასკოლო ოლიმპიადის გამარჯვებულები დაჯილდოვა

სალომე გოგოხია

გასულ კვირას თიბისი ბანკის სათავო ოფისში ონლაინ სასკოლო ოლიმპიადის www.eruditor.ge-ს გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თიბისი ბანკი მსგავს პროექტებს აფინანსებს, რადგან ბანკისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სწორედ განათლების სფეროს ხელშეწყობაა.

ონლაინ სასკოლო ოლიმპიადა ერუდიტ.გე უნიკალური საგანმანათლებლო ვებპლატფორმაა, რომელიც თიბისი ბანკის სპონსორობით კომპანიამ - „საგანმანათლებლო ინოვაციები"- განახორციელა.

პროექტის პირველი სეზონის განხორციელება მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო. მასში საქართველოს მასშტაბით 4 000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა.

მონაწილეებს შორის ინტელექტუალური შეჯიბრი 9 საგანში ჩატარდა. პროექტი ორ ნაწილად მიმდინარეობდა. ჯერ შესარჩევი ნაწილი, ხოლო შემდეგ ფინალი.

მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, რამდენჯერმე ეცადათ ერთსა და იმავე საგანში ტესტის გავლა და საბოლოო რეიტინგებში საუკეთესო შედეგები დაეფიქსირებინათ.

როგორც თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ პაატა ღაძაძემ განაცხადა, თიბისი ბანკისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება განათლების ხელშეწყობაა.

„მოხარული ვარ, რომ თიბისი ბანკი ჩართულია პროექტში, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გაიუმჯობესონ და გაიღრმავონ ცოდნა სასურველი მიმართულებით. ეს არის თიბისი ბანკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული და კარგი სოციალური პროექტი, რომელიც დავაფინანსეთ. ძალიან ინოვაციური პროექტია, რადგან მომავალ თაობას ეხება. მასში ფართო სპექტრია ჩართული. პროექტი ძალიან კარგ ტექნოლოგიურ ბაზაზეა გაკეთებული და ობიექტურობის საკმაოდ კარგი პლატფორმა აქვს. რაც მთავარია, განგრძობითობის პერსპექტივა აქვს. ვფიქრობთ, მოსწავლეების აკადემიური ხარისხის გაუმჯობესების პროცესში მომავალშიც მივიღებთ მონაწილეობას. მიხარია, რომ უკვე პირველ ეტაპზე გამოჩნდნენ ჩემპიონები, რომლებიც მომავალში სხვა ბავშვებისთვის სამაგალითოები გახდებიან", - აღნიშნა „პრაიმტაიმთან" საუბარში პაატა ღაძაძემ.

პროექტის შედეგებით მიღებულ კმაყოფილებას ვერ მალავდა პროექტის ორგანიზატორი და ერუდიტორ.გე-ს დამფუძნებელი ლევან ბეიტრიშვილი.

მან თავისი ემოციები „პრაიმტაიმსაც" გაუზიარა.

„ძალიან ბედნიერი და გახარებული ვარ. დროის მცირე მონაკვეთში ძალიან ბევრი ნიჭიერი და მიზანსწრაფული ბავშვი გავიცანი. მათი შემხედვარე ვრწმუნდები, რომ ჩვენს ქვეყანას საკმაოდ ნათელი და პერსპექტიული მომავალი ელის. ძალიან გახარებული ვარ, რომ მონაწილეების დიდი ნაწილი სწორედ რეგიონებიდან იყო. ამ პროექტს არ აქვს ანალოგი. დიდი მადლობა ჩვენს გენერალურ სპონსორს თიბისი ბანკს, რომელმაც დასაწყისშივე ნდობა გამოგვიცხადა, რომელიც ზოგადად ბანკებს არ სჩვევიათ. სულ 51 საპრიზო ფონდი იყო. აქედან, რამდენიმე საგანში გამარჯვებულები გამოვლინდნენ. უკვე შემდგომი ტურისთვის ვემზადებოთ", - განუცხადა „პრაიმტაიმს" ბეიტრიშვილმა.



ოლიმპიადაში გამარჯვებულ მე-12 კლასელებს თიბისი ბანკმა სპეციალური საჩუქრები გადასცა. პირველი ადგილის მფლობელებს ცხრავე საგანში ლეპტოპები, მეორე ადგილის მფლობელებს - სმარტფონები, ხოლო მესამე ადგილის მფლობელებს - პლანშეტები.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე პროექტში მე-11 და მე-12 კლასელები მონაწილეობდნენ. თუმცა, როგორც ბეიტრიშვილმა აღნიშნა, მომავალში სხვა კლასების მოსწავლეებსაც მიეცემათ მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

ლალი დათიაშვილი მე-12 კლასელია. მან ქართული ენისა და ლიტერატურის ტურში გაიმარჯვა და პირველი ადგილი აიღო.

„ძალიან გახარაბული ვარ. კმაყოფილი ვარ პროექტით. ასეთი პროექტები იმით არის კარგი, რომ საკუთარი შესაძლებლობის გამოცდის საშუალება გაქვს, ამასთან, ცოდნას კიდევ უფრო იღრმავებ. კონკურსის პერიოდში ბევრი ლიტერატურა წავიკითხე. კონკურსი კიდევ უფრო თავდაჯერებულსაც გხდის. ძალიან კარგია თუ მომავალშიც იქნება მსგავსი პროექტები. ეს მოსწავლეებს დიდ სტიმულს მისცემს", -გვითხრა გამარჯვებულმა.

ღონისძიების დასასრულს პროექტში მონაწილეებმა საერთო ფოტო გადაიღეს, ამის შემდეგ კი დარბაზში მყოფთ ტორტით - „თიბისი ბანკი გილოცავთ"- გაუმასპინძლდნენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კრიმინალური სიტუაციის მიმოხილვა

შსს-ს სტატისტიკით, დანაშაულის რაოდენობა 17 პროცენტით შემცირდა

EXCLUSIVE

მირიან ბოქოლიშვილი

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ქვეყანაში არსებული კრიმინალური ვითარების ამსახველი მონაცემები გამოაქვეყნა. ინფორმაცია 2014 წლის პირველ 6 თვეს მოიცავს და მასში დეტალურადაა ასახული კონკრეტული დანაშაულების დინამიკა. „პრაიმტაიმმა“ თვალი გადაავლო შსს-ს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს. მოდით, ვნახოთ, რა ვითარებაა ქვეყანაში კრიმინალის კუთხით და რა შეიცვალა გასულ წელთან შედარებით.

მოკლედ, როგორც ოფიციალური მონაცემებით ირკვევა, 2014 წლის იანვარ-ივნისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულია 12 881 დანაშაული, აქედან 7667, ანუ 59,52% გახსნილია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით კრიმინალის 16,91%-იანი კლება ფიქსირდება.

მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულია 977 დანაშაული, რომელთა 48,8% შსს-მ გახსნილად გამოაცხადა.

რაც შეეხება კონკრეტულ კატეგორიებს... დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ, რომელიც აერთიანებს განზრახ მკვლელობას, მკვლელობის მცდელობას, თვითმკვლელობასა და სხვა მსგავს მუხლებს, საერთო ჯამში, დაფიქსირდა 385, რომელთაგან 112 გახსნილია.

გახსნის 55-პროცენტიანი მაჩვენებელი ფიქსირდება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულზე. აქ ერთიანდება, როგორც ჯანმრთელობის მძიმე და მსუბუქი დაზიანებები, ასევე ოჯახური ძალადობის შემთხვევები. საანგარიშო პერიოდში მსგავსი კატეგორიის 1506 დანაშაული აღირიცხა, რაც 12%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

შსს-ს მონაცემებით, კლების ტენდენცია შეინიშნება გაუპატიურების შემთხვევებთან მიმართებაშიც. თუ გასული წლის 6 თვეში 31 ფაქტი დაფიქსირდა, წელს ეს რიცხვი 16-მდეა, აქედან 10 გახსნილია.

სხვა დანაშაულებთან შედარებით ტრადიციულად მაღალია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის რაოდენობა, თუმცა წინა წლის 6 თვესთან შედარებით ამ შემთხვევაშიც კლების ტენდენცია ფიქსირდება. ეს კატეგორია აერთიანებს ქურდობას, ძარცვას, ყაჩაღობას, თაღლითობას, გამოძალვასა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ სხვა ქმედებებს. გასული წლის იანვარ-ივნისში მსგავსი დანაშაულების რაოდენობა 8073-ს აღწევდა, წელს ეს ციფრი 6232-მდე შემცირდა, ხოლო გახსნის მაჩვენებელმა 45,67% შეადგინა.

2014 წლის 6 თვეში ნარკოდანაშაულის 2688 ფაქტი დაფიქსირდა, რომელთაგან 2633 გახსნილია. შედარებისთვის გეტყვით, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ნარკოდანაშაულის 2261 ფაქტი იყო რეგისტრირებული.

სტატისტიკის თანახმად, საგრძნობლადაა შემცირებული სამოხელეო დანაშაულიც, რომელიც მოიცავს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, უფლებამოსილების გადამეტებას, სამსახურებრივ გულგრილობას, ქრთამის აღებას და ა.შ. მიმდინარე წლის 6 თვეში ასეთი სახის დანაშაულების რაოდენობა 17-მდეა შემცირებული, გასულ წლის 6 თვეში კი სულ 61 ფაქტი დაფიქსირდა.

მმართველი გუნდი ქვეყანაში დანაშაულის შემცირებას შსს-ს წარმატებულ და ეფექტურ მუშაობას უკავშირებს, თუმცა ოპონენტები ირწმუნებიან, რომ ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია გაუარესდა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა რეალობას არ ასახავს.

„ეს არის კლასიკური ნაბიჯი ჩვენი მთავრობის, რომ დანაშაულთან ბრძოლის ნაცვლად, ისინი სტატისტიკას აყალბებენ“, – ასე შეაფასა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო ურთიერთობათა მდივანმა გიგა ბოკერიამ შსს-ს დანაშაულის სტატისტიკა.

ბოკერიას სიცრუესა და ხელისუფლების მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს უმრავლესობა. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, ამბობს, რომ შსს-ს სტატისტიკა ზედმიწევნით ასახავს ქვეყანაში დანაშაულის კუთხით არსებულ ვითარებას.

„სტატისტიკა არის კონკრეტული მონაცემები და ის ზედმიწევნით ასახავს რეალობას, ხოლო „ნაციონალები“ დაოსტატებულნი არიან ტყუილებში. ეს არის მათი მორიგი ტყუილი, რათა მოახდინონ ხელისუფლებისა და კონკრეტულად შინაგან საქმეთა სამინისტროს დისკრედიტაცია. ამას საზოგადოება კარგად ხედავს და ადეკვატურად აფასებს კიდეც. მათი აბსურდული გამონათქვამების კომენტირებაც კი არ ღირს. დიახ, ეს მონაცემები ასახავს რეალობას და ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობა ნამდვილად შემცირდა. რატომ? იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, აღარ ხდება დანაშაულის ხელოვნურად შეთხზვა და საქმეების „შეკერვა“, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ეკა ბესელია.

ეკა ბესელია: „სააკაშვილის რეჟიმისგან განსხვავებით, აღარ ხდება დანაშაულის ხელოვნურად შეთხზვა და საქმეების „შეკერვა“

ერთი თვის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებულია 977 დანაშაული, რომელთა 48,8% შსს-მ გახსნილად გამოაცხადა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გამოძიებამ „საქა
გაყალბებული ჩელშეკ

მარიამ ნადირაძე

ამჯერად ვეხებით ერთი ოჯახის ისტორიას, რომლის წაკითხვის შემდეგ ჩვენი მკითხველის ერთი ნაწილი აქეთ-იქით თავის ქნევით თანაუგრძნობს მათ, მეორე ნაწილი კი სხვა ანალოგიურ სიტუაციებს გაიხსენებს...

მაგრამ მაინც....

ეს ამბავი ნამდვილად მოხდა ამ ქალაქში და დღეს ზურაბ ხერედინაშვილის ორი მცირეწლოვანი შვილი (ისევე, როგორც სხვა არაერთის შვილები) ღია ცის ქვეშ დარჩენის საფრთხის წინაშე დგას.

ბიზნესის რეკეტში მოყოლილები

როგორც მისი მეუღლე, ხათუნა სახლთხუციშვილი გვიამბობს, ზურა ხერედინაშვილს ჰქონდა კომპანია „უნიტეკი“, რომელიც კომპიუტერული ტექნიკის იმპორტს ახორციელებდა საქართველოში.

ხათუნა სახლთხუციშვილი:

– ჩემს მეუღლეს ურთიერთობა ჰქონდა „ინტელექტბანკთან“, საიდანაც სესხი ჰქონდა გამოტანილი და ჩვენი ბინაც უზრუნველყოფის სახით იყო ჩადებული. მერე ეს ბანკი გაკოტრდა და მისი სამართალმემკვიდრე გახდა „საქართველოს ბანკი“. ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, ეს ის პერიოდი იყო, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ ბიზნესის რეკეტი დაიწყო და ეს ჩვენც ძალიან ცუდად შეგვეხო.

– ამის გამო დახურა თქვენმა მეუღლემ ბიზნესი?

– რა თქმა უნდა. აწუხებდნენ, ფულს სძალავდნენ. მე ვიცი ერთი ფაქტი, როდესაც მასთან კეზერაშვილის წარმომადგენლები მივიდნენ და ფული მოსთხოვეს, „კრიშას გაგიკეთებთ“, თუ არადა სხვანაირად ვერ იარსებებო. პლეხანოვზე გვქონდა ოფისი. ითხოვდნენ, ფირმას ქეშად მიეცა ფული პერიოდულად.

– რა თანხას ითხოვდნენ?

– პირველად 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს, მაგრამ ჩემმა ქმარმა ამდენი ვერ შეაგროვა და 30 ათასი მისცა.

– რომ არ გადაეხადა ეს თანხა, რამით ემუქრებოდნენ?

– ამ ფულს იმაში ითხოვდნენ, რომ ბიზნესის ქონის უფლება მისცემოდა.

– ფულის მიცემა სადმე ფურცელზე დაფიქსირდა?

– არა, ქეშად მისცა. მართალია, ცუდი ბიზნესი არ იყო, მაგრამ არც იმდენი მოგება ჰქონდა, რომ ასეთი თანხები

ხათუნა სახლთხუციშვილი

„საქართველოს ბანკმა“ ოჯახს, სადაც ორი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს, ზამთარში შუქი და გაზი ჩაგვიჭრა. ამ გზით გვაიძულებდა, ჩვენი სახლი დაგვეტოვებინა“

EXCLUSIVE

ეხადა ვიღაცებისთვის, როცა მათ მოუნდებოდათ, მაშინ. ამიტომაც გადაწყვიტა, ეს ფირმა დაეხურა და საქართველოში აღარაფერი გაეკეთებინა. ერთხელ გადაიხადა. მეორედ რომ მიადგნენ, მეგობრებმა ურჩიეს, ბიზნესის დახურვა და ასეც მოიქცა. ამასობაში უკვე ბევრი გვესმოდა იმის თაობაზე, რომ არაერთი ბიზნესი გააკოტრეს, ხელისუფლება ბიზნესმენების ძარცვაზე იყო გადასული. როცა ბიზნესი დაიხურა, მაშინ ყველა დავალიანება გაისტუმრა და ამის ცნობაც გვაქვს (ვადასტურებთ, რომ რესპონდენტმა წარმოგვიდგინა ბანკში შპს „უნიტეკის“ ამონაწერი 2007 წლის 28 მაისიდან 2008 წლის 28 მაისამდე, რომლის თანახმადაც ამ პერიოდში ბრუნვა არ ფიქსირდება. იქვე მითითებულია, რომ ბოლო ბრუნვის თარიღია 2007 წლის 22 თებერვალი. ანგარიშზე ფიქსირდება მხოლოდ ნაშთი 1,56 დოლარი. – მ.ნ.), ყველა ვალის გასტუმრების შემდეგ ფირმამ ფუნქციონირება შეაჩერა. ეს დასტურდება საგადასახადოშიც. ჩემმა მეუღლემ კი შეაჩერა ბიზნესი, მაგრამ ვერაფრით დაარწმუნა თავისი და, მედეა ძამაშვილი, რომ არ ღირდა ამ საქმიანობის გაგრძელება იმ ხელისუფლების პირობებში. მედიკომ გახსნა ახალი კომპანია „უნიტექ თრეიდინგი“ და ეს საქმე გააგრძელა. ბუნებრივია, რაკი გამოცდილება ჰქონდა, ჩემი მეუღლეც ეხმარებოდა.

სახიფათო სტარტი

2007 წელს „საქართველოს ბანკთან“ „უნიტეკ ტრეიდინგმა“ პირველი სესხის ხელშეკრულება გააფორმა და საკრედიტო ხაზიც გაიხსნა, რომლის ქვეშაც კიდევ არაერთი სესხის ხელშეკრულება გაფორმდა. პირველად ეს იყო 50 ათას დოლარზე, სადაც ზურაბ ხერედინაშვილი თავის დას თავდებში დაუდგა საკუთარი ქონებით.

თამარ გიგინეიშვილი, ადვოკატი:

– მოგვიანებით ირკვევა, რომ ამ სესხის ხელშეკრულებაში ვალდებულებაში ჩაიწერა, რომ „უნიტეკის“ ვალი უნდა გადაფარულიყო.

– მაგრამ „უნიტეკს“ ხომ ვალი აღარ ჰქონდა? ამის შესახებ დოკუმენტი ხომ წარმოგვიდგინეთ?

– საქმეც ეს არის. სამწუხაროა, მაგრამ, როდესაც ადამიანი მიდის ბანკში სესხის ასაღებად, ხელშეკრულებას დეტალურად თითქმის არავინ ეცნობა. არც ამათ უნახავთ ეს პუნქტი...

– როგორც წესი, როდესაც წინა ვალია გადასაფარი, ამას თავად ბანკი აკეთებს ხოლმე და სესხის საერთო რაოდენობას აკლებს ამ თანხას. „საქართველოს ბანკმა“ ეს არ გააკეთა?

– არა. ანგარიშზე დაირიცხა 50 ათასი დოლარი და კომპანიამაც ეს თანხა სრულად გახარჯა საბრუნავი საშუალებების შესაძენად. რამდენიმე წლის განმავლობაში არც ბანკს და არც მსესხებელს სიტყვაც არ დაუძრავს იმ 30 ათას დოლარზე, რომლის გადახდასაც ამ ხელშეკრულებით ბანკი აკისრებდა ფირმას. ეს მოგვიანებით ხდება ცნობილი და ამის შესახებ მერე მოგახსენებთ. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი ვალის დროს „უნიტეკს“ უზრუნველყოფის სახით ჩადებული ჰქონდა ორი ქონება. ასე რომ, მას დავალიანება რომ ჰქონოდა, „საქართველოს ბანკს“ დიდი წარმატებით შეეძლო, ესარგებლა ამ პირველადი იპოთეკით. ერთი სიტყვით, ეს 50 ათასი მალევე დაიფარა. ამის შემდეგ პერიოდულად იღებდნენ სესხს, სესხი იხარჯებოდა მიზნობრივად და შემდეგ ვადაში იფარებოდა. ასე გრძელდებოდა 2008 წლის ივნისამდე. ამ დროისთვის ბანკმა, ფორსმაჟორის გათვალისწინებით, კლიენტს მოთხოვა ყველა ვალის გასტუმრება.



– ივნისში რა ფორსმაჟორი იყო?

– ეს არ კონკრეტდება. არ ვიცი, რა მიიჩნიეს ფორსმაჟორად, მაგრამ ფაქტია, რომ ასე მოხდა. არსებობს ქვითარი, ამას არავინ უარყოფს და ნაღდ ფულად ბანკში შევიდა 192 ათას 705 დოლარი. ეს ქვითარი სახეზეა, რომლითაც ყველა ვალდებულება გადაიფარა (ვადასტურებთ, რომ რესპონდენტმა ნამდვილად წარმოადგინა „პრაიმტაიმში“ ხსენებული ქვითარი. – მ.ნ.). ამის შემდგომ, 2009 წლის 4 აპრილს „უნიტექ თრეიდინგმა“ ფუნქციონირება შეწყვიტა. ამის შესახებ საგადასახადოშიც გაიგზავნა შეტყობინება (შეტყობინება დათარიღებულია 2009 წლის 31 მარტით – მ.ნ.). მიუხედავად იმისა, რომ ფირმა აღარ ფუნქციონირებდა, საქმეში ჩნდება 2009 წლის ივნისით დათარიღებული ხელშეკრულებები. ერთის მიხედვით საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულებაში იცვლება პუნქტი, რომლის მიხედვითაც ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ხდება სავალდებულო აღსრულებაში საქმის მისაქცევად. მეორეს მიხედვით მედეა ძამაშვილი 6 თვის ვადით, ხლიური 20-პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთით და ვადაგადაცილებაზე 40 პროცენტით იღებს ახალ სესხს 190 ათასი ლარის

რატომ გაქრა საქმიდან დოკუმენტები?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რთველოს ბანკის“ რულეტა აღმოაჩინა(?!)

ვისია ბეჭედი, რომელიც, ექსპერტიზის მტკიცებით, მფლობელს არ ეკუთვნის?

ოდენობით და მესამე, რომლის მიხედვითაც, ზურაბ ხერედინაშვილი ისევ დგება ამ სესხის თავდებად თავისი საცხოვრებელი სახლით, მაღაზიით, სალონითა და თბილისის ზღვაზე 1000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთით.

– მაგრამ ბანკი არარსებულ კომპანიას აძლევს ამხელა სესხს?

– საქმეც ეს არის...

– ხელშეკრულებები ორმხრივია?

– პირველსა და მეორეს ხელს აწერს მედეა ძამაშვილი, მესამეს კი – ზურაბ ხერედინაშვილი. თუმცა, როგორც თავად ირწმუნებიან, არც ერთმა არ იცოდა ამ ხელშეკრულებების არსებობის შესახებ და აცხადებენ, რომ ხელმოწერები გაყალბებულია.

– ეს სერიოზული ბრალდებაა.

– მეტიც, ზურაბ ხერედინაშვილი ირწმუნება, რომ ფირმის ბეჭედიც ყალბია, რომელიც ხელშეკრულებაზეა დასმული. ეს ხელშეკრულებები დღეს გამოძიების საგანია და დანიშნულია ექსპერტიზები.

– ანუ, საქმე უკვე ძიებაშია?

– დიახ, უკვე ათი თვეა. რა დაადგინა ექსპერტიზამ, ამის შესახებ მოგვიანებით გიამბობთ. მანამდე კი იმის შესახებ, რა მოხდა სასამართლოზე...

მოსამართლის ინტერესი?!

თამარ გიგინეიშვილი, ადვოკატი:

– ეს სესხი ერთი თეთრითაც არ დაფარულა?

– არ დაფარულა, ვინაიდან, როგორც მხარე აცხადებს, საერთოდ არ იცოდნენ ამ ხელშეკრულების არსებობის შესახებ. ბანკმა სასამართლოს მიმართა. სასარჩელო მოთხოვნაში წერია, რომ დავალიანება ბანკის მიმართ ავიდა 311 817 ლარზე. 2012 წლის 22 ოქტომბერს საქალაქო სასამართლოში იყო საქმის წარმოება. მოპასუხეებად ჩართეს ზურაბ ხერედინაშვილი, მედეა ძამაშვილი და კიდევ ორი ადამიანი, რომლებიც ასევე თავდებში იდგნენ, მათ შორის ერთ-ერთი, გაგოშიძე, თავისი ოთახნახევრიანი ბინით.

– თქვენი საუბრით შთაბეჭდილება იქმნება, რომ ბანკმა შეიმუშავა ერთგვარი სტრატეგია და ერთ-ერთი ხელშეკრულების შესაბამის პუნქტში, აღსრულების თაობაზე, განზრახ შეიტანა ცვლილება, რომლის შესახებაც თქვენ უკვე ისაუბრეთ...

– ახლა გეტყვით, როგორ წავიდა „საქართველოს ბანკის“ ლოგიკა: ვინაიდან აქვთ იპოთეკის ხელშეკრულებები 2007-2008 წლების და ხელშეკრულება 2009 წლის, რომელიც გვეუბნება, რომ ეს 2009 წლის ხელშეკრულება არის 2007 წლის საკრედიტო ხაზის ქვეშ, სადაც ამათ გარკვეული ვალდებულება აიღეს, ყველა იპოთეკა გააერთიანეს, მოთხოვნა დააყენეს მხოლოდ 190 ათასი ლარის ხელშეკრულებით, წარადგინეს, რომ საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში მოხდა ცვლილება და აღსრულება პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებისთანავე სავალდებულოა. ამ ოჯახს სარჩელი ჩაჰბარდა და საჭირო გახდა ადვოკატის აყვანა.

ხათუნა სახლთხუციშვილი:

– ამ დროს ჩვენ ვიცოდით, რომ ვალებისგან თავისუფლები ვიყავით. ჩვენმა აყვანილმა ადვოკატმა, რატომღაც, შესაგებელი არ შეიტანა. არც ერთი ხელშეკრულება არ გააპროტესტა, პროცესებზე არ მოდიოდა და იმდენჯერ გადაიდო პროცესი მისი გამოუცხადებლობის გამო, რომ მოსამართლემ გვითხრა, თუ სხვა ადვოკატს არ აიყვანთ, ისე ჩავატარებ პროცესს, რადგან ამდენი საპატიო მიზეზი არ არსებობსო. ამიტომ, რაკი ისედაც საქმის კურსში იყო ჩემი მულის ადვოკატი და პროცესებსაც ესწრებოდა, მას მივეცით რწმუნება. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის და-ძმას შორის ურთიერთობა უკვე დაიძაბა, ამ ადვოკატების „დახმარებით“ ეს ყველაფერი ბანკთან მორიგების აქტით დამთავრდა.

– ვალი აღიარეთ?

– ჩემმა ქმარმაც აღიარა და ჩემმა მულმაც. ჩემმა ქმარმა მორიგების აქტს მოაწერა ხელი, რომ, თუ ეს ვალი არ დაიფარებოდა, თანახმა იყო, ჩვენი ქონება გაყიდულიყო. არავინ დაინტერესდა, ეს ხელშეკრულებები გაყალბებული იყო თუ არა. ჩვენ ადვოკატებს ვუსხნიდით, რომ ბანკის ხელშეკრულებებზე ხელი არ მოგვიწერია... მეტიც, როდესაც აპრილში ფირმის ფუნქციონირება შეწყდა, ზურამ ბეჭედი სახლში მოიტანა და პირადად მე მქონდა შენახული. როგორ აღმოჩნდებოდა ის ორი თვის შემდეგ იმ ხელშეკრულებაზე დასმული, როცა მე მქონდა?

თამარ გიგინეიშვილი, ადვოკატი:

– არსებობს ჩანაწერი სხდომის დარბაზიდან, სადაც ხერედინაშვილი კითხულობს, ხელი რომ მოვაწერო მორიგების აქტს, ამას გავასაჩივრებთო? ადვოკატი კი ეუბნება, – კი, გავასაჩივრებთო. ეს დისკი სამხარაულში წავიღე ექსპერტიზაზე, გაშიფვრა მინდოდა.

ხათუნა სახლთხუციშვილი:

– მოსამართლე ლევან გვარამიამ პირდაპირ განგვიმარტა სასამართლო პროცესზე, თუ ხელს არ მოაწერთ, 7 დღეში აღსრულებას მივცემ ქონებასო. ანუ მგელი შეგვჭამდა თუ მგლისფერი ძაღლი, უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. რაკი მოსამართლემ თქვა, რომ სჯობდა, ხელი მოგვეწერა და მერე კერძო საჩივრით შევძლებდით გასაჩივრებას, უფრო ამიტომ დასთანხმდა ზურა მორიგების აქტზე ხელმოწერას.

– მოსამართლის ეს ტექსტიც ისმის დისკზე, რომელიც ექსპერტიზაზე წაიღეთ გასაშიფრად?

– სამი დისკი ამოვიღე. სამივეზე მაქვს მოსმენილი ეს ყველაფერი. სამივე მივიტანე სამხარაულში და სამივეზე მწერენ პასუხად – გაურკვეველი ლაპარაკი ისმისო. უცნაურია, მაგრამ როცა მე ვრთავ, მესმის, როცა ისინი რთავენ – არ ესმით. ბოლოს უკვე ისეთი დისკი ჩამომიტანეს, უკვე აღარც მე აღარ მესმოდა არაფერი.

– მოსამართლის საუბარიც ისმოდა?

– ამ ნაწილზე სამხარაულმა ის მაინც დაწერა, წყვეტებიაო. ანუ ცალსახად არ უარყო. ბოლოს ექსპერტს ადამიანურადაც ვუთხარი, შეიძლება იქ სხვა ისეთი ხმები გესმის შენი ტექნიკით, რასაც თვლი, რომ ბომბია, დავანებოთ იმ ხმებს თავი, არ მაინტერესებს-მეთქი. შენ ის გამიშიფრე, ადვოკატი რომ ეთანხმება – „კი... კი... კი... გაასაჩივრებ“, ეს გამიშიფრე-მეთქი. ბოლოს, როგორც უკვე მოგახსენეთ, დისკიც გაფუჭდა.

ხათუნა სახლთხუციშვილი:

– ბოლოს და ბოლოს, გაასაჩივრეთ მორიგების აქტი?

– ადვოკატი გვატყუებდა, გავასაჩივრეო, მაგრამ აღსრულება დაიწყო და ბაჟის გადახდაც კი ჩვენ მოგვთხოვეს 5000 ლარის ოდენობით. გვიან მივხვდით, რომ მოვტყუვდით. ჩვენი ქონება აუქციონზე გავიდა და ისევ „საქართველოს ბანკმა“ იყიდა, ჩვენი მაღაზია და სალონი – 36 400 ლარად, სამოთახიანი ბინა – 42 400 ლარად, 1000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი 13 750 ლარად და კიდევ 200 ათასი ვალი დაგვიტოვა. ჩემი ქმარი ახლა მევალეთა რეესტრშია. საჯარო სამსახურში უნდოდა მუშაობის დაწყება. ბოლოს და ბოლოს, ჩემს შვილებს არსებობა ხომ უნდათ? მაშინ აღმოჩნდა, რომ მევალეთა რეესტრში იყო და არ მიიღეს. ჩემი შვილები ჰაერით იკვებებიან?

სკანდალური ექსპერტიზა

სასამართლოს შემდეგ ხათუნა სახლთხუციშვილი კარდაკარ დაეძებდა სამართალს და ბოლოს და ბოლოს, გამოძიების დაწყებას მიაღწია. ამ გამოძიების ერთადერთი შედეგი ჯერჯერობით ის არის, რომ გამოსახლებას უშლის ხელს. საქართველოს ბანკი თვეში ერთხელ აგზავნის წერილს, გამოასახლეთო. პროკურორიც თვეში ერთხელ პასუხობს, რომ მიმდინარეობს გამოძიება და გამოსახლება შეჩერებულია. უკვე 10 თვეა, ასე გრძელდება.

თამარ გიგინეიშვილი, ადვოკატი:

– 2013 წლის დეკემბერში ჩავერთე ამ საქმეში და დავნიშნეთ ექსპერტიზები შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო სამსახურში... პირველმა ექსპერტიზამ მოგვცა ჩვენთვის ცუდი პასუხი. დაწერა, რომ ძამაშვილის ხელმოწერა ეკუთვნის ძამაშვილს. ამის მიუხედავად, ის მაინც ირწმუნებოდა, რომ ეს არ იყო მისი ხელმოწერა.

– ეგებ ძმას არ გაუმხილა?

– ჩვენ მერე მეორე ექსპერტიზა მოვითხოვეთ... გამოძიება დაგვთანხმდა, მაგრამ შემდეგ არ გადაიგზავნა.

– რატომ?

– კონკრეტული ეჭვი გამიჩნდა: საქმის გაცნობის დროს ბევრი კითხვა გაჩნდა. დაახლოებით 90 წერილი მაქვს მიწერილი საქართველოს ბანკისთვის. საკრედიტო ხელშეკრულებები მიდის ანბანის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ამ თანმიმდევრობიდან ამოვარდნილია სამი ხელშეკრულება. ბანკი მწერს – მსგავსი ხელშეკრულებები არ მოიძებნაო.

– დაკარგეს, თუ ბუნებაში არ არსებობს?

– ზუსტად ამ კითხვით ვწერდი ბანკს მორიგ წერილს. არ მცემენ ზუსტ პასუხს.

– ასე კატეგორიულად რატომ ითხოვთ თანმიმდევრობას?

– ხელმოწერა, რომელიც ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ნამდვილად ძამაშვილის არის, დასმულია ხელშეკრულების მხოლოდ ბოლო გვერდზე. ბოლო გვერდი ყველა ხელშეკრულებას ერთნაირი აქვს. შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რაკი გამქრალია რამდენიმე ხელშეკრულება, იქნებ გამქრალი ხელშეკრულებიდან არის მოხსნილი ბოლო გვერდი და მიმაგრებულია ამ ხელშეკრულებაზე? მაშინ რატომ არ აჩენს ბანკი მათ? ამიტომაც შევიკავეთ თავი ალტერნატიულ ექსპერტიზაზე. ამის გარდა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ხერედინაშვილი კატეგორიულად უარყოფდა იმას, რომ თავდებობის ხელშეკრულებაზე მისი ხელმოწერაც და ბეჭედიც გაყალბებული იყო. მოვითხოვეთ ექსპერტიზა. ექსპერტიზამ კატეგორიულად დაგვიდასტურა, რომ ბეჭედი გაყალბებულია, რაც შეეხება ხელმოწერას, ამ შემთხვევაში კატეგორიულად არა, მაგრამ სავარაუდოდ მისიაო, წერს.

- ექსპერტის დასკვნა თან გაქვთ?

- არა. ეს ინფორმაცია მივიღეთ ცნობის სახით. ვინაიდან ჯერ არ ვართ მხარე, შესაბამისად, გამოძიების მასალებთან წვდომაც არ გვაქვს.

- დაკარგული ხელშეკრულებები გამოძიებამაც ვერ მოიპოვა?

- გამოძიება ცდილობს, ყველა ხელშეკრულება ამოიღოს, მაგრამ „საქართველოს ბანკი“ რატომღაც უჭიანურებს. ვცადეთ, სასამართლოსთვის მიგვემართა ახლად აღმოჩენილი გარემოებით, რაკი უკვე ვიცით, რომ ბეჭდები გაყალბებულია. დაეწერა ისევ იმ მოსამართლეს, გვარამიას. მან მომწერა, რომ არ აქვს მნიშვნელობა, გაყალბებულია თუ არა, თქვენ უკვე მორიგების აქტს მოაწერეთ ხელი და კარგად ბრძანდებოდეთო (რესპონდენტმა ეს განჩინებაც წარმოგვიდგინა, რომლის შინაარსიც შესაძლებელია ამ ინტერპრეტაციით ამოვიკითხოთ. – მ.ნ.). არც კი უცდია, გამოეკვლია. ახლა გასაჩივრებული მაქვს აპელაციაში. სამართალი, კოდექსი და პროცესი გვავალდებულებს, რომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად მივიდეთ რაღაც დასკვნამდე. ეს პროცესი თუ ჩემთვის მოქმედებს, სასამართლოსთვისაც ხომ უნდა მოქმედებდეს? დიდი იმედი მაქვს, რომ ამ ხელშეკრულებებს გამოითხოვენ და დახედავენ მაინც...

თამარ გიგინეიშვილი

არარსებულ ვალში წაღებული სახლი

თამარ გიგინეიშვილი:

– აღმასრულებელი აღსრულების დროს დაიბნა, რადგან მორიგების აქტში არ ეწერა, რომელი ხელშეკრულებით უნდა განეხორციელებინა ეს ყველაფერი. ბოლოს „საქართველოს ბანკს“ მისწერა. იქიდან მოვიდა გასაოცარი პასუხი, „უნიტეკთან“ 2006-ში რომ ჰქონდა დადებული ხელშეკრულება, იმით აღასრულეთო, როცა აღსრულება აღასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას, სადაც ბანკს „უნიტექ თრეიდინგი“ ჰყავდა მოპასუხე. ანუ, ვთქვათ, ერთმა კომპანიამ აღიარა ვალი, რა შუაშია სულ სხვა კომპანიის იპოთეკა? მით უმეტეს, უკვე გესაუბრეთ იმაზე, რომ „საქართველოს ბანკიდან“ მიღებული ამონაწერებით, ამ კომპანიას 2007 წელს მასთან ყველა ანგარიში გასწორებული ჰქონდა.

ხათუნა სახლთხუციშვილი:

– ჯერჯერობით, რაკი საქმე გამოძიებაშია, ისევ იმ სახლში ვცხოვრობთ. რა ზომებს აღარ მიმართავს „საქართველოს ბანკი“ ჩვენს გამოსასახლებლად... ზამთარში იმ ოჯახს, სადაც ორი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს, დენი და გაზი გამოგვირთო, იძულებული რომ გავმხდარიყავით და წავსულიყავით.

– როგორ?

– ბანკია ახლა ამ ბინის მესაკუთრე. შესაბამისად, აბონენტიც თვითონ არის. ამიტომ გათიშეს, აღარ გვინდა დენის მოწოდებაო.

– შვილები რამხელები გყავთ?

– 2 და სამი წლის. უსუფაშვილს სამჯერ შევხვდი ამ საკითხზე. მარტო იმას მპირდება, რომ აუცილებლად დამიბრუნდება ქონება, მაგრამ ეს იცით, რას ჰგავს? – ჩემს ჯიბეში კამფეტია, ასე ტკბილად დამიბერდიო... მტკივა ყველაფერი. როგორ გადმოვცე, არ ვიცი. ჩემთვის დღე და ღამე ერთია. 6 თვე იმ ბინიდან წასულები ვიყავით, რადგან შიშები დამეწყო – თითქოს აღმასრულებელი აკაკუნებდა, ხან ვიღაც აივნიდან გადმოდიოდა, ხან იმაზე ვფიქრობდი, ბავშვები არ შემიშინონ-მეთქი.

– დღეს როგორ არსებობთ?

– პენსიონერი მშობლების ხარჯზე.

ბუნებრივია, „პრაიმტაიმი“ პოზიციის დასაფიქსირებლად „საქართველოს ბანკსაც“ დაუკავშირდა. მოთხოვნის შესაბამისად, ჩვენი კითხვებიც გადავეცით. პასუხზეც შევეხმიანეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მივიღეთ. რაც შეეხება სკანდალურ ექსპერტიზას, ვინაიდან გამოძიების მასალები არ საჯაროვდება, ამ ეტაპზე მხოლოდ ადვოკატის ინფორმაციას ვეყრდნობით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ მფარველობს „მაყურებლებს“ #8 დანესებულებაში

გრიგოლ გიორგაძე: „სამწუხაროა, როცა ასეთი ორგანიზაცია ახდენს სიცრუის ტირაჟირებას იმ პატიმრებისა, რომელთა არალეგიტიმური მოთხოვნები არ კმაყოფილდება და ისინი ცდილობენ, გარკვეული პროვოკაციები მოაწყონ“

EXCLUSIVE

„მაყურებლები“ პატიმრებს ნივთების შეძენას აიძულებენ

ხათუნა მგალობლიშვილი

ნომერ მერვე დაწესებულებაში პატიმრები „მაყურებლების“ ინსტიტუტზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ. პატიმრები კონკრეტულ პიროვნებებს ასახელებენ და ადასტურებენ, რომ მათგან ფიზიკურ და სიტყვიერ ზეწოლას განიცდიან იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებს არ შეასრულებენ. მოთხოვნები, როგორც წესი, პროდუქტების და უფრო ხშირ შემთხვევაში მონობარათების შეძენას გულისხმობს. თუმცა დაპირისპირება ექიმის მოთხოვნის შემთხვევაშიც ხდება.

შავლეგ გურგენიძე ნომერ მერვე დაწესებულების პატიმარია. დაკავების შემდეგ ის მერვე დაწესებულების „A“ კორპუსში მოათავსეს და სწორედ იქ გაიცნო ოთარი და თემური. ერთ-ერთის გვარს გურგენიძე თავად ასახელებს – ლოლუა. გურგენიძის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ სწორედ აღნიშნული პიროვნებები ითვლებიან „მაყურებლებად“ და სწორედ ისინი ახდენენ დანარჩენ პატიმრებზე ზეწოლას. გურგენიძემ დახმარება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას სთხოვა. ადვოკატის შესვლის შემდეგ კი საკუთარი ნებით დაწერა განცხადება, სადაც დეტალურად აღნერს საპყრობილეში არსებულ მდგომარეობას.

შავლეგ გურგენიძე, პატიმარი:

– A კორპუსზე იყო ორი პიროვნება, რომლებსაც მისჯილი აქვთ უვადო თავისუფლების აღკვეთა. ესენი არიან თემური და ოთარი (ერთ-ერთი გვარად არის ლოლუა). აღნიშნული პირები ზეწოლას ახდენენ სხვა პატიმრებზე ადმინისტრაციის თანამშრომლების დახმარებით. კონკრეტულად მოგახსენებთ, რომ, თუ პატიმარი ექიმთან შეხვედრას ითხოვს და ეძახის დაწესებულების თანამშრომელს, მსჯავრდადებულები ოთარი ან თემური აგინებენ მას, უყვირიან და შემდეგ ადმინისტრაციის თანამშრომლებს აძლევენ მითითებებს, რომ მსჯავრდადებული სხვა კორპუსზე გადაიყვანონ, რასაც ადმინისტრაციის თანამშრომლები ასრულებენ და მსჯავრდადებული სხვა კორპუსზე გადაჰყავთ... ასევე, თემური და ოთარი სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდებიან. სხვადასხვა პატიმრებს სთხოვენ ტელეფონის ბარათების, სიგარეტისა და სხვადასხვა პროდუქტების ყიდვას. თუ რომელიმე პატიმარი მათ მითითებებს არ შეასრულებს, ოთარის ან თემურის მითითებით ადმინისტრაციის თანამშრომლებს ის პატიმარი სხვა კორპუსზე გადაჰყავთ. ასეთ პატიმრებს ოთარი ან თემური სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ. ანალოგიურად მექცევიან მეც, რამდენჯერმე გავხდი იძულებული, მათთვის ტელეფონის ბარათი (5-ლარიანი) მეყიდა. ამასთანავე, როდესაც პატიმარი ტელეფონზე საუბრობს, თემური ან ოთარი მასთან ახლოს დგანან და საუბარს ისმენენ. ამ პიროვნებებს უშუალოდ მფარველობს #8 დაწესებულების დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში, ვინმე ილო (გვარი არ მახსოვს). მფარველობა გამოიხატება იმაში, რომ, როდესაც თემურს ან ოთარს სურს კონკრეტული პატიმრის სხვა კორპუსზე გადაყვანა, მიმართავს ილოს, რომელიც ადმინისტრაციის თანამშრომლებს ავალებს, კონკრეტული პირი სხვა კორპუსზე გადაიყვანონ“.

საია-ს ადვოკატის, ნონა ქურდოვანიძის განცხადებით, მათი ორგანიზაციისთვის ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც პატიმარი „მაყურებლის“ პრობლემის შესახებ ღიად საუბრობს. ბუნებრივია, საია-მ შავლეგ გურგენიძისგან ინფორმაციის გავრცელების ნებართვაც მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა როგორც პროკურატურას, ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მოთხოვნით, რომ მოხდეს ფაქტის გამოძიება.

ნონა ქურდოვანიძე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი:

– ჩვენ მივიღეთ წერილი პატიმრისგან, რომელიც გვთხოვდა, რომ მასთან შევსულიყავით და მოგვენახულებინა. პატიმარმა შავლეგ გურგენიძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ სასჯელაღსრულების ნომერ მერვე დაწესებულებაში ადგილი აქვს გარკვეულ დარღვევებს და ეს შეეხებოდა ეგრეთწოდებული ციხის მაყურებლების პრობლემას. პატიმარი ახსნა-განმარტებაში წერს და ყვება იმაზე, რომ ორი პიროვნება, ასევე პატიმრები ზეწოლას ახდენენ მასზე და სხვა პატიმრებზე, ითხოვენ მათგან სხვადასხვა ნივთების შეძენას და იმ შემთხვევაში, თუ პატიმრები მათ მოთხოვნებს არ ემორჩილებიან, მათზე ხდება ზემოქმედება.

– ცნობილია ამ ეგრეთწოდებული მაყურებლების ვინაობა?

– მათი სახელები არის თემური და ოთარი, ერთ-ერთის გვარია ლოლუა. პატიმარი გურგენიძე ასევე წერს, რომ თავადაც იძულებული გახდა, მათი მოთხოვნები შეესრულებინა. ასევე, ძალიან საყურადღებოა ის ინფორმაცია, რომელსაც გურგენიძე წერს. მისი განცხადებით, ამ ორ პატიმარს, სავარაუდო მაყურებლებს, მფარველობს ნომერ მერვე დაწესებულების დირექტორის მოადგილე უსაფრთხოების დარგში, ვინმე ილო. ჩვენი განცხადების მიზანია, რომ აღნიშნული ფაქტები შესაბამისმა უწყებებმა შეისწავლონ. ვგულისხმობ, ერთი მხრივ, პროკურატურის მიერ ფაქტების გადამოწმებას, მეორე მხრივ კი ჩვენ მივმართავთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსაც. თუ აღნიშნული ფაქტების სისწორე დადასტურდება, მაშინ შესაბამისი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ იმ პირებს, რომლებიც საქმის გამოძიების შედეგად გამოვლინდებიან.

– სასჯელაღსრულებამ ტყუილის ტირაჟირებაში დაგადანაშაულათ და ასეთ ვითარებაში რამდენად გაქვთ იმედი, რომ აღნიშნული ფაქტების შესწავლა მოხდება?

– სასჯელაღსრულების მიერ, უბრალოდ, სიტყვიერად თქმა იმისა, რომ ეს არის ტყუილი, თანაც ისე, რომ ჯერ ფაქტების გადამოწმება არ მომხდარა, სწორ პოზიციად არ მიმაჩნია. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ფაქტები მოითხოვს შესწავლას. თუ გამოიკვეთება, რომ მერვე დაწესებულებაში ნამდვილად აქვს ადგილი ეგრეთწოდებული ციხის მაყურებლების არსებობას, სათანადოდ უნდა დაისაჯონ ის პირები, ვინც ხელს უწყობენ მსგავსი ადამიანების მოქმედებას. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ინფორმაციაზე, რაც პატიმრისგან მივიღეთ. პატიმრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ის აუცილებლად საჭიროებს ყურადღებას. ვალდებულები ვართ, ასეთი ინფორმაციის მიღების შემთხვევაში შესაბამის უწყებებს მივმართოთ და მოვითხოვოთ გამოძიება მათგან, ვისაც ამის კომპეტენცია აქვს.

– სხვა დროსაც თუ მოუმართავთ პატიმრებს „მაყურებლების“ პრობლემით?

– იცით, ნერილობითი ფორმით, როდესაც პატიმარმა დაგვიდასტურა და ახსნა-განმარტება მოგვცა, პირველი შემთხვევაა. ზოგადად, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ასეთ ფაქტებზე პატიმრები, როგორც წესი, საუბარს ერიდებიან ხოლმე.

– მას შემდეგ, რაც შავლეგ გურგენიძემ აღნიშნული ინფორმაცია მოგაწოდათ, ხომ არ დაინტერესებულხართ მისი მდგომარეობით? ხომ არ განხორციელებულა მასზე ზეწოლა ინფორმაციის გავრცელების გამო?

– მან თავად გამოთქვა სურვილი და ბუნებრივია, ჩვენ მისგან გვქონდა თანხმობა, რომ აღნიშნული ინფორმაცია გაგვევრცელებინა, თუმცა ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ ადამიანს კიდევ შევხვდებით და აუცილებლად გადავამოწმებთ, რაიმე უკანონო ქმედებები ხომ არ ხორციელდება მის მიმართ განცხადების გავრცელების შემდეგ. უახლოეს დღეებში დავგეგმავთ შესვლას საპყრობილეში.

– თუ რეაგირება არ ექნება პროკურატურასა და სასჯელაღსრულებას, როგორ იმოქმედებთ შემდეგ?

– იმედი გვაქვს, რომ ამას რეაგირება მოჰყვება, შესაბამისი უწყებები დაინტერესდებიან და გამოიძიებენ აღნიშნულ ფაქტს. ჩვენ ეს მოლოდინი გვაქვს.

– მიუხედავად იმისა, რა განცხადებაც გაავრცელა სასჯელაღსრულებამ?

– ჩვენი ადრესატი არ ყოფილა მხოლოდ სასჯელაღსრულება, ჩვენ მივმართეთ ასევე პროკურატურას და იმედი გვაქვს, რომ ეს ორი უწყება შესაბამის რეაგირებას მოახდენს ჩვენს განცხადებაზე.

წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ საია-ს იმედები აუცილებლად გაუცრუვდება, რადგან სასჯელაღსრულებამ ფაქტის შესწავლის გარეშე გამოიტანა დასკვნები. მეტიც, უწყებამ კახა კოჟორიძის სამსახური ტყუილების გავრცელებაში დაადანაშაულა. სოზარ სუბარის მოადგილემ, გრიგოლ გიორგაძემ განაცხადა, რომ „მაყურებლების“ თემის წინა პლანზე წამოწევა აბსურდულია, იქიდან გამომდინარე, რომ არც ერთ დაწესებულებაში მსგავსი პრობლემა არ არსებობს.

გრიგოლ გიორგაძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე:

– ეს არის აბსურდული განცხადება. არანაირ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია და სამწუხაროა, როცა ასეთი ორგანიზაცია ახდენს სიცრუის ტირაჟირებას იმ პატიმრებისა, რომელთა არალეგიტიმური მოთხოვნები არ კმაყოფილდება და ისინი ცდილობენ, გარკვეული პროვოკაციები მოაწყონ.

ჩანს, რომ უწყება არათუ ფაქტობრივ, ერთ-ერთ ადამიანზე ზეგავლენას ახდენს, ეს ადამიანი ინფორმაციას ავრცელებს, ეს ინფორმაცია ავრცელებს ... ეს ინფორმაციას ... ეს ... ეს ... ეს

რა დარღვევები აღმოაჩინეს მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში?

„პირდაპირ გეტყვით, ადმინისტრაციის ხარჯები ძალიან დიდი იყო...“

„ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ხელფასი ვეღარ გაგვეცა, მაგალითად, ამ თვეში. ადმინისტრაციული რესურსი საკადრო რესურსის დაახლოებით 18%-ს შეადგენდა და სახელფასო ფონდის დაახლოებით 35-36% მოიხმარდა. როგორც მენეჯერს, არ მგონია, რომ ეს სწორი გათვლა იყო. სახელფასო მოცულობა კატასტროფულად მაღალი იყო“

EXCLUSIVE

სალომე გოგოხია

მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში ჯანდაცვის სამინისტრომ დარღვევები აღმოაჩინა. ჯანდაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, პროგრამაში ჩართული ერთ-ერთი დანესებულება, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, თანხების 74%-ს არა პაციენტების მკურნალობაზე, არამედ ადმინისტრაციულ ხარჯებზე იყენებდა. საუბარია ნარკოლოგიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუტზე. თანამდებობიდან რამდენიმე პირი უკვე გაათავისუფლეს.

როგორც „პრაიმტაიმს“ ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა ლაშა კილაძემ განუცხადა, საერთო ჯამში ადმინისტრაციიდან 36 პირი გაათავისუფლა. მისი განცხადებით, რეორგანიზაცია სამედიცინო პერსონალს არ შეეხო.

ლაშა კილაძემ აღნიშნული პოსტი მიმდინარე წლის აპრილიდან დაიკავა, სწორედ მის სახელს უკავშირდება რეორგანიზაციების ციკლი.

„ეს იყო მტკივნეული, მაგრამ ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება. ნახეთ ჩვენი ეზო, საჭიროებს თუ არა 3 მებაღეს და მერე მითხარით, რომ ვტყუივარ“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ კილაძემ.

თითქმის ათი წელია, რაც საქართველოში მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა ხორციელდება. ნარკოტიკებზე დამოკიდებულ ადამიანებს ამ პროგრამის დახმარებით შესაძლებლობა ეძლევათ უარი თქვან ნარკოტიკების მოხმარებაზე. სახელმწიფო ამ პროგრამის დასაფინანსებლად წელიწადში 4 მილიონ ლარს გამოჰყოფს. საერთო ჯამში, სახელმწიფო პროგრამით დაახლოებით 2 300 ბენეფიციარი სარგებლობს.

ლაშა კილაძე: - საქართველოს მასშტაბით სახელმწიფო პროგრამაში დაახლოებით 2 300 ბენეფიციარია. ჩვენს ცენტრში მეტადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით 1 187 ბენეფიციარი სარგებლობს, გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებულ პროგრამაში კი 521 ბენეფიციარი გვყავს. არის კერძო დანესებულებებიც.

- თითქმის ათი წელია, რაც აღნიშნული პროგრამა ხორციელდება, როგორი შედეგებია?

- სანამ სახელმწიფო ჩაერთვებოდა, მანამდე ამ პროგრამას, 2005 წლიდან, გლობალური ფონდი ახორციელებდა. ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების უპირველესი დანიშნულებაა სოციალური უსაფრთხოების საკითხი. ამ პროგრამით შესაძლებელია ნარკოტიკებზე დამოკიდებულ პირთა კრიმინალისგან დისტანცირება. მას საჭიროება აღარ აქვს, რომ ქუჩაში ვიღაცას დახვდეს, ფული წაართვას და ნარკოტიკი შეიძინოს. ეს კრიმინალის რისკებს ამცირებს. ყველა იმ შეზღუდვის ფონზე, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ნარკოტიკული საშუალების ტრაფიკთან დაკავშირებით, ეს ადამიანები იღებენ ნორმალური ხარისხის, მრავალგზის გამოკვლეულ მედიკამენტს და გაურკვეველი წარმოშობის ნივთიერებაზე დამოკიდებულები არ არიან, რომელსაც წამალდამოკიდებულები იგონებენ. ხშირ შემთხვევაში ეს ნივთიერებებები არა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის, არამედ სიცოცხლისთვის საშიშია. იგივე ე.წ. „კრაკადილი“ გავიხსენოთ, რომელსაც ხშირად იყენებენ. ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ „კრაკადილის“ მომხმარებელი მოკვდეს. სახელმწიფო მეტადონით ჩანაცვლების პროგრამით თავის ბენეფიციარებს ამ რისკსაც აშორებს. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამა შიდსის პრევენციის და აგრეთვე შემდგომი ნარკოტიზაციის პრევენციის თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია. ცნობილია, რომ ერთი ნარკომომხმარებელი საშუალოდ 7-8 ადამიანს ითრევს. ამიტომ, ეს საკითხიც პრევალირებს. გარდა ამისა, არის სხვა ასპექტებიც, მაგალითად, სახელმწიფოსთვის ეს პროგრამა ხარჯთეფექტურია. ბენეფიცირების უკონტროლოდ მიშვებამ ბევრად მეტი მატერიალური ზარალი შეიძლება გამოიწვიოს, ვიდრე ამჟამად სახელმწიფო იხდის მათთვის. ამაში შედის შესაძლო კრიმინალური ზარალი, მათი შენახვა სასჯელაღსრულების სისტემაში და ა.შ. მინდა ვთქვა, რომ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამები ბევრად უფრო ეკონომიურია, ანუ სახელმწიფოს ის ბევრად იაფი უჯდება, როგორც ეკონომიკურ- სოციალური კუთხით. ასევე, საზოგადოებაში ნარკოტიკების მოხმარებისგან გამონვეული ზიანის შემცირებისა და ნარკომანიის პრევენციის კუთხით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ეს პროგრამა უკვე რამდენიმე ათეული წელია წარმატებით ხორციელდება და ერთ-ერთი მაგალითია, თუ როგორ ზრუნავს სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებზე.

- რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, აღნიშნული პროგრამა სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც მოქმედებს. სასჯელის მოხდის შემდეგ პატიმრები მკურნალობას აგრძელებენ?

- დიახ, გლდანსა და აგრეთვე, ქუთაისის საპყრობილეში მოქმედებს გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული პროგრამები, რაც ამ დაწესებულებებში მოხვედრილ წამალდამოკიდებულ პირთა მოკლე დეტოქსის კურსს (10 დღიანი) ითვალისწინებს. ჯანდაცვის მინისტრის ახალი ბრძანების თანახმად, ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამებში ჩართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მოხსენიებულია პატიმრობა, ანუ წამალდამოკიდებულ პირებს, სასჯელის მოხდის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობა ექნებათ რიგის და მოლოდინის გარეშე ჩაერთონ პროგრამაში.

- რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ბენეფიციარი, რომ პროგრამაში ჩაერთოს?

- უპირველეს ყოვლისა, პირი, რომელიც პროგრამაში ჩართვისთვის მოგვმართავს უნდა იყოს 21 წლის და ზემოთ, ნარკომანიის დიაგნოზით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პაციენტი აუცილებლად დამოკიდებული უნდა იყოს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკზე. რადგან ყველა ნარკოტიკზე მეტადონის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა ეფექტური არ არის. მკაცრად განსაზღვრულია იმ ნივთიერებების ჩამონათვალი, რომელიც შედის ოპიატების ჯგუფში. მაგალითად, მარიხუანას მომხმარებლისთვის (თუ ის მხოლოდ მარიხუანას მომხმარებელია) მეტადონის პროგრამაში ჩართვა მიზანშეწონილი არ არის. იგივე ეხება ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებულებულ პირებს. გვაქვს ჩანაცვლებითი თერაპიის მეორე პროგრამა, სადაც მეტადონის ნაცვლად სხვა მედიკამენტი კერძოდ, სუბოქსინი გამოიყენება, რომელიც წამალდამოკიდებულ პირთა იმ კატეგორიისთვისაა განკუთვნილი, რომელთაც ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამა ესაჭიროება. თუმცა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას არ აძლევს, პაციენტმა მეტადონი მიიღოს. პრეპარატი სუბოქსინი, შედარებით მსუბუქია. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გარდა ჩანაცლებითი თერაპიის პროგრამებისა, გვაქვს სტაციონარული განყოფილება, სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელსაც ასევე გლობალური ფონდი აფინანსებს (მინდა აღვნიშნო, რომ ყველა პროგრამა, რომელსაც გლობალური ფონდი აფინანსებს, პაციენტებისთვის უფასოა). ალკოჰოლით გამოწვეული ქცევითი აშლილობების მკურნალობის პროგრამა და ა.შ.

- მანდილოსნები თუ სარგებლობენ ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამით?

- მეტადონის პროგრამაში ქალბატონებიც გვყავს. თუმცა, მოთხოვნა დიდად მასშტაბური არ არის. მათი რაოდენობა 2013 წლის ამნისტიის შემდეგ ოდნავ გაიზარდა, როდესაც პროგრამაში ჩართვის სურვილი ყოფილმა პატიმარმა ქალბატონებმა გამოთქვეს. ძალიან მალე ქალბატონებისთვის ცალკე, იზოლირებული სტაციონარული განყოფილებაც გვექნება, სადაც მათ საშუალება მიეცემათ, ჩაიტარონ დეტოქსიკაციის კურსი.

- სახელმწიფო წელიწადში რამდენს გამოყოფს პროგრამის დასაფინანსებლად?

- წელიწადში 4 მილიონი ლარია გამოყოფილი. ჩანაცვლებით თერაპიის პროგრამის თითოეულ ბენეფიციარზე თვეში ერთი ვაუჩერია გამოყოფილი(215 ლარი). პაციენტი თანადაფინანსებით იხდის 110 ლარს. სახელმწიფო უნაზღაურებს 105ლარს.

- რა მოხდა მეტადონით ჩანაცვლების პროგრამაში? რა დარღვევები იქნა აღმოჩენილი? თავის დროზე ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმაც ისაუბრა.

- ადრე ვაუჩერის თანხის მოცულობა 280 ლარს შეადგენდა. აქ არსებული სტრუქტურა დაფინანსებაზე იყო დამოკიდებული. ვაუჩერის თანხის შემცირების შედეგად, მოსალოდნელი ფინანსური კრახის წინაშე დავდექით. ჩვენ გვყავს 1 200 პაციენტი. თითოეულზე ვიღებდით 280 ლარს. ვაუჩერის ღირებულების შემცირების შედეგად, დაგვაკლდა 65 ლარი, ანუ პაციენტი 215 ლარს იღებს. თუმცა, თანხის შემცირების მიუხედავად, პაციენტი ზუსტად იგივე მომსახურებით სარგებლობს, როგორც მანამდე. დღის წესრიგში ამ ცენტრის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. ეს არის ყველაზე მსხვილი პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. დავდექით იმ რეალობის წინაშე, რომ ან უარი უნდა გვეთქვა პროგრამაში მონაწილეობაზე, ან ცენტრში რეორგანიზაცია მოგვეხდინა. ეს ყოველთვის რთული თემაა, მაგრამ ალტერნატივა არ გვქონდა. იმ დაფინანსების პირობებში, რაც ახლა გვაქვს, დაწესებულება ამხელა ადმინისტრაციას ვერ შეინახავდა. მაქსიმალურად ლოიალური ვიყავით სამედიცინო პერსონალის მიმართ. ხაზგასმით შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთი ექიმი, რომელსაც პაციენტთან შეხება ჰქონდა, სამსახურიდან არ გაგვითავისუფლებია. ჯამში, 36 ადამიანს მოუწია სამსახურის დატოვება. კადრების შემცირება ადმინისტრაციის ხარჯზე მოხდა. საკადრო სიით 600-ზე მეტი თანამშრომელი ირიცხებოდა. აქ ორი უზარმაზარი ინსტიტუტია: ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის. პირდაპირ გეტყვით, ადმინისტრაციის ხარჯები ძალიან დიდი იყო. ჩვენს დანესებულებას ამ ტვირთის ტარება არ შეეძლო. ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ხელფასი ვეღარ გაგვეცა, მაგალითად, ამ თვეში. ადმინისტრაციული რესურსი საკადრო რესურსის დაახლოებით 18%-ს შეადგენდა და სახელფასო ფონდის დაახლოებით 35-36% მოიხმარდა. როგორც მენეჯერს, არ მგონია, რომ ეს სწორი გათვლა იყო. სახელფასო მოცულობა კატასტროფულად მაღალი იყო. ბევრად აღემატებოდა ანალოგიური დაწესებულებების სახელფასო მოცულობას. მათ შორის, ადმინისტრაციის ხელფასი. ჩატარებული რეორგანიზაცია იყო მტკივნეული, მაგრამ სწორი და ერთადერთი გადაწყვეტილება.

- რატომ გახდა საჭირო ვაუჩერის დაფინანსების შემცირება?

- ვაუჩერის შემცირება საჭირო გახდა შემდეგი საჭიროებიდან გამომდინარე. პირველი, მოქალაქისთვის ის ფინანსურად ხელმისაწვდომი ყოფილიყო. მეორე, პროგრამაში მოხვდა იმდენი ადამიანი, რომ ცენტრმა პროგრამული მოცულობა წლის განმავლობაში აითვისა.

- ქობულეთის გარდა, კიდევ სად გეგმავთ ამ პროგრამის ამუშავებას?

- ახლო ხანებში რუსთავში ვგეგმავთ განყოფილების გახსნას. ეს არის გარკვეული ფინანსური რისკი. როცა გვყავს თანამშრომელი, მას ხელფასი უნდა გადავუხადოთ, იმის მიუხედავად იქ რამდენი ბენეფიციარი იქნება. რეალურად, ქუთაისის გარდა, ჩვენი არც ერთი რეგიონალური განყოფილება მომგებიანი არ არის, მაგრამ სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ გარკვეული თანხები ამად ღირს. მაგალითად, ოზურგეთში მცხოვრებ წამალდამოკიდებულ პირსაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ეს სერვისი. ცხადია, მატერიალური პრობლემებიც გასათვალისწინებელია. რეგიონში 110 ლარი ცუდი ფული არ არის. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რაიონებში ცენტრები არ დაიხუროს. მინდა ვთქვა, რომ ზუგდიდში არსებული მეტადონით ჩანაცვლების პროგრამა ერთგვარად სტრატეგიული მნიშვნელობისაა, რადგან გალის მოსახლეობა, მათ შორის, აფხაზებიც გადმოდიან და პროგრამაში ერთვებიან. თანაც ძალიან ინტენსიურად. მომართვიანობის მიზეზი აფხაზეთში ნარკომანიითა და შიდსით ინფიცირებულთა კატასტროფული რაოდენობაა. ვფიქრობ, სახელმწიფოს მხრიდან ეს სწორი გათვლაა. აფხაზეთთან სწორედ ამგვარი ურთიერთობაა საჭირო. ასეთი ურთიერთობები ადამიანებს აახლოვებს. დიდი სიმძლავრეების მიუხედავად, რუსეთში არსებული თუნდაც სამედიცინო მომსახურება მათთვის მიუწვდომელია.

„ეს იყო მტკივნეული, მაგრამ ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება. ნახეთ ჩვენი ეზო, საჭიროებს თუ არა 3 მებაღეს და მერე მითხარით, რომ ვტყუივარ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თბილისში მალფუჭებადი ნორმების დარღ

სალომე გოგოხია

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აგრარულ ბაზრებს სტუმრობს. თუმცა, ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით, რამდენად უსაფრთხო პროდუქტს იძენენ, სხვა საკითხია. ისეთი მალფუჭადი პროდუქტებისთვის, როგორიცაა ხორცი, რძის ნაწარმი, თევზი მაღალი სიცხე სასარგებლო ნამდვილად არ არის. როგორც ცნობილია, შენახვის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ასეთი საკვები ადამიანის ჯანმრთელობას ვნებს. სამწუხაროდ, თბილისში არსებულ ბაზრებში მალფუჭადი საკვები სანიტარული და ჰიგიენური ნორმების სრული დარღვევით იყიდება.

გარევაჭრობა ადამიანთა ჯან

მიუხედავად გამყიდველების მტკიცებისა, რომ პროდუქცია გასაყიდად მხოლოდ მას შემდეგ გამოაქვთ, რაც ბაზრის სანიტარულ შემოწმებას გაივლის, რეალობა საპირისპიროზე მეტყველებს. პაპანაქება სიცხეში თევზი, ხორცი, კვერცხი, რძის ნაწარმი ყოველგვარი ნორმის დაცვის გარეშე იყიდება.

ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე სიტუაციაა გარევაჭრობებზე. პრაქტიკულად, აქ გამოტანილ პროდუქციას არავინ აკონტროლებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი კი, ასეთ პროდუქციას მისი სიიაფიდან გამომდინარე უფრო ეტანება, ვიდრე დახურულ ბაზრობებზე, სადაც შედარებით მაღალი ფასებია.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ აგრარულ ბაზრებში პერმანენტულად ხორციელდება კონტროლი და იქვე განმარტავენ, რომ გარევაჭრობა სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარება.

„გარევაჭრობა აკრძალულია და სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარება. მათი ნათქვამი, რომ პროდუქტს ბაზრის სანიტარული სამსახური ამოწმებს, ჩვენთვის სარწმუნო არ არის. აგრარულ ბაზრობებს პერიოდულად ვამოწმებთ. ჩვენ არაერთი რეკომენდაცია გვაქვს მიცემული. მათ შორის, აგრარული ბაზრის შესაბამისი სექციები სათანადო წესით იქნა შეჩერებული და დაჯარიმებული. თუმცა, გარკვეული შემთხვევები მაინც არის. მათი კონტროლი კანონმდებლობითაა განსაზღვრული და ამას რეგულარულად ვახორციელებთ“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის უფროსმა კახა სოხაძემ.

„პრაიმტაიმი“ ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიასა და ე.წ. „ნავთლუღის“ ბაზრებზე იმყოფებოდა, სადაც სიცხეში, მტვერში, მზეზე, ყოველ ნაბიჯზე დახლზე გამოტანილ მალფუჭებადი პროდუქტების ნაირსახეობას წააწყდებით. გაყინული თევზი და ხორცის პროდუქტები მაცივრის ნაცვლად, რატომღაც დახლზე, მზის გულზეა გამოფენილი. როგორც ჩანს, ამით გამყიდველი კლიენტების მიზიდვას ცდილობს. მზეზე გამოტანილი გაყინული პროდუქტი თანდათან ლღვება. როგორც ცნობილია, ერთხელ გამლღვალი პროდუქტის ხელმეორედ გაყინვა ჯანმრთელობისთვის საზიანოა. თუმცა, ბაზრის არც ერთი პოტენციური კლიენტი რამდენჯერმე გაყინული პროდუქტის შეძენისგან დაზღვეული არ არის.

მას შემდეგ, რაც ე.წ. „დეზერტირების“ ბაზარი დაანგრიეს, ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე მცირე ბაზრობა გაიხსნა. ჟურნალისტური „რეიდი“ დინამოსკენ მიმავალი ტერიტორიიდან დავიწყეთ, სადაც გზისპირზე განლაგებულ დახლებს შორის, მეტი წილი ყასბებს უჭირავთ. უმრავლესობას ხორცი დახლზე აქვს გამოფენილი. შიდა ბაზრისგან აქაური ფასები ოდნავ განსხვავდება. შედარებით სიიაფეა. თუმცა, სხვა საკითხია მყიდველი რომელს ამჯობინებს - მტვერში დადებულ ხორცს, რომელსაც ზედ ბუზები ასხედან თუ რამდენიმე ლარით მეტი ღირებულების ხორცის შეძენას, რომელიც შესაბამისი ნორმების დაცვითაა შენახული.

ერთ-ერთ დახლს მივადექით.

- რა ღირს საქონლის ხორცი?

- 10 ლარი.

- შავი ფერი ადევს, გაფუჭებული ხომ არ არის?

- არა, რას ამბობ. შეხედე, როგორი ახალი ხორცია, მთელი დღე დევს, ფერიც ამიტომ შეეცვალა. გავჭრი და ნახავ, შიგნით როგორი ხალასია, - ამ სიტყვებზე მოვაჭრემ ხორცს დანა გაუსვა, თან ბუზების მოგერიებას ცდილობს.

- ბუზები რომ ასხედან?

- მერე რა მოხდა, გარეცხავ. ბუზები ყველგან არის.

- სანიტარული შემოწმება ხდება?

- რა თქმა უნდა. ყოველდღე ამოწმებენ, - ირწმუნება გამყიდველი.

პროდუქტის შეძენაზე უარს ვამბობთ და გზას ვაგრძელებთ. რამდენიმე ნაბიჯში გასუფთავებული სახაშე მასალა იყიდება. გამყიდველს ნაწილი დახლზე აქვს დადებული, ნაწილი კი მაცივარში მოუთავსებია. დახლზე დადებულს კი მარაოთი უნიავებს, ბუზების მოგერიებას ცდილობს.

გასაყიდად გამოტანილი ღორის თავ-ფეხი პირდაპირ სკამზე უდევთ. ფოტოაპარატის გაჩხაკუნებაზე პატრონმა ხელი დაავლო და ცხვირწინ აგვაცალა.

სანამ გამყიდველებს ჩვეულებრივი მყიდველები ვეგონეთ, ჩვენ შეკითხვებსაც პასუხობდნენ, თუმცა, ფოტოაპარატის გაჩხაკუნებამ სიტუაცია გაამწვავა. ზოგიერთი ჩვენ მიმართ აგრესიით განეწყო და მოღალატეებიც კი გვიწოდა.

„რას აკეთებთ? რატომ იღებთ ფოტოს? იმის ნაცვლად, რომ ხალხს დაეხმაროთ, მასონებს ახარებთ? ხალხის მტერი ხართ. ისედაც გაჭირვებულია ხალხი და გინდათ, ესეც ააცალოთ?“ - შემოგვიბღვირა ხორცის გამყიდველმა.

სამწუხაროდ, პროდუქტები ანტისანიტარიულ გარემოში იყიდება. ანალოგიურად არაჰიგიენურ პირობებში იყიდება ხილ-ბოსტნეულიც. რძის ნაწარმის ყიდვა კი პირდაპირ ქუჩაშიცაა შესაძლებელი.

გარევაჭრობა ყოველთვის ყველა ხელისუფლების თავის ტკივილი იყო. თუმცა, ყოველი არჩევნების წინ, ხელისუფლება მათ მიმართ ყურადღებას ყოველთვის „ადუნებდა“. ამ მხრივ სიტუაცია უცვლელია. თუმცა, სამართალდამცველების რეიდებით შეშინებულ გარემოვაჭრეებს ახალი მეთოდები აქვთ შემუშავებული, ზოგი ურიკით, ზოგიც დიდი ჩანთებით დგას ქუჩაში და ისე ყიდის პროდუქტსა თუ ხილს. სამართალდამცველების გამოჩენისთანავე კი იქაურობას უმალ გაეცლებინ და სხვაგან გადაინაცვლებენ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროდუქტი სანიტარული ვეებით იყიდება

მრთელობას საფრთხეს უქმნის

ანალოგიური სიტუაციაა „ნავთლულის“ ბაზარშიც.

დახლზე გაყინული თევზი, ხორცი, პირდაპირ მზის გულზე იყიდება.

ჩვენ შეკითხვებზე, რატომ ყიდიან პროდუქტს მაცივრის გარეშე, მზეზე, პასუხს ვერ ვიღებთ. გამყიდველი ზურგს გვაქცევს.

„პროდუქტების საყიდლად „ნავთლულში“ დავდივარ. სულ მცირე, კვირაში ერთხელ. ყველა ბაზრობა ვიცი. დღეს ისეთი ცხოვრება დადგა, ვცდილობ პროდუქტი რაც შეიძლება იაფად შევიძინო. კი მიჭირს, მაგრამ გარეთ ხორცს, რძის ნაწარმს მაინც არ ვყიდულობ. მთელი დღე სიცხეშია, ამდენი გამვლელ-გამოვლელია, ზოგი ახვლებს, ზოგიც ხელს ჰკიდებს. იმას როგორ ვიყიდი და ბავშვებს ვაჭმევ? მაგრამ ძალიან ბევრია გაჭირვებული, ამიტომ ასეთ ნიუანსებს ყურადღებას არ აქცევენ და მაინც ყიდულობენ“, - გვითხრა ასაკოვანმა ქალბატონმა.

მარხვის პერიოდში თევზის დახლს კლიენტი განსაკუთრებით ეძალება. თევზეულის რიგში კლიენტს სხვადასხვა სახის გაყინულ თევზთან ერთად ცოცხალ კალმახსაც სთავაზობენ.

„ცოცხალს, აქვე დაგიჭერ, კილოს 11 ლარად მოგცემ, ხოლო უკვე დაჭერილი, აგერ, დახლზე რომ დევს, მაგას 10 ლარად მოგცემ“, - მეუბნება გამყიდველი, რომელიც მარწმუნებს, რომ თევზი ახალია. თუმცა, ბევრი მაინც ცოცხალის ყიდვას ამჯობინებს.

„ამდენ ფულს ვიხდი და მირჩევნია, ჩემ თვალწინ დაჭერილი ვიყიდო და შინ ვიღო“. - მეუბნება ერთ-ერთი მყიდველი.

მაცივრის გარეშე იყიდება ყველი, ნადული, ხაჭო, კვერცხი... დაეჭვებულ მზერაზე კი გარწმუნებენ, რომ პროდუქტი ახალია.

„სოფლის კვერცხს ნაცნობისგან ვიღებ, ოღონდ ცოტას, რომ მალე გავყიდო. ხაჭოს რა გააფუჭებს? მოდი, გასინჯე და დარწმუნდები. ჩემი კლიენტები მყავს და დილიდანვე მაკითხავენ“. - ამბობს ერთ-ერთი გამყიდველი.

„არ დაიჯერო, ამას წინათ, სოფლის კვერცხები ვიყიდე და ნახევარზე მეტი ძველი იყო“, - ჩამჩურჩულა გვერდით მდგომმა ქალბატონმა.

ის ვინც ბაზრის ხშირი სტუმარია, დამეთანხმება, რომ ეს პრობლემა ნლებია, რაც მოუგვარებელია.

მომხმარებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი გია ბურჯანაძე მომხმარებლების უფლებების დარღვევაზე საუბრობს.

„ქუჩაში ანტისანიტარია, ეს წმინდა წყლის აზიური პრობლემაა. რაღაც უნდა მოიფიქროს სახელმწიფომ, ის ადგილები, სადაც ასეთი ბაზრობებია, მაცივრებით აღჭურვილი უნდა იყოს. სახელმწიფო მოსახლეობას უნდა დაეხმაროს ვაჭრობაში და სავაჭრო ადგილების მოწყობაში. ევროპაშიც იმართება უზარმაზარი ბაზრობები, მაგრამ იქ კეთილმოწყობილია, რაზეც ხელისუფლება ზრუნავს. საქართველოში კერძო ბიზნესზე, წვრილ მეწარმეებზე არავინ ზრუნავდა. არც აინტერესებდათ ის ადამიანები მოკვდებიან თუ მორჩებიან. ორი პრობლემაა - ჩვენი ჯანმრთელობა და ამ ადამიანების ცხოვრება და მუშაობა. მათ სამუშაო პირობები უნდა შეუქმნან. ეს საკითხი ადგილობრივმა ხელისუფლებამ და მერიამ უნდა მოაგვაროს. საქართველოს ევროკავშირში შესვლა უნდა, შესაბამისად, ევროკავშირის თამაშის წესები უნდა მივიღოთ. ეს არის ეკონომიკის სამინისტროს პრობლემა, რასაც ის ვერ ასრულებს. ეკონომიკის მინისტრმა არ იცის რა უნდა გააკეთოს. ხომ ვიცოდით, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა მოხდებოდა? ეს საგარეო და ეკონომიკის სამინისტროების მეირ განხილული უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაინტერესება არ არის, უცოდინარები არიან“, - აცხადებს ბურჯანაძე.

მაღალი სიცხის გამო საკვებით მოწამვლის რისკი მაქსიმალურად იზრდება. ამიტომ, ექიმები მოსახლეობას ურჩევენ, რომ საკვები პროდუქტი სიფრთხილით შეარჩიონ.

მართალია, მოსახლეობა სიცხეში გამოტანილი ხორც-პროდუქტების შეძენას ერიდება და უპირატესობას ხილ-ბოსტნეულს ანიჭებს. თუმცა, მედიკოსების განცხადებით, მაღალ სიცხეში ხილ-ბოსტნეულით მოწამვლის რისკი საკმაოდ მაღალია.

როგორც „პრაიმტაიმს“ ინფექციურ საავადმყოფოში განუცხადეს, წელს, საზამთროთი მონამვლით მათ კლინიკას სამმა პაციენტმა მიმართა.

„ძირითადი სიმპტომები, რითაც მოგვმართეს, არის ცხელება, ფაღარათი, მუცლის ტკივილი. საკვები ბაქტერიით თუ არის დაბინძურებული, რომელსაც მოსახლეობა მიირთმევს, ცხადია, ნაწლავური ინფექციით დაავადდება. ასევე, ჭუჭყიანი ხელებით საკვების მირთმევის დროს შეიძლება ადამიანი მოიწამლოს. ზაფხულია და ამ დროს უამრავი ბაქტერიაა. როდესაც პროდუქტი შესაბამისი ნორმების დაცვით არ ინახება, ჰიგიენურ პირობებს არ იცავენ, ბაქტერია მრავლდება და ადამიანი ავადდება. წელს საზამთროთი მოწამვლის რამდენიმე შემთხვევა გვქონდა. ეს მოწამვლა შეიძლება გამოიწვიოს ჭუჭყიანი დანით გაჭრილი საზამთროს მირთმევამ ან როცა საზამთრო გადამწიფებულია. საზამთროთი მოწამვლის შემთხვევები წინა წლებშიც გვქონდა. როგორც ასეთი, ეპიდემია არ არის. წელს ბავშვები არ გვყოლია, მხოლოდ მოზრდილები“. - აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბარში ინფექციური საავადმყოფოს ნაწლავური ინფექციების განყოფილების გამგე თემურ ქველაძე.

სიცხეში ასევე ხშირია კრემიანი ნამცხვრებით მოწამვლის შემთხვევებიც, როცა საკონდიტრო ნაწარმი არასათანადო პირობებში ინახება. თუმცა, როგორც ნაწლავური ინფექციების განყოფილებაში გვითხრეს, მსგავსი ჩივილით პაციენტს ჯერ არ მოუმართავს.

„კრემიანი ნამცხვრები არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღონ თუ ჰიგიენური პირობები არ არის დაცული. ტორტით სტაფილოკოკური ინფექციით დაავადების საშიშროება არსებობს. მზარეულმა, ვინც კერძებს ამზადებს, პირადი ჰიგიენა აუცილებლად უნდა დაიცვას. როდესაც თითზე ჩირქოვანი, ანთებითი პროცესია, არსებობს საშიშროება, რომ ეს კრემიან ნამცხვარში მოხვდეს და ადამიანი თავისუფლად მოიწამლოს“. - ამბობს ქველაძე.

მისივე რჩევით, მოწამვლის დროს პაციენტმა დიდი რაოდენობით სითხე უნდა მიიღოს.

„ანტიბიოტიკი არ უნდა დალიოს. დიდი რაოდენობით სითხე, „რეჰიდრონი“, გაზგასული მინერალური წყალი უნდა მიიღოს, რადგან ამ დროს ადამიანი მინერალებსაც კარგავს“. - აცხადებს ქველაძე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯეოსელი

50 ლარი

- უსასრულო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- უსასრულო SMS-ები
- უსასრულო ინტერნეტი

ერთი უსასრულო

შეიძინეთ გადახდის აპარატებში ან ჯოდით *010#OK

7036 - ჯეოსელიდან (ზარი უფასოა)
110110 - ყველა ქსელიდან
www.geocell.ge

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან კობიაშვილი: „დღევანდელ ფეხბურთში ერთი საშველია - ფეხბურთის ფედერაციაში ფუნდამენტური ცვლილებები უნდა მოხდეს“

EXCLUSIVE

„ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი პირები, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს და არა ფეხბურთის, რაც დამღუპველი გზა იყო დღემდე და ასე იქნება მომავალშიც“

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, ლევან კობიაშვილმა საფეხბურთო კარიერა სულ ცოტა ხნის წინ დაასრულა და სამშობლოში დაბრუნდა. ყველაზე მეტი ინტერესი, მასთან დაკავშირებით, ის არის, გადაწყვეტს თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ჩქარობს, მაგრამ საქართველოში დაბრუნებულს თავისი გეგმები აქვს - დეტალურად უნდა შეისწავლოს ქართულ ფეხბურთში არსებული პრობლემები. როგორც თავად ამბობს, მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ წარმატების მიღწევას შეძლებს, ამ გადაწყვეტილებას მიიღებს. რას ფიქრობს 16 გუნდიან ჩემპიონატზე, სად ხედავს ქართული ფეხბურთის პრობლემების მოგვარების სათავეს და ვინ უნდა წავიდეს სფფ-დან, ლევან კობიაშვილის მწვავე პასუხები „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

- ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების რაოდენობა 16-მდე გაიზარდა. რამდენად გამართლებულია ეს გადაწყვეტილება და შეცვლის თუ არა სიტუაციას უკეთესობისკენ ქართულ ფეხბურთში?

- არანაირი სტატუსი არ მაქვს, ყოფილი ფეხბურთელი ვარ, არც ქართულ ფეხბურთში ვარ ჩართული. გამომდინარე აქედან, ჩემი პოზიცია ამასთან დაკავშირებით არის ის, რომ გაუმართლებელია ეს გადაწყვეტილება. 16 გუნდიანი ჩემპიონატის თემა პრობლემატურია და დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე სწორი არ არის, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ბოლო პერიოდში, ამ თემასთან დაკავშირებით, ბევრი კამათი და საუბარი იყო და მთელი აქცენტი ამაზე იყო გადატანილი, მაგრამ საიდან მოვიდა ეს პრობლემები? ყოველ წელს რაღაც იცვლება, იმიტომ, რომ როდესაც ფეხბურთის ფედერაციაში მოდიხარ და არ გაქვს სწორი გზა, მიზანი, ვერ ხედავ ამას და არც არასდროს გქონია, შუა გზაზე, შემდეგ სულ რაღაცას ცვლი. დღეს ამაზე არავინ საუბრობს. როდესაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მოხვედი სათავეში, გაქვს ფეხბურთის განვითარების შენი ხედვა, როგორ უნდა მიხვიდე რაღაც ეტაპამდე, წარმატებამდე, გზამდე, როგორ უნდა იარო ამ გზაზე? ეს გზა არასდროს ყოფილა და არც ჩანს ამ წლების განმავლობაში. არ ვიცი, რეალურად საით მიდის ქართული ფეხბურთი, რა იქნება მომავალში. ამიტომ ხდება, რომ ყოველწლიურად იცვლება, ვეძებთ იმ წუთას რა პრობლემაცაა და ამაზე გადადის მთელი ყურადღება. ქართული ფეხბურთის მთავარი პრობლემა ისაა, რომ სწორი მიმართულებით არ მივდივართ. ყველა ვამბობთ, რომ გერმანიის ნაკრები იმსახურებდა მსოფლიო ჩემპიონობას, მაგარი გუნდი იყო, მათ ყველაფერი გათვლილი ჰქონდათ, წლების განმავლობაში მივიდნენ იმ შედეგამდე, რასაც მიაღწიეს. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი პირები, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს და არა ფეხბურთის, რაც დამღუპველი გზა იყო დღემდე და ასე იქნება მომავალშიც.

- ბოლო წლების განმავლობაში ეროვნული ჩემპიონატის სისტემა რამდენჯერმე შეიცვალა. ითქვა, რომ მომავალი წლიდან აღარაფერი შეიცვალა, თუმცა ეს გვესმოდა წლების წინაც, გაქვს იმის იმედი, რომ მომავალ წელს კვლავ აღარაფერი შეიცვლება?

- როგორც ვიცი, გადაწყვეტილია, რომ შემდეგ წელსაც ასე ჩატარდება, ორი გუნდი გავარდება, ერთი ფლეი-ოფს ითამაშებს პირველი ლიგის გუნდთან. ის გადაწყვეტილია, რასაც რეგლამენტით გაწერენ და დაწერენ.

- თუმცა, ჩვენთან რეგლამენტი ყოველ წელს იცვლება...

- ზუსტად ამას ვამბობ. ეს იმიტომ ხდება, რომ არ აქვთ წინასწარი ხედვა, როგორ უნდა განვითარდეს ფეხბურთი, რა მიმართულებით, თორემ როგორ შეიძლება ყოველ წელს სისტემა ცვალო. რაღაც პრობლემას ნახავენ, იმაზე დაიწყებენ საუბარს, მთავარი კი ის არის, რომ თავის დროზე არ იყო დაგეგმილი არაფერი, მოხდა ისე, რომ ვიღაც დავნიშნეთ, მოვიდა, ეს იქნება, ის იქნება და საბოლოო ჯამში, არაფერია პრობლემების გარდა. არამარტო ფეხბურთში, არამედ ყველგან, სადაც არ უნდა მიხვიდე, თუ წარმატება გინდა, შენი სტრატეგიული გზა უნდა გქონდეს, რომლითაც უნდა იარო. ფეხბურთში ამ გზას ვერ ვხედავ და არც ის დამინახავს, ფეხბურთის ფედერაციას ჰქონოდა. არავინ იცის, რისთვის უნდა მიეღწია ფეხბურთის ფედერაციას იმ ვადებში, რა ვადებშიც ხელმძღვანელობა დანინშნა. არ ყოფილა სტრატეგიული გეგმა, არც ანალიზი, კვლევები არ ჩატარებულა. მე არ მჯერა, როდესაც ლაპარაკობენ, რომ არ გვიმართლებს. გიმართლებს, იმიტომ, რომ იმსახურებ, თუ სწორად აკეთებ რაღაცას. ჩვენ სულ არ გვიმართლებს, იმიტომ, რომ არასწორად კეთდება. როდესაც გაქვს ხედვა და იბრძვი, მაშინ მიაღწევ შედეგს, არ აქვს მნიშვნელობა პატარა გუნდი ხარ თუ დიდი. არ ვიცი, ვინმემ გადმოიღოს 4 წლის წინ, როდესაც სიჭინავა პრეზიდენტად მოვიდა, რა განვითარების გეგმა ჰქონდა და რა შესრულდა, რა გაკეთდა.

- დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა ბჭობა, გამხდარიყო თუ არა ეროვნული ჩემპიონატი 16 გუნდიანი. სფფ-ს პოზიციას იზიარებდა ვიცე-პრემიერი კახი კალაძე, სპორტის მინისტრი, ლევან ყიფიანი კი 10 ან 12 გუნდიანი ჩემპიონატის მომხრე იყო. მისი მხარდამჭერი პრემიერი ღარიბაშვილი გახლდათ. ყიფიანსა და სიჭინავას შორის, ამ თემის გამო, დაპირისპირება და ხმაური სამთავრობო კომისიაზეც მოხდა. საბოლოოდ, მივიღეთ ის, რომ ყიფიანი მივიდა ფედერაციაში და სიჭინავასთან ერთად გააკეთა განცხადება, რომ გუნდების რაოდენობა გაიზრდებოდა. გამარჯვებული სიჭინავა გახდა, ყიფიანმა კი თავის პარტია ნააგო. ეს ფონი, კიდევ უფრო ხომ არ ამყარებს აზრს, რომ სწორედ პირად ინტერესებზეა გადასული ეს ყველაფერი და არა ფეხბურთის?

- ზუსტად ამაზე ვსაუბრობ. აქ არ იკვეთება ის, რომ ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე იღებენ გადაწყვეტილებებს. ეს გადაწყვეტილებები არის კონკრეტულად, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი პირების პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მინდა, ყველამ გაიგოს, მე რა მჭირდება დღეს, არ არის მნიშვნელოვანი, რა სჭირდება ფეხბურთს, ესაა მთავარი. ყველა ადამიანი, ვინც მონაწილეა, ვინც ფეხბურთში ტრიალებს, თუ ამ აზროვნებით იქნება, სულ მსგავს სიტუაციებში ვიქნებით. თავის თავს უნდა გადაახტნენ და ისე მიიღონ გადაწყვეტილებები. ამას ეს უნდა, იმას ის უნდა, შენ ფეხბურთის ფედერაცია ხარ და პასუხისმგებელი ეროვნულ ჩემპიონატზე, ნება იბოძე და შენ თვითონ გადაწყვიტე, სალაპარაკო თემად ნუ გახდი, მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში, ჯერ 10 გუნდიანი ჩემპიონატი იყო, შემდეგ - 12, მერე გაიყო სისტემა და მთელი საქართველო არჩევდა, ვის ვისთვის უნდა მიეცა თამაში, ვის მოეგო. შემდეგ გაიყო და დღემდე ვერ გაიგეს, რა ხდებოდა, ეს ყველაფერი ზუსტად იმას ადასტურებს, რომ ამ ხალხს არ აქვს არც სათანადო აზროვნება, არც ცოდნა და არც ის, თუ როგორ უნდა მართო. როდესაც ფეხბურთის ფედერაცია ხარ, ნება იბოძე და შენ თვითონ გამოიჩინე ძალისხმევა, იყავი ძლიერი და თავად მიიღე გადაწყვეტილება, მაგრამ, როდესაც სფფ-ს 4-5 წლის განმავლობაში, ერთი სპონსორიც კი არ მოუძიებია, „სოკარის“ გარდა, გადახედეთ სპორტის სხვა სახეობებს, კალათბურთს, რაგბს, რამდენი კომპანია მიდის და ეხმარება, მაშინ დგება საკითხი, რომ არ ხარ უნარიანი, რომ თავად გადაწყვიტო, მართო, ამიტომ ერევა შემდეგ ერთი, მეორე, სხვა მხარე და ყველას საკუთარი პოზიციის მოხვევა და გატანა უნდა. საბოლოო ჯამში ზარალდება ქართული ფეხბურთი.

- პრემიერმა განაცხადა, რომ სახელმწიფო პროგრამის განხორციელება მომავალი წლიდან დაიწყება და ფულსაც გუნდები შემდეგში მიიღებენ. რამდენად გამართლებულია, რომ სახელმწიფომ არჩინოს კლუბები?

- სახელმწიფოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმწიფო უნდა დაეხმაროს, რასაკვირველია, მაგრამ საიდან მოვიდა ეს პრობლემები, ეს უნდა გავიგოთ. წლების განმავლობაში, იყო უპასუხისმგებლობა, ფეხბურთის მიმართ ნდობა დაიკარგა. სადაც არ უნდა მიხვიდე, დიდ კომპანიებში, ფეხბურთის გაგონება არა უნდათ. წლების განმავლობაში დაგროვდა ეს ყველაფერი. მაშინ რომ გადადგმულიყო სწორი ნაბიჯები, იმ კლუბებს მოეზიდათ საკუთარი სპონსორები, თუნდაც ელემენტარული, კერძო სექტორიდან, მეტი დაფინანსება ექნებოდათ. თუ ფედერაციას არ აქვს ამის უნარი და გეხმარება სხვა, შესაბამისად, ის გაძლევს რჩევებს, იდეებს და ა.შ. ეს უნდა შეიცვალოს. რასაკვირველია, სახელმწიფო უნდა დაეხმაროს ფეხბურთს. თუნდაც, ავიღოთ ის, რომ ამდენი წელია საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ და პირველად იყო შემთხვევა, როდესაც „პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, აქციაზე მივედი, სადაც გულშემატკივრებს შევხვდი, გავესაუბრე, ხელი მოვაწერე. მსგავსი რაღაც არ მქონია არასდროს, 18-20 წელია საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ. ზუსტად ეს არის პრობლემა, რომ საქართველოში, წლების განმავლობაში მსგავსი არასდროს ყოფილა. ზუსტად ასეთი პროექტები და ნაბიჯები ქმნიან იმ ფონს, რომ მომავალში უკეთესი იყოს, მაგრამ, როცა ამის არც ცოდნა გაქვს და არც გამოცდილება, ვერც აზროვნებით ხვდები, რა უნდა გააკეთო, ყოველთვის სხვისი შემყურე ხარ. ვიღაცამ გითხრას, დაგაფინანსოს, რასაც გეტყვის, აკეთო. დღევანდელ ფეხბურთში, ერთი საშველია, ფუნდამენტური ცვლილებები უნდა მოხდეს, იგივე ფედერაციაში. სხვანაირად არაფერი ეშველება ქართულ ფეხბურთს.

- გულისხმობ თუ არა იმას, რომ ქართული ფეხბურთი უნდა გაიწმინდოს ყველა იმ სახელისგან, რომელიც უკავშირდება შავბნელ საქმეებს და წლებია, მათგან გაკეთებული საქმე არ გვინახავს?

- ამას ვამბობ. ფეხბურთში დღეს არის ერთი გზა - ფუნდამენტური ცვლილება და სულ თავიდან დაწყება. არ არსებობს პროექტი არ ამართლებს. დანგრეულ შენობაში რემონტი გააკეთო მეშვიდე სართულზე, ისიც დაინგრევა და ფულიც გადაყრილი იქნება, ასე იყრებოდა ფული ჩვენთან წლების განმავლობაში, მილიონებზეა საუბარი და შედეგია ნული.

- დღესვე რომ მისცეს სახელმწიფომ კლუბებს რამდენიმე მილიონი, გაქვს იმის იმედი, რომ სწორად გამოიყენებ ან ფულს?

- მე არ მინახავს ფეხბურთის განვითარების პროექტი, მაგრამ ზოგადად ვიცი. პროექტში, სადაც სატელევიზიო გაშუქება არაა გათვლილი და მხოლოდ იმაზეა ლაპარაკი, სად რამდენი მილიონი წავა, ხელფასი რამდენი იქნება, რამდენი საპრემიო, თუ გვინდა, რომ ფეხბურთელს 1000 დოლარის ნაცვლად გაუორმაგდეს ხელფასი, ეს ისედაც ასე იყო წლების განმავლობაში. რომელიღაც მუნიციპალიტეტი მისცემდა გუნდს, ოღონდ ახლა თავი დამანებე, ერთი წელი ჩაამთავრე, შემდეგი წლიდან ისევ იგივე პრობლემა დგებოდა. ეს ლოგიკა მიუღებელი და დამღუპველია. ამიტომ არის ქართული ფეხბურთი ამ დღეში. მომავალში ვინც იქნება ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი, ვინც არ უნდა იყოს, ვერავინ უშველის დღეს, მაგრამ თუ სწორი გზით წავალთ, გავივლით, მომავალი წლების განმავლობაში იქნება ეს წარმატება და შეიმჩნევა. დღეს ვლაპარაკობთ 30-40 მილიონზე, როგორ გგონიათ, წინა წლებში ნაკლები დაიხარჯა, თუ ცალკეულ მუნიციპალიტეტებს ავიღებთ? შედეგი რა მოგვიტანა ამან, - არაფერი.

- ბოლო დროს, ბევრი გეკითხება, აპირებ თუ არა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლას. მე გკითხავ, სჭირდები თუ არა ქართულ ფეხბურთს შენი გამოცდილებით, კონტაქტებით და შენი და შენი თანამოაზრეების გამოჩენა, დააბრუნებს თუ არა საზოგადოების ნდობას ფეხბურთისადმი?

- ნდობას დაუბრუნებს ის, როდესაც არის პატიოსნება. არა ის, მე რა მინდა და შენ რა გინდა, არამედ, ფეხბურთს რა სჭირდება. თუ საქმე გაკეთდება, ნდობაც დაბრუნდება, ეს შედეგსაც მოიტანს. წლებია, საქართველოში არ მიცხოვრია, მაგრამ სულ მქონდა ინფორმაცია, რა დონეა, რა ხდებოდა. ჩემი მომავალი, როგორ წარმომიდგენია აქ, მინდა, ელემენტარულად, პირადად, თუ გადაწყვეტილებას მივიღებ, პირადად ვიყო დარწმუნებული, რომ ჩემი აქ ყოფნა სარგებელს მოუტანს ფეხბურთს. არ მაქვს ინტერესი, ვიჯდე რომელიმე შენობაში, ოფისში. თუ რაღაცის გაკეთება მინდა, ამაში დარწმუნებული უნდა ვიყო. წარმატება იქნება ჩემი მთავარი ამოცანა. იმ პერიოდში, რაც საქართველოში ვიქნები, მაქსიმალურად ვნახავ, შევხვდები ადამიანებს, გავიგებ რა პრობლემებია. მოსმენა ერთია და როდესაც თავად დარწმუნდები, რა პრობლემების წინაშე ხარ, უკეთესია. ჯერ ამას ვნახავ და შემდეგ გადავწყვეტ.

- კახი კალაძისგან მოვისმინეთ, რომ პრეზიდენტობა გადაწყვიტე, თუმცა შემდეგ შენ თქვი, რომ თუკი სფფ-ში პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას გადაწყვეტ, ამას სხვისი დახმარებით არ გააკეთებ, თუკი ამ გადაწყვეტილებას მიიღებ, გამიჯნავ თუ არა ფეხბურთსა და პოლიტიკას, გათავისუფლდება თუ არა სახელმწიფოს ჩარევისგან სპორტის ეს სახეობა?

- ერთია, კახიმ რა თქვა, ის ჩემი მეგობარია ბავშვობიდან და ჩვენ სულ გვქონდა საუბარი ფეხბურთის თემაზე. ამიტომ, გასაკვირი არ არის მისგან ეს განცხადება, მაგრამ, თუ მივიღებ ამ გადაწყვეტილებას, მიმაჩნია, რომ მაქვს ამ გადაწყვეტილების მიღების უფლება და სხვისი დახმარება არ არის საჭირო, ვინც არ უნდა იყოს ის. კახი თუ გამოვა და იტყვის, რომ ლევანი ღირსეული პიროვნებაა, ან სხვა ვინმე, პირიქით, მადლობას გადავუხდი და გამეხარდება, მაგრამ ამას იმ ფონით ნუ გაიგებს ვიღაც, რომ ჩარევას აქვს ადგილი. თუ დავრწმუნდები, რომ ჩემი აქ ყოფნა სარგებელს მოუტანს ქართულ ფეხბურთს, ამ შემთხვევაში გადავდგამ ამ ნაბიჯს. როცა ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ფეხბურთში იყვნენ, არიან და პასუხისმგებლობის გრძნობა არ აქვთ იმაზე, რაც ბოლო წლების განმავლობაში ქართულ ფეხბურთში მოხდა, ამ ხალხს კიდევ პრეტენზია აქვთ, მომავალშიც უხელმძღვანელონ ფეხბურთის ფედერაციას, თანაც ეს ადამიანები ამბობენ, რომ სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს; მეორე მხრივ, დგას საკითხი, რომ სახელმწიფო თუ ეტყვის, ასე უნდა იყოს, რადგან თავად ვერ იღებს გადაწყვეტილებას, რამდენი გუნდი უნდა იყოს, არ ითვალისწინებს გულშემატკივრის პოზიციას და ელოდება მითითებას, ამ ხალხისგან საუბარი, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს თუ არა, არ იქნება სწორი. რასაკვირველია, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს, უნდა დაეხმაროს. მთავარი, რაც გადაარჩენს ფეხბურთს, არის აუცილებელი ცვლილებები. უნდა მოხდეს ფუნდამენტური ცვლილება. ის ადამიანები, ვინც წლებია იქ მუშაობენ და ისინი აღარ იქნებიან, გარწმუნებთ და მეორე - უნდა იყოს საერთო, მთლიანი აზრი, რა არის ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი და აქედან უნდა იყოს ყველა გადაწყვეტილება მიღებული. როდესაც ეს ასე იქნება, მერწმუნეთ, ქართულ ფეხბურთსაც ეშველება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ვისოლმა“ „ეკო“-სგან საწვავის მოწოდებისა და სავაჭრო ნიშნის გამოყენების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა

მაგდა კლდიაშვილი

„ვისოლმა“ „ეკოს“-გან საქართველოში საწვავის მოწოდებასა და „ეკო“-ს სავაჭრო ნიშნის გამოყენებაზე ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. ექსკლუზიური ლიცენზიის ხელშეკრულების ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიალი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში“ გაიმართა, რომელსაც „ეკო“-ს კომერციული დირექტორი, ვასილის პანაგოპულოსიც დაესწრო.

„ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტის, სოსო ფხაკაძის თქმით, „ვისოლი“ მოხარულია, რომ „ეკო“-ს საქართველოს ბაზარზე დაბრუნება შეძლო, რადგან „ეკო“-ს პროდუქტები, ქართულ ბაზარზე ყველა დროის, ყველაზე მაღალი ხარისხის საწვავია.

დღეს, „ეკო“-ს მომხმარებელს, უკვე ხუთი პროდუქტის შეძენა შეუძლია „ვისოლი“-ს ავტოგასამართ სადგურებზე. როგორც სოსო ფხაკაძე განმარტავს, ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ „ვისოლ ჯგუფი“-სთვის ბიზნესის ნარმოების ქვაკუთხედი ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ შეთავაზებული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხია. რაც მთავარია, „ვისოლ ჯგუფი“-ს პრეზიდენტის განცხადებით, „ეკო“-ს საწვავის ფასები იგივე იქნება, რაც „ვისოლს“ აქვს.

„ეკო“ ითვლება ყველა დროის, ყველაზე ხარისხიან საწვავად ქართულ ბაზარზე მთელი ამ ხნის განმავლობაში. ნებისმიერი სამომხმარებლო კვლევა ცხადყოფდა ერთ რამეს, რომ საწვავის ეტალონად მიიჩნეოდა სახელი „ეკო“ და „ვისოლი“ მოხარულია იმ ფაქტის გამო, რომ ხელი მოეწერა ექსკლუზიურ ხელშეკრულებას და მის ფარგლებში, ჩვენ შეგვეძლება, „ეკო“-ს სავაჭრო ლოგოტიპის გამოყენება ექსკლუზიურად, მთელს საქართველოში. „ვისოლი“ უკვე ახდენს 5 სხვადასხვა მარკის საწვავის იმპორტს საბერძნეთიდან და ბუნებრივია, „ეკო“-ს ლოგოტიპის გამოყენება, „ვისოლი“-ს ავტოგასამართ სადგურებზე, უფრო მეტად შეგვიწყობს ხელს, მეტად გავზარდოთ მაღალი ხარისხის საწვავის რეალიზაცია საქართველოში“, - განაცხადა სოსო ფხაკაძემ.

„ეკო“ საქართველოს ბაზრიდან რამდენიმე წლის წინ გავიდა, სოსო ფხაკაძის განმარტებით, „ვისოლი“-ს მეშვეობით, ის ახლა იმაზე უფრო ძლიერად იქნება წარმოდგენილი, ვიდრე ეს აქამდე ყოფილა.

„ეკო“-ს კომერციული დირექტორი ვასილის პანაგოპოულოსი აცხადებს, რომ „ვისოლი“-ს საშუალებით მათ კარგი შანსი მიეცათ, რადგან ეს კომპანია ყველაზე უფრო სერიოზული და მასშტაბურია საქართველოში, რომელიც ყველაზე დიდ ქსელს ფლობს.

რაც შეეხება დაბრუნებას, „ეკო“-ს კომერციული დირექტორი ამბობს, რომ ახლა მათთვის ყველა ხელსაყრელი პირობა იყო, ამიტომ „ვისოლი“-ს შემოთავაზებაზე უარი არ თქვეს.

„ჩვენ ქართული ბაზარი დაახლოებით, 4 წლის წინ დავტოვეთ. მე ვერ გეტყოდით, რომ აქ რაღაც უსამართლო პროცესი იყო. უბრალოდ, საქართველო ძალიან შორს არის ჩვენგან, „ეკო“ კი, ძირითადად, ბალკანეთის ქვეყნებშია დამკვიდრებული. საკმაოდ გაგვიჭირდა შორიდან ამის მართვა. ამ სირთულეებმა განაპირობა, რომ ჩვენ, დროებით გადავწყვიტეთ, გავსულიყავით ქართული ბაზრიდან. თუმცა, ახლა მსგავს საფრთხეს ვერ ვხედავ. ეს, ფაქტობრივად, იდეალური ვარიანტია, რომ „ვისოლის“ საშუალებით, კვლავ ვმკვიდრდებით ქართულ ტერიტორიაზე, მით უმეტეს, გვაქვს გამოცდილება, რომ ქართველმა მომხმარებელმა კარგად მიიღო ჩვენი მაღალი ხარისხის საწვავი“, - განაცხადა ვასილის პანაგოპოულოსმა.

დღესდღეობით, „ვისოლი“-ს მთელ ქსელში „ეკო“-ს ხუთი პროდუქტის რეალიზაცია ხდება. „ეკოსუპერი“-ს, „ეკოპრემიუმისა“ და „ეკოდიზელი“-ს საქართველოს ბაზარზე დაბრუნება „ვისოლმა“, გრძელვადიანი მოლაპარაკებების შედეგად, 2014 წლის თებერვალში შეძლო და მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით, 2014 წლის აპრილიდან, უკვე „ეკო რეგულარისა“ და „ეკო სუპერ 100“-ის იმპორტიც დაიწყო. „ეკოსუპერ 100“ საავტომობილო სპორტით დაკავებული, პროფესიონალი მრბოლელებისთვის გაკუთვნილი 100 ოქტანის საწვავია, რომელიც საქართველოში ექსკლუზიურად მხოლოდ „ვისოლი“-ს ბაქტერიოფაგის მახლობლად მდებარე ავტოგასამართ სადგურზე იყიდება თბილისში და აბუსერიძის ქ. #24-ში ბათუმში.

დალი ოქრუაშვილი, ნავთობპროდუქტების ექსპერტი: „ეკო“-ს ბენზინის საწვავისთვის დამახასიათებელია მაღალი ოქტანური რიცხვი, რაც განაპირობებს პროდუქტის წვას დეტონაციის გარეშე. წვის კამერასა და ძრავის სხვა ნაწილებზე არ ხდება ნამწვავების ჭარბი რაოდენობის გამოყოფა, მათში ეთერების შემცველობის გამო, ეს კი ავტომობილის ძრავის ექსპლუატაციის პერიოდს ზრდის. პროდუქტის ქიმიური შემადგენლობიდან გამომდინარე, გაცილებით დაბალია ნაცრისა და კოქსის შემცველობა, რაც აგრეთვე ძრავის დაცვის უმნიშვნელოვანესი პირობაა. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მისი მაღალი ცეტანური რიცხვი და ინდექსი, ჩვენი კლიმატური ზონისთვის საუკეთესო აფეთქების ტემპერატურით, იმის გარანტიას იძლევა, რომ წვის კამერაში, ალის გავრცელების ფრონტი თანაბრად ვრცელდება და მიმდინარეობს სრული წვა. მასში ნაჯერი ნახშირწყალბადების პროცენტულად დიდი შემცველობის გამო, გამოიყოფა ენერგიის დიდი რაოდენობა, რაც პროდუქტის ეკონომიურობაზე აისახება. ეკოს პროდუქტები არ შეიცავენ გოგირდს, ტყვიას, აქედან გამომდინარე, გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხე მინიმუმამდეა დაყვანილი. „ეკო“-ს პროდუქტების მაღალი ხარისხი წვის ეკონომიურობას განსაზღვრავს“.

„ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ საქართველოში საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელს ფლობს. „ვისოლ ჯგუფში“ ასევე შედიან შემდეგი კომპანიები: სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“, ამერიკული რესტორნების ქსელი „ვენდის“, ავტომომსახურების ცენტრი „ვიანორი“, სარეკლამო კომპანია „ალმა“ და უძრავი ქონების კომპანია „ველაჯიო“. „ვისოლ ჯგუფი“ ქმნის „ხარისხს, რომელსაც ენდობიან“.

მაგთიკომმა მომსახურების 47-ე ოფისი გახსნა

მაგდა კლდიაშვილი

„მაგთიკომს“, რიგით 47-ე ოფისი აღმაშენებლის ქუჩაზე შეემატა. მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით „მაგთიკომმა“ თბილისში, აღმაშენებლის #109-ში მომსახურების ახალი ოფისი გახსნა, რომელიც სადღესასწაულო დღეების გარდა, ყოველდღე 09:00-დან 21:00 საათამდე (შაბათ-კვირას 09:00 – 18:00) იმუშავებს.

როგორც „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან სამსახურის ურთიერთობის მენეჯერი, თათული ღვინიაშვილი ამბობს, მომხმარებლებისთვის მეტი კომფორტის შესაქმნელად, ოფისი ახლებური დიზაინითაა წარმოდგენილი. ერთი ფანჯრის პრინციპი, რიგის მარეგულირებელი და ოფისის მუშაობის სტილი კი, მომსახურების მაქსიმალურ გამარტივებას ისახავს მიზნად.

თათული ღვინიაშვილი, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მენეჯერი: „ეს ადგილი შემთხვევით არ შეირჩა. დატვირთული უბანია და მოთხოვნა იყო მომხმარებლების მხრიდან, გახსნილიყო ჩვენი მომსახურების ოფისი. გავითვალისწინეთ ეს ყველაფერი, ჩვენს მომხმარებლებს გავუმარტივეთ სერვისი და გავხსენით კიდეც. ოფისი ახლებური დიზაინით არის შექმნილი. ყველაზე მთავარი რაც არის, ისაა, რომ ერთი ფანჯრის პრინციპია, რიგის მარეგულირებლები და მუშაობის ის სტილი, რომლის მიხედვითაც მომხმარებელს აღარ უწევს ფანჯრიდან ფანჯარასთან მისვლა და ზედმეტი დროის კარგვა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს აბონენტებს ყველაფრის გაკეთება უკვე ტელეფონითა და ინტერნეტითაც შეუძლიათ, მაინც დატვირთულია ჩვენი მომსახურების ოფისები, დღეში ასობით ადამიანს ვემსახურებით, ამიტომ, ვცდილობთ, გავაფართოვოთ ჩვენი მომსახურების ქსელი და სერვისი გავუმარტივოთ მომხმარებელს“.

„მაგთიკომს“ შექმნილი აქვს მომსახურების ფართო ქსელი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე - 47 ოფისიდან თბილისში ფუნქციონირებს 12 ოფისი, რეგიონებში - 35. მათ გარდა, მომხმარებელს ემსახურება 5 მობილური ოფისი, დილერების ფართო ქსელი, ასევე იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები.

მიუხედავად იმისა, რომ მაგთიკომის მომხმარებლებს დამოუკიდებლად შეუძლიათ სერვისების მართვა მობილურიდან ან ინტერნეტის საშუალებით, მომსახურების ოფისები სრული დატვირთვით მუშაობენ და დღეში ასობით დაინტერესებულ აბონენტს ემსახურებიან.

დღეისთვის, „მაგთიკომი“ 5 ბრენდით -„მაგთი“, „ბალი“, „ბანი“, „მაგთი ფიქსი“ და „მაგთისატი“ - 3 მილიონზე მეტ მომხმარებელს ემსახურება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელი სამსახურები გაუქმდება მერიაში

ხათუნა მგალობლიშვილი

მერიაში სტრუქტურული ერთეულების შემცირება და ხშირ შემთხვევაში მათი მთლიანად გაუქმება არჩევნებამდე დაანონსდა. საკრებულოს უმრავლესობა კონკრეტულ სამსახურებსაც კი ასახელებდა, რომელთა გაუქმება ნარმანიას გადაწყვეტილი ჰქონდა. ერთ-ერთ ასეთ უწყებად უსაფრთხოების სამსახური დასახელდა. განხილვა თვეების განმავლობაში გრძელდებოდა და არჩევნების დასრულებისთანავე ხელახალი ინფორმაცია გავრცელდა. როგორც ამბობენ, ერთ-ერთ პირველს სწორედ უსაფრთხოების სამსახურს გამოემშვიდობება მერია. მერიის თანამშრომლების ინფორმაციით, აღნიშნული სამსახურის გაუქმების პროცესს, პრემიერის დაცვის უფროსი უხელმძღვანელებს. თავად უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის ინფორმაცია უკვე დიდი ხანია ცნობილია.

გია ხუროშვილი: „ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ჭორის სახით დადის მერიის შენობაში, ან სხვადასხვა საინფორმაციოებში“

უსაფრთხოების სამსახურის გარდა, იგეგმება მერიის მიერ დაფუძნებულ კომპანიებში სამეთვალყურეო საბჭოების გაუქმებაც. მოთხოვნას „ქართული ოცნების“ საკრებულოს წევრები უკვე დიდი ხანია ითხოვენ და მიზეზსაც მარტივად ასახელებენ.

„ეს კომპანიები კარგა ხნის მანძილზე მანამდეც არსებობდნენ, მაგრამ არავის გახსენებია იქ სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა. მით უმეტეს, რომ ეს კომპანიები პირდაპირ სახელმწიფო დოტაციაზე არიან და მომგებიანი შპს-ები არ გახლავთ“

ჯაბა სამუშია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:

– 2012 წლის ოქტომბერში გიგი უგულავას ინიციატივით მერიის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში – შპს „ჰერმერსი“, შპს „თბილსერვის ჯგუფი“, შპს „სინათლის ქალაქი“ და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ – შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოები. ეს კომპანიები კარგა ხნის მანძილზე მანამდეც არსებობდნენ, მაგრამ არავის გახსენებია იქ სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა. მით უმეტეს, რომ ეს კომპანიები პირდაპირ სახელმწიფო დოტაციაზე არიან და მომგებიანი შპს-ები არ გახლავთ. ჩვენ იმთავითვე გვქონდა ეჭვი, რომ ეს სამეთვალყურეო საბჭოები არჩევნების შემდეგ იქმნებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების დასასაქმებლად, რაც დადასტურდა კიდეც, როდესაც ცნობილი გახდა პერსონალია. თქვენს მკითხველს გავახსენებ, რომ სამეთვალყურეო საბჭოებში დასაქმდნენ: ეკა ხერხეულიძე, ხათუნა ოჩიაური, ლევან თარხნიშვილი, გიგა ნასარიძე, აკაკი სეფერთელაძე, რუსუდან კერვალიშვილი, მამუკა გაჩეჩილაძე, გიორგი ასანიძე, კობა ხაბაზი, ბადრი ბასიშვილი და სხვა... შემდეგ რამდენიმე მათგანი როტაციის წესით შეიცვალა – ისინი „ნაციონალების“ სხვა წარმომადგენლებმა ჩაანაცვლეს.

სამუშიას იდეა ნაციონალებმა მაშინვე გააპროტესტეს და განაცხადეს, რომ მაშინ იგივე მოთხოვნა სხვადასხვა სამინისტროების მიმართაც უნდა იყოს, რომლებსაც ასევე აქვთ შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოები.

თამაზ შოშიაშვილი, „ნაციონალური მოძრაობა“:

– ბატონ სამუშიას ვთხოვ, მიმართოს თავის პოლიტიკურ გუნდს და იგივე საკითხი დააყენოს მათთან. თუ მუნიციპალურ დონეზე არ შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოების შექმნა, მით უმეტეს არ შეიძლება სახელმწიფო დონეზე. ძალიან ბევრი საწარმოა შექმნილი სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, იგივე ეკონომიკის სამინისტროსთან და ა.შ. სამუშიას შეუძლია ანალოგიური ინიციატივით მიმართოს მათაც.

არჩევნების ჩავლის მიუხედავად, ვერც ოპოზიციაში და ვერც უმრავლესობაში დეტალებზე ვერ საუბრობენ, რომელი სამსახურების გაუქმება იგეგმება. საკრებულოს წევრების განცხადებით, ისინი სიახლეებს მერიისგან ელიან და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებენ საკითხზე კონკრეტულად მსჯელობას. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, მერიაში უსაფრთხოების სამსახურის გარდა, თითქმის ყველა სამეთვალყურეო საბჭოს გაუქმება იგეგმება.

გია ხუროშვილი, ყოფილი გამგებელი:

– მთავრობის გადაწყვეტილება არის ის, რომ მოხდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც პირდაპირ იქნება დაკავშირებული პოლიტიკურ ნდობა-არნდობის საკითხთან. ეს ადასტურებს იმას, რომ გამგებლებმა, ცალკეული სამსახურის უფროსებმა, რომლებიც ქალაქ თბილისის მთავრობას წარმოადგენდნენ, მერის შეცვლის შემდეგ ავტომატურად უნდა დაწერონ განცხადებები განთავისუფლების შესახებ. ანუ მერის ცვლილება იწვევს მთავრობის ყველა წევრის შეცვლას.

„ამ ეტაპზე არ მინახავს არანაირი წერილობითი დოკუმენტი ან დეკლარირება იმისა, რაც დაადასტურებდა, რომ რაიმე ტიპის რეფორმა უნდა განხორციელდეს“

– განცხადებები სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებმა უნდა დაწერონ?

– ყველამ, ვინც მთავრობის წარმომადგენელია. ჩვენამდე ასეთი ინფორმაცია მოვიდა, ყოველ შემთხვევაში. როგორი იქნება სამართლებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილება, ამას მომავალში ვნახავთ, თუმცა პირადად მე პატივს ვცემ საზოგადოების უმრავლესობის არჩევანს და არ ვაპირებ, ერთი წუთითაც დავრჩე განახლებული მთავრობის შემადგენლობაში.

– რაც შეეხება მერიის დაქვემდებარებაში არსებული სამსახურების გაუქმებას, თუ იცით, რომელი სამსახურების გაუქმება იგეგმება?

– ამ ეტაპზე არ მინახავს არანაირი წერილობითი დოკუმენტი ან დეკლარირება იმისა, რაც დაადასტურებდა, რომ რაიმე ტიპის რეფორმა უნდა განხორციელდეს. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ინფორმაცია, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ჭორის სახით დადის მერიის შენობაში, ან სხვადასხვა საინფორმაციოებში ჟღერდება. თუმცა გამჭვირვალე და უფრო გასაგები ეს ყველაფერი ქალაქის ახლად არჩეულმა მერმა და იმ სამსახურებმა უნდა გახადონ, რომლებსაც ეს ევალებათ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ერთი დღე გიორგი ბ

გადასაღებ მოედანზე ცოტნე ცოტაშვილის როლზე მუშაობისას

გიორგი სახლში მიიჩქარის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხუტაშვილთან ერთად

თაკო და ბახუტა მარკეტში

ბახუტა პიკანტური წინსაფრის დემონსტრირებას ახდენს

ხილით რელაქსი

ოჯახური იდილია

ფოტო: თინა თუთისანი

მომავალ შეხვედრამდე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PAPPA

EXCLUSIVE

დიმა ოგოლაძე

გიორგი მარგველაშვილი



ლელა წურწუმია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ეროვნული

EXCLUSIVE EXCLUSIVE EXCLUSIVE

ვანო ჯავახიშვილი და ოთო ნემსაძე

ვანო ჯავახიშვილი

ნიკა გრიგოლია

ოთო ნემსაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პირადი ცხოვრება „ჩემი

ვინ გაცდა დედა, ვინ გათხოვდა, ვინ მოიყვანა ცოლი, ვის დაენგრა ოჯახი სერიალის პარალელურად?

my View
თამარ გონგაძე

უკვე მეხუთე სეზონია, რაც „ფორმულა კრეატივი“ იუმორისტულ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებს“ წარმოგვიდგენს. დაწყების დღიდან დღემდე რეიტინგულია და წარმატებულის ხარისხის თამასა ქვევით არ დაუწევია. მთელი ამ ორ წელიწადნახევრის განმავლობაში სერიალის პერსონაჟები შეიცვალნენ, მსახიობების ნაწილმა დატოვა სერიალი, თუმცა ტელე პროდუქტს მაყურებელი არ მოკლებია. სამაგიეროდ, ცვალებადი იყო მსახიობებისა და მთელი შემოქმედებითი ჯგუფის პირადი ცხოვრება. ზოგი გათხოვდა, ზოგმა ცოლი შეირთო, ზოგს პირიქით - ოჯახი დაენგრა. „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ამ საინტერესო ხალხის პირადი ცხოვრების დეტალებს რეიტინგული ტელე პროდუქციის მიღმა. მოკლედ, ამ ხნის განმავლობაში რა მოხდა მათ ცხოვრებაში, ვინც „ჩემი ცოლის დაქალებს“ ქმნის.

გიორგი ლიფონავა საყვარელ ქალს დაშორდა

დავიწყებ სერიალის რეჟისორისგან - გიორგი ლიფონავასგან, რომელიც თავის მეგობარს, სოფია სებისკვერაძეს რამდენიმე თვეა დაშორდა. ეს, გაზეთ „პრაიმტაიმს“ სებისკვერაძემ დახლოებით სამი თვის წინ გაუმხილა. მსახიობ სოფიასთან რეჟისორს ოთხწლიანი რომანი აკავშირებდა. გიორგის არ უყვარს პრესასთან პირადზე საუბარი. შესაბამისად, ამ თემაზე საუბარსაც თავი აარიდა.

სოფია სებისკვერაძე: - მე და გიორგი რამდენიმე თვეა ერთად აღარ ვართ. ისე, ვმეგობრობთ. ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. ხშირად ვხედავთ ერთმანეთს.

- რატომ დაშორდით?

- ამის მიზეზი არ არსებობს. ამ ეტაპზე ასე გვირჩევნია ორივეს.

- ანუ დროებითი გათიშვის პერიოდი გაქვთ?

- არ ვიცი, ალბათ. ამ ეტაპზე ერთმანეთის პირადი ცხოვრებით არ ვინტერესდებით.

- მესამე ხომ არ გახდა დაშორების მიზეზი?

- არა, სხვათა შორის. ჩვენდა უნებურად მოვლენები ასე განვითარდა.

- როგორ ფიქრობ, შერიგდებით?

- ნაჩხუბრები არ ვართ. არც ვემდურით. ერთად ვიქნებით თუ არა, არ ვიცი. ალბათ, რაღაც დონეზე გვექნება ურთიერთობა, ვიმეგობრებთ. საერთოდ, მე არაფერს გამოვრიცხავ. ტრაგედიას არც მე ვქმნი და არც გიორგი. მაინც ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. უბრალოდ, გადავწყვიტეთ, რომ არ ვიყოთ ერთად.

წყვილი ერთმანეთს პირველი ოჯახის დანგრევის შემდეგ შეხვდა. სოფიას პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი ჰყავს. ერთმანეთი კი „ჩიფსების თაობის“ გადაღების დროს გაიცნეს.

გიორგი ლიფონავა: - „ჩემი ცოლის დაქალებში“ იდეალური ქართველი ქმრის სახე შევქმენით. მე ასეთი ტიპაჟი ვერასოდეს ვიქნები. თავისუფლება ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. ოჯახი მოძველებული და ირეალური თემაა. მგონია, რომ ოჯახი სიცრუესა და საკუთარი პრინციპების სანინააღმდეგოდ წასვლას მოითხოვს. თუმცა, მეორე მხრივ, იმდენად დადებითი მხარე აქვს, რომ შეიძლება ეს პრობლემები გადაფაროს კიდეც. ჩემ შემთხვევაში ეს კომპრომისები არ დავუშვი. ქორწინება ყოფილა ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ მის გარეშე უფრო კარგად ვგრძნობ თავს. ჩემი საქმე მიყვარს. ოჯახური ცხოვრება კი, მგონია, რომ საქმეში მაჩერებს.

დრამატურგიული სამკუთხედი

ცოლს გაეყარა სერიალის პროდიუსერი ირაკლი საღინაძეც. მისმა ყოფილმა ცოლმა ეთუნა კარგიშვილმა პრესას ინტერვიუ მისცა, სადაც ამბობდა, რომ ოჯახი მესამეს ჩარევით დაენგრა. მისი თქმით კი ეს მესამე სერიალის სცენარისტი, ქეთი დევდარიანია. ეთუნა თავის ინტერვიუში ქეთიზე წერდა, როგორც სერიალში დათო გოცირიძეს აუწენა ცხოვრება და სტომატოლოგი საყვარლის გამო ლამის ოჯახი დაანგრევინა, ისე მოიქცა ჩემი და ირაკლის ცხოვრებაშიო. ქეთი დევდარიანმა ამ თემაზე ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვას ასე უპასუხა: „პრესის ფურცლებზე ჩემს პირად ცხოვრებაზე არ ვლაპარაკობ... მესმის, როცა რაღაც ინტერესია, პასუხიც, გინდა თუ არ გინდა, უნდა გასცე. მაგრამ როდესაც საშუალება მაქვს, ჩემთვის ინტიმურ საკითხებზე არასოდეს ვსაუბრობ. შეიძლება ვილაცისთვის სხვა რაღაც იყოს ინტიმური. ჩემთვის ჩემი პირადი ცხოვრებაა. ამიტომ ახლაც, გაზეთით ჭორაობას ვერანაირად ავყვები“.

გულჩვილი დედა

გასულ წელს გათხოვდა ანი ტყებუჩავა, ნინას როლის შემსრულებელი. მისი რჩეული რეჟისორი ლევან ბარამიძეა. წყვილმა თაფლობის თვე ეგვიპტეში გაატარა. 15 აპრილს კი მსახიობი ნენეს დედა გახდა. პარალელურად ის სერიალშიც ამშობიარეს, იქ კი ტყუპები „გაუჩნდა“. „ნენე რაც გაჩნდა, სულ მეტირება და ალბათ, კარგა ხანი ვიტირებ. ძალიან ემოციური მომენტია. ვერ ვილაპარაკებ. გულჩვილი ვარ, დედობის მერე ხომ საერთოდ“, - გვითხრა ანიმ.

ერთმანეთს დამთხვეული პირადი და როლი

იმ დროს, როდესაც სერიალში დათო გოცირიძეს საყვარლის გამო ლამის ოჯახი დაენგრა, ცოლთან ურთიერთობა მისი როლის შემსრულებელს, ლევან ყოჩიაშვილსაც დაეძაბა. ამის შესახებ მსახიობმა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გაამხილა. მეუღლესთან, მარინა ყაჭაშვილთან ორი შვილი ჰყავს. თხუთმეტწლიანი თანაცხოვრების შემდეგ წყვილს ურთიერთობა დაეძაბა. მარინა საცხოვრებლად თავის მშობლებთან იყო გადასული. დათოს საქციელის გამო კი დიასახლისებმა ლამის გაფიცვები მოაწყვეს. მასში რეალური გმირი დაინახეს. მოღალატე ქმარი მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი ქალბატონებისთვის.

ლევან ყოჩიაშვილი: - კინოში თუ გერევა ცხოვრება, რეალურ ცხოვრებაშიც გერევა ყველაფერი. ეს პროფესია ემოციებზე, გრძნობებზეა დამყარებული. შეიძლება ჯერ ცხოვრებაში დაგემართოს რაღაც და მერე ის ფილმში გამოიყენო. დათო რომეოდ იქცა და გვერდიდან საშინლად გამოიყურებოდა. მეც კი მიშლიდა ჩემი გმირი ნერვებს. ჩემი და მარინას ამბავი სულ სხვაა.

ამერიკის მოქალაქე

ლელა მებურიშვილის ცხოვრებაში კატოს პერსონაჟი და ბაჩო საგანელიძე თითქმის ერთ დროს შემოიჭრა. ლელამ ნინო გაჩეჩილაძე შეცვალა. ახალი კატო მაყურებელმა მიიღო. სამაგიეროდ, საზოგადოებას დიდი ხანი აინტერესებდა, ვის ხვდებოდა ლელა.

ბაჩო: - ყველა, ვისაც ლელაზე ვეკითხებოდი, მხოლოდ დადებითად მიხასიათებდა. ამ ქების შემდეგ ძალიან დავინტერესდი. გავიცანი და რეალობა ბევრად აღემატება დახასიათებას. ძალიან ბედნიერი ვარ.

ლელა: - ჩემი აზრით, ბაჩომ ჩემი მოხიბვლა იმით მოახერხა, რომ თავი ბოლომდე თავისუფლად მაგრძნობინა. ბაჩოსთან არ გრძნობ, რომ შეზღუდული ხარ, ვალდებულებები გაქვს. პირიქით, ისე კომფორტულად ვგრძნობ თავს, რომ სულ მინდა მასთან ერთად ვიყო. ამ ადამიანის მიმართ თავიდანვე დადებითად განვეწყვე. მსიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა, კომფორტი შემიქმნა. ახლა უკვე, გაფიქრებისთანავე, ნებისმიერი სურვილის შესრულება შეუძლია.

მებურიშვილი საგანელიძეების რძალი გასული წლის ოქტომბერში გახდა, ალექსანდრეს დედა კი - ორი კვირის წინ ამერიკაში.

რეალური თინა მარტოა

თინას როლის შემსრულებელი მაკა ძაგანია დაშორდა შეყვარებულს, ასევე მსახიობს ტატო ჩახუნაშვილს. ხუთწლიანი ურთიერთობის შემდეგ წყვილმა ცალ-ცალკე ცხოვრება ამჯობინა.

„ხუთწლიანი სიყვარულის მერე დასვენების ეტაპზე ვარ. თავს ასე კომფორტულად ვგრძნობ. იმ ურთიერთობამ კარგი მოგონება დამიტოვა. რაღაცები შეცვალა, ფაქტებს სხვანაირად ვუყურებდი. ეტყობა, საქმე საქორწინოდ არ იყო. ყველაფერი ხომ ისე არ ხდება, როგორც გვინდა რომ მოხდეს, ან როგორც უნდა მოხდეს. არც ეგ არის სადარდებელი. რაც იყო, კარგი იყო, თავისთვის იყო, გემრიელად იყო... ერთი რომ მდორედ წავა უკან, ან ამას ეჩვევი და მოგწონს, ან არ ეჩვევი და ჩერდები. აღმოჩნდა, რომ ასე მდორე ურთიერთობა არც ერთს არ მოგვწონდა“, - გვითხრა ტატომ.

ცოტნიკოს ბედნიერება

გიორგი ბახუტაშვილი სერიალში მეხუთე სეზონზე გამოჩნდა და ტრიუმფ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცოლის დაქალების“ მიღმა

„კინოში თუ გერევა ცხოვრება, რეალურ ცხოვრებაშიც გერევა ყველაფერი. ეს პროფესია ემოციებზე, გრძნობებზეა დამყარებული“

ალური წარმატება მოიპოვა. მის მიერ შექმნილი პოლიტიკოსის სახე, თავისი რეალურობით, ისეთი შთამბეჭდავია, რომ ცოტნე ცოტაშვილი უკვე ამ სეზონის კოზირად იქცა. გიორგის ცხოვრებაშიც თითქმის ერთ პერიოდში გამოჩნდა ცოტნე და თაკო შოშიაშვილი. გიორგი ბახუტაშვილმა რომ ჯვარი დაიწერა, პირველად „პრაიმტაიმნიუსმა“ ამცნო საზოგადოებას. „ჩემი ცოლის დაქალების“ მსახიობმა ჯვარი, გეგმისამებრ, 22 აპრილს დაიწერა, სასიყვარულო ურთიერთობის დაწყებიდან ექვსი თვის თავზე. თუმცა პატარა გაუთვალისწინებლობა შეხვდათ, ბრწყინვალე შვიდეულში ჯვარს არ წერენ. მამა კირიონმა კი პატრიარქის კურთხევით წყვილს ჯვარი საგურამოში, ილია მართლის სახელობის ტაძარში დაწერა. „რახან დავგეგმეთ, აღარ გადავდეთ, საამისოდ ერთი თვე ვემზადებოდით. ხელიც თავისით შეგვეწყო. ყველაფერი კარგად გამოვიდა. წინა დღეს წვიმდა, იმ დღესაც, მაგრამ ჯვარი რომ დავიწერეთ, მზე გამოვიდა. ტრადიციულს არ „მივაწექით“. მეგობრების წრეში ყვარელში ტბაზე აღვნიშნეთ...“ - გვითხრა გიორგიმ. თაკო ოპერატორია. თეატრალურ უნივერსიტეტს ამთავრებს, საოპერატორო ფაკულტეტს. ექვსი თვე „კომედი არხზე“ მუშაობდა, გახსნის დღიდან. თითქმის ყველა გადაცემას იღებდა, მათ შორის „ქეთო და კოტეს“, „ქლაბ შოუს“, „ქომედი ქიდსს“, „ბექაბაიტს“. ახლა აღარ მუშაობს. ამბობს, რომ ტელევიზიაში ისეთი დაკავებული ვიყავი, რომ არ წამოვსულიყავი, გიორგის ვერც გავიცნობდიო.

გიორგი ბახუტაშვილი: - მივხვდი, რომ რაღაც ძალიან ნამდვილს შევეხე. გულწრფელობა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თაკოში ეგ თვისება დავინახე და ჩავავლე. გულწრფელობით მომნუსხა. ძალიან ცოტა ხანი, ერთი კვირა ვეპრანჭებოდით ერთმანეთს. მერე უკვე გახსნილი ურთიერთობა გვქონდა. ჩემთვის ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანი რამაა, არ შემეძლო ზერელედ მივდგომოდი. ძველ ურთიერთობებში კომპრომისზე ამიტომაც არ წავსულვარ. როცა რაღაც არ მომწონდა, ვცდილობდი ჩემს თავთან მეღიარებინა, რომ რაღაც ისე ვერ არის და ვასრულებდი. დღეს ბედნიერი ვარ, ჩემთვის იდეალურია ჩემი ახლანდელი მდგომარეობა. ამაში დასარწმუნებლად ბევრი არ დამჭირვებია. მე და თაკოს აზროვნებაში დიდი თანხვედრა გვაქვს. ჩემთვის თაკოსთან ერთად გატარებული ყველა დღე ზეიმი რომ გახდა, გადავწყვიტე, ამ ურთიერთობას ოჯახის სახე მისცემოდა. ყოველთვის მერთულებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. ექვსი თვეც საკმარისი იყო ამ ნაბიჯისთვის, ნამდვილს რომ ეხები, მაშინვე გრძნობ. მივხვდი, რომ ამ ადამიანის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. მე რომ თაკო არ მენახა, სხვანაირად არ არსებობს. თაკუნა ჩემი მეორე ნახევარია. სხვა ფასეულობები გამიჩნდა, რთულად შევხედე ყველაფერს, სხვანაირად დავფიქრდი, პასუხისმგებლობა მომემატა. გრძნობამ სენტიმენტალური გამხადა. ემოციურ ექსტაზში ადვილად შევდივარ.

თაკო შოშიაშვილი: - გიორგი ძალიან უკომპლექსოა და გულწრფელი და ამან მომხიბლა. თავისუფალი ადამიანია. ყველაფერი მიხარია და სხვანაირად ვუყურებ. მანამდე დეპრესიული ვიყავი. ემოციური ვარ და ძალიან მოქმედებს ჩემზე ყველაფერი.



ვანიკოს სასწაული

ვანიკო თარხნიშვილმა სოფო გელავაზე 2011 წელს იქორწინა. მსახიობს პირად ცხოვრებაზე საჯაროდ საუბარი არ უყვარს. შესაბამისად ვერ გეტყვით, ხურცილავას მსგავსი ქმარი არის თუ არა. წყვილი ნანატრ შვილს ელოდება. ცოტა ხნის წინ სოფომ სოციალურ ქსელში პოსტი დადო.

„აქამდე სხვა რაღაცებს ვარქმევდი სასწაულს... ნოემბრიდან მოყოლებული თავდაყირა დადგა ყველაფერი, შეფასებები, შეხედულებები. სხვანაირია გულისცემის რიტმი, სუნთქვის სიხშირე, ნაბიჯის სიგრძე, ხალების ფერი, სიზმრების სიმკვეთრე. სული სული ორი სული, ორი მე ორი ჩვენ ამ სასწაულში ვცხოვრობ მერამდენე თვეა უკვე, ცოტაც და სასწაულის სხვა გაგრძელებები სხვა აღმოჩენებით დამაკავებს. მე მზად ვარ“.

ლიკუნასავით ჩუმად

ეკა ამირეჯიბი ორი წლის წინ გათხოვდა. უკვე ლიკუნას როლით იყო ცნობილი. „რუსთავი 2“-ის დილის წამყვანის სამსახიობო დებიუტი ფილმ „ჭამა და

სექსში“ შედგა. ეკას ქმარი ჯგუფ „პორნო პოეზიის“ ბასისტი, გიორგი სიბაშვილია, იგივე „სიბა“. „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტმა, ქეთი დევდარიანმა ეკა მის გმირ ლიკუნას მიამსგავსა. „ლიკუნასავით ჩუმად და მოულოდნელად გათხოვილა. დაკრა ფეხი და გათხოვდა. ესე იგი თავის გმირს ჰგავს. შეყვარებული რომ ჰყავდა ვიცოდი. მაგრამ ახლა ქმარი გაუშვებს სამსახურში? ვხუმრობ, ვხუმრობ. დარწმუნებული ვარ ეკას არჩევანი ღირსეული იქნება“. გიორგი ლიფონავა ერთ-ერთი იყო, ვისაც პირადად უთხრა ეკამ, რომ გათხოვდა.

გიორგი ლიფონავა: „ეს მე ეკასგან გავიგე. ჩემთან ოფისში შემხვდა და თვითონ მითხრა. ბარსელონიდან ჩამოსულს ბარსელონის მაისური ეცვა.

ეს ტელეწამყვანის მეორე ქორწინებაა.

„მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“

დათო ხახიძე სერიალში ზვიადის როლს ასრულებს. მაყურებლის ნაწილში ის სიმპათიას არ იწვევს, ნაწილში კი პირიქით - კარგად ექცევა უნამუსო

ნატაშკას, ეგრე უნდაო, მჯიღს იცემენ მკერდში. დათო ბოლო ორი სეზონია, რაც სერიალში ჩანს. ამ ხნის განმავლობაში კი მის პირადში ცვლილება მოხდა. მან ცოლად შეირთო გიგა ლორთქიფანიძის უმცროსი ქალიშვილი მაია ლორთქიფანიძე. დათომ საყვარელ ქალს სიურპრიზი მოუწყო - 2 თებერვალს საკუთარ ქორწილში მოტყუებით ამოაყოფინა თავი, თან მამაპაპურში, თავისი ხანჯლებითა და თამადებით. მანამდე კი ქალბატონ ქეთევანს სიძემ ქალიშვილის ხელი სთხოვა.

დათო: - თუ უარს არ მეტყვით, ბედნიერი ვიქნები-მეთქი, ქალბატონ ქეთევანს ვუთხარი. თბილად მიმიღო და მითხრა, მოუარე ჩემს შვილს, ძალიან მინდა შენთან ერთად ბედნიერი იყოსო.

მაია: - რესტორანში ყვავილებისგან გაკეთებული გვირგვინი დამახვედრეს. ხანჯლების თავში მეგობარი მამაო დაგვხვდა, რომელსაც ეს გვირგვინი ეჭირა ხელში და თავზე დამადგა. იყო ქართული დიმპიტაური და ცეკვა-თამაში. დათოსაც ეგონა 15 კაცი ხვდებოდა რესტორანში. კარი გაიღო და 100 კაცი დაგვხვდა. მეგობარი მეუბნებოდა, ამბობენ და წაკითხულიც მაქვს, 40 წლის მერე სიყვარულს სხვა გემო აქვსო და მართალიაო? მართალია, აბსოლუტური სიმართლეა-მეთქი. სხვა რამ ყოფილა ამ ასაკში სიყვარული. სიგიჟეა...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თემურ ჩხეიძის წარმატებული წელი

my View
თამარ გონგაძე

რამდენიმე დღეა სოციალურ ქსელში განცხადება გავრცელდა - თემურ ჩხეიძის სახელოსნო აცხადებს მიღებას! რეჟისორმა, როგორც იქნა, სურვილი სისრულეში მოიყვანა, თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი დააარსა. „როგორც იქნა“-ს ვწერ იმიტომ, რომ ეს სტუდია წელიწადი და რვა თვის წინ უნდა გახსნილიყო. მაგრამ აქამდე ვერ მოხერხდა. საქართველოს ძეგლთა დაცვისა და კულტურის სამინისტრომ თემურ ჩხეიძის სახელოსნო ერთჯერად პროექტად დააფინანსა და ოქტომრიდან სამეფო უბნის თეატრში ორი წლის განმავლობაში რეჟისორებს, დრამატურგებსა და თეატრმცოდნეებს მოამზადებს. ცენტრს თავად მაესტრო, თემურ ჩხეიძე უხელმძღვანელებს. ცენტრი იმუშავებს სახელოსნოს პრინციპით, სადაც თეატრის რეჟისორები, დრამატურგები და თეატრმცოდნეები ორი სასწავლო წლის განმავლობაში, სამეფო უბნის თეატრის ბაზაზე სრულყოფენ თავიანთ პროფესიულ უნარებს, დაეუფლებიან შესაბამისი სპეციალობების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს.

„დურუჯი“

ამ სასიამოვნო სიახლის გარდა წლევანდელი წელი ბატონი თემურისთვის სხვა მხრივაც წარმატებული იყო. „საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრის“ ნომინაციაში თეატრალური პრემია „დურუჯი“ გადაეცა სპექტაკლისთვის „გრონჰოლმის მეთოდი“.

სპექტაკლის პრემიერა შარშან 9 ივნისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დიდ სცენაზე შედგა. პეტერბურგის დიდ თეატრში 22-წლიანი მუშაობის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა თუ არა, სპექტაკლის დადგმას შეუდგა. კატალონიელი თანამედროვე დრამატურგის - ჟორდი გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდის“ ჟანრი ინტელექტუალური ტრილერისა და ფსიქოლოგიური დეტექტივის ნაზავია. „ხელში ჩამივარდა და წავიკითხე. ვერ ვიხსენებ თანამედროვე პიესას, რომელიც ბოლო წლებში ასე მომწონებოდა“, - ამბობს მაესტრო. რეჟისორმა გენერალურ რეპეტიციას დამასწრო. ამბობდა, ღმერთმა უწყის რა გამოვაო. სპექტაკლი გამოვიდა და პრემიაც აიღო. „მე ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც იმნამს მანუხებს. ზნეობრიობა მაწუხებს საერთოდ. მთელი ცხოვრება ადამიანი ფიქრობ, რისი უფლება შეიძლება მისცე საკუთარ თავს. სად თავდება შენი პირადი უფლება და შენი სურვილი. რამდენად უშლის შენი სურვილი სხვას ხელს? შენი სურვილის შესრულებისთვის რამდენად გაქვს სხვისი გადათელვის უფლება? ხშირად ცხოვრება ისეთ სიტუაციაში გადგებს, მოფიქრების საშუალება არა გაქვს. ჯერ აკეთებ და მერე ფიქრობ. სად არის განსჯის დრო? ცხოვრება ამდენს არ გაძლევს. მე ვფიქრობ, ყველაზე დიდხანს ადამიანს დაშვებული შეცდომით გამოწვეული ტკივილი მიჰყვება. მერე ხვდები, რომ ეს შეცდომა იყო“, - ეს „პრაიმტაიმისთვის“ შარშან მიცემული ინტერვიუს ამონარიდია. რეჟისორს ახლაც აქვს სათქმელი, ახლაც ანუხებს, ორ პიესაზე ფიქრობს კიდეც, თუმცა ჯერ არჩევანს ვერ აკეთებს, მიჭირსო, ამბობს. ახალ სპექტაკლზე გვიან შემოდგომაზე იფიქრებს. მანამდეც დატვირთული შემოდგომა ელოდება, სახელოსნო და თეატრალური უნივერსიტეტი, სადაც მეორე კურსელების ჯგუფი ელოდება. ეს დრო უყვარს. „ვგიჟდები შემოდგომაზე. ეს სიბერის ბრალი არ არის, ახალგაზრდობაშიც მიყვარდა. შემოდგომა მრავალმხრივია“.

წმინდა გიორგის ოქროს ორდენი

ეს წელი კიდევ უფრო დიდი საჩუქრით დაიწყო. იანვარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კომპოზიტორ გია ყანჩელთან და პოეტ ბესიკ ხარანაულთან ერთად ბატონი თემური წმინდა გიორგის ოქროს ორდენით დააჯილდოვა. ორდენი მაესტროს ქართული კულტურის განვითარებისა და მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა. „ჩვენ ქედს ვიხრით ამ სამი დიდი მეცნიერის წინაშე. მათი დამსახურება მეტად დიდია“, - ბრძანა პატრიარქმა.

თემურ ჩხეიძე: - ჩემთვის დიდი პატივია და ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც პატრიარქისგან იღებ ასეთ პრიზს. ეს ჯილდოების რიცხვში არ არის, განყენებულად დგას. უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ჯილდო. გაცილებით სასიამოვნოა. რომ ვთქვა, მთელი ჩემი განწყობა დამოკიდებულია ჯილდოებზე და პრიზებზე-მეთქი, მოგატყუებთ. მათ შორის ისეთი პრიზებიც კი გამორეულა, რომ არც კი მინდოდა მათი მიღება. დაახლოებით ოთხ პრიზზე მითქვამს უარი, თითქმის ბოლო წუთშიც. ბოლო შემთხვევაში, სრულიად გულწრფელად, და ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ვამბობ, სრულიად ახალგაზრდა - შვილიშვილების თაობა მყავდა კონკურენტად, მათთან უნდა მეჭიდავა? პრიზს მე მომცემენ თუ იმათ-მეთქი? მოვიდა დრო ახალგაზრდებმა აიღონ პრიზი.

- „დურუჯი“?

- „დურუჯი“ გამომეპარა, არ ვიცოდი, თურმე, ჩვენი სპექტაკლიც წარდგენილი ყოფილა. მერე უკვე კეკლუცობა არ დამიწყია. ამ შემთხვევაში ახალგაზრდების კონკურენტი არ ვყოფილვარ. დაყოფილი იყო კატეგორიებად. მთავარია სპექტაკლი გამოვიდეს და ჯილდო ხან იქნება, ხან - არა. სპეციალურად არ უნდა იფიქრო ჯილდოზე, რომელსაც ხელოვნებასთან არაფერი საერთო არ აქვს. ყვარელში დაჯილდოების საღამოზე რომ ჩავედი, ბოლო მომენტამდე დარწმუნებული ვიყავი, ვინც აიღებს მთავარ პრიზს, მე ბებერმა უნდა გავხსნა კონვერტი და პრიზი გადავცე-მეთქი. მანამდე ნანი იხმეს სცენაზე, კონვერტი გაახსნევინეს და პრიზი გადასცა „ქალის საუკეთესო როლის“ ნომინაციაში გამარჯვებულს. ვიფიქრე, ოჯახი დაგვპატიჟეს-მეთქი. მაგრამ გამარჯვებულად დავსახელდი! სცენაზე ასასვლელად სანამ ავდექი, მომაფიქრდა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პრემია ჩემზე უმცროსებმა მომაკუთვნეს. და ეს აღვნიშნე კიდეც. თუ სიბერისთვის დამაჯილდოვეს, ძალიან სანყენია:)

„ფრანგი მსახიობი ჟერარ ფილიპი ერთ ინტერვიუში ამბობდა - პროფესიაში მთავარი ნიჭი და გამართლებაა. ეს დამამახსოვრდა. ალბათ, ასეა. გამართლება ყველაფერში გჭირდება“

„ჩემს სახელოსნოში სწავლა უფასოა. ეს ჩემი მოთხოვნა იყო. კარგი და მოვიდა მომავალი სანდრო ახმეტელი? იმის გამო, რომ სწავლის ფული არ აქვს, არ უნდა მივიღოთ?“

„გრონჰოლმის მეთოდი“

მახსოვს, ამ სპექტაკლის რეპეტიციაზე დიდი სიამოვნება მივიღე. რეჟისორსა და მსახიობებს შორის სულ სხვა დონის ურთიერთობა ვნახე, ჰარმონიული და დახვენილი. „სულ სხვა ხელწერა აქვს, თავისი. სხვა თეატრია“,- ამბობს ეკა ჩხეიძე, მაესტროს ქალიშვილი. ის ერთადერთი ქალია სპექტაკლში. მის გარდა „გრონჰოლმის მეთოდში“ სამი მამაკაცი თამაშობს: ალეკო მახარობლიშვილი, აპოლონ კუბლაშვილი და ნიკა თავაძე. მშრალი ფაბულა ასეთია. მოქმედება ვითარდება საერთაშორისო კორპორაციის ოფისში, სადაც კომპანიის ტოპ-მენეჯერის შერჩევის ბოლო ეტაპი მიმდინარეობს. ოთხი კანდიდატი სასტიკ ბრძოლაშია ჩართული, ყოველი მათგანი მზადაა, რომ მიზნის მისაღწევად ფსიქოლოგიურად გაანადგუროს მოწინააღმდეგე.

თემურ ჩხეიძე: - სამუშაოდ ასაყვანად მსგავსი ტესტები ამერიკელებსაც აქვთ, ევროპაშიც არის. კარგია ტესტი, მთლიანად გამოიკვლევ ადამიანს, დარწმუნდები მიიღო თუ არა სამუშაოდ; მაგრამ ხანდახან ეს ტესტები ადამიანისთვის ისეთი მტკივნეულია, რომ იწყებ ფიქრს, ამის საფასურად სამსახურში მოწყობა ღირს? ამ პიესაში სწორედ ამგვარი ტესტის შედეგად ანადგურებენ ადამიანს. ყველაფერ თანამედროვეს ფრთხილად უნდა მიდგომა. ყველაფერი ახალი ავტომატურად კარგს არ ნიშნავს. რაღაც დროს უნდა გაუძლოს და მერე ის ან მკვიდრდება, ან - არა.

- ერთი წლის მერე როგორია სპექტაკლი?

- უკვე მშვიდად ვუყურებ და მეჩვენება, რომ მსახიობები უკეთ თამაშობენ.

ზუსტად იგივეს თამაშობენ, მაგრამ უკვე თავისუფლად. ცურავენ, ბანაობენ. „მამაკაცის საუკეთესო როლის“ შემსრულებელთა ნომინაციაში წარდგენილი იყო ნიკა თავაძე და ალეკო მახარობლიშვილი. ორივე ამ სპექტაკლიდან. მე გული მისკდებოდა, რომელს უნდა აეღო პრიზი? ერთმა თუ აიღო მეორემ რა დააშავა-მეთქი? ან პოლიკამ რა დააშავა წარდგენილი რომ არ იყო? არის ასეთი ყაიდის სპექტაკლები, სადაც მთავარი როლი გამოკვეთილი არ არის და პრიზი „ანსამბლურობისთვის“ ყველა მსახიობს ერთად უნდა გადაეცეს. პეტერბურგში მქონდა სპექტაკლი „კოპენჰაგენი“, სადაც სამ მსახიობს ერთნაირად ჰქონდა გადანაწილებული როლები. მათ ერთად აიღეს „ანსამბლურობისთვის“ პრიზი. გამიჩნდა იდეა, რომ როცა ამ ტიპის სპექტაკლი იქნება წარდგენილი, ასეთი სახის პრიზი შეიტანონ „დურუჯის“ ხელმძღვანელებმა. ამ სპექტაკლის დამსახურება ის არის, რომ ვერ გამოარჩევ მთავარ და ეპიზოდურ როლს. ერთნი არიან ოთხივენი. კიდევ კარგი არც ერთმა რომ არ აიღეთ ჯილდო-მეთქი, ვუთხარი. მერე, მე რომ ავიღე, მაინც ჩვენ ავიღეთ, აბა რაო, მომიგეს.

გამართლება

ახლა ორ პიესაზე ფიქრობს, თუმცა ამბობს, რომ არჩევანის გაკეთება უჭირს, ძნელიაო. ჯერ არდადგმულის დადგმა უნდა. „რაც დრო გადის, არჩევანის გაკეთება მიძნელდება. ეგეთი რამ ხომ დავდგი, გაკეთებული მაქვს-მეთქი, ვამბობ პიესების კითხვისას. ამ წუნია წუნიაობაში არჩევანს ვერ ვაკეთებ... არადა, მინდა დავდგა.

- „გრონჰოლმის მეთოდის“ დადგმისას მთავარ სათქმელად ზნეობრიობას ასახელებდით. ახლა რისი თქმა გსურთ? რა სათქმელი დაგიგროვდათ?

- „გრონჰოლმში“ იყო სიახლე, სათქმელი. პიესაში რაღაც ისეთი უნდა იდოს, რომ სიახლე იყოს სათქმელად. სულ ჩვეულ გზას თუ მიჰყვები, ამ გზას შეუძლია ჩიხში შეგიყვანოს და დაგტოვოს. ახლა სტუდენტებით ვარ გართული. ჩემი ჯგუფი უკვე მეორე კურსზეა. ნინ თავაუღებელი შრომის სამი წელია. რა გამოვა, ოთხი წლის მერე გეტყვით. არა, ოთხი წლის მერეც რთულია თქმა. მახსოვს, ინსტიტუტში სწავლისას, სტუდენტზე რომ იტყოდი - ეს ისე რაო, მერე აუკრეფია და ნარმატებას მიუღწევია. და ვისგანაც რაღაც დიდს ველოდებოდი, იმას არ გაუმართლებია. 100 პროცენტით გარანტიას არაფერი იძლევა. თუ არაფერს არ აკეთებ, იქ არის 100 პროცენტიანი გარანტია, რომ შენგან არაფერი გამოვა. მაგრამ თუ ყველაფერს აკეთებ და სწავლობ, არ გაქვს ეს გარანტია. ფრანგი მსახიობი ჟერარ ფილიპი ერთ ინტერვიუში ამბობდა - პროფესიაში მთავარი ნიჭი და გამართლებაა. ეს დამამახსოვრდა. ალბათ, ასეა. გამართლება ყველაფერში გჭირდება.

ჩხეიძის სახელოსნო

სტუდია ადრეც ჰქონდა, ხუთი წლის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნადი - ორი ჯილდო და სახელოსნო



„ვბერდები. ხომ არ მაკლდება წლები? მემატება. უკვე იმ ასაკში ვარ, ხვალ რომ მოვკვდე, კაცი არ იტყვის - რა მოუვიდაო? პიესის არჩევა მიჭირს-მეთქი, რომ ვამბობ, იქნებ ბოლო სპექტაკლია? სპექტაკლის დადგმა რა არის? ამ გზით დარბაზში მსხდომთ ვესაუბრები. რაზედაც ამ სიბერეში გესაუბრებით, ის სათქმელად უნდა მიღირდეს“

„რაღაც მოკლე დაარქვით, ჩემი სახელი რომ არ ფიგურირებდეს-მეთქი, ვამბობდი. შემიძლია მტკიცედ ვთქვა - ნიკა თავაძე რომ არ ყოფილიყო, ამ სახელოსნოს საქმე არ გამოვიდოდა“

EXCLUSIVE

წინ. ახალ თაობას რეჟისურას ასწავლიდა. პეტერბურგიდან ერთი თვით ჩამოდიოდა და ყოველდღე, თითქმის 24-საათიან ლექციებს ატარებდა. სახელოსნო, რომელიც ოქტომბრიდან იწყებს ფუნქციონირებას, უფასოა. გამოცდები 9 სექტემბრიდან 15 სექტემბრამდეა. გამოცდებს ხანგრძლივი გასაუბრების სახე აქვს. გამოცდაზე თემურ ჩხეიძესთან იქნება მისი ასისტენტი დათა თავაძე. მეორე ასისტენტიც უნდა რომ ჰყავდეს. მომავალ დრამატურგებთან გასასაუბრებლად აპირებს დრამატურგის ან მწერლის მოწვევას. პირველი წელი თეორიული სახისაა, მეორე - პრაქტიკული. როგორც ვახსენე, სახელოსნო სამეფო უბნის თეატრში დაიდებს ბინას და რეჟისორების, დრამატურგებისა და თეატრმცოდნეების კურსს გამოუშვებს.

სახელოსნოს სახელზე ბატონი თემური ხუმრობს.

„რაღაც მოკლე დაარქვით, ჩემი სახელი რომ არ ფიგურირებდეს-მეთქი, ვამბობდი. ჩხეიძის სახელოსნო დავარქვათო, მითხრეს. არ უნდა ეს ჩხეიძის სახელოსნო და გრიშას თავშესაფარი-მეთქი. ბოლოს, თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრი დაარქვეს. ცენტრი! მაინც ჩხეიძის სახელოსნოს იტყვიან ყოფაშიო, თქვეს. ყოფაში რაც უნდათ, ის თქვან-მეთქი.

კულტურის სამინისტროს და თეატრალური უნივერსიტეტის მადლობელი ვარ. ერთი რამ შემიძლია მტკიცედ ვთქვა - ნიკა თავაძე რომ არ ყოფილიყო, ამ სახელოსნოს საქმე არ გამოვიდოდა. მოთმინებით ელოდა როდის გამოვიდოდა ეს საქმე. მე ვეუბნებოდი, არ დარეკო, არ იკითხო-მეთქი. ყველა ხელს გვიწყობს, უნდოდათ, რომ ამ სტუდიის საქმე გამოსულიყო“.

- უფასოა სწავლა. როგორ მოახერხეთ?

- აუცილებლად, სწავლა უფასოა. ეს ჩემი მოთხოვნა იყო. კარგი და მოვიდა მომავალი სანდრო ახმეტელი? იმის გამო, რომ სწავლის ფული არ აქვს, არ უნდა მივიღოთ? ამ თანხას კულტურის სამინისტრო იხდის. მაგრამ გაჩნდა ასეთი იდეა, რაღაცით რომ მომავალში ეს ანაზღაურებული იყოს, კურსდამთავრებული რეჟისორი პირველად სპექტაკლს უჰონორაროდ დადგამს. რახან უფასოდ ისწავლა, პირველად თეატრში უჰონორაროდ მოუწევს სპექტაკლის დადგმა. მე მგონი, წამოვლენ ამაზე ახალგაზრდები. მე მაინტერესებს, ჩემს სახელოსნოში მოსულ ახალგაზრდას, რა უნდა ჩემგან, რატომ მოვიდა, რას ელოდება? ეს უნდა ვიცოდე, რომ მერე გაწბილება არ მოჰყვეს. ერუდიციას მივაქცევ ყურადღებას. მინდა სამივე ფაკულტეტის სტუდენტები ერთად იყვნენ, შიგნიდან გაიცნონ თეატრი, ერთმანეთის პროფესია. დრამატურგმა უნდა იცოდეს, თეატრს რა აუცილებელი მოთხოვნები აქვს. სახლში ჩაკეტილმა კი არ წეროს პიესა, არამედ იცოდეს, მაგალითად - რა არის ქმედითი დიალოგი? როგორ ჩადოს შინაგანი მოქმედების მყიფე და ძლიერი ხაზი. როგორ წარმართოს დიალოგი ისე, ადამიანი სხვა რამეს გულისხმობდეს და სულ სხვა რამეზე ლაპარაკობდეს. ყოველთვის ხომ არ ვლაპარაკობთ იმას, რასაც ვფიქრობთ?! კი არ ვმალავთ, უბრალოდ, არ არის საშუალება. გუნება-განწყობაზე ათასი სხვა რამ მოქმედებს. პერსონაჟები ირიბად ლაპარაკობენ. პირდაპირ მთავარ სათქმელს ხომ არ ეცემი? მთავარ სათქმელთან მისვლაა მთავარი. სანამ კაცი ქალს ეტყვი - „მე შენ მიყვარხარ“, რამხელა გზაა გასავლელი. აი, ის გზაა აღმოსაჩენი. მილიონნაირი ვარიანტია. საინტერესოა, როცა გმირები სხვა რამეზე ლაპარაკობენ, მაგრამ მე ვხვდები, რომ მათ ერთმანეთი უყვართ. მეც სტუდენტებთან ერთად უნდა ვეძებო და არა ისინი დაემორჩილონ ჩემ ვერდიქტს. დიქტატით ვერ ვასწავლი. სხვათა შორის, სცენოგრაფებისთვის სტუდიას აკეთებს გოგი ალექსი-მესხიშვილი. ჩვენი სტუდიები ითანამშრომლებენ.

- დრამატურგიას ვინ ასწავლის?

- მოწვევით ჩაატარებენ დრამატურგები ზოგჯერ უცხოეთიდანაც. მე მგონი, ამაშიც მექნება ხელშეწყობა. მათ კონკრეტული საკითხების მიხედვით მოვიწვევ.

ვბერდები. ხომ არ მაკლდება წლები? მემატება. უკვე იმ ასაკში ვარ, ხვალ რომ მოვკვდე, კაცი არ იტყვის - რა მოუვიდაო? ამიტომ დროზე მინდა გავაკეთო ეს სახელოსნო, სანამ ჯერ კიდევ თითქოს გონება მემორჩილება. ვინაიდან ჩვენ ახალგაზრდები არ ვართ, თუ ვაკეთებთ, დროზე უნდა გავაკეთოთ. პიესის არჩევა მიჭირს-მეთქი, რომ ვამბობ, იქნებ ბოლო სპექტაკლია? მე კი არ ვამბობ, გრანდიოზული უნდა იყოს-მეთქი. ამას რომ იფიქრებ, დაენარცხები მიწას. ჩვეულებრივი უნდა იყოს. სპექტაკლის დადგმა რა არის? ამ გზით დარბაზში მსხდომთ ვესაუბრები. რაზედაც ამ სიბერეში გესაუბრებით, ის სათქმელად უნდა მიღირდეს. თუ კარგად ვამბობ, მაგრამ ისეთ რამეს, რაც უჩემოდაც მშვენივრად იცით, რატომლა გითხრათ?

„იშვიათად ვხედავ, მინისტრია, არ სცალია“

- ყველაზე ხშირად ამ ასაკში რაზე გეფიქრებათ?

- სხვადასხვა დროს სხვადასხვა რამეზე. ახლა სტუდიასა და უნივერსიტეტის სტუდენტებზე ვფიქრობ. ეს ერთი მთლიანია.

- პეტერბურგის თეატრი მოგენატრათ?

- არა, კარგ მოგონებად ჩამრჩა. ეტყობა, რაღაცები მთავრდება. მეც ნელნელა და ლოგიკურად ვამთავრებდი. ახლა სახლში მინდა, შვილიშვილები უჩემოდ იზრდებიან. ეს უკვე მაღიზიანებს. ჩემი შვილიშვილები სხვადასხვა თაობაა, მათთან ჩემი ურთიერთობაც სხვადასხვანაირია. სამი წლის რომელიც არის, მეუბნება, მე ასე მითხრეს, პლუტონი პლანეტა აღარ არისო. ჩემ დროს პლანეტა იყო-მეთქი. მერე მამამისმაც დამიდასტურა, პლანეტა აღარ არისო. ამან იცის და მე რატომ არ ვიცი-მეთქი :) სხვა თაობაა. შეუძლებელია გრძნობების სიტყვებით გადმოცემა. შემიძლია რაღაც ჭკვიანური ვთქვა, მაგრამ შეუძლებელია.

- მიყვარხარ ხშირად არ გითქვამთ?

- გრძნობენ ისედაც. ბავშვი რომ სიყვარულის გარემოში იზრდება დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს სულ ფერებას არ ნიშნავს. მთელ მსოფლიოში რამდენი ხანია არის მოწოდება - ბავშვებს მოეფერეთო. ბავშვებს კი არა ყვავილებს უნდა მოეფერო თურმე.

- ჩვენი ქვეყანა რეჟისორის თვალით როგორი მოსაწყობია?

- კარგი, ადრე თუ გვიან მოეწყობა. ხომ ხედავთ, რამდენად რთულია?! ეს ერთი და ორი კაცის ბრალი არ არის. ჩვენში ყველა იქითკენ არის მომართული, რომ არსებული მთავრობა აგინოს და პასუხი მას მოსთხოვოს. ჩვენში სანამ არ გაჩნდება საკითხი, რომ მე ვარ ბევრ რამეზე პასუხისმგებელი, მანამ არაფერი შეიცვლება. მე კი არ უნდა გამიკეთონ, მე უნდა გავაკეთო. როცა რაიმე ხდება, ჩვენი თავი უნდა ვაიძულოთ გავარკვიოთ, რაში ვართ დამნაშავე? სხვისთვის დაბრალება ძალიან ადვილია. როცა სხვას აკრიტიკებენ, ეჩვენებათ, რომ თვითონ ამით უკეთესნი ხდებიან. ტყუილია, ვერ ხდებიან უკეთესნი. ყველამ თავი ჩავრგოთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ. არ მინდა ისევ მივადგე იმას, რომ სხვას ჭკუას ვარიგებ.

- ქართველის ყველაზე დიდ ნაკლად რა მიგაჩნიათ?

- აი, ეს - ყველაფრის სხვისთვის გადაბრალება. ყოველთვის სხვა როგორ არის დამანაშავე და ჩვენ ყველაფერში მართალი? სოხუმის თეატრში გურამ ოდიშარიას პიესა, „ზღვა, რომელიც შორია“ რომ დავდგი, დაიწყეს - აფხაზებს რატომ ამართლებო? აფხაზებს კი არ ვამართლებდი, ერთნაირად ვეძებდი აფხაზის და ქართველის შეცდომას. ცალმხრივად არაფერი ხდება. მაშინ გურამ ოდიშარია ძალიან გავაწვალე, პიესა არ დამინერიაო, მითხრა. წელიწადზე მეტი წერდა პიესას. მაგრამ კარგად დაწერა. ეყო მოთმინება. მანამდე დიმა ჯაიანს ვთხოვე, მომიტანე ყველაფერი, რაც კი გურამს დაუწერია-მეთქი. რომ წავიკითხე, გამაცანი ეს კაცი-მეთქი, ვთხოვე.

- ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ მინისტრთან?

- პატივისცემით ვარ, ოღონდ მინისტრისადმი არ ვიცი, უფრო გურამ ოდიშარიასადმი. არა იმიტომ, რომ მინისტრია, ძველი წლების და ნაცნობობის ხარჯზე. იშვიათად ვხედავ, მინისტრია, არ სცალია...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სიმინდის კუნძულის“ პირველი გამარჯვება

my View

თამარ გონგაძე

გიორგი ოვაშვილმა ფული არა კინოში, არამედ სიმინდში დაახარჯაო

„მინდა კუნძული შევისყიდო. მინდა სიმინდის კუნძული მუზეუმივით, ფილმის სიმბოლოსავით იყოს“



EXCLUSIVE

„მაშინვე დაიწერა, მოულოდნელად, კარგი რეცენზიები. დიდმა გამოცემებმა დაწერეს, მსახიობები ისე თამაშობენ, რომ 100 წუთის განმავლობაში მათ ვერ დაიჭერ, რომ ისინი თამაშობენ. ისინი ცხოვრობენ ეკრანზეო“

გიორგი ოვაშვილი: - ფილმის ფრანგი პროდიუსერი კანში კინობაზრობაზე ყოფნისას შეხვდა კარლოვი-ვარის ფესტივალის არტ დირექტორს კარელ ოჩის და აჩვენა „სიმინდის კუნძულის“ დაუსრულებელი ვერსია. მას ძალიან მოეწონა ფილმი და თქვა, რომ ეს ფილმი ფესტივალზე აუცილებლად უნდა გაიგზავნოს და ის კარლოვი-ვარის მთავარ სექციაში უნდა მოხვდესო. ჩვენ ვუთხარით, რომ ჯერ ფილმი დაუსრულებელია, პასუხს ვერ გაგცემთ-მეთქი. რამდენიმე დღეში კარელმა ფილმის ჩეხ პროდიუსერს უთხრა, ხვალ დაბადების დღე მაქვს, ჩემთვის ყველაზე საუკეთესო საჩუქარი იქნება გიორგი თუ იტყვის, რომ მოდის ამ ფილმით მსოფლიო პრემიერაზეო. „კარელ, მე გილოცავთ დაბადების დღეს, მოვდივარ-მეთქი“, - მივულოცე. ფილმისთვის კარგი დასაწყისი და წარმატება იყო ის, რომ ფესტივალის ძირითად სელექციაში მოხვდა. პრიზზე არც ვოცნებობდით, მით უმეტეს მთავარი პრიზი სრულიად მოულოდნელი იყო. ადამიანში რაღაც ქვეცნობიერი მაინც არსებობს. ვფიქრობდი, ალბათ, ფესტივალი რაიმე ჯილდოთი აღნიშნავს ფილმს-მეთქი. მთლად გრან-პრიზე ვერ ვიფიქრე. მთელი ფესტივალის განმავლობაში ყოველდღიური რეიტინგები ცხადდება, ეს არის კინოკრიტიკოსების რეიტინგები. ჩვენი პრემიერის შემდეგ ამ რეიტინგების თავში მოვექეცით. ბოლომდე პირველ პოზიციაზე დავრჩით. ამანაც მოგვცა იმაზე ფიქრის საფუძველი, რაღაც რომ ხდებოდა ჩვენს თავს. მაშინვე დაიწერა, მოულოდნელად, კარგი რეცენზიები. დიდმა გამოცემებმა დაწერეს, მსახიობები ისე თამაშობენ, რომ 100 წუთის განმავლობაში მათ ვერ დაიჭერ, რომ ისინი თამაშობენ. ისინი ცხოვრობენ ეკრანზეო. მთავარი როლის შემსრულებელ მარიამ ბუთურიშვილისთვის, რომელიც არსაიდან მოვიდა კინოში და 15 წლისაა, ეს საოცრად დიდი შეფასებაა.

მთავარი გმირის უცნაურად აღმოჩენა ოვაშვილს ტრადიციად ექცა. „გალმა ნაპირისთვის“ დიტო პოლიკლინიკაში შემთხვევით მისულმა იპოვა. გოგონას ფოტო კი ინტერნეტით გადაუგზავნეს. ტიპაჟი „სიმინდის კუნძულისთვის“ მოენონა და რამდენიმე უწყება ჩართო, რომ ადვილად ეპოვა. შვიდ დღეში იპოვეს. ცხინვალთან მდებარე პატარა სოფელ საქაშეთში მცხოვრები მარიამი. არადა, მანამდე ორი წელი ეძებდა სასურველ ტიპაჟს. ბაბუას როლში თურქი ილიას შაუმანი თამაშობს. რეჟისორმა აფხაზების ოფიცერთა მეთაურის როლიც თურქ მსახიობს - კამერ ლევენტის ანდო.

მთავარი პერსონაჟები არიან აფხაზები. დიალოგი მთელი ფილმის მანძილზე 3-4 წუთია და ძირითადად აფხაზურ ენაზე.

გურამ ოდიშარია: - ფილმს რომ უყურებ, ფიქრობ აფხაზებზე, ოსებზე, ტერიტორიებზე. მაგრამ ეს არის, როგორც დედამიწის ერთი წერტილის, ასევე მთლიანად მთელი პლანეტის პრობლემა. აქ ადამიანის ტრაგედიაზეა აქცენტი. ემოციური ფილმია. დიალოგია მცირე, ისიც აფხაზურ ენაზე. ამ ენაზე დედამიწაზე მცირე რაოდენობა ლაპარაკობს, მაგრამ ძალიან დიდია პრობლემა, რომელიც ამ ფილმმა გვიჩვენა. ეს ფილმი მასტერკლასივით იქნება სხვა კინორეჟისორებისთვის. ტექნიკურად მძიმე გადასაღები იყო. კუნძული სპეციალურად გააკეთეს.

გიორგი ოვაშვილი: - მთავარი? ადამიანის არსებობის თემა და მისი ადგილია სამყაროში. რაღაც რომ გამოკვეთო, საპირწონედ რაღაც უნდა დაუდო. ჩვენ ასეთ საპირწონედ კონფლიქტი დავდეთ. ჩვენი ყოფა, გადარჩენისთვის ბრძოლა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ომი და კონფლიქტი. ეს ყველაფერი წარმავალია და ჩვენ ყველაფერზე მაღლა უნდა დავდგეთ.

ფილმის გადაღებასა და წარმოებაზე ცამეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. 14 დროშა ფრიალებდა გადასაღები მოედნის თავზე. მეთოთხმეტე ევროკავშირის დროშა იყო. ევრიმაჟი ფილმის ფინანსური მხარდამჭერია. კინო უნივერსალური ენაა, რომელიც ყველას ესმისო, ამბობს რეჟისორი.

ფილმის შინაარსი ასეთია: გაზაფხულზე მდინარე ენგურში წყალდიდობისას პატარა კუნძული წარმოიქმნება. აფხაზი გლეხი გადაწყვეტს, რომ ამ კუნძულზე სიმინდი მოიყვანოს და თავის შვილიშვილთან ერთად მიწის დამუშავებას და სიმინდის მოყვანას იწყებს. ფილმში, მოგვიანებით, ჩნდება მესამე მთავარი გმირი, ქართველი სასაზღვრო პოლიციელი, რომელიც კუნძულზე დაჭრილი ხვდება. სამივე პატარა ჩაკეტილ სამყაროში აღმოჩნდება - კუნძულზე. ძირითადი დრამატურგიული კონფლიქტიც ამ სამ პერსონაჟს შორის ვითარდება.

გიორგი ოვაშვილი: - პრესაში დაიწერა - ფილმის წარმოება, რომელიც ერთი შეხედვით მარტივად შესასრულებელი ჩანს, იმდენად ძლიერ ფროდაქშენზე დგას, ჰოლივუდის დიდ ფილმებსაც შეშურდებოდათო. ეს იყო ჩვენი ცარიელი ხელებით გაკეთებული წარმოება. ტექნიკურად ისეთ რამეს შევეჭიდეთ, თავიდანვე რომ არარეალური ჩანდა. კუნძული უნდა აგვეშენებინა და მერე უნდა დაგვენგრია. უნდა შეგვექმნა ცალკე კუნძულის მოდელიც. ფილმში ოთხი სხვადასხვა დონის სიმინდი გვაქვს. გაზრდას ხომ არ დაველოდებოდით? ამის შესრულება ტექნიკური თვალსაზრისით რთულია. მე გამიმართლა, რომ ძალიან კარგი გუნდი მყავდა, როგორც ქართველით, ისე გერმანელით და ჩეხით დაკომპლექტებული. დამდგმელი უნგრელი ოპერატორის, ელემერ რაგალის უზარმაზარი წვლილია ამ ფილმში ჩადებული. ბიუჯეტი დიდი რომ გვქონოდა, შესრულება გაცილებით მაღალი დონის იქნებოდა. ასეთი სახის პროექტზე ექსპერიმენტის ჩატარება საოცარია. მერე შედეგიდან ან იღებ რაიმეს, ან საერთოდ ვერ იღებ. ჩვენ გაგვიმართლა. როდესაც მოსამზადებელი სამუშაოები დავიწყეთ, ევროპაში ვინც კი ცნობილი კომპანია იყო, რომელიც კინოსთვის მშენებლობაზე მუშაობდა, ყველამ თქვა, ნამდვილად შეუძლებელია 6 მეტრის წყალში თვეების განმავლობაში სტაბილური კუნძულის აშენებაო. არ გვაქვს ამის გამოცდილება, პრაქტიკულად შეუძლებელიაო. როცა ჰოლივუდის დონის პროექტია, სადაც გაქვს 20 მილიონი, რაც გინდა გააკეთე. ერთ ნახევარი მილიონით ამის განხორციელება შეშლილი იდეა და შერეკილების თემა იყო. მოკლედ, ყველა გვეუბნებოდა, შეიძლება გავაკეთოთ, მაგრამ ორ დღეში დაიშალოსო. ერთხელაც მოვიდა ერთი კაცი, მაჩვენეთ ადგილიო. ჩვენ ვკითხეთ, გაქვს რაიმე გამოცდილება ამაში? არა, რად მინდა გამოცდილება, მაჩვენეთ რა წყალში გინდათ კუნძულის აშენება, წავიდეთ ადგილზეო. წავედით ტყიბულში. მივედით სანირეს ტბასთან. მკითხა, რამდენია სიღრმე, რამდენ კვადრატულზე გინდათ გაშენება და რამდენ ხანში ჩაგაბაროთო? ცოტა დავეჭვდით, ასე ექსპერიმენტის დონეზე როგორ გვენდო ასეთი საქმე? მოკლედ, ვიფიქრე, ცუდად არის ჩვენი საქმე-მეთქი. 3 კვირა მომეცითო. დარწმუნებული ხართ, ბატონო, ამას შეძლებთ-მეთქი? დარწმუნებული ვარო. ჩვენნაირი შერეკილი აღმოჩნდა. გავუფორმეთ ხელშეკრულება. მოყარა თანამედროვე ტექნიკა - ექსკავატორები, ბულდოზერები, მანქანები... გზა გაიყვანა, მოკირწყლა. დათქმულ დროს ჩავედით და იდგა კუნძული!.. კინოს აკეთებენ შეშლილები. რაციონალური ტვინი კინოს ვერ გააკეთებს, კინოც რაციონალური იქნება. რაციონალიზმი ცხოვრებაშიც მეტია, კინოში მივდივართ იმისთვის, რომ რაიმე ირაციონალური ვნახოთ. ეს შეშლილი თემურ ალბექიონი აღმოჩნდა, მშენებელი კაცი, რომელსაც მანამდე არც წყალთან და არც კინოსთან კავშირი არ ჰქონია.

- კუნძულმა რამდენი ხანი გაძლო?

- ახლაც დგას. წელიწად-ნახევარი გავიდა. გადაღება აპრილში დავიწყეთ და ოქტომბრის ბოლოს დავასრულეთ. მინდა კუნძული შევისყიდო. პირდაპირი მიყიდვის წესი არ არსებობს, აუქციონზე უნდა გამოიტანონ. მიწა არ არსებობდა, ჩვენ შევქმენით. მინდა სიმინდის კუნძული მუზეუმივით, ფილმის სიმბოლოსავით იყოს.

- გადაღების მერე სიმინდი სად მიგქონდათ?

- გლეხებს დავურიგეთ. ათი ათასობით სიმინდი გამოვიყენეთ გადაღებისას. ყანას ყოველდღე ვცვლიდით. ღამით ქარი ამტვრევდა, აქცევდა, გადაღების დროს ყანა ფუჭდებოდა. ადგილობრივი გლეხებისგან მათი ყანების შესყიდვა დავინყეთ. ყანის აღება ყველას ეზარება. ვიღაც მოდის, ყანას იღებს, თან ამაში ფულს გაძლევს და ისევ გიბრუნებს სიმინდს - მშვენიერია. ერთი სტატია დაიბეჭდა, სადაც ძალიან გვაკრიტიკებდნენ, რომ ფული ფილმისთვის კი არა, სიმინდისთვის დავხარჯეთ. ხედავთ ოვაშვილი რაში ხარჯავს ფულებსო?

- ჩვენ როდის ვიხილავთ „სიმინდის კუნძულს“?

- სექტემბრის ბოლოს პრემიერაა და შემდეგ ეკრანებზე გამოვა ფილმი.

„ერთ ნახევარი მილიონით ამის განხორციელება შეშლილი იდეა იყო. კინოს აკეთებენ შეშლილები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი მარშანია ჭოლას ჯულიეტაზეა შეყვარებული



თეკლა ჯავახაძე - „გიორგი ჩემი ყველაფერია. მეც მინდა მისნაირი ვიყო“

გიორგი მარშანია: „ბანალურ თემებზე ვჩხუბობთ. როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამბობს - სიყვარულს ბანალურობა უხდება“

ფოტო: თინა თუთისანი

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

„კომედი გრუპის“ მსახიობი გიორგი მარშანია და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი თეკლა ჯავახაძე წელიწადზე მეტია შეყვარებულები არიან. 24 წლის თეკლა ლევან წულაძის „რომეო და ჯულიეტაში“ ვნახე, მომეწონა. „ჭოლას ჯულიეტას“ ეძახიან. ამ როლით აიყვანეს დასში. თეკლა ამ თეატრში მოსვლას გიორგის მიაწერს, მისი დაჟინებული თხოვნით მოვედი ქასთინგზეო. თეკლას მშობლები ქუთაისის თეატრის მსახიობები არიან - მარიკა სამანიშვილი (მადონას როლის შემსრულებელი „ჩემი ცოლის დაქალებში“) და თენგიზ ჯავახაძე. თავად გიორგი თავისუფალ თეატრში მიწვევით ორ სპექტაკლში თამაშობს, „კომედი გრუპის“ მსახიობია. ახლა ანიმაციური სერიალის - „ქერის უბანის“ კოორდინატორია. სურს სპექტაკლებში იყოს დაკავებული, თუმცა თეატრალურ სივრცეში ანაზღაურების სიმცირის გამო ტელევიზიას ვერ ეთხოვება. სამაგიეროდ, დაინტერესებულია ანიმაციით, კარიკატურისტ კემოსთან თანამშრომლობს და სტუდია „ველოსიპედი“ აქვთ.

წყვილი ერთმანეთს თეატრალური უნივერსიტეტიდან იცნობს. ერთ-ერთ სტუდენტურ სპექტაკლში შეყვარებულები ითამაშეს. მერე გიორგიმ ანიმაციურ კლიპში გადაიღო. მოკლედ, მეგობრობდნენ. თუმცა გიორგი აღიარებს, რომ თეკლა ყოველთვის მოსწონდა. თეკლა ამბობს, რომ ქალური ინტუიცია არ აქვს, შესაბამისად ვერც გიორგისგან წამოსულ იმპულსებს გრძნობდა. შარშან, 26 მარტს, გიორგის დაბადების დღეზე გაირკვა ყველაფერი.

„მე ვაკოცე და მორჩა!“

გიორგი მარშანია: - ძალიან მომწონდა როგორც მსახიობი და როგორც გოგო. ვმეგობრობდით, ეს ურთიერთობაც მომწონდა. ჩემს დაბადების დღეზე ვცადე, აბა, სხვა რამე თუ გამომივა-მეთქი და გამომივიდა:)

თეკლა ჯავახაძე: - არ დამიშვია, რომ მოვწონი. მასთან ერთად სხვა ბიჭებიც მემეგობრებოდნენ. თუმცა ჩვენი მეგობრობა მაინც გამორჩეული იყო. დაბადების დღეზე დავურეკე და მივულოცე.

გიორგი: - იმ დღეს თავისუფალ თეატრში სპექტაკლი ვითამაშე და შემდეგ აღნიშვნას ვაპირებდი. თეკლამ რომ დამირეკა, გამოდი-მეთქი, ვუთხარი. და გამოვიდა!

თეკლა: - თავისუფალ თეატრში ბევრი მეგობარი მყავს. სუფრასთან გიორგის გვერდით აღმოვჩნდი. იქ რამდენიმე მსახიობს ეჭვი გაუჩნდა, რომ ჩვენ ერთად ვიყავით. დაიწყეს ხუმრობა - ბარემ დაგლოცავთო. მე და გიორგი, დიდი ხნის უნახავები, ცალკე გავედით, ვსაუბრობდით მონატრებულები. მერე მე გიორგის მივეხუტე და დამეძინა.

გიორგი: - მე ვაკოცე და მორჩა!

თეკლა: - ამ დაბადების დღეზე ვიდეო გადაგვიღეს, ვითომ დავქორწინდით. ამან ინტერნეტ სივრცეში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მერე ეს ხუმრობა ჩვენც მოგვეწონა და ავყევით.

გიორგი: - ასეთი ხანგრძლივი ურთიერთობა აქამდე არ მქონია. ძალიან ვიბნევი შეყვარებულის უცხო სტატუსის გამო. ერთმანეთს ვეხმარებით, დავდივართ რეპეტიციებზე, ხანდახან ვკამათობთ. მოკლე კაბა ჩაიცვი-მეთქი, ვეუბნები, თეკლა არ იცვამს.

თეკლა: - ჩემთვისაც სერიოზული ურთიერთობა პირველია და ორივე ვსწავლობთ.

გიორგი: - ვცდილობთ ისევ მეგობრულ რეჟიმში ვიყოთ და ოფიციალური სახე ჩვენ ურთიერთობას არ ჰქონდეს.

თეკლა: - დროის დეფიციტის გამო ცოტა სძინავს და ერთმანეთს რომ ვნახულობთ, ეძინება. ადრე ვეჩხუბებოდი. ახლა აღარ. გთხოვ, გაიღვიძე-მეთქი.

გიორგი: - მე კიდევ იმაზე ვეჩხუბები - ნელა ატარე მანქანა-მეთქი. ბანალურ თემებზე ვჩხუბობთ. როგორც ერთი ჩემი მეგობარი ამბობს - სიყვარულს ბანალურობა უხდება.

საფირმო ბლინები
- დაახასიათეთ ერთმანეთი.

თეკლა: - გიორგი უკიდეგანოდ მშვიდია. მინდა ისეთი ვიყო, როგორიც გიორგია, მაგრამ არ გამომდის. ვცდილობ ამ რეჟიმზე გადავიდე. მეგობრული, ერთგული, საქმის მოყვარული, ნიჭიერი - უამრავი დადებითი თვისება აქვს. მეც მინდა მისნაირი ვიყო. როცა რაღაცას ვწყვეტ, ვფიქრობ, როგორ მოიქცეოდა გიორგი? ქალურ ინტუიციასთან ერთად ბევრი რამ არ გამაჩნია და გიორგისგან ვსწავლობ. მასთან ურთიერთობა კომფორტულია ჩემთვის. ის იმდენად მავსებს, რომ ყველაფერს მას ვუყვები, მეგობრებთან სალაპარაკო აღარაფერი მრჩება. გიორგისთან პრობლემები რომ მაქვს, ისევ მასთან ვარჩევ. გიორგი ჩემი ყველაფერია. ჩემი ძმა საზღვარგარეთ არის, მშობლები ქუთაისში ცხოვრობენ. გიორგი მივსებს ამ სივრცეს.

გიორგი: - თეკლა ნიჭიერი, მხიარული, ლამაზია. აქვს იუმორის გრძნობა, რაც მნიშვნელოვანია. შემოქმედებითი ადამიანია. ქსოვილისგან სახლის გაკეთება შეუძლია. საჭმელს ლამაზად დებს თეფშზე, ესთეტურად. ჩემიანია, ეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია.

თეკლა: - გავანებივრე საჭმელებით. ადრე თავისუფალი ვიყავი და თავს ვაწონებდი. პომიდორისგან გულს გამოვუჭრიდი, ბულგარული წიწაკისგან ხეს და გულებს ვაკეთებდი. დრო თუ მაქვს, ვცდილობ გავანებივრო.

გიორგი: - გემრიელი გამოსდის ინგლისური სტაფილოს ნამცხვარი.

თეკლა: - ბლინების ისტორია უნდა მოგიყვეთ. ბლინები შოკოლადით და ბანანით - ჩემი საფირმოა.

გიორგი: - თან გაყინულია, თან შემწვარია - ფეშენ ჰაი კლასის დესერტია. ყველა გიყდება. ჩემი დაბადების დღის მერე ავედი მეგობართან ერთად. მაგარი ბლინი მაქვსო, გულით გააკეთა და მოგვართვა. ჩავკბიჩე, მაგრამ არ მომეწონა. როგორ გინდოდა არ შეგემჩნია, მაგრამ მაინც მეგობრულად ვუთხარი, არ მომეწონა-მეთქი.

თეკლა: - მეორე ჯერზე უკვე მოეწონა.

გიორგი: - წვნიანებს ვერ აკეთებს - ჩახოხბილს, ჩიხირთმას მე ვაკეთებ, ოლონდ მაშინ, როცა მართლა საჭმლის გარეშე ვრჩები.

თეკლა: - ბორშს ხომ ვაკეთებ?

ჭოლას ჯულიეტა

გიორგი: - „რომეო და ჯულიეტა“ - მოზარდ მაყურებელთა თეატრისთვის და ჯულიეტას როლი - თეკლასთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ხუთი წლის მერე არ იქნება ყველაზე კარგი ნათამაშევი როლი თეკლასთვის. მახსოვს, მუშაობის პროცესი, ბევრ ვერსიებს იგონებდა. კარგი როლი იყო, თუმცა საოცრება არ ყოფილა. მეტი განვითარება უნდა ჰქონდეს. თეკლას მეტი შეუძლია. თუმცა კარგი ეტაპია. კარგი შეგრძნებაა, შენი შეყვარებული თამაშობს და შენ კი არ გრცხვენია, პირიქით, ამაყობ მისით. მე ვიამაყე. კარგი გრძნობა იყო.

თეკლა: - შენიშვნები მომცა ხმაზე. ნანერვიულები ვიყავი. მაღალი ტონალობა მაქვს, წვრილი ხმა. ამის გამო რეპლიკებში სიტყვები იკარგებოდა. სწრაფად ვლაპარაკობდი. მერე დავაბალანსე, გამოვასწორე. გიორგი ერთადერთი ადამიანია, რომელმაც შენიშვნები მომცა. თუმცა პროფესიული რჩევები ჩემმა მშობლებმაც მომცეს. გიორგის რჩევები კი მთელი კარიერის მანძილზე დამეხმარება.

- შენ რატომ არ თამაშობ სპექტაკლებს?

გიორგი: - რეჟისორები იმ მსახიობს იწვევენ, ვისაც იცნობენ ან ვისთანაც უმუშავიათ. მე არ მიმუშავია, თანაც არც „კომედი შოუს“ სწყალობენ თეატრებში. ჰგონიათ, „კომედი შოუს“ მსახიობი რომ ვარ, მათთვის კარგი არ იქნება ჩემი სპექტაკლში დაკავება. რაღაც ლოგიკა არის, მაგრამ მაინც არ ვეთანხმები. გაბრაზებული არ ვარ. თუმცა ფაქტია, ამ წრეში ვერ ვტრიალებ. გული მწყდება თეატრში რომ არ ვარ დაკავებული, მაგრამ აშკარა არჩევანს ვერ ვაკეთებ, რომ ტელევიზიდან წამოვიდე და თეატრში მივიდე.

„რეჟისორებს ჰგონიათ, „კომედი შოუს“ მსახიობი რომ ვარ, მათთვის კარგი არ იქნება. რაღაც ლოგიკა არის, მაგრამ მაინც არ ვეთანხმები. გაბრაზებული არ ვარ. თუმცა ფაქტია, ამ წრეში ვერ ვტრიალებ“

თეკლა: - მე გიორგის მარჯვენა მხარზე ვუზივარ და ვეჩიჩინები - „გიორგი, თეატრი-მეთქი“.

- ანიმაციით როდის დაინტერესდი?

- მესამე კურსიდან დავინტერესდი. გავიცანი ადამიანები, გავიგე სპეციფიკა. კემოსთან ერთად ორი წელია გვაქვს სტუდია „ველოსიპედი“, ვიღებთ შეკვეთებს. ახლა კონკურსში ვმონაწილეობთ. გავაკეთეთ ჟირაფი ჟოზე, გვინდა ამ პერსონაჟს რამდენიმე საბავშვო სიმღერა ჰქონდეს. ხმებით თუ გავედით, ანიმაცია გაკეთდება. ჯერჯერობით მეორე ადგილას ვართ. სტარტი გვჭირდება. ვნახოთ.

მშობლები

გიორგის თეკლას მშობლების გასაცნობად ქუთაისში მოუხდა ჩასვლა. ცოტა სასიძომაც ინერვიულა და სასიმამრომაც. თუმცა იუმორმა და მსახიობის პროფესიამ ერთიც იხსნა და მეორეც.

გიორგი: - ტრადიციები და ეტიკეტი არ ვიცი, მკლავს. თეკლას სახლის კარზე დავაკაკუნე და კარი მამამისმა რომ გაიღო, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ერთწამიანი პაუზის მერე მეუბნება - „მხიარული რომანი“ გახსოვს? იპოლიტე რომ ეუბნება სიძეს - შენ ხარ ის? და თვალები მომიჭუტა. აი, უკვე მორჩა, იმ წამში მივხვდი, რომ ჯიგარი ადამიანია.

თეკლა: - მამაჩემში და გიორგიში ბევრი საერთო თვისება დავინახე. ეს იმედს მაძლევდა, რომ ერთმანეთს გაუგებდნენ.

გიორგი: - ფროიდი მუშაობს :)

თეკლა: - მამაჩემი უფრო ნერვიულობდა და შფოთავდა. გიორგის ფერი არ ედო სახეზე.

- თეკლა, დედა რითი ჰგავს მის გმირ მადონას?

- ენერგიულობით და მხიარულებით. დედა, მადონასგან განსხვავებით, ჭორიკანა არ არის. მეგობრებისგან და გარემოცვისგან აიღო ეს ტიპაჟი.



„კარგი შეგრძნებაა, შენი შეყვარებული თამაშობს და შენ კი არ გრცხვენია, პირიქით, ამაყობ მისით. მე ვიამაყე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ითამაშე ვარსკვლა

მაგდა კლდიაშვილი

„პრაიმტაიმისა“ და „ევროპაბეთის“ ერთობლივმა პროექტმა - „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ სტარტი 13 ივნისს აიღო და 8 ივლისს დასრულდა. პროექტის მიზანი ქართული ფეხბურთის ვარსკვლავებისა და ქართველი გულშემატკივრების შეხვედრა, გაცნობა და ერთად მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ყურება იყო. „ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ „ევროპაბეთის“ თბილისის ყველა ფილიალი მოიარა და კმაყოფილი დატოვა, როგორც სტუმარი, ისე ქომაგები.

ტოტალიზატორის „თბილისის ცენტრალის“ ფილიალში, პროექტის პირველი სტუმრები მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული იყვნენ. როგორც აღმოჩნდა, ორივე მათგანი არგენტინის გულშემატკივარია და სიმბოლურ ბილეთზე, რომელიც „ევროპაბეთმა“ სპეციალურად სტუმრებისთვის დაამზადა, მიხეილ ყაველაშვილმა დააფიქსირა კიდეც, რომ მსოფლიო ჩემპიონი არგენტინა გახდებოდა. ვეტერან ფეხბურთელებს პროგნოზის გამოცნობამდე ცოტა დააკლდათ, რადგან მათ ფავორტიმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალამდე გააღწია, თუმცა იქ გერმანიის ნაკრებთან დამარცხდა. საბოლოო ჯამში, ყაველაშვილი და ჯამარაული ვერცხლის მედლებს „დასჯერდნენ“.

ვიდრე „თბილისი ცენტრალს“ ესტუმრებოდა, მიხეილ ყაველაშვილმა „ევროპაბეთის“ ორმილიონიანი ბილეთი, „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში საჯაროდ შეავსო.

„ორმილიონიანი ბილეთიც შევავსე, არგენტინაზეც დავაფიქსირე, რომ ვგულშემატკივრობ და მინდა, მსოფლიო მოიგოს, ეს უფრო გართობაა, თუმცა პროექტი შედგა. პროფესიული თვალსაზრისით უფრო მეტი ინტერესი მაქვს, რა სიახლეები მოხდება, ვინ იქნებიან წარმატებული ფეხბურთელები, ვინ მოახერხებს თავის გამოჩენას. ამ ყველაფერზე ატმოსფეროც მოქმედებს. ბილეთიც თუ გამართლდა, ამას რა სჯობს“, - გამარჯვების იმედი ჰქონდა მიხეილ ყაველაშვილს, თუმცა მისი „ორმილიონიანი“ პროგნოზი არც თუ ისე იღბლიანი აღმოჩნდა.

შემდეგი შეხვედრისთვის „ევროპაბეთმა“ კიდევ ერთი ნიუანსი დაამატა შეხვედრას. სპეციალურად, საკუთარი მომხმარებლებისთვის ტოტალიზატორმა „ბრაზუკა“ დაამზადა, რომელიც ლოკაციის ადგილზე შეკრებილმა სტუმარმა, ფეხბურთელის ავტოგრაფთან ერთად, საჩუქრად მიიღო.

ემოციური გამოდგა შეხვედრა სამგორის ფილიალში, სადაც



„მომავალშიც გავაკეთებთ მსგავს პროექტებს და სიურპრიზები, ჩვენი მომხმარებლებისთვის გაგრძელდება“

სტუმრად ალექსანდრე იაშვილი იმყოფებოდა. გულშემატკივარი ვეტერან ფეხბურთელს ძალიან თბილად შეხვდა, მასთან ბევრი ფოტოც გადაიღეს და არც ჩახუტებას მორიდებიან. შეხვედრის დასრულების შემდეგ, „ევროპაბეთის“ მომხმარებელი მადლიერებას ვერ მალავდა და იმედი გამოთქვეს, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრები და ქართული ფეხბურთის ვარსკვლავების გაცნობა, მომავალშიც გაგრძელდება.

თავად ალექსანდრე იაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი ტიპის შეხვედრები ფეხბურთის განვითარებისთვის აუცილებელი და საჭიროა.

„აუცილებელია ასეთი ტიპის შეხვედრები, რადგან ყველგან მიღებულია, როცა ფეხბურთელები ხვდებიან თავის გულშემატკივარს. მათ ყოველთვის ბევრი კითხვა აქვთ. აინტერესებთ მსოფლიო ჩემპიონატი და ფეხბურთისადმი ინტერესი ძალიან გაზრდილია“, - აღნიშნა ფეხბურთელმა.

ალექსანდრე იაშვილი, პირველი იყო სტუმართაგან, რომელმაც სპეციალურად მისთვის

„აუცილებელია ასეთი ტიპის შეხვედრები, რადგან ყველგან მიღებულია, როცა ფეხბურთელები ხვდებიან თავის გულშემატკივარს. მათ ყოველთვის ბევრი კითხვა აქვთ“

დამზადებულ ბილეთში დააფიქსირა, რომ გერმანია მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა. მის ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ იმას ვერ „დავაბრალებთ“, რომ კარიერის უდიდესი ნაწილი სწორედ გერმანიაში გაატარა. იაშვილის აზრით, მსოფლიო ჩემპიონატს ბევრი ფავორიტი ჰყავდა, მაგრამ მუნდიალს მაინც გერმანია მოიგებდა. ქართული ფეხბურთის ვარსკვლავის პროგნოზი გერმანიასთან დაკავშირებით გამართლდა.

ქართული ფეხბურთის კიდევ ერთი გამორჩეული წარმომადგენელი, ეროვნული ნაკრების ყოფილი შემტევი, „ევროპაბეთის“ ვარკეთილის ფილიალს ესტუმრა. გულშემატკივარი მას ტაშით და ოვაციებით შეხვდა. ინტერესი საკმაოდ დიდი იყო, რადგან მის მოსვლამდე, ტოტალიზატორში დიდი ფაცი-ფუცი შეინიშნებოდა. ადგილზე იყვნენ მოსულები ბავშვებიც, რომლებიც ასაკის ცენზის გამო დაწესებულებაში არ შემოუშვეს, მაგრამ ვეტერანმა ფეხბურთელმა არც ისინი დატოვა უყურადღებოდ და წასვლამდე მათთან გასაუბრებაც მოასწრო. მცირე

europe-bet.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

europe-bet.com

PRIME Time
www.primetimenews.ge

europe-bet.com

პირველად ჩატარდა აქცია, რომელსაც, „პრაიმტაიმთან“ ერთად ჩავუყარეთ საფუძველი. მომხმარებლებიც ძალიან კმაყოფილები იყვნენ, რადგან, რომ გადავხედოთ პირველი აქციიდან მომდევნომდე, მათი რაოდენობა იზრდებოდა“

EXCLUSIVE

რჩევებიც მისცა, ხელი ჩამოართვა და დაემშვიდობა.

დავით მუჯირმა, სიმბოლურ ბილეთში, ალექსანდრე იაშვილის მსგავსად, არჩევანი გერმანიაზე გააკეთა და მანაც დაწერა, რომ გერმანია მსოფლიო ჩემპიონატს მოიგებდა. შესაბამისად, დავით მუჯირის პროგნოზიც იღბლიანი აღმოჩნდა, რაც მთავარია, ტოტალიზატორში შეკრებილმა ადამიანებმა იქვე თქვეს, რომ ფეხბურთელის რჩევას გაითვალისწინებდნენ და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ, მათაც მივულოცოთ ეს წარმატება.

„ითამაშე ვარსკვლავთან ერთად“ „ევროპაბეთის“ კოსტავას ფილიალში დასრულდა. პროექტის ბოლო სტუმარი, ბერლინის „ჰერტასა“ და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი, ლევან კობიაშვილი იყო. ვიდრე სპეციალურად მისთვის დამზადებულ სიმბოლურ ბილეთს შეავსებდა, გულშემატკივარს გაესაუბრა და მათთან კონსულტაციაც გაიარა, თუ ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო მსოფლიო ჩემპიონი, დარჩენილი გუნდებიდან. საბოლოოდ, კობიაშვილმაც არჩევანი გერმანიაზე შეაჩერა და აღნიშნა, რომ გერმ-

ანიაში ეროვნული ჩემპიონატის დონემ რამდენიმე წელია ძალიან დიდი პროგრესი განიცადა, რაც აუცილებლად აისახებოდა ეროვნული ნაკრების შედეგზე. ეს სწორედ ასე მოხდა. ლევან კობიაშვილმა კი დიდი მადლობა გადაუხადა „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“, რადგან მისი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში, პირველად მოხდა საქართველოში, რომ მსგავსი ტიპის აქციაში მიიღო მონაწილეობა, შეხვდა გულშემატკივარს და მათ ავტოგრაფები დაურიგა.

„მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს დღევანდელ საღამოს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ ვიმყოფები. მსგავსი შეხვედრა, ამდენი წელია საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ და პირველადაა, როდესაც გულშემატკივარს ვხვდები, ავტოგრაფს ვარიგებ ბურთებზე და უბრალოდ, მათთან ერთად ვარ, ვსაუბრობთ. მიმაჩნია, რომ ეს აუცილებელი და მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის. თუნდაც ის, რომ ფეხბურთელებსა და გულშემატკივარს შორის კავშირს, სწორედ მსგავსი შეხვედრები ამყარებს. ამიტომ, უდიდესი მადლობა მათ, ვინც დღევანდელ საღამოს გაუწია ორგანიზება“, - ვერ დამალა შეხვედრისგან მიღებული შთაბეჭდილებები ლევან კობიაშვილმა.

„მინდა უდიდესი მადლობა გადავუხადო „პრაიმტაიმსა“ და „ევროპაბეთს“, რომლებმაც ორგანიზება გაუწიეს დღევანდელ საღამოს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აქ ვიმყოფები. მსგავსი შეხვედრა, ამდენი წელია საქართველოს ნაკრებში ვთამაშობ და პირველადაა, როდესაც გულშემატკივარს ვხვდები, ავტოგრაფს ვარიგებ ბურთებზე და უბრალოდ, მათთან ერთად ვარ, ვსაუბრობთ“

პროექტით კმაყოფილი დარჩა თავად „ევროპაბეთიც“, რადგან მსგავსი პროექტი აქამდე არ განხორციელებულა და სათავე ამას „პრაიმტაიმმა“ და „ევროპაბეთმა“ დაუდო.

როგორც ტოტალიზატორის საზოგადოებასთან უერთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსი, თამარ ქვილითაია აცხადებს, „ევროპაბეთი“ მსგავსი სახის ღონისძიებებს, მომავალშიც გააგრძელებს.

„პროექტით ძალიან კმაყოფილები ვართ. ჩვენმა რესპონდენტებმა, იმ სპორტსმენებმა, რომლებიც ჩვენთან სტუმრად იყვნენ, აღნიშნეს, რომ ნამდვილად პირველად ჩატარდა აქცია, რომელსაც ჩვენ „პრაიმტაიმთან“ ერთად ჩავუყარეთ საფუძველი. მომხმარებლებიც ძალიან კმაყოფილები იყვნენ, რადგან, რომ გადავხედოთ პირველი აქციიდან მომდევნომდე, მათი რაოდენობა იზრდებოდა. მომავალშიც გავაკეთებთ მსგავს პროექტებს და სიურპრიზები, ჩვენი მომხმარებლებისთვის გაგრძელდება“, - აღნიშნა თამარ ქვილითაიამ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N28 (278) ორშაბათი, 21 ივლისი, 2014 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

თემურ ჩხეიძის ნარმატებული ნელინადი - ორი ჯილდო და სახელოსნო

exclusive

EXCLUSIVE

პირადი ცხოვრება „ჩემი ცოლის დაქალების“ მიღმა

ვინ გაცდა დედა, ვინ გათხოვდა, ვინ მოიყვანა ცოლი, ვის დაენგრა ოჯახი სერიალის პარალელურად?

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება